კვირის პალიტრა

N48(129) 28/XI.-4/XII.2002.
ფასი 60 თ.

1168
2002

რას საქმიანობს განყოფილება „ა“

ანუ ვის და როგორ „ავერბოვკებენ“ საქართველოში!

ლიზა ბაგრატიონი

რა მოხდა შაბათს

სუკის აგენტ „სტელას“ ნამდვილი სახე

როგორ დავეხმაროთ გულით ავადმყოფ ადამიანს

ზვიოს ისევ აყვირებენ — ახალი ხუმრობები და სხვა

ხათუნა გოგორიშვილმა გამთენიისას ზანგი მონუსხა

ვერა ანდრონიკაშვილი:

...ძალიან მწყდება გული, როდესაც ზურიკელა მტოვებს და მიდის მერისთან. სერგოს (ზურიკელას როლის შემსრულებელს) დღემდე ვეუბნები — რატომ წახვედი მერისთან-მეთქი?.. ამის შემდეგ იყო ძაბულის როლი „მთვარის მოტაცებაში“

გვ. 24

ᲙᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲞᲘᲠᲐ
ᲖᲚᲐ
№48 (129)
28 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ - 4 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2002
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲘᲗᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲖᲚᲐᲞᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲖᲚᲐᲞᲐᲠ ᲘᲧᲝ...“ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ
ᲕᲘᲜ ᲠᲐᲡ ᲨᲘᲥᲠᲝᲑᲡ „ᲒᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲣᲚᲘ“ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ? 6
ᲙᲝᲚᲝᲠᲘᲢᲘ
„ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲕᲘᲗ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ“ ᲐᲜᲣ ᲐᲥᲕᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲒᲖᲕᲘᲝᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ? 7
ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲘᲕᲘ
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲜᲣᲡᲮᲐ ᲒᲐᲛᲗᲔᲜᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲜᲒᲘ ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲒᲝᲒᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ 8
ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲚᲝᲡᲜᲔᲑᲘ
ᲕᲘᲜ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲠᲐ ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲗ 10
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
• ᲪᲝᲚᲘᲡᲫᲛᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 15 ᲬᲚᲘᲗ ᲪᲘᲮᲔ ᲔᲛᲣᲭᲠᲔᲑᲐ 12
• ᲨᲐᲛᲒᲝᲜᲐᲨᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ 14
• ᲡᲐᲓᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ 3 ᲚᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ 14
ᲠᲐᲘᲜᲓᲘ
ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ 16
ᲐᲒᲔᲜᲢᲘ
ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲖᲔ ᲒᲣᲚᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲡᲣᲠᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲘ „ᲡᲢᲔᲚᲐ“ 18
ᲢᲔᲡᲢᲘ
ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ 20
ᲯᲐᲨᲣᲨᲔᲑᲘ
ᲠᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ „Ა“ ᲐᲜᲣ ᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ „ᲐᲕᲔᲠᲑᲝᲕᲙᲔᲑᲔᲜ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ! 21
ᲡᲐᲮᲔ
ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲤᲣᲤᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ „ᲑᲔᲑᲘᲐ-ᲑᲐᲕᲨᲕᲘ“ ᲙᲘᲠᲐ ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ 24
ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ? 27
ᲝᲡᲢᲐᲢᲘ
ᲑᲐᲥᲝᲓᲐᲜ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ „ᲑᲔᲠᲘᲙᲔᲑᲘ“, ᲦᲣᲛᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲡᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝ 30

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲐᲑᲝᲠᲢᲘ ᲨᲔᲫᲘᲛᲔᲡ ᲪᲝᲓᲕᲐᲓ?

ᲐᲑᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲚᲐᲕᲔᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲘᲡ ᲛᲝᲣᲜᲐᲗᲚᲐᲕᲘᲪᲐᲐ. ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲩᲐᲜᲐᲡᲐᲮᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲛᲘᲡᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐᲪ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲐᲜᲣ ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ ᲩᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲡ ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ.

34

ᲐᲥᲕᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲖᲕᲘᲝᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ?

ᲓᲐᲕᲐᲖᲣᲡᲢᲔᲑ: ᲪᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲨᲜᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ?! ᲗᲣ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲞᲠᲝᲨᲜᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲙᲘ, ᲑᲐᲒᲝᲜᲝ. ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲔᲑᲘ...

7

ᲪᲝᲚᲘᲡᲫᲛᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 15 ᲬᲚᲘᲗ ᲪᲘᲮᲔ ᲔᲛᲣᲭᲠᲔᲑᲐ

ᲤᲠᲘᲓᲝᲜ ᲩᲔᲒᲘᲐᲜᲛᲐ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲜᲔᲛᲡᲐᲫᲔᲡ ᲨᲘᲜ ᲛᲘᲐᲙᲘᲗᲮᲐ, ᲒᲐᲠᲔᲗ ᲒᲐᲘᲮᲛᲝ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲘᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲐ, ᲪᲝᲚᲘᲡᲫᲛᲐᲡ ᲒᲣᲚᲛᲙᲔᲠᲓᲘᲡ ᲐᲠᲔᲨᲘ ᲓᲐᲜᲐ ᲩᲐᲐᲠᲗᲧᲐ. ᲖᲣᲠᲐᲑ ᲜᲔᲛᲡᲐᲫᲔ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲬᲐᲘᲥᲪᲐ. ᲤᲠᲘᲓᲝᲜ ᲩᲔᲒᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲛᲘᲘᲛᲐᲚᲐ...

12

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲖᲔ ᲒᲣᲚᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲡᲣᲠᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲘ „ᲡᲢᲔᲚᲐ“

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲩᲐᲡᲣᲚᲔᲑᲡ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐᲒᲕᲮᲕᲓᲐ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ. ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ „ᲘᲜᲢᲣᲠᲘᲡᲢᲨᲘ“ ᲛᲘᲒᲕᲘᲧᲕᲐᲜᲐ. ᲘᲛ ᲙᲐᲪᲡ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲣᲙᲕᲘᲠᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲜᲐᲡᲕᲐ, ᲛᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲨᲘ ᲐᲛᲮᲔᲚᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲘᲡᲙᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐᲝ, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ.

18

სენი

ვუაიერიზმი – ჭუჭრუტანაში ცქერის ისტორია კოტილიონიდან ინტერნეტ-სერიალამდე 32

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 34

ტაძარი

რატომ ითვლება აბორტი უმძიმეს ცოდვად? 34

საფეხბურთო მინდვრებზე 36

ვარსკვლავი

ჯულიანა მური: ცხოვრება წესების გარეშე 38

ეკრანს მიღმა

მაიკლ ჯექსონი შესაძლოა, ციხეში აღმოჩნდეს 41

რომანი

რუსუდან ბერიძე. ქალური ინტუიცია ანუ ჭიამაიას ფრთები (გაგრძელება) 42

სპორტული მოზაიკა 46

ავტო 48

აქეთური-იქითური 50,52

ბიზნესი

პირველი საფენი და ხრაშუნა ფანტელები 54

ჯანმრთელობა

- ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლო 57
- თქვენი პატარა 57
- აკონტროლეთ რადიკულიტი 57
- გრდის პრობლემები 58
- საოჯახო ფსიქოლოგია 59
- იცხოვრეთ ლაღად! 59
- კითხვა-პასუხი 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (2-8 დეკემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

თქვენი დამოკიდებულება სტრესთან 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

როგორ დავეხმაროთ გულით ავადმყოფ ადამიანს?

ჩემი აზრით, ეს არის ის საკითხი, რომელიც სკოლაშიც კი უნდა ისწავლებოდეს. სტენოკარდიული შეტევის დროს, 10-დან 9 ავადმყოფი საჭიროებს ნიტროგლიცერინის მიღებას. ეს პრეპარატი მხოლოდ ერთ შემთხვევაში არ არის სასურველი...

27

კლაუდია შიფერმა ტრავმა მიიღო

ორსულობის მეშვიდე თვეში მყოფი კლაუდია შიფერი, იძულებულია, ყავარჯნებით გადაადგილდეს. ამას წინათ, ლონდონის კერძო სახლში გამართული წვეულების დროს, შიფერს ფეხზე ბუხრის თავიდან ჩამოვარდნილი მძიმე საგანი დაეცა.

50

ჯულიანა მური: ცხოვრება წესების გარეშე

იმის ნაცვლად, რომ სტუდიაში დაბრუნებულიყო და ტაქსი გამოეძახა, ქუჩას ფეხით გაუყვა. მარტოდ მოხეტიალე ჯულიანას დანახვაზე, ბარგმა მანქანა გააჩერა. წესით, ჯულიანა უცნობს მანქანაში არ უნდა ჩასჯდომოდა, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, საპირისპიროდ მოიქცა.

38

ქალური ინტუიცია ანუ ჭიამაიას ფრთები

– ვიცი – რასაც ახლა გეტყვით, თქვენთვის ძალიან მოულოდნელი იქნება. – ბატონმა ქიშომ ჯერ უხერხულად გაიღიმა, შემდეგ ნერვიულადაც ჩაახველა. – მაგრამ მაინც ბოლომდე მომისმინეთ და ნურც პასუხის გაცემას იჩქარებთ...

42

„ზღაპარი იყო, ზღაპარი იყო...“

ბოდიშს კი ვუხდი მკითხველს, იქნებ ყელში ამოუვიდა ერთი და იგივე, მაგრამ რა ვქნა — ისევ „მოქალაქეთა კავშირით“ უნდა დავიწყო. უნდა დავიწყო-მეთქი, ე.ი. მერე სხვებით გავაგრძელებ. ასე რომ, გარკვეული „მრავალფეროვნება“ მაინც იქნება.

მაშ ასე... თუმცა, მოდით, ზღაპარივით მივყვეთ, უფრო კარგი იქნება, თანაც ეს ხერხი ადრეც გამოგვიყენებია და ვფიქრობ, არა უშავდა... ზღაპარი, როგორც წესი, ასე იწყება: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა და (ხანდახან, ასეც ამბობენ: „ამაზე უკეთესი რა იქნებოდა“) იყო ერთი...“ და ა.შ. ჩვენც მსგავსად დავიწყოთ, ოღონდ ისე, რომ რეალობას არ დავშორდეთ — ჩვენი ზღაპარი ხომ წარსულს კი არა, აწმყოს ეხება. მოკლედ, გთავაზობთ თანამედროვე ზღაპარს, სათაურით:

„ნაცარქექია, „ტუი“ და ტანმოკლე დევი“

არის და არა არის რა, ამაზე უარესი რაღა იქნება, არის ერთი „მოქალაქეთა კავშირი“. იქნებ, გრამატიკულად უფრო სწორი ყოფილიყო, რომ გვეთქვა — „მოქალაქეთა ერთი კავშირი“, მაგრამ ის ხომ მართლაც ერთი მოქალაქის (გვარს არ დავასახელებ) საკუთარი ორგანიზაცია გახლავთ, ამიტომ დავტოვოთ ისე, როგორც არის.

ჰოდა, არის ეს „მოქალაქეთა კავშირი“ და... ვერც არის. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ყოფნა ხელს არ აძლევს, კარგი დრო ენატრება და შაგრენის ტყავივით დაპატარავებული სხეულის აღდგენა-გაფართოებაზე ოცნებობს — ზის ბუხართან მთელი დღეები და ნაცარს ქექავს. არც მთლად ისეა საქმე, რომ მხოლოდ ნაცარს ქექავდეს, არა — ხანდახან გავა ხოლმე გარეთ და რაღაც-რაღაცებს აფუჭებს.

იმ ნაცარქექიასგან განსხვავებით, ეს ნაცარქექია უმცროსი კი არა, უფროსი ძმა გახლავთ ოჯახში და ამიტომ ნაცრის გუდისა და ერთი წველა ყველის ანაბარად სახლიდან მის გაგდებას ვერავინ გაბედავს (ჯერჯერობით მაინც) და ჩვენც ცოტათი გადახვევა მოგვიხდება ზღაპრის ტრადიციული სიუჟეტური ქარგიდან.

ეჯდა, ქექავდა ნაცარს და ბოლო ორი წელია, საერთოდ ფეხებზე ეკიდა, რას ჭამდნენ, რას სვამდნენ და ვისთან მეგობრობდნენ მისი უმცროსი ძმები, რომლებიც ადრე უბატონოდ ხმას არ სცემდნენ „ნაცარქექიას“.

მაგრამ არც ასე ყოფილა საქმე — თურმე ცალი თვალით რომ ცეცხლსა და ნაცარს უყურებდა, მეორეთი ძმების საქციელს აკვირდებოდა, ძალიან რომ არ ეცელქათ.

არადა, ცელქობდნენ რომელია: იმ უმცროსებს შორის უფროსი, რომელსაც ოჯახში „ტუის“ ეძახდნენ, საერთოდ სხვა ოჯახს შეეხიზნა — ზღვის პირას მცხოვრებ ტანმოკლე დევს დაუმაკაცდა და იმას გააყვანინა თავი პარლამენტში, სადაც უფრო დიდი ბუხარი დგას და უფრო მეტი ხალხი ქექავს ნაცარს.

ჰო, ამ დევს, მართალია, „ტანმოკლეს“ ეძახიან, მაგრამ მაინც დევია, რადგან სინამდვილეში არც ისე პატარაა — რაც ზევით არის, ხუთი იმდენი მიწაშია, უბრალოდ არ ჩანს.

პატარა ძმებმა მთლად აიშვეს თავი — გარე-გარე დარბოდნენ, ქოხიც აიშენეს, მერე იქაური ნაცარიც ვერ გაიყვეს, ერთმანეთშიც იჩხუბეს და ცალ-ცალკე კარვებიც დაიდგეს. დაიჭირეს ხელში პატარ-პატარა ნაცრის საჩხრეკები და „შეუდგნენ საქმეს“, თანაც თვალი უფროსი ძმის სახლზე უჭირავთ, — ერთი სული აქვთ, ყელში ეცნენ და წაახრჩონ. მაგრამ ესეც მაგარია — „ხეზე ასვლა“ არ უსწავლებია პატარებისთვის...

მოკლედ, მოვიდა ზამთრის პირი და აცივდა ზღვისპირეთში. „ტანმოკლე დევი“ არც ისეთი ბოთე და გულუბრყვილოა, როგორიც ნამდვილი ნაცარქექიას დევი იყო — „ტუი“ პარლამენტში კი გაუშვა ნაცრის საქექად, მაგრამ მთლად კი არ უშვილებია. ამიტომ, როგორც კი ცოტა შესცივდა, ისევ ნაცარქექიას მიადგა და მიმსახურეო — უთხრა. ჩაეცინა ნაცარქექიას,

— ბოლო-ბოლო ისევ აქ მოხვედიო?! — და უთხრა: წადი და შენს ძმაკაც დევს რკო გამოართვიო. წიწილა რომ მოგვთხოვოს სამაგიეროდ? წიწილა, არა, ბებიამაგისამ, ინდაურს გავუგზავნიო; თუ მაინცდამაინც გაჯიუტდა, „ახალგაზრდა ყვავებს“ მოვაშორებ — ჩვენს ყოფილ უმცროს ძმებს, იმ თავიანთ კარვებში მაინც ვერ გადაიტანენ ამ ზამთარს, ან შიმშილით დაიხოცებიანო.

რაღა ექნა „ტუის“, აიღო ერთი გუდა ნაცარი, ყველი, სადგისი და წავიდა დევთან. სიცილით კინაღამ ჩაბჟირდა ზღვისპირელი, — შენ მე ვინ გგონივარ, ეგ სადგისი ერთ ადგილას „ისაქანიო“... ყველი გამოართვა და შეჭამა, ნაცარი კი, სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, „სტუმარმა“ თავზე წაიყარა და შეევედრა, მომეცი რკო, თორემ ნაცარქექია სახლში არ შემიშვებს და ამ ზამთარს გავიყინებიო. თანაც ჩემმა ძმამ დამბარა, „ახალგაზრდა ყვავებს“ ერთად დავცხოთო... ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ცოტა აწრუწუნა, მისცა ერთი ტომარა რკო და გამოისტუმრა.

ჰო, თვითონ რკოს რაც შეეხება, ნაცარქექია ღორი კი არ არის, რკო რომ ჭამოს, სულ სხვა საქმისთვის სჭირდებოდა: გამოართვა ბეჯით ძმას რკო, შეყარა ბუხარში და აბარბარებული ცეცხლის დანახვაზე, კმაყოფილმა მოიფშვნიტა ხელები: მომავალ არჩევნებამდე მეყოფაო.

„ტუისაც“ უხარია — მუდმივი შუამავლის (იგულისხმეთ — „მაჩანჩალის“) როლი შეინარჩუნა და ნაცარქექიასგანაც და დევისგანაც მომავალში პრეზიდენტად გახდომაზე ოცნების უფლებაც დაიტოვა.

P.S. ერთობ უთავბოლო ზღაპარი გამოვიდა, მაგრამ კვირის ბოლომდე დაიცადე, მკითხველო და ნახავ, როგორი გასაგები გახდება ყველაფერი.

ისე კი, მიკვირს, „ტუის“ გარდა, ყველა რომ ხვდება — ნაცარქექია და დევი ხომ ძმები არიან!

პროვოკატორი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვსი ჩეჩენის ბედი საქართველომ უნდა გადაწყვიტოს

— ევროსასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია ადვოკატების მიერ წარდგენილი არგუმენტები, რუსეთში ექსტრადიციის შემთხვევაში, ჩეჩენი პატიმრების უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ და ამ საკითხის გადაწყვეტა საქართველოს მიანდო. რუსეთისთვის უკვე გადაცემული ხუთი ჩეჩენის ექსტრადიციის კანონიერების საკითხს კი, ევროსასამართლო 5 დეკემბერს განიხილავს. რა მოხდება შემდეგ და რა პოზიციას დაიკავებს საქართველო?

***ნანა დევდარიანი**, სახალხო დამცველი:*

— განხილვა დაგეგმილია დეკემბრისთვის და მე გავაგზავნე ევროსასამართლოში ჩემი განცხადება თხოვნით, რომ ჩამრთონ მესამე მხარედ ამ პროცესში, ვინაიდან მოპასუხეები არიან რუსეთის და საქართველოს მთავრობა. მე მთავრობას არ წარმოვადგენ და მაქვს უფლება, იურიდიული მტკიცებულებებით განმტკიცებული მასალები წარმოვადგინო პროცესზე. დღეს დადებითი შედეგია ის, რომ თუ ერთი თვის წინ პროკურატურა ამტკიცებდა, რომ პატიმრებს არავითარი უფლება არა აქვთ ევროსასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, ახლა დადგენილია, რომ პატიმართა ადვოკატებს მინიმუმ ორ ინსტანციაში შეუძლიათ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება. არსებობს იმის საფუძველი, რომ საქართველოს მთავრობამ ვერ გაუძლოს ზეწოლას. მე ეს დავფიქსირე იმ წერილშიც, რომელიც ევროსასამართლოს თავმჯდომარეს მივწერე. თუ საქართველო უარს იტყვის დანარჩენი 6 ჩეჩენის ექსტრადირებაზე და ამის გამო, რუსეთის მხრიდან მუქარები წამოვა, ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ამ ზეწოლას ვერ გაუძლოს, რადგან მას მხოლოდ ჩეჩენი ლტოლვილების ბედი კი არა, მთელი მოსახლეობის ბედი აბარია... მოხდება თუ არა ჩეჩენი პატიმრების ექსტრადიცია (8 პატიმრიდან ორს ეს საშიშროება აღარ ემუქრება, რადგან ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან)? — ეს საკითხი მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია მოქცეული და ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი ალბათ სხვა პატიმრებთან შედარებით უკეთეს პირობებში იქნებიან. ■

რა ხდება ენგურჰესზე?

— ენგურჰესზე მომხდარი ავარიის გამო, თბილისის ენერგომომარაგება საგრძნობლად გაუარესდა. მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ ვარდნილჰესის მუშებმა ხელფასების მოთხოვნით, უარი თქვეს ელექტროენერგიის გამომუშავებაზე, რითიც ენერგოსისტემას კიდევ 100 მგვტ ელექტროენერგია დააკლდა. რა მდგომარეობაა ამჟამად?

***რევაზ არველაძე**, პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე:*

— ენგურჰესის ელექტრომექანიკური ნაწილის რეაბილიტაციისთვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან 22 მლნ ევროს ოდენობის კრედიტის გამოყოფის თაობაზე ხელშეკრულება გაფორმდა. სარეაბილიტაციო სამუშაოებს გერმანულ-ავსტრიული კონსორციუმი „ფოიტსიმენსი“ განახორციელებს. დეკემბერში კი, ის სამშენებლო ფირმა გამოვლინდება, რომელიც ენგურჰესის კაშხლისა და გვირაბის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს შეასრულებს. თავდაპირველად ვვარაუდობდით, რომ ჯერ ენგურჰესი აგვემოქმედებინა და პროექტის მეორე ნაწილი ამის შემდეგ დაგვეწყო, მაგრამ ვარდნილჰესზე იმდენად მძიმე მდგომარეობაა შექმნილი, რომ თუ იქ სარეაბილიტაციო სამუშაოები სასწრაფოდ არ დავიწყეთ, ენგურჰესის ამუშავება აზრს დაკარგავს. ამჟამად, საქართველოს უკვე აღუდგა იმპორტის მიწოდება და ამ დროისათვის, აზერბაიჯანიდან ენერგოსისტემა კვლავ 400 მგვტ სიმძლავრეს იღებს. ■

„ბოლომდე მეც არ ვიცი, ბოდენის დოკუმენტში რა წერია“

— ბერლინში შედგა რიგით მე-9 „უშალსტუხო“ შეხვედრა ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის. იქ საერთაშორისო კონფლიქტოლოგიური ცენტრის მიწვევით თქვენც იმყოფებოდით. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ შეხვედრის შესახებ? იყო თუ არა საუბარი ბოდენის დოკუმენტზე, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა განიხილოს?

***აკაკი ასათიანი**, „ტრადიციონალისტთა“ ლიდერი:*

— კი, იყო ამაზე საუბარი. აფხაზური მხარისათვის მიუღებელია ეს დოკუმენტი, თუმცა შეხვედრისას, საუბრის მთავარ თემას ეს დოკუმენტი არ წარმოადგენდა. აფხაზებს მიაჩნიათ, რომ რადგან ომში გაიმარჯვეს, ამის გამო, საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიად ყოფნა მიუღებელია. არადა, სუვერენული აფხაზეთი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში სწორედ ამას ნიშნავს. თავიდან ბოლომდე მეც არ ვიცი, ამ დოკუმენტში

რა წერია. თუმცა, რაც მაინტერესებდა, ის აბზაცი წამიკითხავს. ასე რომ, სანამ არ გამოქვეყნდება, მისი ავკარგიანობის შესახებ მსჯელობა ნაადრევია. მე ბატონ ბოდენს შევხვდი და ვუთხარი: სჯობს, ეს დოკუმენტი გამოქვეყნდეს-მეთქი. მას კი მიაჩნია, რომ ამან შეიძლება უფრო გაამწვავოს ურთიერთობა... ჯობია, ჯერ ნიადაგი მოისინჯოსო — ამბობს, მაგრამ როგორ მოისინჯება, თუ არ ვიცით, იქ რა წერია? ისე, ეს დოკუმენტი ბოდენის კი არა, გაეროსია. რუსეთი ამ დოკუმენტის წინააღმდეგია. თუმცა, პირობა დადო, რომ აფხაზებს აიძულებდა, ქართულ მხარესთან მოლაპარაკება დაეწყო. ასე რომ, თუ ვინმე ჩვენში, ბოდენის დოკუმენტის წინააღმდეგია, ეს ნიშნავს, რომ ამ საკითხში მისი, აფხაზების და რუსეთის პოზიცია ერთმანეთს ემთხვევა. ■

„ჯერჯერობით კვლავ „აღორძინებაში“ ვრჩები, თუმცა...“

— ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ შესაძლებელია, ავთანდილ ჯორბენაძემ „აღორძინებასაც“ კი შესთავაზოს „მოქალაქეებთან“ ალიანსის გაფორმება. რას ფიქრობთ ამის შესახებ და მართალია თუ არა ხმები თქვენი „ახლებთან“ გადასვლის შესახებ?

***გიორგი თარგამაძე**, პარლამენტარი:*

— ძნელად წარმოსადგენია „აღორძინების“ თანამშრომლობა მმართველ პარტიასთან, მით უმეტეს, რომ ბათუმის დეპუტაცია „მოქკავშირის“ საპატიო თავმჯდომარის იმპიჩმენტთან დაკავშირებით, უკვე რამდენიმე თვეა აგროვებს ხელმოწერებს. ამის მიუხედავად, ზოგადად პარტიათა გაერთიანების შესახებ, ცუდს ვერაფერს ვიტყვი, რადგან მიმაჩნია, რომ ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც პარტიათა გაერთიანებისაკენ იქნება მიმართული, ქართული პოლიტიკური სპექტრის დახვეწისა და მოსახლეობის ადვილად ორიენტირებისთვის ცუდი არ იქნება. თუმცა, „სოციალისტებს“ „აღორძინებასთან“ ურთიერთობაში გარკვეული პრობლემები შეექმნებათ. რაც შეეხება ჩემი და „ახლების“ ურთიერთობას — გიდასტურებთ, რომ იდეოლოგიურად და მსოფლმხედველობრივადაც, ბევრი საერთო გვაქვს. ალბათ სწორედ ჩვენი შეხედულებების თანხვედრას ეფუძნება ის აზრი, რომ ერთ პოლიტიკურ ერთიანობაში მოვიაზრებოდეთ. მაგრამ მე ჯერჯერობით არსად გადასვლას არ ვაპირებ და კვლავ „აღორძინებაში“ ვრჩები. თუმცა, ის საკადრო გადაწყვეტილებები და დამოკიდებულებები, რომელიც პარტიაში ჩამოყალიბდა, ჩემთვის მიუღებელია. ვგულისხმობ ერთმანეთის მიმართ ინტრიგების ხლართვას და ზურგს უკან ჭორაობას. ბოლო საკადრო გადაწყვეტილებებმა, განსაკუთრებით თბილისის ორგანიზაციასთან დაკავშირებით, ყველას დაანახვა, რომ ამ მხრივ, აშკარა კრიზისი შეინიშნება. მე „აღორძინების“ ლიდერი ვერ ვიქნები იქ, სადაც ლიდერად ჩნდებიან ისეთი ადამიანები, რომელთა ქცევის, ცხოვრებისა თუ აზროვნების წესი ჩემთვის მიუღებელია. არ დავიწყებ იმის მტკიცებას, თითქოს ისინი ცუდები არიან და მე — კარგი. უბრალოდ, ჩვენი პარტიული თანამშრომლობა წარმოუდგენელია. ■

„შიდსის ვირუსით ინფიცირებული ადამიანები აღარ იღუპებიან“

— პირველი დეკემბერი შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. როგორ, რა სტატისტიკით ხვდება ამ დღეს მსოფლიო და საქართველო?

***თენგიზ ცერცვაძე**, შიდსისა და იმუნოლოგიის ცენტრის დირექტორი:*

— ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ეპიდემიის დაწყებიდან დღემდე, უკვე 40 მლნ ადამიანია ინფიცირებული, მათ შორის — 37,2 მლნ მოზრდილი ადამიანია, 2,7 მლნ კი — 15 წლამდე ასაკის ბავშვი. აქედან 24,8 მლნ ადამიანი გარდაიცვალა. დღეისათვის, მკურნალობის წყალობით, შიდსის ვირუსით ინფიცირებული ადამიანები აღარ იღუპებიან. ცნობისათვის: ტრიადით ერთი ადამიანის მკურნალობა წელიწადში საშუალოდ 10.000 აშშ დოლარი ღირს. რაც შეეხება საქართველოში არსებულ მდგომარეობას, ჩვენი სტატისტიკური მონაცემები ასეთია: რეგისტრირებულია 361 შემთხვევა, მათ შორის — 313 მამაკაცი და 48 ქალია. პაციენტთა უმრავლესობა 18-დან 40 წლამდე ასაკისაა, აქედან 52 გარდაიცვალა. ■

თბილისელ ბავშვთა 8% — ე.ი. 24000 ბავშვი ალერგიულია

— საქართველოში ალერგიული და ასთმიანი ბავშვების აცრები დაიწყო, აუცილებელია თუ სასურველი, ბავშვს ეს პროცედურა ჩავუტაროთ?

***ირინა მეფინუფვილი**, თბილისის მთავარი ალერგოლოგი:*

— იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ტუბერკულოზის, დიფტერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, წითელას, ყბაყურას საწინააღმდეგო აცრების ჩატარება სავალდებულოა, რაც არ შეეხება უკუჩვენებების მქონე პირებს. ჩვენმა ეკოლოგიურმა გარემომ ალერგიული პრობლემები წინა პლანზე წამოწია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებული, თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებული ვაქცინები საუკეთესო ხარისხისაა და ამ პრეპარატებით გამოწვეული ალერგიული რეაქცია საკმაო იშვიათობას წარმოადგენს, შშობლებს მაინც ეშინიათ იმისა, რომ აცრა ალერგიულ გართულებებს გამოიწვევს და ამის შედეგად ბავშვს შეიძლება განუვითარდეს ისეთი დაავადებები, როგორებიცაა ურტიკარია, ატოპური დერმატიტი, ალერგიული ლარინგიტი — კრუპი (სიკვდილიანობა — 5-10%), ანაფილაქსიური შოკი (სიკვდილიანობა — 30-40%). ამ შიშის გამო, ბავშვთა უმრავლესობა აუცრელი რჩება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისელ ბავშვთა 8% — ე.ი. 24000 ბავშვი ალერგიულია. ბავშვთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების მიზნით, შპს „ალერგია XXI საუკუნე“ იწყებს თბილისის ალერგიულ ბავშვთა უფასო გეგმურ აცრებს. სპეციალური მომზადებით ბავშვთა I საავადმყოფოში (ძმები ზუბალაშვილების ქუჩა), ბავშვს შეიძლება ჯერ არ ჰქონდეს არავითარი ალერგიული გამოვლინება, მაგრამ თუ ბავშვის დედ-მამას, ბებია-ბაბუას, და-ძმას ან რომელიმე სხვა უახლოეს ნათესავს აღენიშნება გარკვეული ალერგიული განწყობა, მასაც შეიძლება განუვითარდეს ალერგიული გართულებები. ასეთი ბავშვები წინასწარ უნდა მოვამზადოთ აღნიშნული აცრის ჩასატარებლად. ეს ყველაფერი არის უფასო, გარდა ყბაყურის ვაქცინისა და ჰეპატიტის ვაქცინისა, რომელიც პოლიკლინიკებშიც ფასიანია, რადგან სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მათ დაფინანსებას. ასე რომ, შესაძლებელია, უამრავი ბავშვი, რომელიც 10-12 წლის ასაკში ჯერ ისევ აუცრელია, აიცრას. ■

სადილი ყველას

შაბათს, 7 დეკემბერს „კათარზისში“ კვლავ ღია კარის დღეა, ანუ ნებისმიერ მსურველს შეუძლია, 12-დან 17 საათამდე მოვიდეს სათნოების სახლში და აქ, ადგილზე მიირთვას ცხელი, გემრიელი სადილი.

დარეკეთ 11-დან 13 საათამდე — 95-16-46

დავით აღმაშენებლის პროსპ. № 121.

ვინ რას ფიქრობს „გამოქალაქებული“ სოციალისტების შესახებ?



ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მოულოდნელ და ჟღერად მოვლენად, ავთანდილ ჯორბენაძისა და სოციალისტური პარტიის ლიდერის, ვახტანგ რჩეულიშვილის ერთობლივი განცხადება გახდა, რომელიც ზოგმა, ორი პარტიის შესაძლო შერწყმის, ზოგმა კი — ბლოკისა თუ ალიანსის ჩამოყალიბებისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯად აღიქვა. ამ მოვლენის შეფასება დღევანდელი პოლიტიკური სპექტრის რამდენიმე წარმომადგენელს ვთხოვეთ, ბოლოს კი, თავად ავთანდილ ჯორბენაძისა და ვახტანგ რჩეულიშვილის კომენტარებს შემოგთავაზებთ.

ნინო ჯავახიშვილი

ნოდარ ნათაძე, *„სახალხო ფრონტი“:*

— რჩეულიშვილი დაბადებიდანვე შევარდნაძის ფანი იყო. სოციალისტებისა და „მოქალაქეების“ ერთიან ფრონტს ისეთივე მომავალი ექნება, როგორიც წარსული ჰქონდა. ისინი თავიანთი მოღვაწეობის დასაწყისისათვისაც ერთიან, არაპროგრესულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ და ბოლოც საერთო ექნებათ. მე არც ის გამკვირვებია, საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებში სოციალისტების კანდიდატმა „მოქალაქეების“ სასარგებლოდ რომ მოხსნა თავისი კანდიდატურა. ასე რომ, „მოქალაქეები“ და სოციალისტები ერთი ტანის ორი თავია და მათი არც ერთი ქმედება, ალიანსი თუ შეთანხმება ჩემთვის არანაირ სიახლეს არ წარმოადგენს.

გიგი წერეთელი, *პარლამენტის ვიცე-სპიკერი:*

— „მოქალაქეთა კავშირისა“ და სოციალისტური პარტიის ალიანსი არც ჩემთვის ყოფილა მოულოდნელი. მაგრამ ის პროგნოზი, თითქოს ისინი გაერთიანებით რაიმე სერიოზულ წარმატებას მიაღწევენ, აბსურდია. ეს ალიანსი პირველ რიგში, წამგებიანია თვითონ სოციალისტებისათვის. თუ ფიქრობენ, რომ ისინი შეძლებენ პარლამენტში უმრავლესობის ჩამოყალიბებას, ცდებიან. საბედნიეროდ, პარლამენტში უმრავლესობის შექმნა ვეღარ მოხერხდება და ვინც ამ თემაზე საუბრობს — მე ამ შემთხვევაში რჩეულიშვილს ვგულისხმობ — ჯობს, თვლა ისწავლოს.

სანდრო ბრეგაძე, *„აღორძინება“:*

— ვახტანგ რჩეულიშვილს წვავს დაუოკებელი სურვილი იმისა, რომ ჰქონდეს რაიმე თანამდებობა. წლების განმავლობაში, „აღორძინება“ შეწუხებულია მისი ამბიციებით. ეტყობა, ახლა, ავთო ჯორბენაძე დაჰპირდა რაღაცას... ერთი რამ მაინტერესებს მარტო: ჯორბენაძე და რჩეულიშვილი რომ აცხადებენ — ბათუმში ხელიხელჩაკიდებულნი ჩავალთო, — ასლან აბაშიძეს აღარ ეკითხებიან, მიიღებს მათ თუ არა? მე როგორც ვიცი, ის არ აპირებს მათთან შეხვედრას. ბატონი ასლანი მიჩვეულია ღალატს. ამასაც როგორმე გადავიტანთ. „სოციალისტები“ ბათუმური ბლოკისათვის დიდი დანაკარგი არ იქნება, რადგან ისინი ჩვენთვის არასოდეს წარმოადგენდნენ სერიოზულ პოლიტიკურ ძალას.

ირინა სარიშვილი, *ეროვნულ-დემოკრატიული პარტია:*

— „მოქალაქეებს“ და სოციალისტებს არჩევნების დროს ერთმანეთი სჭირდებათ, მაგრამ დღეს ისეთი მდგომარეობაა, რომ მათი გაერთიანება საერთო პოლიტიკურ სიტუაციას ვერ შეცვლის. მმართველი პარტია რომ სუსტია და სამართლიან არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს, ყველასათვის ცხადია. თუმცა, მას მარტო სოციალისტები ვერაფერს უშველიან. ეს ძალიან კარგად იცის ორივე პარტიამ, მაგრამ მაინც ასე გადაწყვიტეს. რას იზამთ — ვისაც ერთად ყოფნა უნდა, ისინი ერთიანდებიან!..

სოსო ცინცაძე, *ნეოლიბერალური პარტია:*

— ვახტანგ რჩეულიშვილის გადაწყვეტილებას ბევრი, პარადოქსულად მიიჩნევს, მაგრამ არ არის ასე. იგი ჩემი აზრით, პრაგმატიკოსი პოლიტიკოსია და სწორედ ეს თვისება არის მისი საფირმო ნიშანი. დადებითად ვაფასებ იმასაც, რომ რჩეულიშვილი ბათუმური ბლოკიდან წამოვიდა. მან კარგად გააანალიზა ის რეალობა, რაც ამ ბლოკშია შექმნილი, — ვგულისხმობ იმას, რომ ბათუმურ ბლოკს პრაღის სამიტის შემდეგ, არანაირი პერსპექტივა აღარ აქვს. ნატოში საქართველოს გაწევრების შანსი ნათლად გამოიკვეთა, პარალელურად რუსეთის პოზიციები კავკასიაში დასუსტდება. შესაბამისად, ეს პოზიცია დასუსტდება აჭარაშიც. მე ვფიქრობ, რომ რჩეულიშვილს მალე მიჰბაძავენ ისინი, ვინც დღეს მის ნაბიჯს აკრიტიკებს...

ავთანდილ ჯორბენაძე, *სახელმწიფო მინისტრი:*

— ვფიქრობ, ეს ერთობა აუცილებლად მდგრადი იქნება. არანაირი დაეჭვების საფუძველს არ მაძლევს რჩეულიშვილის მიერ ადრე გაკეთებული განცხადებები. ნებისმიერი ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს გამოუვალ მდგომარეობაში და ნებისმიერ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში პრობლემები, რომელიც მკვეთრი განცხადების საფუძველი შეიძლება გახდეს. სხვათა შორის, მარტო სოციალისტებთან გაერთიანებით არ ვაპირებ შემოვიფარგლო. სხვა პარტიებთანაც ვატარებ კონსულტაციებს და ამას მხოლოდ ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ვაკეთებ.

ვახტანგ რჩეულიშვილი, *სოციალისტური პარტია:*

— ჩემი და ავთანდილ ჯორბენაძის შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა და ის აგებულია მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებაზე. ვიდრე საბოლოოდ მოხდება ჩვენი კავშირის ფორმალიზაცია და ერთიან ბლოკზე საუბარი, მე უნდა შევხვდე შევარდნაძეს და აბაშიძეს. კარგად ვიცი „აღორძინების“ პოზიცია: ის ამ ეტაპზე „მოქკავშირთან“ კოალიციის გაფორმებას და უმრავლესობაში შემოსვლას არ აპირებს. ბათუმურ ბლოკს იმ პირობით დავტოვებ, თუ მმართველ პარტიასთან შემდგომი თანამშრომლობის პრინციპებზე შევთანხმდებით. ■



ჩვენი ზვიო (ᲖᲕᲘᲐᲓ ᲑᲚᲘᲐᲫᲔ) კვლავ ძალიან დაკავებულია. სარეკლამო კლიპებში მონაწილეობა, მულტსერიალების გახმოვანება, ახალი რადიო — ეს ყველაფერი საკმაოდ ბევრ დროს მოითხოვს. სულ მალე, კიდევ ერთ სიახლესთან შეხვედრა გველის. ამის შესახებ თვითონ ზვიო მოგვიყვება.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲕᲘᲗ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ

ᲐᲜᲣ ᲐᲥᲕᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲖᲕᲘᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ?

ᲜᲐᲜᲐ ᲥᲘᲑᲘᲨᲐᲕᲠᲘ

— რას გვეტყვით? რა ხდება თქვენს „კამანდაში“?

— მშვიდობაა. ერთი კვირაა, რაც ახალი რადიო ეთერში გავიდა. ისევ ძველი „სასტავი“ ვართ ერთად: მე, მიშა მშვილდაძე, შონზო, ნიკა რამიშვილი, ნიკა ქავთარაძე, ირაკლი საგინაძე და ჩვენი ხელმძღვანელი შალვა რამიშვილი. ეს რადიო უფრო ხალისიანი და აქტუალური იქნება. იქნება ახალი პროექტები, რადიოსერიალი და ახალი ხუმრობები, რომელსაც (ზოგიერთს, რა თქმა უნდა) ინტერვიუს ბოლოს შემოგთავაზებთ.

— როგორ ახერხებთ, რომ ამდენ სარეკლამო კლიპში გიწვევენ?

— ალბათ საბოლოო არჩევანს ჩემზე იმიტომ აკეთებენ, რომ მე ჩემს მეგობრებთან ერთად, შემიძლია სცენარი მოვიფიქრო და შევთავაზო.

— თითქმის ყველა სარეკლამო კლიპში რომ გაყვირებენ, ეს დამკვეთის მოთხოვნაა თუ თქვენი იმიჯისთვისაა საჭირო?

— რა ვქნა? — ეს არის ზვიოს ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება — იყვიროს და იჩხავლოს.

— მულტსერიალების გახმოვანების დროსაც გიწევთ ყვირილი, არა?

— ჩვენ კინოთეატრ „რუსთაველთან“ ვთანამშრომლობთ. ბევრი ფილმი გავახმოვანეთ და არა მხოლოდ საბავშვო. ახლაც ვმუშაობთ ერთი ფილმის გახმოვანებაზე, რომელიც უცენზურო სიტყვებითაა სავსე. მას „ფორმულა 51“ ჰქვია. ისეთ პერსონაჟს ვარჩევ გასახმოვანებლად, რომელიც ზგნიოს ხასიათს შეეფერება. მე მიმაჩნია, რომ გახმოვანების იმ მეთოდმა, რომელიც მულტსერიალების გახმოვანებისას ავირჩიეთ, გაამართლა. ეს არის ადაპტირებული თარგმანი ისეთი დიალოგებისა, რომელიც ქართველებისთვის გასაგებია. არადა, ის რომ დაგვეტოვებინა, რაც იყო, რაზეც ამერიკა იცინის და კაიფობს, ფილმი ისეთი ეფექტური არ იქნებოდა, როგორიც გამოვიდა. „პატარა სტიუარტი“, „თოჯინების ისტორია-2“, „დიდი გამყინვარება“, „მონსტრების კორპორაცია“ — ეს ფილმები იმდენმა ხალხმა ნახა და ისეთმა კმაყოფილებმა დატოვეს კინოთეატრი, რომ ახლა დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ: ქართულ სინამდვილესთან შესაბამისობაში მოყვანილმა თარგმანმა გაამართლა.

— რომელ პერსონაჟზე მუშაობა იყო თქვენთვის ყველაზე საინტერესო?

— ვერ გამოვარჩევ. ყველა ჩემი პერსონაჟი საკუთარი შვილივით მიყვარს. ისე, შრეკი მომწონს ძალიან. შეიძლება იმიტომ, რომ ეს პირველი პერსონაჟი იყო, რომელიც გავახმოვანე. ამიტომ მიყვარს პირველი შვილივით გამორჩეულად.

— რაღაც ხშირად ახსენებთ ამ შვილებს. ცოლი კი ჯერაც არ მოგიყვანიათ. რას აპირებთ?

— რა მნიშვნელობა აქვს ახლა ჩემს პასუხს? ჯერ არ ვაპირებ. არც არსებობს ისეთი ვინმე, ვისი ცოლად მოყვანაც მინდა და არც სურვილი მაქვს...

— რას ამბობთ? სურვილიც კი არ გაქვთ?

— მაშინ დავაზუსტებ: ცოლის მოყვანის სურვილი არ მაქვს, თორემ ქალის პრობლემის სურვილი როგორ არა მაქვს?! თუ მარტო პრობლემა უნდა, რა თქმა უნდა, კი, ბატონო.

— ვრცელდება ხმები, რომ ხაშურში აპირებთ ბიზნესის წამოწყებას...

— ჭორია, მე არანაირი ბიზნესი არ მაქვს, იმ ბიზნესის გარდა, რაც ხალხმა უკვე იცის.

ახლა კი დაპირებული ხუმრობები, რომელიც ქვეყანაში არსებულ დაძაბულ კრიმინოგენულ მდგომარეობას ასახავს:

„დღეს დილით, ბრიყვითში ორმა მოზრდილმა მწყემსმა — 28 წლის ბრანზო თვაურმა და მისმა უმცროსმა ძმამ, 23 წლის ჟიპა თვალაიამ ქალაქის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ რესტორანში მძევლად აიყვანეს ორი „კრაზის“ შოფრები და მოითხოვეს გამოსასყიდი თანხა — 240 ქართული ლარის ოდენობით. ცოტა ხანში გამტაცებლები გამოვიდნენ მძევლების სხვა პიროვნებებით ჩანაცვლების ინიციატივით — მათ მოითხოვეს „კრაზის“ მძღოლების, მოდელი გოგონებით ჩანაცვლება. პასუხად, გამტაცებლებს ბრიყვითის პოლიციის უფროსის ჩანაცვლება შესთავაზეს და მათ შეკითხვაზე — ეგ ვინაა, ლამაზი მაინც თუ არისო? — უპასუხეს: „ბანძი“ ზმანია, მაგრამ კაი ტანი აქვსო. ამის შემდეგ, გამტაცებლები მათ წინადადებას დათანხმდნენ და მათთან პოლიციის უფროსი შევიდა, თუმცა, არც ერთი „კრაზის“ შოფერი რესტორნიდან არ გამოსულა. ძალოვნები აღელდნენ და სასწრაფოდ დაიწყეს სპეცოპერაციისათვის მზადება, რომლის განხორციელებასაც შუაღამისას აპირებდნენ. ზუსტად შუაღამისას, მოულოდნელად, ორივე გამტაცებელი, მძღოლები და პოლიციის უფროსი, მთვრალები გამოვიდნენ შენობიდან და სპეცრაზმელებს სთხოვეს, იმ 240 ლარით, რომელიც ჩვენთვის უნდა მოგეცათ, — შედით, გაჭირვებულებს დაეხმარეთ ან რაიმე კაცური საქმე გააკეთეთო...“

დაბოლოს, კიდევ ერთი სიახლე პარფიუმერიაში: „ცნობილმა ქართველმა კუტიურიემ გამოუშვა ახალი სუნამო სპეციალურად ქართველი დიასახლისებისათვის, რომელიც ღორის მწვადზეა დამზადებული. სურნელი განსაკუთრებით აღაგზნებს ქართველ მამაკაცებს. საკმარისია, ყოველ დილით იპკურონ ორიოდე წვეთი მანდილოსნებმა და მთელი დღის განმავლობაში ისინი მწვადის არომატულ და მადის აღმძვრელ სურნელს მოაფრქვევენ. უახლოეს მომავალში, გაყიდვაში იქნება ამ სერიის ახალი სუნამოებიც — ხინკლის, ხაშისა და ჩახოხბილის არომატით. ფასები ხელმისაწვდომია. იპკურეთ ეს სუნამო და გამოგვიარეთ.“ ■

როცა პარლამენტარები ხელჩართულ ბრძოლასა და გაწევ-გამოწევაში არიან, ხათუნა გოგორიშვილი, როგორც გამშველებელი, ყოველთვის მოვლენების ეპიცენტრში იმყოფება. მის სიტყვებს თუ დავუჯერებთ, „უმისამართოდ“ მოქნეული მუშტი ჯერ არ მოხვედრია, თუმცა, არავითარი გარანტია არა აქვს, რომ მომავალში დაზარალებულის ამპლუაში არ წარმოგვიდგება.

როგორ მონუსხა ბამთიანიმ ზანგი ხათუნა გოგორიშვილმა



ხათუნა მაღრაძე

— დეპუტატების დაპირისპირებას ისე განვიცდი, როგორც საკუთარ პრობლემას. გასისხლიანებული პარლამენტარების დანახვა ემოციურად მქანცავს. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი დღის ბოლოს, სახლში განადგურებული მივდივარ. სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს, როცა ჩხუბის დროს, მთიდან კოლეგების ინდიფერენტულ და გაღიმებულ სახეებს ვხედავ. ასეთების მიმართ გარკვეული აგრესიის გრძნობაც კი მიჩნდება.

— ქალბატონო ხათუნა, პარლამენტარების მხრიდან ერთმანეთის ფიზიკური შეურაცხყოფა საზოგადოების დიდ ნაწილში, სიამოვნებისა და კმაყოფილების შეგრძნებას ჰბადებს. ეს ერთგვარი შურისძიება ხომ არ არის იმ გულგრილობის გამო, რომელსაც ჩვენი კანონმდებლები მოსახლეობის მიმართ იჩენენ?

— ადამიანებს ყოველთვის იზიდავთ სანახაობა. ისინი ან აგრესიულები, ან ინდიფერენტულები არიან, ამიტომ არა მგონია, დეპუტატების მუშაობიდან გამომდინარე, სურდეს მოსახლეობას დამამცირებელ სიტუაციაში მათი ხილვა. შევსწრებივარ — სამარშრუტო ტაქსიში ადგილის გულისათვის უარესი ჩხუბიც მომხდარა. ამ ინციდენტს მგზავრები გულგრილად უყურებდნენ. დარწმუნებული ვარ, ბევრ მათგანს, გულიც კი სწყდება, შელაპარაკება ხელჩართულ ბრძოლაში თუ არ გადაიზარდა...

— თქვენ საზოგადოების რომელ კატეგორიას მიეკუთვნებით — ინდიფერენტულს თუ აგრესიულს?

— მე მოვლენების გულგრილად ყურება ვერ ვისწავლე. მეკითხება თუ არ მეკითხება, ყველაფერში ვერევი — არა აქვს მნიშვნელობა, პარლამენტი იქნება ეს თუ ქუჩა. ვერ ვიტან, როცა ვინმეს უსამართლოდ ჩაგრავენ. ამის გამო, უამრავი პრობლემა მქონია. ვიღაცებს არაერთხელ გავულანძღივარ: შენ ვინ გეკითხება? წადი, შენს საქმეს მიხედეო! — მაგრამ ჩემი „მორვლულება“ ცოტა ძნელია, რადგან ბუნებით აქტიური ადამიანი ვარ. არ დამიჯერებთ, მაგრამ როცა ჩემ წინ ვინმე ქუჩას დანაგვიანებს, მის დასანახავად, გადაგდებულ ნივთს ვიღებ და ნაგვის ყუთში ვაგდებ იმის იმედით — იქნებ, სინდისმა შეაწუხოს-მეთქი. თუმცა, ვერ გეტყვით, რომ ჩემს ასეთ საქციელს ვინმეზე ზემოქმედება მოეხდინოს...

— პარლამენტში უკვე იმაზე ალაპარაკდნენ — ქალბატონებმა, საჭიროების შემთხვევაში საკუთარი თავის დაცვა რომ შეძლონ, კარატეში უნდა ივარჯიშონო. თქვენც ხომ არ აპირებთ?

— ღმერთმა დაგვიფაროს, ქალების ცემატყეპაზეც რომ მიდგეს საქმე, თორემ, არა მგონია, კარატეს ილეთები ისე ავითვისოთ, რომ ქმაკაცებისთვის წინააღმდეგობის გაწევა შევძლოთ.

— თქვენ პარლამენტის აპარატის უფროსი ბრძანდებით და დეპუტატების ფსიქოლოგიას კარგად იცნობთ. მაინც, რომელია ყველაზე მეტად თავზე ხელაღებული?

— რა თქმა უნდა, კონკრეტული გვარების ჩამოთვლა შემიძლია, მაგრამ სანამ პარლამენტში ვმუშაობ, ამის უფლება არა მაქვს. უბრალოდ ვიცი, რომელი მათგანია მეტისმეტად ემოციური, ვინ ატარებს ორ იარაღს, მათგან ერთს კი, „ნასკში“ მალავს... ამიტომ, ექსტრემალურ სიტუაციაში ყოველთვის მათ გვერდით აღმოჩნდები ხოლმე, რომ საჭიროების შემთხვევაში, მოქმედების საშუალება არ მივცე.

— და შეიძლება, მართლა გამოიყენონ იარაღი?

— გამორიცხული არაფერია.

— ქალბატონო ხათუნა, თქვენ თუ ხართ ავანტიურისტი და თავგადასავლების მაძიებელი?

— მუდმივად არაორდინარულ სიტუაციებში ვხვდები, არ ვიცი — ხასიათიდან მოდის ეს თუ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხდება, ამიტომ, კონკრეტული პასუხის გაცემა მიჭირს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ავანტურისტადაც შეიძლება ჩავითვალო.

— მომავალ არჩევნებში, დეპუტატობისთვის კენჭისყრას ხომ არ აპირებთ?

— პარლამენტარობა ჩემი საქმე არ არის. კანონშემოქმედებით მუშაობას ის ადამიანები უნდა ეწეოდნენ, რომლებიც ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს ცივი გონებით მიიღებენ. მე კი, იმდენად ემოციური ვარ, რომ მხოლოდ შემსრულებლად თუ ვივარგებ.

— ოქროყანაში, ერთ გორაკზე დგას ხუთსართულიანი სახლი, რომელზეც ამბობენ — გოგორიშვილისაო...

— ვაჟა-ფშაველას მეშვიდე კვარტალში მაქვს სამოთახიანი ბინა. იმის გარდა, რაზეც გაიგებთ,

რომ ჩემია, — იმის ნახევარს თქვენ გაჩუქებთ. ბევრჯერ მსმენია, რომ სადღაც აგარაკები, რესტორნები და სხვადასხვა დაწესებულება მაქვს, მაგრამ დამერწმუნეთ — ჩემი, არც ერთი არ არის. ის კი არა და, ზაფხულში, რომ დავისვენო, სოფელიც კი არ გამაჩნია.

— „ქონებრივი ჭორების" გარდა, სხვას რას იგონებენ ხოლმე თქვენზე?

— მე თვითონ არ ვიცი, რამდენჯერ „გამათხოვეს". ასევე ვერ ჩამოგითვლით ნაცნობებისა თუ უცნობების სიას, ვისზეც ვიყავი „გათხოვილი". ახლა, გაყრის ამბებს არ იკითხავთ?! ამ ჭორებში ერთი საგულისხმო ნიუანსია: სულ ჩუმად „ძწერენ ჯვარს". დაურეკავენ ჩემს მეგობრებს და ეუბნებიან: დანამდვილებით ვიცით — დღეს გოგორიშვილი ამა და ამ ეკლესიაში იწერს ჯვარსო... მერე ვიწყებდი გამოძიებას — საიდან წამოვიდა ეს ჭორი. როცა 47-ე კაცამდე ავიდოდი, ისევ პირველზე მიმანიშნებდნენ... ბოლოს მივხვდი, რომ შერლოკჰოლმსობა ჩემი საქმე არ იყო და ჭორების ავტორების დადგენას თავი დავანებე.

— ისე, ხშირად იყავით შეყვარებული?

— რა ვიცი, ალბათ ხშირად, მაგრამ „ჯადა მტირალი წყლისა პირსა" არასოდეს ვყოფილვარ. ძალიან ცუდი ხასიათი მაქვს: ადამიანს შეიძლება ბევრი რამე ვაპატიო, მაგრამ უმტკივნეულო ტყუილის ატანა არ შეიძლია. ადამიანი, რომელსაც ტყუილის თქმის უნარი აქვს, ჩემთვის მიუღებელია.

— დავიჯერო, თქვენ თვითონ არასოდეს იტყუებით?

— ვერ ნახავთ ადამიანს, რომელიც იტყვის — გოგორიშვილმა რამეში მომატყუაო. სიმართლის თქმის სიყვარულთან ერთად, ჩემთვის მნიშვნელოვანია, თუ ადამიანი როგორ მეტყველებს. შეიძლება მამაკაცს შეხედო, მოგეწონოს, იფიქრო — რა გადასარევი ვინმეაო, — მაგრამ პირს რომ დაალებს, წარმოდგენა დაგეკარგოს მასზე... ამიტომ, შეიძლება გარეგნობით უსიმპათიო მამაკაცთან გაცილებით საინტერესოდ აგეწყოს ურთიერთობა. მე არ მიყვარს ერთფეროვნება. ადამიანი, რომელიც ჩემთან ახლოს იქნება, აუცილებლად უნდა იზრდებოდეს. როცა გვერდით გიდგას მამაკაცი, მისმა მონოტონურობამ არ უნდა მიგანიშნოს, რომ თქვენი შეხვედრები ერთფეროვანი და მოსაწყენი გახდა. ჩემ მიერ მოწონებული მამაკაცები იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ მეგობრებს უკვირთ — რა საერთო ნიშანი აქვთ, რომლითაც შენს ყურადღებას იპყრობენო?

— ამჟამად თუ ხართ შეყვარებული?

— არა. როგორც ჩანს, სიყვარულისთვის ველარ ვიცლი.

— თაყვანისმცემლები არ გაწუხებენ?

— სექტემბერში, უკვე 38 წლის გავხდი. ეტყობა, ასაკის ბრალია, რომ მათი რიცხვი თანდათან კლებულობს. ნაწილობრივ, ჩემი ხასიათის ბრალიცაა, რომ ამ კედლის გარღვევა უფრო და უფრო ძნელი ხდება.

— პარლამენტში უამრავი სიმპათიური მამაკაცია. ყველაზე თბილი ურთიერთობა რომელთან გაქვთ?

— არიან ადამიანები, რომლებთანაც კონტაქტი მიხარია და მიადვილდება. წლების განმავლობაში, ამ თვალსაზრისით, პირველ ადგილზე რეზო ადამია იყო. მე და რეზოს განსაკუთრებით ახლო მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. რაც იგი ამერიკაში წავიდა, მუდმივი უკმარისობის გრძნობა მაქვს. ტელეფონით ხშირად ვსაუბრობთ, მაგრამ იმ დანაკლისის შევსება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

— რა მავნე ჩვევა გაქვთ ისეთი, რომელიც გინდათ, რომ მოიშოროთ?

— ჩემთვის მთავარია მივხვდე, რომ ესა თუ ის ჩვევა დისკომფორტს მიქმნის. მაშინვე, მის თავიდან მოშორებას ვცდილობ. ფრჩხილების კვნეტა ვიცოდი. გამიჭირდა, მაგრამ მაინც გადავეჩვიე.

— შალვა ნათელაშვილმა ერთ-ერთი არჩევნების შემდეგ თქვა: შედეგები გოგორიშვილმა რომ ვერ გააყალბა, მოქალაქეთა კავშირმა იმიტომ ვერ გაიმარჯვა. რას იტყოდით თქვენს გამყალბებლის იმივეზე?

— შალვა ნათელაშვილს არანაირ პასუხს არ გავცემ, რადგან პრეტენზია მაქვს, რომ გაცილებით განსხვავებული ადამიანი ვარ, ვიდრე ბატონი შალვა ბრძანდება...

— როცა ჩეჩნეთმა „ნორდ-ოსტში" ხალხი მძევლად აიყვანეს, ქართველმა პარლამენტარებმა გააკეთეს განცხადება იმის თაობაზე, რომ საჭიროების შემთხვევაში, მძევლებს ჩაენაცვლებოდნენ. როგორ ფიქრობთ — მართლა იყვნენ თუ არა ამაზე წამსვლელები?

— დარწმუნებული ვარ, წავიდოდნენ. უმეტესობა სწორედ იმიტომ მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას, რომ ქართველი ამომრჩევლის თვალში ქულები დაეწერა.

— თქვენ თუ წახვიდოდით?

— არ მიფიქრია. ალბათ არა ვარ ისეთი მაგარი, რომ მსგავსი გადაწყვეტილება მიმეღო. თუმცა, უნდა ვთქვა, რომ კბილის ექიმის გარდა, არავისი არ მეშინია. ჭაბუა ამირეჯიბი ამბობს: ყველა შიში სიკვდილის შიშთან მიდისო... სისულელე იქნება ვთქვა, რომ სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ ვიცი, რომ ყველაფერი, ღმერთის ნებაა. აქედან გამომდინარე, უბრალოდ არ ვფიქრობ ამაზე.

— ქუჩაში ღამით, ნილბიანი, იარაღიანი ყაჩაღები რომ დაგხვდნენ, თუ ეცდებით აუხსნათ: ხათუნა გოგორიშვილი ვარ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი და პარლამენტის აპარატის უფროსი, — თუ ოქროულობის მოხსნას შეუდგებით?

— წინასწარ თქმა მიჭირს. გაჩნია, რა ხასიათზე ვიქნები. ისე, თუ იარაღი ექნებათ, ძვირფასი მხოლოდ საყურე მიკეთია — ამის გულისთვის თავს არავის მოვაკვლევინებ.

— ქალბატონო ხათუნა, თქვენზე გავიგე — რა ენერგიაც აქვს დაზოგილი, სულ წვეულებებზე, ცეკვის დროს ხარჯავსო...

— საოცრად მიყვარს ცეკვა. 2002 წელი რომ თენდებოდა, მე და ჩემი მეგობრები პირველი საათის შემდეგ, სასტუმრო „მეტეხში" შევიკრიბეთ. ბრაზილიელი მოცეკვავეების შოუ იყო. როცა გამოსვლა დაამთავრეს, დარბაზში ჩამოვიდნენ და პარტნიორების არჩევა დაიწყეს. მათ შორის მხოლოდ რამდენიმე მამაკაცი იყო. ერთი ზანგი ჩვენი მაგიდისკენ გამოემართა. ხელი მომხვია და საცეკვაოდ გამიწვია. მე არ მჩვევია გაპრანჭვა — გავყევი და რამდენიმე ცეკვა ერთად შევასრულეთ. საახალწლო სუფრა პაპარაცებით იყო სავსე. შემოგვეხვივნენ და სურათების გადაღება დაიწყეს. მოგვიანებით, ჩემი მეგობრები ხუმრობდნენ: ახლა ეს კაცი ჩავა ბრაზილიაში და იტყვის: საქართველოში ზანგი არ უნახავთ — იმდენი სურათი გადავიღესო...

P.S. თანამშრომლები პარლამენტის აპარატის უფროსთან კონფლიქტურ სიტუაციას ერიდებიან. როგორც გოგორიშვილი ამბობს, ამის მიზეზი, მისი მწარე გურული ენაა, რომელიც ბავშვობიდან უჭირის. არ უყვარს ზურგს უკან ჭორაობა, პირში მწარე სიმართლის თქმას კი არ ერიდება. ოთახში თავისი „ჟედმივი შეფის" — ზურაბ ყვანაის პორტრეტი უკიდია და გულში მის გაპრეზიდენტებაზე ოცნებობს, რაც ალბათ გოგორიშვილის კარიერას მნიშვნელოვნად წაადგება. ■

უკვე 38 წლის გავხდი. ეტყობა, ასაკის ბრალია, რომ თაყვანისმცემელთა რიცხვი თანდათან კლებულობს

საოცრებით სავსე ჩვენს ისტებლიშმენტში საინტერესო ტენდენცია შეინიშნება: აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში, რომელიც უმეტესად ძველი თაობის (პირდაპირ რომ ვთქვათ — კომპარტიულ-ნომენკლატურული ელიტის) წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული, სრულიად ახალგაზრდა ადამიანები ჩნდებიან ხოლმე დიდ თანამდებობებზე. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით, ეკონომიკისა და ფინანსების სფეროში შეინიშნება: საკმარისია, დავასახელოთ ყოფილი ფინანსთა მინისტრი მიხეილ ჭკუასელი, შემოსავლების მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი, ახალშექმნილი ანტიმონოპოლიური სამსახურის ყოფილი უფროსი, სახელმწიფო მინისტრის ახლანდელი მოადგილე გიორგი ისაკაძე, ამჟამინდელი ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი. ამ პლეადას მიეკუთვნება საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე იასე ზაუტაშვილი.

მკითხველისთვის მისი წარდგენა რომ გადავწყვიტეთ, შევიტყვეთ, რომ ქვეყნის „მთავარ საგადასახადო ინსპექტორს“ გასულ შაბათს განსაკუთრებული დღე უთენდებოდა...

მაშ, ვინ არის **იასე ზაუტაშვილი** *და რა მოხდა შაბათს, 23 ნოემბერს?*

ვინ შეიყვარა კაცი, რომელიც არ უყვართ

ლელა ჭანკოტაძე

— დავიბადე 1974 წლის 21 თებერვალს თბილისში. 1996 წელს დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უკვე სტუდენტობის დროს ვმუშაობდი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში, რომლის თავმჯდომარე ბატონი ედუარდ შევარდნაძე გახლდათ. IV კურსიდან საგადასახადო სამსახურში დავიწყე მუშაობა ინსპექტორად. ძალიან მალე, დავიწყე მოძრაობა ამ სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე. 7-8 განყოფილება მაქვს გამოცვლილი. 2000 წელს მიშა მაჭავარიანმა შემოსავლების სამინისტროში საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსად დამნიშნა. მერე, შარშან ისევ დავბრუნდი საგადასახადო დეპარტამენტში, უკვე თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო ხუთ თვეში, თავმჯდომარედ დამნიშნეს.

— იერარქიული საფეხურები ძალიან სწრაფად გაგივლიათ. 28 წლის კაცისთვის იოლი არ უნდა იყოს ამხელა თანამდებობაზე მუშაობა. ადვილად დათანხმდით?

— სხვათა შორის, საკმაოდ რთული დილემის წინაშე აღმოვჩნდი, რაც ჯერ არავისთვის მითქვამს. თითქმის ჩარიცხული ვიყავი აშშ-ის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში, საგადასახადო სამართლის ფაკულტეტზე. საკმაოდ რთული კონკურსი გავიარე და მომეცა შანსი, მუშაობა დამეწყო ამერიკის საგადასახადო სამსახურში. დსთ-ის ქვეყნებიდან ასეთი შანსი არავის მისცემია. ბილეთიც კი შევიძინე. 29 ივნისს ამერიკაში უნდა წავსულიყავი, 6 ივნისს კი მირიან გოგიაშვილმა პრეზიდენტთან შემიყვანა. პრეზიდენტმა საგადასახადო სამსახურის თავმჯდომარეობა შემომთავაზა. უმეტესობა მირჩევდა, სწავლა გამეგრძელებინა, მაგრამ დარჩენა გადავწყვიტე. მე და მირიან გოგიაშვილი დიდი ხნის მეგობრები ვართ. მას ჩემგან, ისევე როგორც ბევრი სხვა კოლეგისგან, მხარში დგომა სჭირდებოდა.

— თქვენ წინ გედოთ მიშიკო ჭკუასელის მაგალითი — როცა ახალგაზრდა კაცი ფინანსთა მინისტრად დანიშნეს, შემდეგ კი ყველა პრობლემისთვის პასუხისმგებლობა მხოლოდ მას დააკისრეს...

— მიშიკო ჭკუასელს ჩემი რეკომენდაცია არ სჭირდება — ის ძალზედ საქმიანი და ნიჭიერი კაცია. სხვათა შორის, მას ფინანსთა სამინისტროში დღემდე კარგ ხელმძღვანელად მოიხსენიებენ. მან თავისი კვალი დატოვა, ისევე როგორც ჩემმა წინამორბედმა თავმჯდომარეებმა. ჩვენს სისტემაში დათო სალარიძის შემდეგ, მეეჭვება, ვინმემ მეტის გაკეთება შეძლოს... მე ყველას მაგალითს გადავხედე. წინ მქონდა მიშა მაჭავარიანის მაგალითიც, მაგრამ მაინც დავთანხმდი. საგადასახადო სისტემაში რვა წლის მუშაობის სტაჟი მქონდა, ამიტომ აქ ჩემთვის ყველაფერი ნაცნობი და გასაგები იყო. სანამ საჭირო ვიქნები, ვიმუშავებ.

— საქართველოში გადასახადების გადახდა არავის უყვარს, აქედან გამომდინარე, თქვენი სისტემა პოპულარობით ვერ დაიკვეხნის. ეს საკითხი რამდენად განერვიულებთ?

— რამდენიმე წლის წინ, ამ შენობის პრეზენტაციაზე უამრავი სტუმარი მოვიწვიეთ. მათ შორის — სხვადასხვა ქვეყნის ელჩები. მაშინდელი თავმჯდომარე, დათო სალარიძე უგუნებოდ გამოიყურებოდა. რუსეთის ელჩმა ზემსკიმ ჰკითხა: რა გჭირთო? მან უპასუხა: ძალიან არ ვუყვარვართ გადამხდელებსო... ზემსკიმ კი უთხრა: ძალიანაც კარგი: როცა გადამხდელები შეგიყვარებენ, მაშინ არის საჭირო საგადასახადოს ხელმძღვანელობის გამოცვლაო... ასეთია ეს საქმე, ამიტომ არ მაქვს პრეტენზია, რომ გადამხდელებს ვუყვარდე.

— რამდენად აუცილებელია, რომ თანამშრომლებს უყვარდეთ?

— მე მგონია, რომ მათ ძალიან ვუყვარვარ, ისევე, როგორც ჩემთვის თითოეული მათგანი ძვირფასია. ერთ-ერთი მათგანი — ზაზა ქობულაშვილი, რომელიც თავის

„ფორტე“ მღეროდა, ახალგაზრდები ცეკვავდნენ...

დროზე უსამართლოდ დაისაჯა, დღეს ჩემი მოადგილეა. იმდენი გავაკეთეთ, რომ მის რეაბილიტაციას მივაღწიეთ. ერთხელ, ინსპექტორს დანომრილი ფული ჩაუდეს უჯრაში. მინისტრიდან მოყოლებული, ყველას, ღამეები არ გვიძინია, სანამ უდანაშაულო ადამიანი ოჯახში არ დავაბრუნეთ. ჭირია თუ ლხინი, ყველანი ერთად ვართ. შაბათს ჩემი ქორწილია და ჩემი თანამშრომლები ჩემ გვერდით იქნებიან...

— რადგან ქორწილი თავად ახსენეთ, თქვენი საცოლეც გაგვაცანით.

— ჩემი საცოლეა რუსუდან შამუგია. 23 წლის არის. ისიც ჩემსავით იურისტია. ჰყავს პატარა ძმა და დედა, მაია ბოკუჩავა.

— თაფლობის თვეს სად გაატარებთ?

— საქორწინო მოგზაურობაში ვერ მივდივართ. შაბათს ქორწილია, ალბათ, კვირასაც დავისვენებ. ორშაბათს კი აუცილებლად მივალ სამსახურში. მოგეხსენებათ, თვის ბოლო ჩვენთვის ძალიან მძიმე პერიოდია. თან მწყინს და თან — არა, ვერსად რომ ვერ მივდივართ. ქორწილის გადახდაც ვიწრო წრეში მინდოდა, მაგრამ ბევრი მეგობარი და ნათესავი გვყავს. რუსოს რომ ვუთხარი: საქორწინო მოგზაურობაში ვერ წავალთ-მეთქი, დიდად არ სწყენია. სადაც სიყვარული და პატივისცემაა, ცხოვრების მანძილზე მოწყობილი ყველა მოგზაურობა საქორწინო იქნება... ჩემი გადაწყვეტილება მიკას *(მირიან გოგიაშვილს. — ავტ.)* ძალიან გაუხარდა. თავად ვერ მეუბნებოდა — არ წახვიდეთო...

— რუსუდანი სად მუშაობს?

— პარლამენტში, იურიდიულ დეპარტამენტში, წამყვან სპეციალისტად მუშაობს.

— როგორ გაიცანით ერთმანეთი?

— ჩვენ საერთო სამეგობრო წრე გვყავს. ძალიან მეგობრული და კარგი ურთიერთობა გვქონდა, არც კი მეგონა, თუ ეს მეგობრობა ასეთ დიდ სიყვარულში გადაიზრდებოდა. უფრო მეტიც — როცა რომელიმე გოგო მომეწონებოდა, რუსოს ვაცნობდი. შევამჩნიე, როცა ვეკითხებოდი: როგორი გოგოა-მეთქი? — სახე აელეწებოდა ხოლმე. წინა ზაფხულს უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს. ერთ დღეს რესტორანში დავპატიჟე. ხომ იცით გოგონების ამბავი — მე მშვიდად ვესაუბრებოდი, ის კი „მეშპილკავებოდა". უცბად ვკითხე: „რომ გითხრა, ცოლად გამომყვები?" ჯერ დაიბნა. შემომხედა და მკითხა: „უკვე?" ეს იყო ორი თვის წინ. სახლში მივედი და გამოვაცხადე: ცოლი მომყავს-მეთქი. ჩემი მშობლები რუსოს იცნობდნენ და მოსწონდათ. არც სასიდედრო იყო წინააღმდეგი. ერთ კვირაში მოხდა „სტიკოვკა" და დავთქვით, გიორგობა დღეს ჯვარი მამადავითზე დაგვეწერა და ხელიც მოგვეწერა...

გიორგობა დღეს ბაჩიმ (ასე ეძახიან იასეს ახლობლები) და რუსომ ჯვარი დაიწერეს. ბაჩის მეჯვარეები იყვნენ მირიან გოგიაშვილი და ირაკლი ჩხეიძე, რუსოს სამი ხელისმომკიდე ჰყავდა: ანი სულაძე, ნინო ჯიქიძე და ლიზა ბაგრატიონი, რომლებიც ძალზედ ორიგინალურად ჩაცმულ პატარძალს სულ რჩევებს აძლევდნენ, თან გაღიმებული გვეკითხებოდნენ, — ხომ ლამაზი პატარძალიაო?..

ჯვრისწერამ ჩვეულებრივად ჩაიარა. ნეფე-დედოფალმა ერთმანეთს საუკუნო ერთგულება და სიყვარული შეჰფიცა, ჯვრისწერის შემდეგ, ახალდაქორწინებულები თავად მირიან გოგიაშვილმა მიაბრძანა რესტორანში. ბაჩის სურვილით, იქვე მოაწერეს ხელი. უახლოესმა მეგობრებმა ბედნიერება უსურვეს.

უზარმაზარ დარბაზში, სადაც საქორწილო სუფრა იყო გაწყობილი, უამრავი მიმტანი ტრიალებდა და სტუმრების გულის მოგებას ცდილობდა. თურმე ბაჩის მამა, ბატონი გივი ზაუტაშვილი წინათ ყვარლის რაიკომის მდივნად მუშაობდა. კახეთიდან ჩამოსული სტუმრები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მას შემდეგ, რაც ბატონი გივი ყვარლიდან წამოვიდა, რაიონს ბევრი აღარაფერი შემატებია. ყვარლელმა სტუმრებმა ქორწილში თორმეტი წლის „ალაზნის ველი" და „ქინძმარაულში დაწურული ღვინის ცრემლები" ჩამოიტანეს. სუფრას ასევე მშრალი თეთრი ღვინო „ბაჩი და რუსუდანი" ამშვენებდა, რომელიც ბაჩის საჩუქრად მიართვა ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსმა არმაზ თავაძემ...

სტუმრებს შორის ბიზნესმენები, პარლამენტარები და სხვა ცნობილი ადამიანები ჭარბობდნენ. დათო სალარიძე, ედვარდ სურმანიძე, ვანო ჩხარტიშვილი, როინ მეტრეველი, ირაკლი ალასანია და სხვები ცდილობდნენ, ჩვენი ფოტოკამერის ობიექტივში არ მოხვედრილიყვნენ. მოწყენილი ჩანდა გიორგი ისაკაძე, რომელიც ძალიან მალე წავიდა. აჟიოტაჟი გამოიწვია პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძისა და პურპროდუქტების შეფის, ანზორ ბურჯანაძის მოსვლამ...

ბედნიერი ნეფე-დედოფალი გაღიმებული დადიოდა და მილოცვებს იღებდა. „ფორტე" მღეროდა, ახალგაზრდები ცეკვავდნენ. იმღერა თემურ რცხილაძემაც. განსაკუთრებული მოწონება დუდუკებსა და ხალხური სიმღერების შემსრულებლებს ხვდათ წილად. მათთან ერთად ლიზა ბაგრატიონმაც მოიღერა ყელი. საოცრად კარგი ხმა აღმოაჩნდა ბაჩისაც, რომელმაც თავისი ცეკვით დიდი გამოცოცხლება გამოიწვია. გვიან ღამით კი, ისევ „მრავალჟამიერი" დააგუგუნეს. ■

ლიზა ბაგრატიონმაც მოიღერა ყელი

ცოლისძმის მკვლელობისთვის 15 წლით ციხე ემუქრება

ჩეგიანი ადრე მამა-შვილის მკვლელობისთვისაც გაასამართლეს

მეგი ცანავა

46 წლის ფრიდონ ჩეგიანს, ადრე ორი ადამიანის – მამა-შვილის მკვლელობისთვის სიკვდილმისჯილს, ამჟამად ცოლისძმის მკვლელობისთვის ასამართლებენ. მაშინ, როცა პირველი დანაშაულისთვის სასამართლომ მას დახვრეტა მიუსაჯა, ჩეგიანი უმაღლესმა სასამართლომ არ გაწირა და სიკვდილით დასჯა, 15 წლით თავისუფლების აღკვეთით შეუცვალა. ეს 1990 წელს მოხდა. ორი წლის შემდეგ ჩეგიანი, როგორც პატიმარი, მუხრანის კოლონიაში ჩაასახლეს. ჩადენილ მკვლელობას ის არ აღიარებდა და დღემდე აცხადებს, რომ მამა-შვილი მას არ მოუკლავს. ფრიდონ ჩეგიანი წარმოშობით ლენტეხის რაიონის სოფელ შკედიდან გახლავთ. მსჯავრდებულის დის თქმით, მის ძმას თანასოფლელი სვანებისა და სოფლის თავკაცების წინაშე ფიცი ჰქონდა დადებული, რომ უდანაშაულო იყო. „*სვანი ტყუილად არ დაიფიცებს. როგორც ჩანს, ეს უმაღლესი სასამართლოს მოსამართლემაც იცოდა და სასჯელი იმიტომაც შეუმსუბუქა*“, – ირწმუნება ფრიდონ ჩეგიანის და, დოდო ჩეგიანი. მომხდარი მკვლელობის ამბავს ის ასე გადმოგვცემს:

„*მაშინ ფრიდონთან ერთად, მისი სიმამრიც გაასამართლეს. მას სასჯელი უკვე მოხდილი აქვს და ციხიდან გათავისუფლებულია. მკვლელობა სვანეთში მოხდა. იმ დროს ჩემი ძმა იქ არ ყოფილა, მაგრამ დანაშაულში ბრალი მაინც დასდეს. თუმცა, ეს საზარელი მკვლელობა სწორედ ჩემი ძმისშვილის გამო იქნა ჩადენილი. საშინელი ტრაგედია დატრიალდა: ფრიდონის 7 წლის შვილი, მეზობლის მიერ სანადირო თოფიდან გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა. მეზობელი ახალგაზრდა ბიჭი იყო და ამბობდა, რომ გასროლა სრულიად შემთხვევით მოუხდა. თუმცა, დაღუპული ბავშვის გამწარებული მშობლებისთვის ამის დაჯერება ან მკვლელის მიმართ გულის მოლბობა ძნელი იყო. განსაკუთრებით, ფრიდონის მეულლის ოჯახის წევრები აქტიურობდნენ. მეზობელ ბიჭს პოლიცია ეძებდა, მას ბრალი სანადირო თოფის უკანონო შენახვაშიც ედებოდა. დამ და მამამ ის პირველივე დღეს გააშორეს სოფელს და სადღაც ტყეში გადამალეს. ფრიდონის სიმამრმა და ამ უკანასკნელის ოჯახის წევრებმა მათ ადგილსამყოფელს მიაგნეს. ის ბიჭი მანამდე პოლიციამ აიყვანა, მისი და და მამა კი, ფრიდონის ნათესავებმა მოკლეს.*

ფრიდონ ჩეგიანმა ზურაბ ნემსაძეს შინ მიაკითხა, გარეთ გაიხმო და როგორც პროკურატურა ირწმუნება, ცოლისძმას გულმკერდის არეში დანა ჩაარტყა.

• *ფრიდონი იმ დროს ქუთაისში იყო, მაგრამ სხვა ნათესავების ნაცვლად, იძულებული გახდა დანაშაული, სიმამრთან ერთად საკუთარ თავზეც აეღო.*“

დოდო ჩეგიანის მიერ მოწოდებულ ცნობებს პროკურატურისა და სასამართლოს ოფიციალური ოქმები კატეგორიულად ეწინააღმდეგება. სამართალდამცავებმა ფრიდონ ჩეგიანი მამა-შვილის მკვლელობაში პირდაპირ დაადანაშაულეს და ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულებებიც წარმოადგინეს.

პროკურატურის ცნობით, 1994 წელს ჩეგიანი მუხრანის კოლონიიდან გაიქცა. აღნიშნული წლის 20 იანვარს მასზე ოფიციალურად გამოცხადდა ძებნა. როგორც საქმეში დასახელებულ მოწმეთა ჩვენებებიდან ვიტყობთ, ამ პერიოდში ჩეგიანი ქუთაისში, საკუთარ ოჯახში, ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობდა. მათ ბინა ავტოქარხნის დასახლებაში ჰქონდათ. ფრიდონ ჩეგიანის ციხეში ყოფნის დროს, მის სახლში, საკუთარი ცოლ-შვილის გარდა, ცოლისძმა, ამ უკანასკნელის მეუღლე და მათი ორი შვილიც ცხოვრობდნენ. ჩეგიანი რომ ციხიდან დაბრუნდა, ცოლისძმის ოჯახი უკვე თავის ახალშენებულ ბინაში იყო გადასული. ბინა მათ ჩეგიანის საცხოვრებელ კორპუსთან ახლოს, სულ 10 წუთის სავალში იყიდეს. ამ ორ ოჯახს, როგორც მათი მეზობლები, ნაცნობები თუ ახლობლები გადმოგვცემენ, ერთმანეთთან ძალიან კარგი და თბილი ურთიერთობა ჰქონდა. „*ფრიდონის ცოლისძმა – ზურაბი ცდილობდა დისშვილებისთვის არაფერი მოეკლო, მამასავით ზრუნავდა და ჰპატრონობდა მათ. ბავშვებს მამა ციხეში ჰყავთ და ეს არ უნდა იგრძნონ, არ უნდა დაიჩაგრონო, – ამბობდა. როცა ფრიდონი გათავისუფლდა, ზურაბს პატივისცემით ეპყრობოდა და მის მიმართ მადლიერებას ყოველთვის გამოთქვამდა ხოლმე*“, – მოგვითხრობს ჩეგიანების ერთ-ერთი მეზობელი.

1995 წლის მაისში, კოლონიიდან (როგორც თავად ამბობს, ხელწერილით გამოსულმა, სამართალდამცავთა თქმით კი, გაქცეულმა) ფრიდონ ჩეგიანმა ოჯახის სარჩენად მუშაობის დაწყება და ამ მიზნით სატვირთო მანქანის ყიდვა გადაწყვიტა. იმის გამო, რომ საკმარისი თანხა არ ჰქონდა, ფული თავის ცოლისძმას – ზურაბ ნემსაძეს სთხოვა სესხად. ნემსაძეს ფული თავად არ ჰქონდა, თუმცა სიძეს დახმარე-

ბა მაინც აღუთქვა. 600 ამერიკული დოლარი მან მეზობლისგან აიღო ვალად და ფრიდონ ჩეგიანს მისცა. ჩეგიანმა დათქმულ ვადაში თანხა არ დააბრუნა. ზურაბ ნემსაძეს მევალე მეზობელი სისტემატურად აკითხავდა და ფულს სთხოვდა, ნემსაძე კი, თავის მხრივ, სიძისგან მოითხოვდა ვალის გასტუმრებას. დაჟინებული თხოვნის შემდეგ, ფრიდონ ჩეგიანმა თანხის ნახევარი გადაიხადა. თუმცა, ამ ფაქტს ჩხუბის გარეშე არ ჩაუვლია. იმ საღამოს, ვალის გამო სიძეცოლისძმას შორის შექმნილი უთანხმოება ხმამაღალ შელაპარაკებაში გადაიზარდა. ბოლოს, როგორც მოწმეები დასძენენ, ისინი ერთმანეთის ცემაზეც გადავიდნენ. ჩეგიანი და ნემსაძე მეზობლებმა გააშველეს. საქმის მასალებიდან კი ვიტყობთ, რომ ჩეგიანი სწორედ მაშინ დაიბუქრა ცოლისძმის მისამართით, — იცოდე, მოგკლავო.

ამ ჩხუბიდან დაახლოებით 3-4 დღეში, ფრიდონ ჩეგიანმა ზურაბ ნემსაძეს შინ მიაკითხა, გარეთ გაიხმო და როგორც პროკურატურა ირწმუნება, ცოლისძმას გულმკერდის არეში დანა ჩაარტყა. ზურაბ ნემსაძე მაშინვე წაიქცა. ჯერ გონება დაკარგა, საავადმყოფოში მიყვანისას კი გარდაიცვალა. ფრიდონ ჩეგიანი შემთხვევის ადგილიდან მაშინვე მიიმალა...

მარინა ტალახაძე, ჩეგიანის მეზობელი:

„... *ჩვენი კარები ერთმანეთს უყურებდა. ფრიდონის ოჯახთან ძალიან ახლოს ვიყავი. ფრიდონისგან ზურაბის შესახებ ცუდი არასდროს მსმენია. 1995 წლის მაისში, ერთ საღამოს, როცა სამსახურიდან ვბრუნდებოდი, ამბავი დამახვედრეს — ფრიდონმა და ზურაბმა საშინლად იჩხუბეს, ერთმანეთს ხელითაც შეეხნენო. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. მარტო მე კი არა, მათი ჩხუბის ამბავი ყველას უკვირდა. როგორც შევიტყვე, ფულის გამო ჰქონიათ უთანხმოება. მეზობლებს გაუშველებიათ და ორივე, თავის გზაზე წასულა.*

რამდენიმე დღის შემდეგ, გვიან ღამით, შინ ვიყავი. არ მეძინა, მიუხედავად იმისა, რომ 12 საათს კარგა ხნის გადაშორებული იქნებოდა. უცებ, გარედან, კარის მხრიდან, ქალის საშინელი კივილი — „მიშველეთ, მიშველეთ“ — მომესმა. მაშინვე სადარბაზოში გავვარდი. არავინ იყო. კიბეს ჩავუყევი, მაგრამ კვლავ ვერავინ დავინახე, ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა. ვიფიქრე, ალბათ მომეჩვენა-მეთქი და შინ შევბრუნდი. მივხურე თუ არა კარი, კვლავ გავიგონე ქალის განწირული ხმა: „მიშველეთ, მიშველეთ“. ამჯერად, გარეთ, ეზოში გავედი. კორპუსიდან ოდნავ მოშორებით შევნიშნე, რომ ფრიდონ ჩეგიანის ცოლი ჯულიეტა ყვიროდა და წინ მდგომი დაჭრილი მამაკაცის შეკავებას ცდილობდა. ის კაცი სადაცაა წაიქცეოდა, ჯულიეტა კი ცდილობდა, როგორმე დაეჭირა ის. მათკენ გავემართე და სწორედ მაშინ დაიყვირა ჯულიეტამ: „ფრიდონ, რა ქენი? სცემე? თავში ჩაარტყი რამე? მოკალი? რა დაემართა?“ პასუხად ფრიდონის ხმა გაისმა, სვანურად მიაძახა ცოლს რაღაც. მე სვანური არ ვიცი და ვერაფერი გავიგე. ამასობაში, ჯულიეტას მივუახლოვდი და ვნახე, რომ ის მამაკაცი, მისი ძმა — ზურაბი იყო. ჯულიეტასთვის იმწუთას არაფერი მიკითხავს, მთელი ყურადღება ორივეს, ზურაბისკენ გვქონდა მიპყრობილი. ზურაბს მაშინ მხოლოდ გონება ჰქონდა დაკარგული, ჩვენც იმ მომენტში სხვა არაფერი შეგვიმჩნევია, რადგან არც მიწაზე, არც ზურაბის სხეულზე ერთი წვეთი სისხლიც კი არ შეგვინიშნავს. არანაირი ჭრილობა არ გვინახავს. ამასობაში სხვა მეზობლებიც გამოვიდნენ. არ ვიცი, ვინ დარეკა, მაგრამ პოლიციაც მალე მოვიდა. ზურაბი მათ ჩასვეს მანქანაში და საავადმყოფოში წაიყვანეს. ცოტა ხანში ისევ დაბრუნდნენ და ფრიდონი მოიკითხეს. როგორც ჩანს, ერთმანეთში მოსაუბრე მეზობლებისგან შეიტყვეს მომხდართან ფრიდონის კავშირის შესახებ. მე ვკითხე პოლიციელებს — ფრიდონი რად გინდათ? ეგ კი არა, ის ბიჭი რომ წაიყვანეთ, იმის ამბავი გვითხარითმეთქი. — რას ჰქვია, ფრიდონი რად გვინდა, ქალბატონო? ის ბიჭი მოკვდაო...“

ფრიდონ ჩეგიანი სამართალდამცავებს მთელი ექვსი წლის მანძილზე ემალებოდა. 2001 წლის 9 ივნისს, პოლიციამ ის სვანეთში, ლენტეხის რაიონის სოფელ შკედში, თავის საცხოვრებელ სახლში დააკავა.

ჩეგიანი არც ამ მკვლელობაში ცნობს თავს დამნაშავედ. მისი თქმით, ძას ზურაბ ნემსაძესთან არანაირი კონფლიქტი არ ჰქონია და არც ნასესხები ფულის გამო უჩხუბიათ. „*იმ საღამოს, ზურაბი მთვრალი შემხვდა. შინ მივაცილე. სახლში რომ შევიდა, მეულლის საქციელმა გააღიზიანა და ჩხუბი დაუწყო... ზურაბი მთხოვდა, გარეთ გავყოლოდი — შენთან სალაპარაკო მაქვსო. მე ვურჩევდი, შინ დარჩენილიყო. ნასვამი ხარ, გამოფხიზლდი და მერე ვილაპარაკოთ-მეთქი — ვეუბნებოდი. თავისი მაინც არ დაიშალა. გარეთ რომ გავედით, მითხრა, ვიღაც დენიზთან ვიჩხუბე, მან მცემა და ახლა მასთან უნდა გამომყვე, საქმე გავურჩიოთო. ეს ამბავი არ მესიამოვნა. ვუთხარი — წადი შინ, დაიძინე, ერთხელ უკვე გადამყარა მამაშენმა შარს და მეორედ არ მინდა, იმავე სიტუაციაში აღმოჩნდე-მეთქი. ამ დროს ზურაბმა ხელი მომიქნია, მე ხელი დავუჭირე და ყელში ვწვდი. ზურაბმა წინააღმდეგობა გამიწია, ამ დროს ხელჩართულ ჩხუბზე გადავედით... ზურაბს ხელში რაღაც ეკავა, ან დანა იყო, ან სხვა რამ ბასრი საგანი, ზუსტად ვერ გავარჩიე. იარაღიანი ხელი დავუტრიალე და ზურაბი ჩემ წინ მოექცა. დაჭრაც ალბათ ამ დროს მოხდა...“*

„...ზურაბს ხელში რაღაც ეკავა. იარაღიანი ხელი დავუტრიალე და ზურაბი ჩემ წინ მოექცა. დაჭრაც ალბათ ამ დროს მოხდა...“ — ირწმუნება ფრიდონ ჩეგიანი

მარინა ნემსაძე, დაზარალებული:

„*ფრიდონ ჩეგიანთან არც მე და არც ჩემს მეულლეს ადრე უთანხმოება არ გვქონია. ზურაბისთვის მას ფული ხშირად უთხოვია, ჩემი ქმარიც, როცა შეეძლო, ყოველთვის აძლევდა. ბოლოს, როცა ფრიდონმა გარკვეული თანხის სესხად აღება მოინდომა, ზურაბმა ფული მეზობლისგან — ჟუველი გურჩიანისგან ისესხა. ამ თანხას ფრიდონი უკან არ აბრუნებდა, ამის გამო ჩემი ქმარი უხერხულად გრძნობდა თავს მეზობლის წინაშე. ერთ დღეს ზურაბმა და ჩემმა მულის ქმარმა იჩხუბეს. იქვე შეკრებილმა მეზობლებმა კარგად გაიგონეს, რომ ფრიდონი ჩემს ქმარს მოკვლით დაემუქრა. ოთხი დღის მერე, მკვლელობაც მოხდა. მკვლელობის დღეს როგორ იჩხუბეს, არ ვიცი. მე ქმარი მკვდარი მომიყვანეს სახლში. იმ დღეს ზურაბი დაბადების დღეზე*

იყო საქეიფოდ წასული, ამის გამო ალბათ ნასვამიც გახლდათ, მაგრამ დანას ის არასდროს ატარებდა, არც სხვა რამ იარაღი ჰქონია ოდესმე. მკვლელობის შემდეგ, ფრიდონი ერთხელაც არ მინახავს, პირველად მას სასამართლოში შევხვდი".

მომხდარ ფაქტს ჩეგიანის ინტერესების დამცველი ადვოკატი უბედურ შემთხვევას უწოდებს და აცხადებს, რომ ფრიდონ ჩეგიანს ამ მკვლელობასთან საერთო არაფერი აქვს.

ლედი ჩაგელიშვილი, ადვოკატი:

„ეს ბრალდებაც ისევე შეთითხნილია, როგორც პირველი. საბრალდებო დასკვნაში წარმოდგენილი ცოლისძმის მკვლელობის ამბავიც პროკურატურის ფანტაზიის ნაყოფია და მასში მისხლისოდენა სიმართლეც კი არსად არის. ის, სხვათა შორის, არც კოლონიიდან გაქცეულა. ჩასახლებაში ყოფნის პერიოდში, მს ნება, დართეს ხელწერილის საფუძველზე, გარკვეული დროით დაეტოვებინა კოლონია. ეს პერიოდულად ხდებოდა ასე და სამართალდამცავთათვის ახალი არ უნდა ყოფილიყო. თანაც, ყველასთვის ცნობილი იყო, რომ ის ოჯახში იმყოფებოდა. სახლში მის სისტემატურ ყოფნას მოწმეებიც ადასტურებენ. ასე რომ, თუკი მას გაქცეულ პატიმრად მიიჩნევდნენ, სამართალდამცავებს თავისუფლად შეეძლოთ მისთვის შინ მიეკითხათ და აეყვანათ" — დასძენს ადვოკატი ლედი ჩაგელიშვილი.

ჩეგიანის დამცველის ამ ინფორმაციას პროკურატურა არ ადასტურებს. რაც შეეხება ზურაბ ნემსაძის მკვლელობის ფაქტის გამო ფრიდონ ჩეგიანის ექსწლიან მიმალვას, ადვოკატმა აღნიშნა: *„ადრე ციხეში იჯდა. უდანაულო იყო, მაგრამ იცოდა, რომ პროკურატურისგან თავს ადვილად ვერ დაიხსნიდა და ამიტომაც იმალებოდა".*

განსასჯელის ადვოკატმა სასამართლო სხდომის დასაწყისშივე განაცხადა, რომ ფრიდონ ჩეგიანი უკანონო პატიმარია. მისი თქმით, მაშინ, როცა კანონის შესაბამისად, ჩეგიანს ორთვიანი პატიმრობა უნდა შეჰფარდებოდა, ის ციხეში სამი თვის მანძილზე გააჩერეს და საპატიმრო ვადაც მესამე თვის მიწურულს გაუგრძელეს. ამის საფუძველზე ადვოკატმა პატიმრობიდან ჩეგიანის გათავისუფლება მოითხოვა. სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ დამცველის არგუმენტები არ გაიზიარა და შესაბამისად, არც მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა. განაწყენებულმა ადვოკატმა კოლეგიის თავმჯდომარის აცილების საკითხი დააყენა, თუმცა, ამჯერად მას მსაჯულებმა არ დაუჭირეს მხარი და თავმჯდომარედ იგივე მოსამართლე დატოვეს.

პროკურორის აზრით, ფრიდონ ჩეგიანი უკვე მესამე ადამიანის მკვლელია. სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლოში მოწმეთა მიერ მიცემულ ჩვენებებს ბრალის დასადასტურებლად საკმარისად მიიჩნევს. წინა სასამართლო სხდომაზე ბრალმდებელმა ჩეგიანისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

პროკურატურა ფრიდონ ჩეგიანს განზრახ მკვლელობის გარდა, თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებაშიც სდებს ბრალს.

■

შამგონაში მამაკაცის თავი აღმოაჩინეს

ამ დღეებში ზუგდიდის რაიონში სამი გვამი იპოვეს

სამშაბათს, 26 ნოემბერს, გამთენიისას, ქალაქ ზუგდიდში ახალგაზრდა მამაკაცის გვამი იპოვეს. დადგინდა, რომ კედიას ქუჩაზე ნაპოვნი გარდაცვლილი, 24 წლის ზაზა ქებურიაა. ბოლო დროს ის აფხაზეთის შს სამინისტროში მუშაობდა და სტაჟირებას ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში გადიოდა.

გვამს თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა აქვს. შემთხვევის ადგილიდან ავტომატი და მასრებია ამოღებული. ერთ-ერთი ვერსიით, ქებურიამ თვითმკვლელობა ჩაიდინა, თუმცა გამოძიება მკვლელობის ვერსიასაც არ გამორიცხავს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ეს, ამ დღეებში აღმოჩენილი უკვე მესამე გვამია ზუგდიდის რაიონში. 25 ნოემბერს, სოფელ ზედა ჟეწერაში, იქვე მცხოვრები ომარ ბაღიშვილის გვამი იპოვეს. ის დანითაა დაჭრილი. იმავე დღეს სოფელ შამგონაში უცნობი მამაკაცის თავი აღმოაჩინეს. მისი ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია.

■

სადისტური მკვლელობა 3 ლარისთვის

სოფელი მკვლელის ლინჩის წესით გასამართლებას მოითხოვს

2002 წლის 13 ნოემბერს გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში საზარელი მკვლელობა ჩაიდინეს. აღნიშნული სოფლის მკვიდრებმა — ზურაბ მარტიაშვილმა და გია აბესაძემ, ურთიერთშელაპარაკებისას მეზობელი — ნოდარ კვეზერელი მოკლეს. ამის შესახებ სოფელმა სამი დღის შემდეგ შეიტყო. 13 ნოემბერს თავისი საცხოვრებელი სახლიდან გასული ნოდარ კვეზერელი შინ აღარ დაბრუნებულა. ოჯახის წევრები და მეზობლები მას ყველგან ეძებდნენ და ბოლოს, 16 ნოემბერს მისი გვამი სოფლის განაპირას, მიტოვებულ საცხობში ყელგამოჭრილი და დაფლეთილი იპოვეს.

პოლიციამ ეჭვმიტანილები — ზურაბ მარტიაშვილი და გია აბესაძე დააკავა. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი, ადრე ნასამართლევია. როგორც გაირკვა, დანაშაული მათ 3 ლარის გამო ჩაიდინეს. ეს თანხა ნოდარ კვეზერელს თურმე ზურაბ მარტიაშვილისგან უსესხია. ვალის დაგვიანების გამო, ამ უკანასკნელმა კვეზერელს ჩხუბი დაუწყო. ჩხუბში, საქმის გარჩევის მიზნით, გია აბესაძეც ჩაერია.

სოფლის მოსახლეობამ ზურაბ მარტიაშვილს სახლ-კარი გადაუწვა. ხალხი მის ლინჩის წესით გასამართლებას და ამ მიზნით პოლიციისგან მარტიაშვილის მისთვის გადაცემას მოითხოვს. „კანონიერ განაჩენს თუ არ გამოუტანენ, საპროტესტო აქციებს მოვაწყობთ!" — იმუქრება მოსახლეობა.

■



საქართველოში საპარლამენტო, საპრეზიდენტო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის პოლიტიკურ ასპარეზზე გამარჯვების მსურველთა მოქმედება, რაც უფრო დრო გადის, მით უფრო მეტად ემსგავსება ბრძოლას წესების გარეშე, სადაც უმთავრეს და უსასტიკეს იარაღად გესლიანი ენა და ზოგჯერ გაუგონარი ლანძღვა-გინება ითვლება, რასაც „გულმხურვალედ" უძღვნიან ერთმანეთს ოპონენტები. თბილისში კვლავ არჩევნების ციებ-ცხელებაა. საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ცნობილი ხელოვანი თემო გოცაძე გამარჯვებისათვის იბრძვის, თუმცა არა იმ წესებითა და გზით, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ.

„ჯარგად ნაკეთები საქმე მიყვარს"

მაკა სანიკიძე

„კოკასა შიგან რაცა სდგას..." — ანუ შენში რაც არის, პირველ რიგში ის უნდა წარმოაჩინო კაცურად და საფუძვლიანად, რომ ელექტორატმა გაიცნოს, გაიგოს ვისთან აქვს საქმე და მერე აგდეს და მანაც კაცურად აირჩიოს თავისი ინტერესების დამცველადო — ამბობს ბატონი თემო და მისი მშვენიერი მეულლის მარი ჯანაშიას თქმისა არ იყოს, მიიჩნევს, რომ თუ ადამიანურ ურთიერთობებში „კარდიოგრამა" არ არის, თუ პოლიტიკურ ასპარეზზე მოპაექრეთა შორის ერთმანეთის პიროვნული თვისებების პატივისცემას ვერ იგრძნობს ელექტორატი, ამით დეპუტატობის კანდიდატთა რეპუტაციაც ლაზდება და შესაძლოა, ამომრჩეველთა დიდ ნაწილსაც ნიჰილიზმი დაეუფლოს და იფიქროს — ღირს კი საერთოდ ამთ არჩევნებზე მისვლა და გარეკაო. ბატონი თემო გოცაძე ჩემი რესპონდენტია და თავისი პოლიტიკური მრწამსის და სამოქმედო პროგრამის შესახებ მოგვითხრობს.

— ბატონო თემო, თქვენს ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს გაჩნდა კითხვა — რატომ გადაწყვიტეთ პოლიტიკაში, პარლამენტში მოსვლა? თქვენში როგორც ხელოვანში პრაქტიკოსმა, ყოველდღიური ჩინოვნიკური საქმიანობისთვის განწყობილმა ძალამ გაიღვიძა თუ თქვენც იმ ტენდენციის მიმდევარი ხართ, რომელმაც უკვე კარგა ხანია მოგვცა ხელოვანთა კოჰორტისაგან შემდგარი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო — პარლამენტი?

— არ მინდა, ეს სიტყვა ვიხმარო, მაგრამ მაღიზიანებს, როცა ამბობენ — რა უნდა ხელოვანს პოლიტიკაში, სად აქვს მას საამისო განათლებაო?.. მერწმუნეთ, არა მგონია, საზოგადოებაში ვინმეს ჰქონდეს იმ დონის განათლება, რისი მომცველიც არის თავად ხელოვნება, რომელიც ფაქტობრივად, იმ ყოფას, იმ გარსს მოიცავს თუ ასახავს, რომელშიც ვცხოვრობთ და ვმოღვაწეობთ. კარგად ნაკეთები საქმე მიყვარს და შემიძლია კარგად მუშაობა არა მარტო ხელოვნებაში, არამედ პოლიტიკაშიც, ამიტომაც გადავწყვიტე ამ ნაბიჯის გადადგმა და პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ამპლუაში ბრძოლა. ბოლოს და ბოლოს, ვაჟას თქმისა არ იყოს, „მაშ, რისთვის მინდა სიცოცხლე, სული რადა მჩრავს პირშია, თუკი არ გამოვადგები სამშობლოს გასაჭირშია". ვგრძნობ, რომ ჩემს თბილისს, ჩემს საბურთალოს ვჭირდები და უნდა გამოვადგე კიდეც.

— მომავალი საპარლამენტო არჩევნების დაწყებამდე სულ ცოტა დრო დარჩა. ფიქრობთ, რომ გამარჯვების შემთხვევაში, რამდენიმე თვე გეყოფათ საკუთარი ძალების გამოსავლენად?

— ვფიქრობ, რომ სწორედ ამ 9 თუ 7 თვეში შეიძლება მოასწრო და გააკეთო ის, რაც შენს ამომრჩეველს, საზოგადოებას და ქვეყანას აჩვენებს, ვინა ხარ შენ, თავადაც დარწმუნდები საკუთარ შესაძლებლობებში ან უუნარობაში და მორიგი საპარლამენტო არჩევნებისათვის უკვე გეცოდინება, ღირს თუ არა კვლავ ბრძოლა, დაგიჭერს თუ არა საზოგადოება მხარს, ანუ დამიჭერს თუ არა ამომრჩეველი მორიგი საპარლამენტო არჩევნების დროს მხარს.

— თქვენი თქმისა არ იყოს, ჯერ მაინც ამჟამინდელ ბრძოლაში უნდა მოიპოვოთ გამარჯვება. რას გვეტყვით თქვენ საარჩევნო პროგრამის შესახებ?

— პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ ჩემი აზრით, საბურთალოს რაიონის პრობლემები მთელი ქალაქის, მთელი სახელმწიფოს პრობლემაა. თუ საქართველოს, თუ თბილისს არ ექნება ელექტროენერგია, გაზი, წყალი და იქნება სოციალური პრობლემები, საბურთალო ვერაფრით გახდება მთელი საქართველოს ის ნაწილი, სადაც პრობლემებისაგან თავისუფალი ოაზისი შეიძლება შექმნას ვინმემ. ახლა რაც შეეხება ჩემს კონკრეტულ პროგრამას. ამომრჩევლებთან შეხვედრისას უკვე არაერთხელ ვთქვი ამის შესახებ. ჩემი სამოქმედო გეგმის მთავარი ორიენტირია საბურთალოს რაიონის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, რაც უკვე დავიწყეთ კიდეც ამ წინასაარჩევნო კამპანიის დროს. საბურთალოს ერთ მონაკვეთში 200 მ-ის მანძილზე გავიყვანეთ გაზი, ბინების სახურავი იყო შესაკეთებელი, შევაკეთეთ. კიდევ სხვა პრობლემები იყო, მოვაგვარეთ. ასე რომ, თუ დეპუტატად ამირჩევენ, ჩემი შესაძლებლობები ბევრად უფრო დიდი იქნება. სამედიცინო დახმარების საკითხის განვითარებას მივაქცევ ყურადღებას. ხალხისთვის მნიშვნელოვანია უფასო სამედიცინო მომსახურების პრობლემის მოგვარება. პარლამენტში დიდ ყურადღებას მივაქცევ აგრეთვე კულტურის, ხელოვნების, განათლების საკითხების ლობირებას.

— საარჩევნო კამპანიის დროს, სამი ვაუკაცის მამასა და ორი შვილიშვილის ბაბუას როგორ უდგას გვერდით მეუღლე, მსახიობი მარი ჯანაშია?

— თავიდან, მარის გაუჭირდა ჩემი გადაწყვეტილების გაზიარება, იმის გამო, რომ ეს საქმე მაინც ნერვიულობასა და გარკვეულ დაპირისპირებასთან არის დაკავშირებული. თუმცა, როგორც ჩემი მეუღლე და თანამოაზრე, მაინც დათანხმდა ჩემს გადაწყვეტილებას და შეძლებისდაგვარად, მხარში მიდგას.

— ამომრჩევლებში თქვენზე მეტი პოპულარობით ხომ არ სარგებლობს, კონკურენციას ხომ არ გიწევთ?

— *(იცინის)* ცხადია, მარის ყველა, ჩემზე უკეთ იცნობს ვიზუალურად, მაგრამ ეს პირიქით — ჩემს წისქვილზე ასხამს წყალს. თემო გოცაძეს სახელით უფრო იცნობდნენ აქამდე, ახლა კი სათაყვანებელ მსახიობთან ერთად, ვიზუალურადაც გამიცნეს, ეს კი კარგი უნდა იყოს, თუმცა, ძირითადი გადამწყვეტი ძალა ვერ იქნება ჩემს წინასაარჩევნო ბრძოლაში.

ᲧᲐᲑᲐ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ

ყველა ქართველი შეძრა გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის კახი ასათიანის ტრაგიკულმა დაღუპვამ. განსაკუთრებით ისინი, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ეს განუმეორებელი მოთამაშე ფეხბურთის მინდორზე — მისი დინჯი, დარბაისლური მიხრა-მოხრა, უზუსტესი გრძელი პასი, რომელსაც არაერთხელ გაუყვანია კახის პარტნიორი საგოლე პოზიციაზე.

ერთ წერილში შეუძლებელია დატიო კახი ასათიანის ხანმოკლე, მაგრამ მრავალფეროვანი საფეხბურთო ცხოვრება. ამიტომ მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს მოგითხრობთ, მნიშვნელოვანი როლი რომ შეასრულა იმ ფენომენის ჩამოყალიბებაში, რომელსაც „ყველაზე ელეგანტურ ქართველ ფეხბურთელს“ უწოდებენ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ

კახი ასათიანმა ფეხბურთის თამაში თბილისის ქუჩებში, კერძოდ ე.წ. ოქროს უბანში, ფიროსმანის ქუჩაზე ისწავლა. მერე ნაღდ ფეხბურთსაც ეზიარა — საფეხბურთო სკოლაში დაიწყო სიარული, მის დაოსტატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ვლადიმერ ელოშვილმა, ოთარ გაგუამ და ომარ უშვერიძემ. წარმატებით მოიკიდა ფეხი საქართველოს ჯერ ჭაბუკთა, მერე ახალგაზრდულ ნაკრებში და მალე თბილისის „დინამოსაც“ „მიუკაკუნა“. 16 წლისა იყო, როცა „დინამოში“ ჩაირიცხა. ამ ასაკის ბიჭები მაშინ ქვეყნის მთავარ გუნდში თამაშზე მხოლოდ ოცნებობდნენ.

მას „დინამოს“ „ოქროს თაობასთან“ ერთად მოუწია თამაში. კახი ასათიანს გუნდში ლეგენდარული ფეხბურთელები დახვდნენ: სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, სერგო კოტრიკაძე, ილია დათუნაშვილი, გიორგი სიჭინავა, ვლადიმერ ბარქაია... ამ თანავარსკვლავედში დამკვიდრება ურთულესი საქმე იყო, მაგრამ კახი ასათიანმა შეუძლებელი შეძლო.

„დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში პირველად 1966 წლის 12 აპრილს, მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ გამოვიდა. ეს დღე კარგად ახსოვს ილია დათუნაშვილს: „თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი ალიოშა კოტრიკაძე. იყო. მოსკოვის „დინამოს“ ვხვდებოდით, თან 1966 წლის სეზონის პირველი მატჩი იყო. გასახდელში, კახი საოცრად ნერვიულობდა, მივედი, გადავეხვიე და ვუთხარი: ნუ გეშინია, პირველ ტაიმში თუ არა, მეორეში აუცილებლად გათამაშებენ, გოლსაც გაიტან და ყველაფერი რიგზე იქნება-მეთქი. კახი მეორე ტაიმში გამოიყვანეს მოედანზე. მისი პირველივე გამოჩენა შესამჩნევი იყო: მაღალი, უნაკლო აღნაგობის ბიჭი იყო, საოცარი მოძრაობა იცოდა მინდორზე — სხვაში არ აგერეოდა... 1:1 იყო, როცა ის შეცვლაზე შემოვიდა. 10 წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ ლამაზი გოლი გაიტანა. სწორედ მისი გოლის წყალობით მოვიგეთ ეს მატჩი. დებიუტიც ასეთი უნდა!“

კახი ასათიანი „დინამოში“ რომ მივიდა, თაობათა ცვლის პროცესი უკვე დაწყებული იყო. მიდიოდნენ სახელოვანი, ბევრი გამარჯვებით შემკული ფეხბურთელები, მოდიოდნენ ჯერ უსახელო და ბრძოლის წყურვილით აღსავსე ჭაბუკები. ასათიანი მალე იქცა „დინამოს“ ერთ-ერთ ლიდერად. წლების მანძილზე, ამ ტვირთს მურთაზ ხურცილავასთან ერთად ატარებდა.

არანაკლებ წარმატებული აღმოჩნდა მისი დებიუტი საბჭოთა კავშირის ნაკრებში. როცა ნაკრების იმჟამინდელმა თავკაცმა გავრილ კაჩალინმა 20 წლის ჭაბუკი მიიწვია გუნდში, კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა.

„კაჩალინი ქართული ფეხბურთის სიყვარულით დაღუპავს ნაკრებს. ხურცილავა, მეტრეველი, სიჭინავა... ამ „თანავარსკვლავედს“ ახალბედა ასათიანიც დაემატა, რომელიც ორიოდე სეზონია მხოლოდ, რაც თბილისის „დინამოში“ გამოჩნდა.“ — წერდა „სოვეტსკი სპორტის“ მიმომხილველი ლევ ფილატოვი, მაგრამ კაჩალინმა თავისი არ დაიშალა. მან ასათიანი ძალზე პრინციპული შეხვედრის წინ გამოიძახა ნაკრებში, საბჭოთა კავშირის ნაკრებს თურქეთის გუნდი რომ ვერ დაემარცხებინა, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მიღმა რჩებოდა. ეს მატჩი საბჭოთა კავშირის ნაკრებმა

მოიგო – 3:1. ამ სამიდან ერთი გოლი თავად კახი ასათიანმა გაიტანა, ორი კი მისი პასის შედეგად გავიდა – ე.ი., როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე – ის ამ გოლების თანაავტორი იყო. სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ეს იყო საუკეთესო მატჩი კახი ასათიანის კარიერაში. თურქეთის გაზეთმა „მილეთმა“ მეორე დღეს გამოქვეყნებულ მიმოხილვას ასეთი ანშლაგი წაუმძღვარა: „გუშინ კახი ასათიანი და თურქეთის ნაკრები ხვდებოდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვა ასათიანმა – 3:1“.

კახი ასათიანმა ახალგაზრდულ ასაკშივე მოიხვეჭა პოპულარობა, ხალხის სიყვარული და ყველა გულშემატკივარს ძალზე დასწყვიტა გული ფეხბურთიდან მეტისმეტად ნაადრევი წასვლით – სულ 26 წლის იყო, როცა დიდი სპორტი დატოვა. უფროსი თაობის ქომაგებს კარგად ახსოვთ, თუ რა ხშირად უწევდა ხოლმე მინდვრიდან გასვლა ან სულაც მთელი მატჩის გამოტოვება: ტრავმები არ აძლევდა გასაქანს უნიჭიერეს ფეხბურთელს, სწორედ ამან შეუშალა ხელი განუმეორებლი ტალანტის სრულად გამომჟღავნებაში. მის ადგილზე ბევრი ეგოისტ მოთამაშედ ჩამოყალიბდებოდა, ეცდებოდა, მხოლოდ „საკუთარ თავზე ემუშავა“, მაგრამ რაინდი კახისთვის ეს უცხო იყო.

ერთ სეზონში, კიევის დინამოელი ანდრეი ბიბა არცთუ ისე კარგად გამოდიოდა. ნაკრებშიც არაერთხელ მოეცარა ხელი, უკვე ალმაცერად უცქერდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრების ხელმძღვანელები, საფეხბურთო ჩინოვნიკები. კულუარებში ნაკრებიდან ბიბას მოახლოებული წასვლის შესახებაც ლაპარაკობდნენ. თავის გამოჩენის ერთ-ერთი ბოლო შანსი პოლონეთის ნაკრებთან შეხვედრის დროს ეძლეოდა, თუმცა ამხანაგური მატჩი იყო. პირველი ტაიმი კვლავ უფერულად ითამაშა კიეველმა, მეორე ტაიმშიც რამდენიმე შეცდომა დაუშვა, ცოტაც და გამოცვლიდნენ და შესაძლოა, დასრულებულიყო კიდეც მისი სანაკრებო კარიერა. ერთ ეპიზოდში კახი ასათიანმა მიყოლებით მოატყუა 3 მოწინააღმდეგე და თითქმის ცარიელი კარის პირისპირ დაამუხრუჭა, ზურგს უკან ანდრეი ბიბა მოძებნა, ქუსლით გადაუგდო ბურთი და... გოლის გასატანად ამ ბურთს მხოლოდ ფეხის დახვედრაღა უნდოდა... იყო მეორე ეპიზოდიც, როცა ანალოგიურ სიტუაციაში, ფეხბურთის ამ ნამდვილმა რაინდმა ბურთი გაატარა, ტანით გადაეფარა მოწინააღმდეგეს და გოლის გატანა პარტნიორს დაუთმო. იმ დღეს კახი ასათიანი თანაგუნდელისთვის თამაშობდა და მიზანს მიაღწია: გატანილმა გოლებმა ანდრეი ბიბას ნაკრებში ადგილი შეუნარჩუნა.

1970 წელს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე ძალზედ უსახურად იასპარეზა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა. მსოფლიოს წამყვანი სპორტული ჟურნალ-გაზეთები კრიტიკას არ იშურებდნენ საბჭოთა ფეხბურთელების მიმართ. ერთადერთი გამონაკლისი კახი ასათიანი იყო. ის ერთიანად გამოარჩიეს ყველასგან, უფრო მეტიც – სახოტბო სტატიებსაც კი უძღვნიდნენ. სხვადასხვა ქვეყნის გულშემატკივრები და ფეხბურთის სპეციალისტები თანაბრად მოხიბლა მისმა ოსტატობამ და გარეგნულმა მოხდენილობამ. მექსიკაში მას „პრინცი“ შეარქვეს, შემდეგ კი ქართველმა ჟურნალისტებმა სამხრეთ ამერიკელებს მიჰბაძეს და კახი ასათიანი „ქართული ფეხბურთის თავადად“ აღიარეს.

მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, „ასოშიეიტედ პრესის“ კორსპონდენტმა მერი კრისტინ ანჟელოსმა მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები შეადგინა. ამ ნაკრებში მოხვდნენ გამოჩენილი ფეხბურთელები: ფრანც ბეკენბაუერი, ბობი მური, რიველინო, პელე, ალბერტოზი, ბობი ჩარლტონი, ჯეფრი ჰერსტი. მათ შორის იყო კახი ასათიანიც – საბჭოთა ნაკრების ერთადერთი წევრი. როდესაც ანჟელოსს ჰკითხეს, თუ ვის აირჩევდა მის მიერ შედგენილი ნაკრების კაპიტნად, მან უპასუხა: „კახი ასათიანს. ის ამ ნაკრებში ყველაზე ლამაზი მამაკაცია და ფეხბურთსაც სხვებზე ნაკლებად არ თამაშობს“.

როგორც აღვნიშნეთ, კახი ასათიანმა ქრონიკული ტრავმების გამო ძალზედ ნაადრევად დატოვა დიდი ფეხბურთი. მას რომ დასცლოდა, ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი ფეხბურთელი იქნებოდა, რადგან საამისო ნიჭი და პოტენციალი ჰქონდა.

კახი ასათიანი მინდორზეც და ცხოვრებაშიც ამაყი, ქედუხრელი, ნამდვილი თავადური ბუნების კაცი იყო, თუმცა, ავყია არასდროს ყოფილა. მას უზარმაზარი ავტორიტეტი ჰქონდა მინდორზეც და მის გარეთაც. მაშინაც, როცა ფეხბურთს თამაშობდა და მაშინაც, როცა სპორტში, როგორც ორგანიზატორი და ხელმძღვანელი მოღვაწეობდა. მან დიდი ამაგი დასდო ფეხბურთს, მთლიანად ქართულ სპორტს, მის ცალკეულ წარმომადგენლებს და წარუშლელი კვალი დატოვა ყველა ქართველის გულში.

■

მარია ულიხანოვა ბოლნისში ცხოვრობს, უკვე 81 წლისაა, მაგრამ მოხუცის კვალობაზე ძალიან ყოჩაღად გამოიყურება. ამ ქალმა ჩემი ყურადღება იმით მიიპყრო, რომ წარსულში სუკის აგენტი ყოფილა. კა-გე-ბეს კართოტეკაში კი მარია ულიხანოვას სტელა ჰქვია. ისიც გავიგე, რომ ცოცხალი იყო და ბოლნისში ვესტუმრე. ქალაქის განაპირას ცხოვრობს, ოთხსართულიანი კორპუსის მეორე სართულზე, ერთი ციცქნა ერთოთახიან ბინაში. მას არც ქმარი ჰყავს და არც შვილი და ამდენად, დიდადაც კი ეჩვენება თავისი ბინა მარტოხელა მოხუცს.

მთელი საღამო ვეძებდი ბოლნისში. ღუმელი და შეშა არა აქვს და ხან სად თბება თურმე და ხან — სად. გვიან ბრუნდებაო, მითხრეს მეზობლებმა. სხვა რა გზა მქონდა, დაველოდე. ათი საათი იყო დაწყებული, ერთი კაფანდარა, სრულიად თმაგათეთრებული მოხუცი რომ შევიდა სადარბაზოში და მეც მაშინვე გადმოვედი მანქანიდან. სხვათა შორის, ჩემი მოულოდნელი სტუმრობა სრულებით არ გაჰკვირვებია და ისეთი თვალებით შემომხედა, მიცნო, მრავალი წლის წინ გავლილ „მომზადებას“ უკვალოდ არ ჩაუვლია. რანაირად არ „ვაწვალე“ (შეკითხვებით, რა თქმა უნდა), მაგრამ ზღვარს მაინც არ „გადააჭარბა“.

სიყვარულზე გულდაწყვეტილი სუკის აგენტი „სტელა“

მაია კახიძე

— მარია ბებო, რომელ ენაზე ვისაუბროთ?

— რომელ ენაზეც გინდა — მე ხუთი ვიცი.

— შეგიძლიათ ჩამომითვალოთ?

— რასაკვირველია: ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული და გერმანული. მე თვითონ სომეხი ვარ ეროვნებით, მაგრამ ბოლნისში გერმანული სკოლა დავამთავრე.

— კარგად სწავლობდით?

— ენების კარგი მცოდნე რომ ვიყავი, იმიტომაც შემარჩია კა-გე-ბემ.

— ესე იგი, აღარ მალავთ, რომ უშიშროების თანამშრომელი იყავით?

— ახლა, აღარ.

— და ყველაფერს მიამბობთ?

— გააჩნია, რას მკითხავ.

— საინტერესოა, ამაყობთ თუ ნანობთ თქვენს წარსულს?

— ვამაყობ. რატომ უნდა ვინანო? დიახ, ერთი წუთითაც არ ვნანობ, იმიტომ, რომ ბევრი კარგი საქმე გავაკეთე ხალხისთვის და ქვეყნისთვის.

— კონკრეტულად?

— ადამიანებს მოსალოდნელი საშიშროების შესახებ ვაუწყებდი. განა ეს ცოტაა და არაფერს ნიშნავს?

— ქვეყნისთვის რა გააკეთეთ?

— მე წინასწარ ვიცოდი ზუსტი დრო, როდის დაიწყებოდა ომი!

— თქვენ 1941 წლის 22 ივნისს გულისხმობთ?

— რა თქმა უნდა.

— როგორ მოახერხეთ ამის შეტყობა?

— როგორღაც მოვახერხე ინფორმაციის მოპოვება, მაშინაც საიდუმლო იყო და ახლაც, მაგრამ აპრილში უკვე ვიცოდი. საქართველოში ამ ამბის მაცნე სწორედ მე ვიყავი. გერმანიის საელჩოები ყველა ქვეყანაში ფლობდნენ საბჭოთა კავშირზე ომის დაწყების ინფორმაციას. საქართველოს კა-გე-ბე გულხელდაკრეფილი კი არ იჯდა?! რუსეთის კა-გე-ბეს, იაპონიაში მოღვაწე ჩემმა „კოლეგამ“, ჟურნალისტმა რიჰარდ ზორგემ აუწყა, საქართველოს — მე, თუმცა მე მაინც მგონია, რომ სტალინს ჯერ სწორედ ჩემი ინფორმაცია მიაწოდეს.

— იქნებ, მითხრათ, მაინც ვისგან, როგორც, რანაირად შეიტყვეთ?

— „ძეტოჩკა“, რადგან კა-გე-ბეს აგენტი აღარ ვარ, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ სამსახური გაუქმდა. კა-გე-ბე დღესაც მუშაობს და მის აგენტებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით. რა ძალა მადგია? აქვე რომ მომკლა, მეტს მაინც არ გეტყვი.

— მარია ბებო, მე არც სუკის აგენტი ვარ და არც თქვენს მოკვლას ვაპირებ. ცნობისმოყვარეობა არ მასვენებს და იმიტომ გეკითხებით. თქვენ კი ისტორიას გვიმალავთ.

— არ ვმალავ, ხომ გითხარი, აპრილში უკვე ვიცოდი-მეთქი? მეც მაშინვე ვაცნობე ვისაც საჭირო იყო. კონკრეტულ პირებს არ დავასახელებ.

— დაგიჯერეს?

— მე კი დამიჯერეს, მაგრამ ვიცი, რომ თავად სტალინს არ სჯეროდა, ჰიტლერი თუ დაგვარტყამდა.

— როგორ მოხდა თქვენი „დაერბოვკება“?

— 1939 წელს დავამთავრე სკოლა. მერე ჩემს ძმასთან წავედი ახალციხეში. ჩემი ძმა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მსახურობდა, ჰოდა, ახალციხეში ბიბლიოთეკაში მუშაობა შემომთავაზეს. ხომ იცით, ახალციხე დახურული ზონა იყო, სადაც არ უნდა დაგეწყო მუშაობა, დაწვრილებით მოითხოვდნენ ბიოგრაფიულ ცნობებს, უამრავ ანკეტას ავსებინებდა ხალხი. რასაკვირველია, არც მე ვიყავი გამონაკლისი და რაც მომცეს, ყველაფერი შევავსე, აღვნიშნე, რომ ვიცოდი ლიტერატურული გერმანულიც. ეს საბუთები თბილისში იგზავნებოდა შესამოწმებლად. ცოტა ხანში თბილისიდან ჩემი დამტკიცებული საბუთებიც ჩამოვიდა, რასაც შინაგან საქმეთა კომისარიატში გამოძახების ქაღალდიც ერთვოდა.

იმ საბუთში პირდაპირ იყო მითითებული, რომ თბილისში ჩასულს თან უნდა მქონოდა ნავთქურა და ლოგინი. 18 წლის არ ვიყავი მაშინ. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ განვიცადე?! მეგონა, მაპატიმრებდნენ, მაგრამ არ ვიცოდი, რისთვის ან რად მჭირდებოდა ლოგინი, მით უმეტეს – ნავთქურა?! ამ ვაებაში რომ ვიყავი, თბილისში წასლის დროც დადგა (დოკუმენტში მითითებული იყო ადგილზე გამოცხადების დრო). აღნიშნულ მისამართზე მივედი და აღმოჩნდა, რომ უშიშროებამ გამომიძახა. მაშინდელმა კა-გე-ბეს უფროსმა რაფავამ პირადად მიმიღო, მას სურდა თავად დარწმუნებულიყო ჩემს ცოდნაში. ავტობიოგრაფია გერმანულ ენაზე დამაწერინა, გამესაუბრა და დავალება მომცა. შემდეგ რაფავამ სადგურში დარეკა და ორი ბილეთი შეუკვეთა. ხმაგაკმენდილი ვიჯექი მის კაბინეტში, არ ვიცოდი, რა ხდებოდა ჩემს თავს. არავის არ უკითხავს, მინდოდა თუ არა უშიშროების თანამშრომლობა. ჩამაბარეს სრულიად უცნობ კაცს, რომელმაც ბათუმამდე გამაცილა. მატარებელში მთელი ღამე ვტიროდი. ბათუმში რომ მივდიოდი, ესეც გზაში გავიგე.

— ბათუმში ვილას ჩაგაბარეს? იქაურ უშიშროებას?

– ბათუმში ჩასულებს კვლავ ჩემთვის უცნობი კაცი დაგვხვდა სადგურში. ამხედ-დამხედა და ბათუმის „ინტურისტში“ მიგვიყვანა, იქ დაგვაბინავა. იმ კაცს, რომელიც სადგურში დაგვხვდა, ძალიან გაუკვირდა ჩემი ნახვა, ჯერ სულ ბავშვია და მის ასაკში ამხელა პასუხისმგებლობა და რისკი წარმოუდგენელიაო, – აღნიშნა.

— ბათუმში რა დაგავალეს? რა საქმიანობას ეწეოდით?

– ხელფასი 70 მანეთი დამინიშნეს. 40-იან წლებში დიდი ფული იყო, ყოველ შემთხვევაში – ჩემთვის, მე ხომ მარტო ვიყავი. სასტუმროსა და კვების ფულსაც სუკი იხდიდა. ასე რომ... ბათუმში გერმანიის საკონსულო იყო და მთელი ჩემი საქმიანობა მისკენ გახლდათ მიმართული. საკონსულოს თანამშრომლებს ვუთვალთვალებდი, ვისმენდი საუბრებს... ელჩის ოჯახს კი ყოველ ნაბიჯზე დავყვებოდი საგანგებოდ.

— მერე, არ გეშინოდათ, ვინმეს რომ შეემჩნიეთ?

– ყველაფერს უცებ ავუღე ალღო. მესმოდა, რომ გაბედული, რისკიანი და ამავდროულად – უჩინარი უნდა ვყოფილიყავი. გამომივიდა კიდეც და ჩემი მუშაობით კმაყოფილი იყო მაშინდელი უშიშროების ხელმძღვანელობა. მაგრამ მე ხომ აგენტი ვიყავი – და მეც გამუდმებით მითვალთვალებდნენ...

— ამბობთ, საუბრებს ვუსმენდიო. როგორი აპარატურა გქონდათ?

– იმ დროისთვის ნორმალური. არც ვიცი, არსებობდა თუ არა უკეთესი.

— ალბათ, საგანგებო ოთახში მუშაობდით, არა?

– (დუმილი) პირველად ვამბობ, იცოდე... „ინტურისტში“, ჩემს ოთახში იყო მოსასმენი მოწყობილობა. გარდა ამისა, სასტუმროს გარეთაც „ვმუშაობდი“, შორიდან ვადევნებდი თვალყურს...

— მარია ბებო, რატომ არ შეეწინააღმდეგეთ, როცა მიხვდით, სად „გაგამწესეს“?

– კა-გე-ბეს სამსახურში წინააღმდეგობის გაწევის უფლებას ვინ მოგცემდა? მართალი გითხრა, არც მიცდია. მინდოდა თუ არ მინდოდა, ჩემდა უნებურად მოვხვდი კა-გე-ბეს „რიგებში“.

— დიდი ხანია „გაიშიფრა“ თქვენი მეტსახელი?

– არა მარტო ცხოვრების წესი, არამედ სახელიც კი შემიცვალესდა კა-გე-ბეს კართოტეკაში სტელა „დამარქვეს“. ეს კარგა ხანს ახსოვდათ ყოფილ თანამშრომლებსაც: ერთხელ, შემთხვევით შემხვდა ქუჩაში კა-გე-ბეს ყოფილი თანამშრომელი... ჩემნაირი... მოკლედ, მიცნო. მომიახლოვდა და ჩუმად მკითხა: შენ ხომ სტელა ხარო? უარი ვუთხარი – ვიღაცაში შეგეშალეთ-მეთქი... როცა საბოლოოდ დავბრუნდი ბოლნისში, სახანძროში დავიწყე მუშაობა. საბუთზე ხელის მოსაწერად უფროსთან შევედი. უცებ, მეკითხება: როგორი იყო ბათუმში თქვენი მუშაობაო? მე კი ვუპასუხე: რა ლამაზი ყვავილები დევს ლარნაკში-მეთქი... ამით დასრულდა ბათუმზე ჩვენი საუბარი... ჩემი უფროსი ძმა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშორმელი იყო და ჩემს უფროსებსაც კარგად იცნობდა, მაგრამ სიმართლეს მასაც ვერ ვუმხელდი.

— ოჯახთან ურთიერთობის ნებას თუ გრთავდათ კა-გე-ბე?

– მზღუდავდნენ. მათთან მხოლოდ წერილობითი კონტაქტი მქონდა. ერთხელ, ორი დღით გამათავისუფლეს. ძმის სანახავად წავედი, მაგრამ მითვალთვალებდნენ. სხვა დედმამიშვილების ნახვაც ძალიან მინდოდა და ბოლნისში გავემგზავრე. გაიგეს თუ არა, მაშინვე დამიბარა უფროსმა და სასწრაფოდ ბათუმში დაბრუნება მომთხოვა. რასაკვირველია, დავბრუნდი, სხვა რა შემეძლო?!

მრავალი წლის განმავლობაში, აქ, ჩემს სართულზე, ჩემ გვერდითა ბინაში კა-გე-ბეს ოთხი სხვადასხვა თანამშრომელი ცხოვრობდა. საკმაოდ დიდი თანამდებობებიც ეკავათ.

— შეგიძლიათ, რომელიმე მათგანის გვარი მაინც დამისახელოთ?

– გვარებს გეტყვით, სახელებს – არა: ბერიძე, წყაროელი, ადამია, მამედოვი.

— რატომ გითვალთვალებდნენ?

– კა-გე-ბეს თვალთვალს და მოსმენას ვერავინ დაუშლის, ეგეთი წესია... ერთ-ერთმა ჩემმა უფროსმა, არაბაჯევმა, ჩემი თავი სხვას გადასცა, მამალაძეს. იმას თურქეთით ჩემი გაყვანა უნდოდა ამერიკაში, მაგრამ არ გამოუვიდა.

— ძალიან ახალგაზრდამ დაიწყეთ კა-გე-ბეს აგენტობა, ბათუმში მყოფ გერმანიის კონსულს თუ საკონსულოს თანამშრომლებს იცნობდით და დავიჯერო, ვინმესთან

ტესტი

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გეგახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. სპორტს მხიარულება უხდება. მე რომ სერიოზული კაცი ვიყო, მილიონი მაყურებლის წინაშე „ტრუსიკით“ გამოვიდოდი?!“ ვის ეკუთვნის ეს სიტყვები:

ა) ლევან თედიაშვილს;
ბ) ოთარ გაბელიას;
გ) ნიკოლოზ დერიუგინს.

2. რა ეწოდება სიმდიდრის ღმერთს ბერძნულ მითოლოგიაში?



ა) ათოსი;
ბ) აოსი;
გ) პლუტოსი.

3. რა ჰქვია ბრილიანტს, რომელსაც უწოდებენ ახალდაძორწინებულებს ფშავში?

ა) ახალყოილნი;
ბ) მებედეები;
გ) შაყრილნი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

რომანი არ გაგიბამთ?

— პირადულზე არაფერს გეტყვი. ერთია, რომ უსიყვარულოდ გავლიე ჩემი წუთისოფელი და ამაზე მწყდება გული. ერთ ბიჭს ვუყვარდი, ზურიკო ერქვა, დედა გერმანელი ჰყავდა. ერთხელ თბილისში მომავალს, წერილი გამომატანა. ცნობისმოყვარეობამ მძლია და გერმანულ ენაზე დაწერილი წერილი წავიკითხე. ზურიკო წერდა: „ეს ჩემი საცოლეა და კარგად მიიღე“... ძალიან გავბრაზდი, წერილი დავხიე და ამით დასრულდა ჩვენი ურთიერთობა. რომელ ცოლობაზე იყო საუბარი, როცა მან ისიც კი არ იცოდა, რას ვსაქმიანობდი.

— გამოდის, რომ სუკის გამო, პირად ცხოვრებაზე უარი თქვით.

— ეგრეა. მე სხვა რეჟიმით ვცხოვრობდი. ღამით არ მეძინა და რა ვიცი, რა არ ვნახე...

— შიშის გამო ვერ იძინებდით?

— შიშის გამოც. ნერვები სულ გამიფუჭდა, მაგრამ ეს მხოლოდ მე ვიცოდი, სხვას არ უნდა შეემჩნია. პირადი ცხოვრება არ მქონდა შეზღუდული, ბევრჯერ შემომთავაზეს, ცოლად გავყოლოდი, თუმცა საკუთარ თავში ამ სურვილსაც ვკლავდი და დავრჩი მარტოხელა.

— არ მინდა გეწყინოთ, ოღონდ, თავს ვერ ვიკავებ რომ არ გკითხოთ: გერმანელებთან რომანის გაბმა, ფლირტი ან „უფრო მეტიც“, თუ გიბრძანებდნენ ქვეყნის სახელით, უნდა შეგესრულებინათ?

— ქვეყნის სახელით და ქვეყნის გულისთვის ყველაფერი უნდა გაგეკეთებინა.

— სტალინს თუ შეხვედრიხართ? თქვენს ალბომში მოსკოვში, წითელ მოედანზე გადაღებული ფოტოებიც ვნახე...

— Не трогай его!

— კარგით, არ გამიბრაზდეთ. მაშინ ის მითხარით, როგორ გადაიტანეთ მისი გარდაცვალება?

— სტალინი თავისი სიკვდილით არ მომკვდარა. იოსებ ბესარიონოვიჩი კიდევ კარგა ხანს იცოცხლებდა, ბერია რომ არა. ბერიამ მოკლა, მაგან მოუღო ბოლო, წიგნის ფურცლები მაგან მოუწამლა...

— დანამდვილებით იცით?

— უშიშროების მაშინდელმა აგენტებმა ყველაფერი დანამდვილებით ვიცოდით. ბოლოს და ბოლოს, მე ვიყავი ის აგენტი, ვინც ოფიციალურ სამსახურს წინასწარ აცნობა ომის დაწყება. თქვენ გგონიათ, შევარდნაძემ არ იცის, მე რა გამიკეთებია ქვეყნისთვის?! ძალიან კარგად იცის ყველაფერი.

— ღირსების ორდენი არ მოუცია ბატონ ედუარდს?

— არა და არც მინდა. მე სამამულო ომში მონაწილეობისთვის მაქვს ორდენები მიღებული და ამით ძალიან ვამაყობ.

— ბრძოლებშიც მიიღეთ მონაწილეობა?

— რა თქმა უნდა, ოღონდ, „სვიაზისტკა“ ვიყავი. ეეჰ, იცი, რამდენი რამე ვნახე...

— როგორც თქვენ ამბობთ და როგორც მეც მსმენია, დღესაც ძალიან „პოპულარულია“ ე.წ. მოსმენები. რას ეტყვით დღევანდელ აგენტებს?

— მოსმენა რომ ცუდია, მაგათ კარგად იციან, მაგრამ რა ქნან? ეს მათი სამსახურია, ისევე, როგორც ჩემი იყო, ოღონდ, ქვეყნის გადასარჩენად მოსმენა ერთია და ბინძური მოსმენა — სხვა რამეა. ჩემი დღე და მოსწრება გერმანიაში სამუდამოდ წასვლაზე ვოცნებობდი, მაგრამ ვერ წავედი. ახლა კი უკვე 81 წლის ვარ. არა, 22 დეკემბერს, 82 შემისრულდება.

— თუ ასე ძალიან გინდოდათ წასვლა, რატომ არ წახვედით?

— ვინ გამიშვა, რო?! „ძეტოჩკა“, შენ კა-გე-ბე მაკარონის ფაბრიკა ხომ არ გგონია?

— პენსიას, ალბათ, უშიშროება გიხდით, არა?

— პენსია, როგორც დიდი სამამულო ომის მონაწილეს, 45 ლარი მაქვს, მაგრამ რაში მყოფნის?! განა იმიტომ ვემსახურე უშიშროებას, იმიტომ წამიყვანეს (სპეციალურად გამომიძახეს) ფრონტზე და იმიტომ დავრჩი უქმროდ და უშვილ-უძიროდ, რომ ყველაფერი სანატრელი მქონდეს?!

— თავიდან რომ გქონდეთ ცხოვრების დაწყების საშუალება, რომელ გზას აირჩევდით?

— მაინც ჩემი ხალხის და ქვეყნის სამსახურს.

— გერმანული ენა გახსოვთ?

— რას ჰქვია, მახსოვს?! მახსოვს კი არა — ბრწყინვალედ ვიცი.

— რას დამაბარებთ თბილისში?

— შევარდნაძეს გადაეცი, ხალხი ცოდოა, მშივრებს ნუ გვხოცავს. მე 45 ლარი არაფერში მყოფნის და ვისაც 14 ლარი აქვს, ის რა დღეში იქნება?! იცი, რა ფული აქვთ შვეიცარიის ბანკებში ქართველებს?!

— თქვენ საიდან იცით?

— მე ბევრი რამ ვიცი. სომეხი ეროვნების ქალმა საქართველოს სამსახურში გავლიე ჩემი წუთისოფელი და თვითონ ქართველები კი რას სჩადიხართ?! თქვენ ერთმანეთი არ გიყვართ, თორემ... ეეჰ, შიშით, ბრძანებით, ტყვიების წვიმით დაიწყო ჩემი ყმაწვილქალობა და სიბერეშიც იგივე მარგუნა ბედმა... ■

ვის სჯერდებოდა „ე“

ანუ ვის და როგორ „ავერბოვკებენ“ საქართველოში!

უკვე ჩვენი ყოველდღიურობის დამახასიათებელ ჩვეულებრივ ფაქტად იქცა, რომ პოლიტიკურ წრეებში დაპირისპირებული ადამიანები ერთმანეთის ლანძღვა-გინებას ერთი სიტყვით – „აგენტის“ მოშველიებით იწყებენ. მერე შესაბამისი კომისია იწყებს კვლევა-ძიებას: ვინ არის სინამდვილეში აგენტი – ის, ვისაც ეს სიტყვა „შეჭკადრეს“, თუ ის, ვინც „შეჭკადრა“? ჩვენს პოლიტიკოსებს რომ დავუჯეროთ, ყველა სხვა უბედურებასთან ერთად, საქართველო აგენტებისა და „შპიონების“ ქვეყანაც ყოფილა.

ნანა ქიბიშაური

არადა, იმ უწყების წარმომადგენლები, რომელთაც აგენტურის ქსელის შექმნა სამსახურებრივად ევალებათ და „დასავერბოვკებელი“ ხალხის სავალდებულო წლიური გეგმაც აქვთ შესასრულებელი, ამბობენ, რომ სინამდვილეში, ამ მიმართულებითაც საქმე ძალიან ცუდად აქვთ. გეგმას კი ასრულებენ, მაგრამ ხარისხს ვერ „ქაჩავენ“. მათი განცხადებით, ქვეყანა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მომზადებული და დახვეწილი აგენტურის ქსელი აქვს. მათივე სიტყვები რომ მოვიშველიოთ, საქართველოში კარგად მომზადებული აგენტურა რომ მუშაობდეს, არც ამდენი გაუხსნელი საქმე იქნებოდა, არც ამდენი სამრეწველო „შპიონაჟი“, არც საიდუმლო დოკუმენტებს ააფრიალებდნენ პარლამენტში და არც ჟურნალისტები „დაამღერებდნენ“ სამხედრო საიდუმლოებებს. რაც შეეხება უცხოეთის ქვეყნების დაზვერვას, ისინი თურმე ამ ე.წ. „ერთობლივ პროექტებში“ არიან ჩართულნი, ან უშუალოდ პირველწყაროდან იღებენ საჭირო ინფორმაციას და თანაც იმდენს, რომ სხვა აგენტების მოსაძებნად თავის შეწუხება აღარც სჭირდებათ. იქნებ შესაბამისი უწყების წარმომადგენლები, რადგან მაინც „შესაბამისი უწყების წარმომადგენლები“ არიან, ტყუილად ისაწყლებენ თავს და არცთუ ისე ცუდად გვაქვს აგენტების საქმე (ბოლომდე დარწმუნებული მაინც არ ვარ, ეს კარგია თუ ცუდი...)? ვის და როგორ „ავერბოვკებს“ უშიშროება? რამდენად დაცულია უცხოელი რეზიდენტებისგან ჩვენი სამხედრო საიდუმლოება (თუკი ის საერთოდ გვაქვს)? რა ხდება საელჩოებსა და დიპლომატიურ წრეებში? რატომ არ ამხელენ ჩვენი სპეცსამსახურები ჯაშუშებს? რა ბედი ელის „გაშიფრულ“ აგენტს? და რა მოჰყვება საქართველოში ლუსტრაციის კანონს?

– ყოველივე ამის შესახებ თავის მოსაზრებებს გვიზიარებენ ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ პოლიციისა და უშიშროების იმ განყოფილებას, უშუალოდ რომ ევალებოდა აგენტის მოპოვება და მასთან მუშაობა. ამ ადამიანებს (გასაგები მიზეზების გამო, ინკოგნიტო რესპონდენტად დარჩენა რომ ითხოვეს) დიდ ჩინთან ერთად, ხალხის „დავერბოვკების“ დიდი გამოცდილებაც აქვთ და სწორედ ამ გამოცდილების მოშველიებით ცდილობენ, ჩვენც დაგვარწმუნონ, რომ აგენტობა სალანძღავი სიტყვა კი არა, საპატიო ჰობია, რომლითაც პატრიოტები და თავგადასავლების მაძიებლები არიან დაკავებულნი. სამწუხაროდ, მათივე განცხადებით, ასეთი „მაძიებელი“ ჩვენს უმაღლეს ხელისუფლებაშიც დასაშვებზე მეტი ყოფილა.

— მაშ ასე, რას გვეტყვის უშიშროების ინკოგნიტო თანამშრომელი?

– რა უნდა გითხრათ, დღეს სწორედ იმაზეა მთელი ამბავი ატეხილი, რომ უშიშროებიდან ისეთი ინფორმაცია გადის, რომელიც არ უნდა გავიდეს. პარლამენტში ჯუმბერ პატიაშვილმა რომ ააფრიალა „საიდუმლო დოკუმენტი“ და ამის გამო დეპუტატებიც რომ აღშფოთდნენ, მინისტრის ბრძანებით დაიარეს მთელი განყოფილებები და საგულდაგულოდ შეამოწმეს სეიფები. რა აზრი აქვს ყოველივე ამას, თუ სამინისტროს თანამშრომლები ინტერვიუების მიცემას დავიწყებთ?

— რა აზრი აქვს, რომ აქაურ ჟურნალისტებთან შეიკავოთ თავი უწყინარ კითხვებზე უწინარი პასუხებისგან, როცა სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებმა თქვენზე კარგად იციან, რა ხდება, თუნდაც უშიშროების სამინისტროში? პირველი კითხვა ასეთია, რატომ კარგავენ პოლიტიკურ პარტიებში ძრომიალში თქვენი აგენტები დროს, მაშინ, როდესაც ქვეყანა ჯაშუშებით არის სავსე?

– კანონით აკრძალულია, აგენტურა ამუშაო სახელისუფლებო პოლიტიკურ პარტიაში, მაგრამ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, აგენტი უნდა გყავდეს ისეთ პარტიაში, რომელიც სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით, რაიმე საშიშროებას წარმოადგენს.

— ასეთი პარტია არის საქართველოში?

– არის თუ არა? – ამ კითხვაზე რომ გვქონდეს პასუხი, ამისათვის არის საჭირო ინფორმაციის შეგროვება. რაც შეეხება უცხო ქვეყნის ჯაშუშებს და სპეცსამსახურის თანამშრომლებს, ისინი სასაზღვრო ზოლს პარაშუტებით აღარ არღვევენ – ოფიციალურად, ლეგალურად შემოდიან საქართველოში, ამყარებენ კონტაქტს ოფიციალურ პირებთან (მათ შორის, ზოგიერთ მათგანთან, ვინც ასე აღაშფოთა უშიშროების მინისტრის მიერ ხელმოუწერელმა, განუხორციელებელი პროექტის დონეზე დარჩენილმა ჩვეულებრივმა სამუშაო გეგმამ) და დიპლომატიური იმუნიტეტით დაცულები, პირველი პირებისგან იღებენ საჭირო ინფორმაციას. მართლაც რომ მოხდეს ლუსტრაციის კანონის მიღება, პარლამენტს ძალიან ბევრი წევრი მოაკლდება. უცხ-



ოეთის აგენტურას არ აინტერესებს ქუჩიდან აკრეფილი ჭორები. ისინი თავიანთ წყაროებს ზემო ეშელონებში ეძებენ და პოულობენ კიდეც. საქართველეში კარგად მუშაობს агент влияния-ს შექმნის მეთოდიც. როდესაც რომელიმე ახალგაზრდას შეატყობენ, რომ ის პერსპექტიულია პოლიტიკურ სფეროში, მას სთავაზობენ სამსახურს, აფინანსებენ, აძლევენ გრანტს, უქმნიან იმიჯს, ასწავლიან, როგორ გახდეს პარტიის ლიდერი, მერე ეხმარებიან იმაში, რომ მოხვდეს პარლამენტში და ა.შ. კა-გე-ბე-ს ყოფილი აგენტები პარლამენტში არიან, მაგრამ პირადად მე, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ლუსტრაციის კანონის მიღებისა, თუნდაც იმის გამო, რომ დარწმუნებული ვარ — ბევრი მათგანი მართლაც ღირსეული ადამიანია და ქვეყნისთვის ბევრი სასიკეთო საქმეც აქვს გაკეთებული.

— მას შემდეგ, რაც საქართველომ ჩეჩნეთიდან ლტოლვილები შეიფარა, რუსეთის აგენტურამ აქ ალბათ თავის შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინა.

— ბევრი ვერაფერი გააკეთა. იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის პოლიტიკური კურსიდან გამომდინარე, მთელი ყურადღება რუსეთის აგენტურაზე იყო გადატანილი და ამის გამო, მათ საგანგებოდ დაშიფრული მუშაობა სჭირდებოდათ, დასავლეთმა ისარგებლა და სტრატეგიული მნიშვნელობის აბსოლუტურად ყველა დარგში დაეუფლა სიტუაციას. საქართველოში დასავლეთის ძლიერი აგენტურული ქსელი მუშაობს. მათი სამრეწველო „შპიონაჟი“ ჩვენი ეკონომიკის სასიცოცხლო დარგებს აკონტროლებს. ოფიციალურად - შემოდიან უცხოელი ინვესტორები და ოფიციალურად დებენ ფულს სამრეწველო ობიექტებისა თუ სამხედრო ტიპის დაწესებულების აღსადგენად. იქმნება ერთობლივი პროექტები და ტარდება ერთობლივი ღონისძიებები. უცხოელები კარგად იყენებენ მატერიალურ ბერკეტებს. როდესაც თავდაცვის სამინისტროს და სასაზღვრო დეპარტამენტს უცხო ქვეყანა გრანტებით გიფინანსებს და დამფინანსებელს უნდა შეუთანხმდე, რაში ხარჯავ მის ფულს, — რა სამხედრო საიდუმლოებაზეა საუბარი?! ამ სიტუაციაში იზრდება მომავალი „კადრიც“. იხსნება ერთობლივი სკოლები, სტაჟირებისთვის იგზავნება ახალგაზრდობა საზღვარგარეთ. იქ გადიან წვრთნის სპეციალურ კურსებს და საბოლოოდ, საქართველო იღებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომელთა 70% „დავერბოვკებულია“. უშიშროების სამინისტრო ვერ გადაწყვეტს თანამდებობებზე ამ ხალხის დანიშვნის საკითხს. საკადრო პოლიტიკა (კვლავ სტრატეგიული მნიშვნელობის დარგებს ვგულისხმობ) უცხო ქვეყნის „ლეგალური ჯაშუშების“ ხელშია.

— თუ ეს ყველაფერი იცით, რატომ არ ააშკარავებთ ამ ჯაშუშებს? უშიშროების სამსახურის კომპეტენცია ხომ სწორედ ეს არის?

— ეს დიდი პოლიტიკაა. საელჩოს თანამშრომლის, ატაშეს ან მისი მფარველობის ქვეშ მყოფი მოქმედი მზვერავის, ევროკავშირის ექსპერტის თუ დიპლომატიური იმუნიტეტით დაცული სხვა პიროვნების გამოაშკარავებას, სჯობს, ისევ მათთან დაკავშირებულ პირებთან იმუშაო — იმ პირებთან, რომლებიც მათი ინფორმატორის როლს ასრულებენ. დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჯაშუშობის ბრალდებით ვინმე გაესამართლებინოთ. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში ჯაშუშები არ არიან.

— ჩვენთან ერთმანეთს ეჯახება ორი ინტერესი — დასავლეთის და რუსეთის სპეცსამსახურების ინტერესი.

— ზოგჯერ მათი ინტერესები ემთხვევა კიდეც ერთმანეთს.

— ალბათ ორმაგი აგენტები ამ დროს ძალიან ბედნიერები არიან...

— ორმაგი აგენტები ნამდვილად არ იქნებიან მოცლილები, რადგან ორივე ქვეყნის სპეცსამსახურები მათ ერთმანეთის დეზინფორმაციით „გამოსაკვებად“ იყენებენ.

— საინტერესოა, „ვერბოვკის“ რა მეთოდებია აპრობირებული?

— საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დროსაც და ახლაც, მხოლოდ ერთი მეთოდია ყველაზე ეფექტური. ეს არის პატრიოტიზმი. ამ პირობებშიც კი, ფულის გამო, აგენტობაზე ოპერატიულ მუშაკს არავინ დათანხმდება. შეიძლება ვიღაც დაგვთანხმდეს კიდეც, მაგრამ უშიშროების ოპერატიულ მუშაკს ამ ექსპერიმენტის ჩასატარებელი ფულიც ჯერჯერობით არ აქვს. მეორე მეთოდია პოტენციურ აგენტზე მაკომპრომეტირებელი მასალის შექმნა. თუმცა, ის, რაც ადრე კომპრომატად ითვლებოდა, დღეს აღარ „ჭრის“. უწინ, ვინმესთვის რომ გეთქვა — თუ არ დამეხმარები, „ცისფერი ან „ლესბიანკა“ რომ ხარ, ამას „გაგიბაზრებო“, — ყველაფერზე წავიდოდა. ახლა კი, ამაზე სიცილით მოკვდებიან... ქალის და მამაკაცის „დავერბოვკებას“ სხვადასხვა სპეფიციკა აქვს. ქალისთვის საკმარისია, მის მიმართ პირადი სიმპათია გამოავლინო და მასაც თავი მოაწონო, მამაკაცს კი ე.წ. „ლეგენდა“ უნდა მოუყვე — საქმიანი ურთიერთობა უნდა დაამყარო. პირველად რაღაც „ლეგენდაზე“ უნდა ითხოვო კონსულტაცია — ისე, „კაცურად“ — და მხოლოდ მე-3, მე-4 შეხვედრის შემდეგ,

უნდა დასვა შენთვის საინტერესო კითხვა.

— რა კატეგორიის ხალხის გადმობირებაა ყველაზე ადვილი?

— ძველი პლეადის ადამიანების, მათი, ვისზეც სიტყვა „სამშობლო“ ჯერ კიდევ მოქმედებს, მაგრამ ისინი ასაკის გამო ნაკლებად პროდუქტიული აგენტები არიან.

— განაწყენებული ან სამსახურიდან დათხოვნილი ხალხი?

— განაწყენებული ხალხი, ისინი, ვისაც მნიშვნელოვანი პოსტი ეკავა და სამსახურიდან იქნა დათხოვნილი, ერთჯერად კომპრომატს მოგაწვდის, მაგრამ აგენტად აღარ გამოდგება, რადგან სამსახური აღარ აქვს და არააქტიურ გარემოში იმყოფება. სხვა საქმეა ჩამოქვეითებული ხალხი.

იმის გამო, რომ ჩვენს ინკოგნიტოს ზედმეტი არ ესაუბრა და არ გაშიფრულიყო (რა ვიცით — კედლებსაც აქვს ყურები...) და თვითონაც ჩამოქვეითებული ხალხის სიას არ შემატებოდა, დავეშვიდობეთ და მორიგ რესპონდენტს — შინაგან საქმეთა სამინისტროს ე.წ. მე-5 განყოფილების ყოფილ მაღლჩინოსან ხელმძღვანელს ვესაუბრეთ.

— რა განსხვავებაა პოლიციისა და უშიშროების აგენტებს შორის?

— მაგასაც მოგახსენებთ, მაგრამ საუბარს დავიწყებ გაფრთხილებით: არ გაბედოთ და ჩემთან საუბრისას აუგად ან კნინობითი ფორმით არ მოიხსენიოთ სიტყვა „აგენტი“ — ისე, როგორც ამას ბევრი აკეთებს. ეს არის ფრიად საპატიო წოდება. აგენტი და საერთოდ, აგენტურა ქვეყნის საყრდენია. რატომ იყო დავით აღმაშენებლის დროს ქვეყანა ძლიერი? — იმიტომ, რომ მან შეძლო უძლიერესი აგენტურული ქსელის შექმნა — მსტოვართა ქსელი. მემატიანე წერს: ცოლ-ქმარი დასაძინებლად რომ წვებოდა, დილით უკვე იცოდა დავით აღმაშენებელმა, რაზე საუბრობდნენო... ბევრჯერ გადამიკოცნია აგენტი. ბევრჯერ გამახსნევინეს აგენტებმა ისეთი საქმე, ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლეს რომ ეხებოდა. მახსოვს ერთი ძალიან რთული საქმე. მე მისი მოყოლის უფლება დღესაც არ მაქვს, იმიტომ, რომ მოქმედი პირები დღესაც ცოცხალნი, საღსალამათნი და საკმაოდ ცნობილი ადამიანები არიან. სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე იყო. აგენტის როლი კრიმინალურმა ავტორიტეტმა შეასრულა. მან საჭირო ინფორმაციაში 50.000 მანეთი მოითხოვა. შევპირდი — მდგომარეობა გამოუვალი იყო. იმ კაცმაც შეასრულა დანაპირები. საქმე გაიხსნა. ფული განყოფილებაში შევაგროვეთ, იმ კაცს გადავეცი, მერე კიდევ 18 მანეთი ვისესხე, მანქანაში საწვავი ჩავასხი და შინ წავედი. იმ დღეს უბედნიერესი კაცი ვიყავი... პოლიციელები აგენტებს 3 კატეგორიად ჰყოფენ. 1 — „პატრიოტები“, 2 — ადამიანები, რომელთაც დამნაშავე სამყაროს მიმართ ზიზღი ამოძრავებთ და 3 — თვითონ დამნაშავე, შავი სამყაროს წარმომადგენელი, რომელიც რაღაც შეღავათის მიღების იმედით მოდის თანამშრომლობაზე. „ვერბოვკის“ პირველი საფეხურია ე.წ. „სანდო პირი“. თუ ადამიანი დაარწმუნე, რომ ის შენთვის ერთადერთი სანდო ადამიანია და შეატყვე, რომ ეს მას სიამოვნებს, გაქვს გარანტია, რომ ძალიან მალე, გადაინაცვლებთ მეორე საფეხურზე. ბოლოს კი, ის შეავსებს ანკეტას და დაწერს ხელწერილს, აგენტისთვის აუცილებელი ფსევდონიმით ნებაყოფლობით „მოინათლება“ და საქმესაც გააკეთებს. ყოველ ოპერატიულ მუშაკს აქვს თავისი გეგმა: წელიწადში მინიმუმ 12 ადამიანი აიყვანოს აღრიცხვაზე. თუ გყავს აგენტები, ხარ ნამდვილი ოპერატიული მუშაკი, თუ არ გყავს — მკითხავი... რუსეთში ოპერატიულ მუშაკებს ამ მხრივ, არანაირი პრობლემა არ ჰქონდათ, იმიტომ, რომ რუსი კაცის ბუნებაში ზის ასეთი რამ: „აი, ამან დააშავა“. იქ ერთი ბოთლი არყით შეიძლება სახელმწიფო მნიშვნელობის საქმის მოგვარება. აქ თავის დროზე აგენტებს 100 მანეთს ვუხდიდით, მაგრამ მაინც „წყალი“ მოჰქონდათ და რეალურ ინფორმაციას არ გაძლევდნენ.

— პოლიციის აგენტებს ხშირად, თვითონ პოლიციელები „უშვებენ“ და შემდეგ მათ კრიმინალური სამყარო უსწორდება.

— თუ პოლიციის ან თუნდაც უშიშროების თანამშრომელი ნამდვილი პროფესიონალია, ის ისე გავა პენსიაზე, რომ მისი აგენტი არ გაიშიფრება. თუმცა, ამასაც თავისი პირობები სჭირდება. მაგალითად, KK — კონსპირაციული ბინა *(რუსულიდან — конспиративная квартира. — ავტ.)*, სადაც ოპერატიული მუშაკი ან რეზიდენტი და აგენტი შეხვდებიან ერთმანეთს.

— ქართველებს თუ გვყავს ჩვენი „აგენტი 007“?

— მსოფლიოში ინგლისისნაირი დაზვერვა არავის აქვს და ეს ინგლისის დაზვერვა ომის დროს ლავრენტი ბერიაზე მუშაობდა. დღესაც დაზუსტებით არავის შეუძლია თქვას, როგორ „დაავერბოვკა“ ბერიამ ინგლისელი მზვერავები...

— პოლიციის აგენტურის მუშაობა რაღას ემყარება?

— დღევანდელი პოლიციის მუშაობა 0,025 გ ნარკოტიკს ემყარება.

— ყველაზე ძნელად და ადვილად „დასავერბოვკებელი“ ხალხი ვინ არის?

— ყველაზე ადვილად გადმოსაბირებლები წვრილმანი კრიმინალები არიან, ყველაზე ძნელი — სამეცნიერო ინტელიგენცია. ის ხალხი, რომელთაც შეხება აქვს ატომურ ფიზიკასთან, დიდ რეაქტორებთან და ისეთ გამოგონებებთან, რომელმაც ტექნიკური რევოლუცია მოახდინა. დღეს ტექნიკა და მეცნიერება ისეთ დონეზეა, რომ ცოცხალი აგენტი აღარავის სჭირდება. ერთი-ორი კვირის წინანდელი ინფორმაციაა: ამერიკელებმა უთხრეს რუსებს — თქვენი რეაქტიული ნარჩენებით სავსე მატარებელი ციმბირის ტაიგაში დგას და თუ ვერ პოულობთ, კოსმოსიდან გადაღებული სურათს ჩვენ გიჩვენებთო... აი, ასეა საქმე — ცოტა ხანში განყოფილება „ა“ აღარავისთვის იქნება საჭირო.

P.S. ხომ ხედავთ, აგენტობა არცთუ ისე ცუდი რამ ყოფილა, როგორც ჟღერს და ერთი შეხედვით ჩანს. მაშ, რატომ ბრაზობთ, ბატონებო?..



კადრი ფილმიდან „ერთი ცის ქვეშ“

სულიერ ფუფუნებაში ზაზრდილი „ბებია-ბავშვი“ კირა ანდრონიკაშვილი

„ძალიან მწყდება გული, როდესაც ზურიკელა მტოვებს და მიდის მერისთან“ — მითხრა ცირას როლის შემსრულებელმა ფილმში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, ულამაზესმა ქალბატონმა — კირა ანდრონიკაშვილმა. იგი ნატო ვაჩნაძის და ფილმ „ელისოში“ ელისოს როლის შემსრულებლის — კირა ანდრონიკაშვილის ძმისშვილია. სწორედ მამიდის პატივსაცემად დაარქვეს ეს ბერძნული, სიმართლის ქალღმერთის სახელი. „ჩვენს დროს სილამაზის კონკურსები არ ტარდებოდა. კონკურსი იყო ქუჩა: გოგონები ჩამოვივლიდით უბანში, იქ იდგნენ ბიჭები და გვეუბნებოდნენ კომპლიმენტებს. ან მეზობელი გეტყოდა — ლამაზი ხარო. ეს იყო და ეს“, — ამბობს ქალბატონი კირა. მას ორი ქალიშვილი — ქეთი ყიასაშვილი და ნინო კალანდაძე და ხუთი შვილიშვილი ჰყავს. როგორც თვითონ ამბობს — ძალიან არაპრაქტიკული ადამიანია. ერთხელ შვილიშვილს უთქვამს კიდეც მისთვის — შენ ნამდვილი „ბებია-ბავშვი“ ხარო...

ნათია თენიეშვილი

მათ ბინაში მისულმა ვერსად დავინახე კედელზე გაკრული ფოტოები, როგორც ეს საერთოდ მსახიობების სახლებში არის ხოლმე და გაოცება გამოვხატე. „ჰო, არც ვუფრთხილდები ფოტოებს და არც კედელზე მიკიდია. მარტო იმ ოთახშია ჩემი რამდენიმე ფოტო, სადაც ჩემი მეუღლე ტელევიზორს უყურებს. მინდა ამ ფოტოებით რაღაცები გაახსენდეს, მაგრამ ზურგით ზის და მე მგონი, ვერც ამჩნევს...“ — მითხრა ქალბატონმა კირამ. ოთახში კიდევ შვილიშვილების ნაჩუქარი ნახატები და ალენ დელონის პატარა ფოტოსურათია. „ალენ დელონის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს — ძალიან ჰგვანან ჩემი ძმა და ჩემი შვილიშვილი. ასე მგონია, ჩემი ახლობელია“. ქალბატონი კირა მორწმუნე ადამიანია. მეხუთე კლასიდან ლოცულობს ღვთისმშობლის იმ ხატზე, რომელიც წინაპრებისგან დარჩა. მეც პირველი კითხვა, რაღა თქმა უნდა, წინაპრებზე დავუსვი.

— მამაჩემი — ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ინჟინერი იყო. დედა, ჯორჯაძის ქალი გახლდათ, ძალიან ლამაზი. მამაჩემის ოჯახს დიდი სირთულეები შეექმნა 1924 წლის აჯანყების დროს. საღამოს გააფრთხილეს, რომ დილით დააპატიმრებდნენ და უცებ დატოვა გურჯაანის სახლი დედასთან და დებთან — ნატასთან, კირასა და თამართან ერთად. მამაჩემის დედა — ეკატერინა სლივეცკაია 19 წლისა დაქვრივდა და შვილებს ბებიასთან — დარო ჭავჭავაძესთან ერთად ზრდიდა. მამაჩემი ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის მეგობარი იყო. „გეპეი“ *(პოლიტექნიკური ინსტიტუტი. — ავტ.)* ჰქონდა დამთავრებული. ოჯახებში დადიოდა და მრიცხველებს არემონტებდა. მამიდაჩემი — კირა, ბორის პილნიაკის ცოლი იყო. ტიციან ტაბიძემ და ნიკოლოზ შენგელაიამ გააცნეს ისინი ერთმანეთს „ელისოს“ გადაღებების დროს. „ოთარაანთ ქვრივში“ არჩილს ვინც თამაშობს, მათი შვილია — ბორია ანდრონიკაშვილი. როცა პილნიაკი გადაასახლეს, კირას შეეშინდა და გვარი გამოუცვალა. მე ორი ძმა მყავს — გოგი და მერაბი. გოგი ერთ დროს ცე-კა-ს მდივანი იყო, გარდაიცვალა, სამწუხაროდ. ამხელა თანამდებობაზე მუშაობდა, მაგრამ არც აგარაკი ჰქონდა და არც მანქანა. ძალიან სუფთა, წესიერი კაცი იყო, იმიტომ რომ ჩვენ სხვანაირად ვიზრდებოდით. შემიძლია ვთქვა, რომ სულიერ ფუფუნებაში ვარ გაზრდილი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მშობლებს ბევრი გაჭირვება ჰქონდათ გადატანილი, არა მარტო ანდრონიკაშვილების, არამედ ჯორჯაძეების მხრიდანაც, არასდროს წუწუნებდნენ. ეს ხალხი არ გამძიმებდა თავისი მდგომარეობით. ამან ძალიან ბევრი რამ მომცა ცხოვრებაში. გაჭირვება შემიძლია, ღიმილით ავიტანო, იმედს არასდროს ვკარგავ... ჩემი მეორე ძმა — მერაბი არქიტექტორია, მაგრამ არ მუშაობს.

— ქალბატონო კირა, მოდით, თქვენი მამიდა — ნატო ვაჩნაძე გაიხსენეთ...

— ნატამ კინოში რაც გააკეთა, ეს ყველამ იცის. ის ჩვეულებრივი ქართველი ქალი, ძალიან კარგი დედა იყო. ძალიან უყვარდა კახეთი, თავისი მეგობრები მიჰყავდა ხოლმე იქ. ის და კირა მიკეთებდნენ ყველაფერს იმას, რაც მამიდამ უნდა გაუკეთოს ძმისშვილს. როცა ავად ვიყავი, ნატა გამარიდებდა ოჯახს, წამიყვანდა, მომივლიდა, გამომაჯანსაღებდა და მერე მაბრუნებდა სახლში. არასდროს ყოფილა ლაპარაკი იმაზე, რომ ის რაღაცას წარმოადგენს, ლამაზია და ვარსკვლავია. ამას მაშინ ვამჩნევდი, როცა ქუჩაში ხალხი ეგებებოდა და ესალმებოდა.

— ალბათ თქვენც ბევრს უყვარდით ქალაქში, უბანში...

— ამ სილამაზეზე მაშინ არავინ ლაპარაკობდა. უფრო მორიდებულები ვიყავით. მეტი სისადავე იგრძნობოდა ურთიერთობებში. მე ვერაზე ვცხოვრობდი. იდგნენ ხოლმე იქ ბიჭები. ვიღაცებზე ამბობდნენ, ძველი ბიჭები არიანო. საერთოდ არ გვ-

ინახავს და არ ვიცოდით, ეს ბიჭები როდის ჩხუბობდნენ. ყურს მოვკრავდით ხოლმე — საქმე გაარჩიესო. მე არ მეშინოდა ვერაზე გავლა. იცოდნენ — მათი უბნელი გოგო ვიყავი — და პატივს მცემდნენ. მაშინ ვის ვუყვარდი, არც ვიცოდი. ახლა ვგებულობ ხოლმე და ძალიან მიკვირს.

— როგორც ვიცი, როცა პირველად კინოში ითამაშეთ, 12 წლის იყავით. როგორ მოხდა ეს?

— ქუჩაში მივდიოდი. ჩვენმა სახელოვანმა რეჟისორმა — ნანა მჭედლიძემ გამაჩერა და კინოსტუდიაში სინჯებზე წამიყვანა. ის მაშინ რეჟისორის ასისტენტი იყო. ნიკოლოზ პიპინაშვილი მოსკოვის შეკვეთით იღებდა ფილმს — „მაიაკოვსკი იწყებოდა ასე". ვითამაშე ნინა მესხიშვილის როლი. გადაღებები ქუთაისსა და ბაღდათში იყო. ძალიან კარგი ფილმია, მაგრამ, სამწუხაროდ, არ აჩვენებენ ხოლმე.

— მშობლები წინააღმდეგნი არ იყვნენ, კინოში რომ გეთამაშათ?

— დედა არა, მამა კი, საშინლად წინააღმდეგი იყო — სწავლობს და რეჟიმიდან ამოვარდება, რა უნდა გადაღებებზეო?! — ამბობდა. მთელი ღამე ჩუმად ვრეცხავდი ჩემს ტანსაცმელს, რომ წასაღებად მომემზადებინა. მერე ნანა მოვიდა, ელაპარაკა და როგორც იქნა, დაითანხმა. მამა ძალიან მკაცრი იყო. ზედმეტად არასდროს გვეფერებოდა. მეგობრები Отец Болконский-ს ეძახდნენ. როცა ასაკში შევიდა, მერე უფრო ვიგრძენი მისი სითბო და სიყვარული.

— ამის შემდეგ, როგორ განვითარდა თქვენი კინოკარიერა?

— ამის შემდეგ, კინომოყვარულმა კოტე ციციშვილმა გადაიღო ფილმი „ბავშვის ეჭვი" და იქ ვითამაშე. მერე ისევ ქუჩაში გამაჩერეს და დამიბარეს სინჯებზე. მივედი, ლანა ღოღობერიძე იღებდა ფილმს „ერთი ცის ქვეშ". 15 წლის, კიკინებიანი გოგო ვიყავი, ზუსტად ისეთი ახტაჯანა, როგორსაც ვთამაშობ. ლანამ, რომ დამინახა, თქვა — კი გადავიღოთ სინჯები, მაგრამ უკვე დამტკიცებულიაო... როცა ფილმი გამოვიდა და ჩემი თავი ვნახე — ვტიროდი, ისე არ მომწონდა. ფეხსაცმელები ისეთი მძიმე იყო, ძლივს დავდიოდი იმ სახურავზე. ტანსაცმელიც ჩემი შერჩეული იყო, მეგობრის სვიტერი მეცვა. ძალიან მიყვარს ეს როლი. იქ იგრძნობა ჩემი არსი. ისეთივე გოგოს ვთამაშობდი, როგორიც სინამდვილეში ვიყავი. ამ ფილმის მერე მალე დაიწყო „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" გადაღებები.

კადრი ფილმიდან „მთვარის მოტაცება"

— თქვენ მითხარით — არ მინდოდა, ცირა მეთამაშაო...

— ჰო, მინდოდა, ვყოფილიყავი მერი და არა ცირა. მანანა აბაზაძეს, ამ ულამაზეს გოგოს ვეუბნებოდი — რახან შენ თამაშობ მერის, მხოლოდ ამიტომ გითმობ ზურიკელას-მეთქი. ის, ქალაქელი ცირა შინაგანად მე არ მგავდა, თუნდაც იმით, რომ ზურიკელა მტოვებს და მიდის მერისთან *(იცინის)*. სერგო *(ორჯონიკიძე, ზურიკელას როლის შემსრულებელი. — ავტ.)* ჩემი ბავშვობის მეგობარი და საყვარელი ადამიანია. დღემდე ვეუბნები — რატომ წახვედი მერისთან-მეთქი?.. ამის შემდეგ იყო ძაბულის როლი „მთვარის მოტაცებაში", იყო ფილმი „ჩვენი ჯერია, ბიჭებო", „ანარეკლი", „მოლანდება", „სინემა", როსტომ ლორთქიფანიძის „თამუნია" და ა.შ.

— თქვენ ბავშვობიდან თამაშობდით კინოში, მაგრამ მაინც არ ჩააბარეთ სამსახიობოზე, რატომ?

— მე უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი დავამთავრე. სპეციალობით ვმუშაობდი კიდეც, მაგრამ შემცირებაში მოვყევი. სკოლა რომ დავამთავრე. უკვე საქმრო მყავდა, რომელიც წინააღმდეგი იყო, ამიტომ არ ჩავაბარე სამსახიობოზე. არადა, ფილმის — „ერთი ცის ქვეშ" გადაღებებზე გავიცანი, იქ, სახურავზე, ლევანის როლის შემსრულებელი — გივი ყიასაშვილი. მეცხრე კლასში ვიყავი, რომ გავიცანი. სკოლა დავამთავრე და გავთხოვდი. მე ჩვიდმეტი წლის ვიყავი, ის — ოცდასამის. ძალიან ლამაზი და სიმპათიური იყო ლევანი. როცა გავთხოვდი, ღამე ზოგჯერ ვიღვიძებდი და ვუყურებდი ხოლმე... „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში" არის სცენა, სადაც მე და სერგო სანაპიროზე დავდივართ. შუაღამე გადასული იყო, ამ სცენას რომ ვიღებდით. იმ დღეს იყო ჩემი ქორწილი და ვნერვიულობდი, სერგოს ვეუბნებოდი — აბანოში წასვლას ვერ მოვასწრებ-მეთქი: მაშინ წესი იყო ასეთი — დილით გოგირდის აბანოში უნდა წასულიყავი და მერე მოკაზმულიყავი. მართლა წავედით გადაღების მერე მე და ჩემი მეგობარი გოგონა აბანოში. როცა შინ დავბრუნდი, ის ბიჭები, ვისაც ვუყვარდი — ჩემი „პაკლონიკები", დამხვდნენ და მეხვეწებოდნენ — იქნებ გადაიფიქრო და არ გათხოვდეო?.. იმ დილით, რატომღაც ფანჯრის მინები არ მომეწონა და ხელმეორედ დავწმინდე. ძველი მეზობლები ახლაც მახსენებენ: გვახსოვს, შენი ქორწილის დღეს ფანჯრებს რომ წმენდდიო... ამ ქორწინებიდან ქეთი მყავს... დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ქორწინება. რომანტიკული ბუნების ადამიანი, რაღაც წარმოსახვით სახეს ქმნი, რეალობაში კი სულ სხვა რამეს ეჯახები. წრფელ სიყვარულს ყოველთვის ეღობება რაღაც... პირველ ქმართან გაყრის შემდეგ, ორ წელიწადში გავიცანი ჩემი მეორე მეუღლე, ნინოს მამა. 21 წლის ვიყავი, მეორედ რომ გავთხოვდი. სამწუხაროდ, აქაც იგივე მოხდა. 12 წლის ურთიერთობის შემდეგ, იმ მამაკაცს გავყევი ცოლად, ვისთანაც ახლა ვცხოვრობ. იგი პროფესიით ინჟინერია — გელა გერაძე. მან ჩემი შვილები საკუთარივით შეიყვარა და გამაზრდევინა, გაჭირვების დროს გვერდში დამიდგა. მთელი ცხოვრება გვერდში მიდგას და დიდად მადლობელი ვარ მისი. რაც შეეხება იმ მამაკაცებს — ისინი ჩემი შვილების მამები არიან. მე არაფერს ვნანობ, იმიტომ, რომ კარგი შვილები მყავს და რაც იყო, ყველაფერი გულწრფელი და ალალი იყო. რაც მთავარია, ჩემი შვილე-

ბი წუთითაც არასდროს დამიტოვებია.

— **ქალბატონო კირა, ძალიან მშვიდი ადამიანი ჩანხართ, მაგრამ მაინც, როცა დაღლილი ან აღელვებული ხართ, როგორ ისვენებთ?**

— მე რელიგიური ადამიანი ვარ და ბავშვობიდან ვლოცულობ. მახსოვს, აღდგომას, ეკლესიაში რომ მივდიოდი, მამაჩემი მთხოვდა — სანთელი დაანთე და მალევე წამოდიო: მას უნდოდა, რომ ყველანი ერთად მივსხდომოდით სუფრას... ძალიან მშვიდი ხასიათი მაქვს. ვიცი — რაც ღმერთმა მომცა, იმაზე მეტს არ მომცემს. ბუნება მიყვარს ძალიან და სიწყნარე. ძალიან გთხოვთ, დაწერეთ, რომ ორგანულად ვერ ვიტან და მაღიზიანებს, როცა ქალები განუწყვეტლივ ეწევიან სიგარეტს.

— **თქვენ არ მოგიწევიათ?**

— სტუდენტობის დროს — კი და მერეც, გამისინჯავს „სალემი", პიტნის გემო რომ აქვს, მაგრამ არ მსიამოვნებს. მე მინახავს მართლა ნატანჯი, გადასახლებიდან ჩამოსული ქალები, მაგრამ ასე გაუთავებლად ისინიც კი არ ეწეოდნენ, როგორც ახლა ზოგი ეწევა. როცა აღელვებული ვარ, მირჩევნია გავისეირნო, თუ, რა თქმა უნდა, თავში არ ჩამარტყამს ვინმე რამეს, ან წამოვწვე. ეს ჩემმა შვილებმაც იციან: როცა პატარები იყვნენ და გამაბრაზებდნენ, ჩქარა წამოწექიო — მეუბნებოდნენ.

— **თქვენ დიდი ნოსტალგიით გაიხსენეთ თქვენი ახალგაზრდობის თბილისი. ახლანდელ თბილისზე რას იტყოდით?**

— „თბილისობაზე" მე და ჩემმა ახლობელმა გავიარეთ რუსთაველზე და არც ერთი ნაცნობი სახე არ შეგვხვდა. უნდა ვიშოვო სპონსორი, რომელიც ორგანიზებას გაუკეთებს და მოაწყობს დღესასწაულს, რომელზეც რუსთაველზე ყველა ძველი თბილისელი გამოვა, — არა აქვს მნიშვნელობა, უხელფასოა, უმანქანოა თუ დაჩაჩანაკებული. უბრალოდ, გამოვიდნენ და ერთმანეთი ნახონ. მე არქიტექტორი არა ვარ, მაგრამ ძალიან მტკივა გული, როცა ლესელიძის ქუჩიდან მამადავითს გავხედავ ხოლმე. ისეთი შენობები აუშენეს გვერდით, რომ დაპატარავდა. ასე არ შეიძლება. ჩვენს შვილებს თუ წარსულის სიყვარული არ ჩავუნერგეთ, მარტო დისკოთეკები და კომპიუტერი არ უშველის. სხვანაირი თაობა წამოვიდა, რაღაცნაირად თავიანთთვის ცხოვრობენ. ერთხელ, სადარბაზოს ვგვიდი და ერთმა ქალმა მკითხა: უი, თქვენ დალაგება იციოთო?.. ეს შეურაცხყოფაა. ოჯახში გაზრდილ ქალს ეს როგორ უნდა ჰკითხო?! მე ოჯახის ქალი ვარ ბუნებით. კარგი იქნებოდა, ერთხელ გავთხოვილიყავი და ბევრი შვილი მყოლოდა, მაგრამ ყველაფერს განგება წყვეტს...

ფილმის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" გადაღების დროს სერგო ორჯონიკიძესთან ერთად

კირა ანდრონიკაშვილი შვილიშვილებთან ერთად

— **თქვენთვის ალბათ უსიამოვნო გასახსენებელია ის ინციდენტი, ამ რამდენიმე წლის წინ რომ შეგემთხვათ. მაგრამ მაინც — თუ არის რაიმე ახალი, ან ხომ არ დაუკავებიათ ის ადამიანები, რომლებიც მაშინ თავს დაგესხნენ?**

— იმ პერიოდში, ჩვენს უბანში შვიდი ასეთი შემთხვევა მოხდა. საღამოს სუპერმარკეტში ჩავედი, სარეცხი ფხვნილისა და რაღაცების საყიდლად. მერე, ჩემს ახლობელთან მინდოდა სტუმრად გავლა და გამოვიპრანჭე. ბეწვის ქურქი ჩავიცვი — 15 წლის წინ არის ნაყიდი, მაგრამ ლამაზია. ერთი დაღესტნური ბეჭედი მეკეთა და ორლარიანი საყურე, რომელიც ძალიან ბრწყინავდა. მაღაზიაში შევამჩნიე, რომ ვიღაც მიყურებდა, გავიფიქრე — საყურე ნამდვილად ძვირფასი ჰგონია-მეთქი, — და გამეცინა. რომ გამოვედი მაღაზიიდან, ერთმა საათი მკითხა; მივიხედე და ამ დროს, მეორემ ჩამარტყა თავში. დავეცი და რკინის ჯოხს დავარტყი თავი. გავითიშე, მათ კი მომხსნეს ის ორლარიანი საყურე, ბეჭედი, წაიღეს ჩემი ხელჩანთა. ამ დროს, ჩემკენ ახალგაზრდა ბიჭი გამოიქცა — რამაზ ხატიაშვილი, რომელიც იქ შემთხვევით აღმოჩნდა. შეეშინდათ, თავი დამანებეს და გაიქცნენ. ჩანთაში ძალიან კარგი პომადა მედო, ჩემმა გოგომ ჩამომიტანა პარიზიდან და იმაზე მწყდებოდა გული. არ მიჩივლია. ერთი წლის შემდეგ, პოლიციიდან დამირეკეს: თქვენი მძარცველები ვიპოვეთო. მივედი და არ მანახვეს — აქ არ არიანო. ტყუილი აღმოჩნდა — ვიღაცას აწერდნენ, რომ საქმე გაუხსნელი არ დარჩენილიყო... მერე გამოაცხადეს ტელევიზიით — კირა ანდრონიკაშვილს ნივთები დაუბრუნდაო. რა სისულელეა! ნივთები არც მაინტერესებს, მაგრამ ნერვები მომეშალა, რომ მომატყუეს. ამ ამბის გახსენება ჩემთვის საკმაოდ რთული იყო. ლოცვებში, როგორც კეთილმოსურნეებისთვის ვლოცულობ, ასევე ვლოცულობ მტრებისთვის: „ღმერთო, მაშორე ბოროტი, რომელი აქვთ ჩემდა მიმართ და შეიწყალე დიდითა წყალობითა". ასე რომ, ჩემს მძარცველებსაც ღმერთმა აპატიოს და შეიწყალოს ისინი.

საუბრის ბოლოს, ქალბატონ კირას ვკითხე: რამდენად ბედნიერი ადამიანი ბრძანდებით-მეთქი? ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ არაჩვეულებრივი შვილები და შვილიშვილები მყავს. ანგარების გამო, არასდროს არაფერი გამიკეთებია და სიყვარულის გარეშე ნაბიჯიც კი არ გადამიდგამს ცხოვრებაშიო, — მიპასუხა.

■



როგორ დავეხმაროთ გულით ავადმყოფ ადამიანს?

ნანა ქიბიშაური

გულისა და სისხლძარღვთა დაავადებები — სტენოკარდია, ინფარქტი, ინსულტი, სხვადასხვა სახეობის თრომბოზი და ემბოლია უფრო მეტი ადამიანის სიცოცხლეს იწირავს, ვიდრე ომები, სტიქიური უბედურებები და კატასტროფები, ან თუ გნებავთ, სხვა დაავადებები. მიუხედავად იმისა, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადება საკმაოდ მრავალრიცხოვანია, რისკის ფაქტორები, რომელიც მათ განვითარებას განაპირობებს, მსგავსია: თამბაქოს წევა, არასწორი კვება, სისხლში ქოლესტერინის მომატებული დონე, სიმსუქნე, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, ცხოვრების უმოძრაო წესი, სტრესი, სისხლში შაქრის ნორმალური შემცველობის დარღვევა და მომატებული არტერიული წნევა. „სიგარეტი მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის, მოწევა იწვევს გულის დაავადებებს“ — ეს ანტირეკლამა ზეპირად ვიცით, მაგრამ მაინც ვეწევით. ვეწევით და ჩვენს ორგანიზმს ვიმეტებთ ისეთი კარდიოვასკულარული სნეულებებისთვის, როგორიცაა: გულის რევმატიული დაავადება, ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება, ათეროსკლეროზი, აორტის ანევრიზმა და სხვა. როგორ აღმოვუჩინოთ გულით ავადმყოფ ადამიანს კრიზისის დროს პირველადი დახმარება? როდის, რა მოვლენების დროს არის სასურველი გავრცელებული წამლების. ვალიდოლის, კარდიამინის, კორვალოლის ან ანაპრილინის მიღება? ამ პრეპარატებს ხშირ შემთხვევაში ექიმის დანიშნულების გარეშე იღებენ, რადგან ისინი ზოგადად „გულის წამლებადაა“ მიჩნეული და ბევრმა არ იცის, რომ მაგალითად, დაუშვებელია



კარდიამინის მიღება მაშინ, როდესაც გულის ცემა აჩქარებულია. რა უნდა ვიცოდეთ გულის იშემიური დაავადებების შესახებ, ან კვების როგორ რეჟიმს ურჩევენ გულით ავადმყოფ ადამიანებს ექიმები? — ამ საკითხების შესახებ გვესაუბრება ექიმი-კარდიოლოგი ***მალხაზ გაბისონია.***

— ბატონო მალხაზ, რას გვეტყვით ზოგადად, გულის დაავადებების შესახებ? შემდეგ კი კონკრეტულ პათოლოგიებზე ვისაუბროთ.

— გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის, რომ გულის დაავადებები მემკვიდრეობით არ გადაეცემა, მაგრამ მემკვიდრეობით გადაეცემა მიდრეკილება ამ დაავადებების მიმართ. ასე რომ, გენეტიკური ფაქტორი მნიშვნელოვანია. როგორც ამბობენ ხოლმე, ჩვენ მშობლებს ვგავართ არა მხოლოდ გარეგნობითა და ხასიათით, არამედ ჩვენი დაავადებებითაც. გენეტიკური ფაქტორის მოხსნა შეუძლებელია, ამიტომ იმ პირებს, რომელთა მშობლები ან და-ძმა გულის იშემიური დაავადებით იყვნენ, ან არიან დასნეულებულნი, განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ. იშემიურ დაავადებას გულის კუნთის ჟანგბადით მომარაგების დარღვევას ეძახიან. იგი მკვებავი სისხლძარღვების შევიწროებითაა განპირობებული. შევიწროებას, ანუ სტენოზს, ხელს უწყობს ისეთი ფაქტორები, რომელიც სისხლძარღვთა ათეროსკლეროზს იწვევს. საბოლოოდ კი, ვითარდება სტენოკარდია, არითმია, ინფარქტი და გულის უკმარისობა.

— როგორია იშემიური დაავადებისათვის დამახასიათებელი სიმპტომები?

— სტენოკარდიისათვის დამახასიათებელი ტიპური სიმპტომებია: ტკივილის, სიმძიმის, მოჭერის, წვის ან ზეწოლის შეგრძნება „გულის კოვზთან“, მკერდის ძვლის უკან, მხრებში, ბეჭში, ქვედა ყბაში, იდაყვსა და მაჯაში გადაცემით. ამ ტკივილის აღმოცენება-გავრცელება შადრევანს მოგვაგონებს. იგი ხშირად იწყება ფიზიკური დატვირთვის, ძლიერი ემოციით გამოწვეული სტრესის, სიცივის დროს და მცირდება ან ქრება დატვირთვის შეწყვეტისას, ან ენის ქვეშ ნიტროგლიცერინის აბის მიღების შედეგად. გამორიცხული არ არის, რომ პირველივე შეტევა გახანგრძლივდეს და მიოკარდიუმის ინფარქტის ჩამოყალიბებით დამთავრდეს. გულის იშემიური დაავადება შესაძლებელია, არატიპურადაც გამოვლინდეს — უმიზეზო სისუსტით, ჰაერის უკმარისობით, გულის ფრიალის შეგრძნებით, უჩვეულო ხასიათის ან ლოკალიზებული ტკივილით. ასეთი ჩივილების აღმოცენებისას, განსაკუთრებით მათ, ვინც მაღალი

რისკის ჯგუფს განეკუთვნება, აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს და აქვე, პირველი რეკომენდაცია: გულმკერდში ტიპური ტკივილის გაჩენის შემთხვევაში, წამოწექით და ნიტროგლიცერინის აბი ჩაიდეთ ენის ქვეშ, სრულ გალღობამდე. თუ ტკივილმა ხუთ წუთში არ გაგიარათ, შეგიძლიათ მეორე აბიც მიიღოთ. თუ ამ შემთხვევაშიც, ტკივილი 10 წუთზე მეტხანს გაგრძელდა, აუცილებლად უნდა გამოიძახოთ „სასწრაფო დახმარების" ბრიგადა.

— „სასწრაფო დახმარების" ბრიგადის მოსვლამდე როგორ აღმოვუჩინოთ პირველადი დახმარება გულით დაავადებულ ადამიანს?



— რომ ჩავატაროთ გამოკითხვა პოლიციელებში ან სხვა, ისეთი უწყების თანამშრომლებში, რომელთაც სამსახურებრივადაც ევალებათ პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო ცოდნა, აღმოჩნდება, რომ ამ მხრივ ძალიან ცუდად გვაქვს საქმე. არადა, ჩემი აზრით, ეს არის ის საკითხი, რომელიც სკოლაშიც კი უნდა ისწავლებოდეს. სტენოკარდიული შეტევის დროს, 10-დან 9 ავადმყოფი საჭიროებს ნიტროგლიცერინის მიღებას. ეს პრეპარატი მხოლოდ ერთ შემთხვევაში არ არის სასურველი — მაშინ, როდესაც ვითარდება მარჯვენა პარკუჭის იშემია. ადრე, ეს იშვიათ შემთხვევად იყო მიჩნეული, მაგრამ ბოლო დროს ირკვევა, რომ ასეთი შემთხვევა არცთუ ისე იშვიათია. თუ ნიტროგლიცერინის მიღების შემდეგ ტკივილი უფრო გაძლიერდა ან გულის წნევა დავარდა, მაშინ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი განმეორებითი მიღება. ავადმყოფი მოხერხებულად უნდა დავსვათ ან წამოვაწვინოთ. ოღონდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მას თავი არ უნდა ჰქონდეს დაწეული. სასურველია, ის ნახევრად მჯდომარე მდგომარეობაში იმყოფებოდეს. თუკი ავადმყოფს გული წაუვიდა ან გონება დაკარგა — ეს ნიშნავს იმას, რომ მისი გულის წნევა კრიტიკულზე დაბლა დაეცა და განვითარდა თავის ტვინის იშემია. ამ დროს არ არის სასურველი ნიტროგლიცერინის ან სხვა მსგავსი პრეპარატების მიღება. ავადმყოფს ფეხები უნდა ჰქონდეს აწეული, თავი კი მაქსიმალურად დაწეული. სასურველია, მივაღებინოთ კარდიამინის წვეთები და ბევრი სითხე. გრძნობაზე მოსვლის შემდეგ, არ არის რეკომენდებული მისი მაშინვე წამოჯდომა. მაგრამ თუ გულის წასვლა დაკავშირებულია ეპილეფსიურ მოვლენასთან ან კრუნჩხვასთან, მაშინ პირველ რიგში უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ავადმყოფმა თავის ტრავმა არ მიიღოს. თუ გონების დაკარგვას სტენოკარდიული ტკივილი უძღოდა წინ, მაშინ ავადმყოფს სასწრაფოდ სჭირდება სათანადო აპარატურით აღჭურვილი ექიმი. თუ გონების დაკარგვა დიდხანს გაგრძელდა, არ იგრძნობა პულსაცია მაჯაზე და საძილე არტერიებთან, მაშინ საქმე გვაქვს კლინიკურ სიკვდილთან და სასწრაფოდ უნდა იქნას გამოყენებული ელექტროშოკი. ეს ექიმის საქმეა. მის მოსვლამდე კი, უნდა ჩავატაროთ შესაბამისი რეანიმაციული ღონისძიებები — გულის გარეგანი მასაჟი და ხელოვნური სუნთქვა.

— პირველადი დახმარების აღმოჩენაზე საუბრისას თქვენ არ გიხსენებიათ ისეთი პრეპარატები, როგორიცაა: ვალიდოლი, კორვალოლი, ანაპრილინი. არადა, ისინი ხალხში გავრცელებულია, როგორც გულის წამლები, რომელიც უნდა მიიღოს ადამიანმა მაშინვე, როგორც კი იგრძნობს გულის არეში დისკომფორტს.

— თქვენ მიერ ჩამოთვლილი პრეპარატები არ არის ზოგადად გულის წამლები. უნდა ვიცოდეთ, როდის, რა მოვლენის დროს შეიძლება თითოეული მათგანის მიღება. მაშინ როდესაც პულსი შენელებულია, არ არის სასურველი ანაპრილინის მიღება. ეს პრეპარატი ანელებს გულის მუშაობას და ამცირებს გულის შეკუმშვის ძალას. პრეპარატი გამოიყენება მაშინ, როდესაც გულის მუშაობის ძალის შემცირება და შეკუმშვის გაიშვიათება იწვევს ჟანგბადის მოთხოვნილების ნაკლებობას. მისი მიღება სასურველია ნევროზული მოვლენის დროს, როდესაც ადამიანს აქვს აჩქარებული გულის ცემა. ანაპრილინი ამცირებს ტაქიკარდიას, მაგრამ ის არ მიიჩნევა სტენოკარდიულ პრეპარატად. სტენოკარდიის დროს ამ პრეპარატის მიღება გამოიწვევს ასთმის შეტევას. ასე რომ, ამ თითქოსდა უწყინარი წამლების მიღების დროსაც, ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი. ვალიდოლს, კარდიამინს, კორვალოლს ექიმები იშვიათად უნიშნავენ პაციენტს, მაგრამ ეს ის წამლებია, რომელიც ყველა ოჯახში უნდა იყოს. სტენოკარდიის დროს ნიტროგლიცერინის გამოყენებას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. ამ პრეპარატთან შედარებით, ზოგჯერ უკეთეს ეფექტს გვაძლევს ვალიდოლი. ის იწვევს პირის ღრუს გაცივებას და ხსნის ან ამცირებს სპაზმს. მას შეუძლია ნევროზული ტკივილის მოხსნაც. გულის არეში ნევროზული ტკივილის დროს, ხშირად იყენებენ ვალერიანსაც. მისი ხმარება ნებისმიერ შემთხვევაში სასურველია, თუკი მასზე ადამიანს ალერგია არ აქვს. კორვალოლი შეიცავს როგორც ვალერიანს, ასევე სხვა სედატიურ საშუალებებსაც. რაც შეეხება კარდიამინს, ის იწვევს გულის ცემის აჩქარებას და შეკუმშვის ძალის გაძლიერებას. აქედან გამომდინარე, მისი მიღება სასურველი არ არის ე.წ. „აჩქარებული გულის" დროს. ზემოთ ნახსენებ პრეპარატებს დროებითი ეფექტი აქვს და ძირითადად, ნევროზული მდგომარეობიდან გამოსვლაში ეხმარება ავადმყოფს.

— ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როცა ადამიანს ფეხზე მყოფს გადაუტანია მიკროინფარქტი და ამის შესახებ თვითონაც მოგვიანებით გაუგია...

— ინფარქტის ან მიკროინფარქტის დიაგნოზის დასმა მხოლოდ ექიმს შეუძლია. მას წინ უძღვის გულის არეში ძლიერი ტკივილი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულ ასაკში ტკივილის შეგრძნება არ არის ისეთი მწვავე, როგორიც ახალგაზრდებს აქვთ. არის კიდევ ერთი გარემოებაც: ემოციურ ადამიანს უფრო ძლიერი აქვს ტკივილის შეგრძნება, ვიდრე მშვიდი ბუნებისას. დიაბეტით დაავადებულ ხანდაზმულ ადამიანს კი, ინფარქტის წინაც და შემდეგაც შესაძლებელია, საერთოდ არ ჰქონდეს არანაირი ტკივილი. მახსენდება ერთი შემთხვევა: საკმაოდ ცნობილი მსახიობი, ხანდაზმული ქალბატონი, რომელსაც მოგვიანებით დაუდგინეს ინფარქტის დიაგნოზი, ფსიქიატრიულ ინსტიტუტში იქნა მოთავსებული. ამ შეცდომის მიზეზი ის იყო, რომ ინფარქტის წინა და შემდგომი დისკომფორტი გამოვლინდა არა ტკივილის სახით, არამედ ძლიერი აღგზნებადობით. ერთხელ, კარდიოლოგიის ინსტიტუტში საშვილოსნოს

გარე ორსულობის დიაგნოზითაც კი მოიყვანეს პაციენტი. მისი ტკივილი მუცლის არეში ზუსტად ისეთი სიმპტომებით ხასიათდებოდა, როგორიც სტენოკარდიულ ტკივილს ახლავს ხოლმე. ასე რომ, ნუ მოვთხოვთ ავადმყოფს, თვითონ დაუსვას საკუთარ თავს დიაგნოზი და ნურც იმას ჩავუთვლით უყურადღებობაში, რომ ვთქვათ, გადატანილი მიკროინფარქტის შესახებ ძალიან გვიან გაიგო, რადგან ამ დაავადების იმდენი ნაირსახეობა არსებობს, რომ ზოგჯერ ექიმსაც კი უჭირს ზუსტი დიაგნოზის დასმა, — განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა სათანადო აპარატურით არ არის აღჭურვილი, ან არ სარგებლობს სრულფასოვანი დიაგნოსტიკური ცენტრის მონაცემებით.

— რა შეგიძლიათ გვითხრათ გულის მანკთან დაკავშირებით? როგორც ვიცი, გულის დაავადებებიდან, გენეტიკურად ყველაზე ხშირად, ეს დაავადება გადადის.

— გულის მანკი ორი სახეობის არსებობს: თანდაყოლილი და შეძენილი. ეს არის გულის სარქვლოვანი აპარატის დაზიანება. თანდაყოლილი მანკი ვითარდება ნაყოფის მუცლადყოფნის პერიოდში (ხშირად იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს თამბაქოს მწეველ დედასთან). არც ერთი მანკი რაიმე ერთი აპრობირებული მეთოდით მკურნალობას არ ექვემდებარება. რა სახის მკურნალობა უნდა იქნას გამოყენებული, ამას ექიმს, დანიშნული წამლისა და გულის „ურთიერთობაზე" დაკვირვება უკარნახებს. თუ მედიკამენტური მკურნალობა წლების განმავლობაში არაეფექტური აღმოჩნდა, თუ სისხლის მიმოქცევის დარღვევის საშიშროება მნიშვნელოვანია და მანკი ისეთი სახისაა, რომ გული თავის ფუნქციას ველარ ასრულებს, მაშინ აუცილებელია ქირურგიული ჩარევა. ეს პირველ რიგში, თანდაყოლილ მანკს ეხება. შეძენილი მანკი გულის სხვადასხვა ანთებითი დაავადების შედეგია. ხშირად, ის ხანდაზმულობის პერიოდში გვხვდება, რასაც განვითარებული ათეროსკლეროზი უწყობს ხელს. როგორც წესი, ასეთი მანკის დროს ოპერაციას იშვიათ შემთხვევაში აკეთებენ. შეძენილი მანკი ხშირად ვლინდება ჰაერის უკმარისობის სახით. დაავადების გამოსავლენად საკმარისია გულის ექოსკოპიის გადაღება, რის შემდეგაც ავადმყოფს ენიშნება მედიკამენტური მკურნალობა. გულის თანდაყოლილი მანკის დროს აუცილებელი ოპერაციები საქართველოში მხოლოდ ორ კლინიკაში — ჯოელის სახელობის ბავშვთა კარდიოქირურგიის ცენტრსა და ქირურგიის ინსტიტუტში ტარდება. ეს ოპერაციები ბავშვებში საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა.

— თუ აქვს გულის დაავადებებს თავისი ენდემური კერები?

— აქვს. არის რეგიონები, სადაც იშვიათად ვხვდებით გულის იშემიურ დაავადებებს. არის რეგიონები, სადაც ძირითადად, რევმატიული მანკია გავრცელებული. ბუნებრივია, კახეთში, სადაც კვების რაციონში ხშირად შედის ღორის ხორცი და ცხვრის ყველი, ჭარბობს იშემიური დაავადებები. სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ადამიანი, თუ მას სურს, ჯანმრთელი გული ჰქონდეს, უნდა ეცადოს, აირჩიოს ცხოვრების ის რეჟიმი, რომელიც არ იწვევს უმოძრაობასა და სიმსუქნეს.

— რატომ არიან მსუქანი ადამიანები რისკ-ფაქტორის ჯგუფში?

— სიმსუქნე პირდაპირ კავშირშია სისხლის იმ ცხიმებთან, რომელიც იწვევს ათეროსკლეროზს. ის არტერიული წნევის მატების, სტენოკარდიის, ინფარქტის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი რისკ-ფაქტორია. ამიტომ, ჭარბი წონის მქონე ყველა ადამიანმა უნდა დაიცვას დიეტა, მიმართოს განტვირთვით კვების რეჟიმს კვირაში 1-2-ჯერ მაინც. იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სისხლძარღვთა კედლის გამტარიანობა და თავი დავიცვათ ათეროსკლეროზისგან, უნდა შევზღუდოთ მარილის გამოყენება. დღის განმავლობაში მისაღები სითხის რაოდენობამ 1-1,5 ლ უნდა შეადგინოს. რეკომენდებულია ჭვავისა და უხეშად დაფქული ფქვილისგან გამომცხვარი პური, სასურველია ვეგეტარიანული კერძები. მათ, ვისაც უკვე განვითარებული აქვთ ათეროსკლეროზი, ეკრძალებათ ცხიმიანი ხორცი, ხორცის ნახარში, ტვინი, გულ-ღვიძლი, ხიზილალა, ლორი, ცხარე, მარილიანი და ცხიმიანი საკვები, კაკაო, შოკოლადი და ალკოჰოლური სასმელები. ათეროსკლეროზით დაავადებულთათვის, რომელთაც მიდრეკილება აქვთ სისხლის შედედების მაღალი მაჩვენებლისკენ, რეკომენდებულია რაციონში ზღვის პროდუქტების დამატება.

— არსებობს მოსაზრება, რომ მცირე რაოდენობით ალკოჰოლი დადებითად მოქმედებს ორგანიზმზე გულის იშემიური დაავადების დროს.

— გეთანხმებით. არსებობს მოსაზრება, რომ მცირე რაოდენობით ალკოჰოლი ხელს უშლის გულის მკვებავი სისხლძარღვების ათეროსკლეროზულ დაზიანებას. მცირე რაოდენობაში სუფთა ეთილის სპირტის 10 გ იგულისხმება, რაც თავის მხრივ, დღეში მაგარი ალკოჰოლური სასმლის 50 მლ-ს ან ღვინის 200 მლ-ს (ერთ ჭიქას) უდრის. ამ რაოდენობით ნებისმიერი სასმელი შეგიძლიათ მიიღოთ, თუმცა უპირატესობა, სხვა დადებითი თვისებების გამო, ნატურალურ წითელ ღვინოს უნდა მიენიჭოს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ დასაშვები რაოდენობის სასმელი „დააგროვოთ" და რაღაც პერიოდის შემდეგ, ერთბაშად მიირთვათ. საერთოდ კი, ჩემი რჩევა იქნება, ნუ დაიწყებთ სასმელების მიღებას გულის იშემიური დაავადების პროფილაქტიკის მიზნით და თუ მაინც მოგიწევთ დალევა, ნუ მიეკარებით ისეთ სასმელს, რომლის ხარისხშიც ეჭვი გეპარებათ.

— არადა, რამდენი მამაკაცი მიირთმევს „პროფილაქტიკის" მიზნით, დასაშვებზე მეტ ალკოჰოლს...

— სწორედ ამიტომ ამბობენ, რომ გულისა და განსაკუთრებით, ჰიპერტონიული დაავადებისათვის, მამაკაცად ყოფნა უკვე თავისთავად წარმოადგენს რისკ-ფაქტორს. ქალებში ეს დაავადებები უფრო ხშირად, მენოპაუზის დადგომის შემდეგ იჩენს ხოლმე თავს. სამწუხაროდ, დღეს ადამიანი ჯანმრთელობაზე ზრუნვას იწყებს მას შემდეგ, რაც ავადმყოფობა შეაწუხებს, არადა, რამდენ პრობლემას ავირიდებთ, დროულად რომ ჩავაყენოთ საკუთარი თავი ამა თუ იმ დაავადების რისკის ჯგუფში და მოსალოდნელ დაავადებას განვითარების საშუალება არ მივცეთ. ცხოვრების ჯანსაღი წესი — აი, ეს არის ყველაზე უებარი წამალი და ამ წამალს მე, როგორც ექიმი, თითოეულ თქვენს მკითხველს გამოვუწერდი. ■

მარი ჯაფარიძე

„თვალები ჰგავს? — ჰგავს. ცხვირი? — ჰგავს. ესე იგი, ჰგავს!“ — ალბათ გეცნობათ აგული ერისთავისა და ქვრივის ეს დიალოგი. სწორედ მსგავსი ამბავი გადახდენია თავს ჩემს რესპონდენტს. მას თავისი „არაჩვეულებრივი გამოფენა“ აქვს და გულღიად მოგვითხრობს, თუ როგორ მოიპარა ბაქოში „ბერიკების“ 8 ფიგურა, რომელიც ახლა „კონკასთან“ დგას, და დავით აღმაშენებლის ცხენის რომელი ნაწილი ჩამოასხეს ლენინის ორი თავიდან. მაშ ასე, წარმოგიდგენთ ლითონის მხატვრულ ჩამომსხმელს, უშანგ ჟიჟიაშვილს.

ბაქოდან გაქურდეს „ბერიკები“,

ოთხი ჩაფეჯული ლენინის თავები

და ისევ ჩამოსხმა სადაზღვევოდ



— კონკრეტულად, რა სამუშაოს ასრულებს თქვენი პროფესიის ადამიანი?

— იმისათვის, რომ სკულპტურა შეიქმნას, მოქანდაკე აკეთებს ესკიზს. შემდეგ მას ხორცშესხმა სჭირდება. სწორედ ამას ვასრულებთ ჩვენ, ლითონის მხატვრული ჩამომსხმელები.

— ამას სპეციალური განათლება სჭირდება?

— დიახ. ეს მეტისმეტად საპასუხისმგებლო საქმეა. საქართველოში ამ საქმის პიონერი ბატონი ანდრო ხადური იყო. მე დავამთავრე სპეციალური ფაკულტეტი თოიძის სასწავლებელში. მოქანდაკეობის შესწავლა მინდოდა, შემდეგ — სამხატვრო აკადემიაში სწავლის გაგრძელება. ეს ფაკულტეტი იმ წელიწადს გაიხსნა, როცა სკოლას ვამთავრებდი. რამდენიმე მოსწავლეს შემოგვთავაზეს, საბუთები სწორედ იქ შეგვეტანა. ვისაც პატრონი ჰყავდა, ყველამ უარი თქვა, რადგან ლითონზე მუშაობა საკმაოდ მძიმე და შრომატევადი საქმეა. მე დავთანხმდი. სასწავლებლის დამთავრებისთანავე დავიწყე მუშაობა ქანდაკების კომბინატში, რომელიც რამდენიმე კვირის გახსნილი იყო. მაშინ თბილისში ბრინჯაოს ჩამოსხმის კუსტარული საამქრო არსებობდა. ეს კომბინატი პირველი სოლიდური საწარმო იყო. პროფესიული „ნათლობაც“ იქ მივიღე. ახლა ჩვენ თვითონაც გვყავს მოსწავლეები, რომლებსაც ბრინჯაოს ჩამოსხმის საიდუმლოებებს ვასწავლით.

— მძიმე სამუშაოს სოლიდური ანაზღაურება უნდა ახლდეს...

— როგორ გითხრათ — წინათ კაპიკებს გვიხდიდნენ. სწორედ ამიტომ, 12 წელი ბაქოში მომიწია ცხოვრება. იქ იმისთვის მიმიწვიეს, რომ ბრინჯაოს ჩამომსხმელი საამქრო დამემონტაჟებინა და რამდენიმე ადამიანისთვისაც მესწავლებინა ეს საქმე. შემდეგ სოლიდური ანაზღაურება შემომთავაზეს და სამუშაოდ აზერბაიჯანში დავრჩი. არ იყო იოლი ქრისტიანი კაცისთვის იქ ცხოვრება, მაგრამ იძულებული ვიყავი, დავრჩენილიყავი. როდესაც ისეთ შეკვეთას ვასრულებდი, რომელსაც მათ რელიგიასთან ჰქონდა კავშირი, პირჯვარს ვიწერდი და უფალს პატიებას შევთხოვდი ხოლმე... ბაქოსთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ამბავსაც მოგიყვებით: პირველი „თბილისობისთვის“ მზადებისას გადაწყდა, რომ „კონკასთან“ „ბერიკები“ დაედგათ. ამ კომპლექსს „ჭიაკოკონობასაც“ ეძახიან, ვინაიდან ფიგურებს ნიღბები არ უკეთიათ და ბერიკებს არ ჰგვანან. გახსნამდე 50 დღე იყო დარჩენილი. დროის სიმცირის გამო, თბილისში მის ჩამოსხმაზე უარი თქვეს. ავტორი, ავთო მონასელიძე და თბილისის ქანდაკების კომბინატის დირექტორი, ჯიმი ხეცურიანი ბაქოში ჩამოვიდნენ. დამიძახა ბაქოს კომბინატის დირექტორმა და მითხრა: შენი „ზემლიაკები“ ჩამოვიდნენ, დახმარება სჭირდებათ და რა ვქნათო? — სჭირდებათ და აუცილებლად უნდა დავეხმაროთ-მეთქი. დღე და ღამე ვმუშაობდი, რომ მომესწრო. უნდა გითხრათ, რომ საკმაოდ რთული ფიგურებია. დროში ჩავეტიეთ, მაგრამ გაჩნდა ერთი პრობლემა: სკულპტურის ჩამოსხმაში აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს ავტორი. შესაბამისად, ამ სამუშაოს შესრულებისთვის ჰონორარიც ერგება. როგორც წესი, ყველა მოქანდაკე მხოლოდ ერთ-ორ შტრიხს შემატებს დასრულებულ ქანდაკებას და მორჩა. მის ჰონორარს ჩვენ, შემსრულებლები ვინაწილებთ ხოლმე. ბაქოს კომბინატის დირექტორმა ამ ჰონორარის მოცემაზე უარი გვითხრა და არც ის დაუმალავს, რომ მის მითვისებას აპირებდა. თუ ასეთ გარიგებაზე არ წამოხვალთ, ქანდაკებას არ გაგატანთო, — გვითხრა. სხვა გზა არ იყო — იმავე ღამით, ფიგურები ისე დავჭერი, რომ მათი აწყობა ადვილად შესაძლებელი ყოფილიყო, თბილისიდან ჩამოსული მანქანის ძარა დავტვირთეთ და საქართველოში გამოვამგზავრეთ. ფაქტობრივად — მოვიპარეთ. მერე აქ ოთხი დღე მოვანდომეთ მათ აწყობასა და დადგმას. „თბილისობის“ დღესასწაულზე კომპლექსი გაიხსნა.

— ბაქოში დაბრუნებულს არ გისაყვედურეს?

— „ვიგავორი“ მომცეს. თუმცა, ავტორის ჰონორარი მაინც გადაგვიხადეს. „ბერიკების“ ჩამოსხმის დროს, ზურაბ წერეთელი იყო ბაქოში ჩამოსული, ფიგურები ნახა და ძალიან კმაყოფილიც დარჩა.

— კიდევ რომელ ქანდაკებებზე გიმუშავიათ?

— სიამაყით მინდა ვთქვა, რომ „ქართველის დედა“ ჩვენი ჩამოსხმულია. მის თასში მიქეიფია კიდეც: თასი ისეთი ზომისაა, რომ 7-8 ადამიანი თავისი პურმარილიანად ადვილად ეტევა მასში. ჰოდა, ჩვენც ჩავსხდებოდით შიგ და სამშობლოს სადღეგრძელოდ თასებს ვცლიდით...

ასევე სიამაყეს მგვრის ცოტნე დადიანის ქანდაკება, რომელიც ფოთში დავდგით, ჩარგალში — ვაჟას 4-მეტრიანი ბიუსტი და ქუთაისში — დავით აღმაშენებლის ქანდაკება. ამასთან დაკავშირებით შემიძლია, უამრავი საინტერესო ამბავი მოგიყვეთ, მაგალითად: გადაწყდა, რომ ქუთაისში დავითის ძეგლი დაიდგას. როგორც გავიგეთ, მოსკოვში მცხოვრებ ქუთაისელ ქურდებს ამისთვის რამდენიმე მილიონი დოლარი გამოუგზავნიათ, ხალხი კი შემოწირულობებსაც იღებდა. ყველა მოუთმენლად ელოდა ძეგლის გახსნას. იმდენად ეამაყებოდათ, რომ უნდოდათ, თავიდან ბოლომდე ქუთაისში დამზადებულიყო ყველაფერი და რადგან იქ ბრინჯაოს ჩამოსასხმელი საამქრო არ ჰქონდათ, ავტოქარხნის ტერიტორიაზე საამქრო აგვაწყობინეს. ჯერ იყო და, პირველი ნადნობი ფორმებში რომ უნდა ჩაგვესხა, გაიჭედა „კოვში“, რომელშიც ადუღებული ბრინჯაო ესხა. ვცადეთ, ხელით დავხმარებოდით და „კოვშს“ ცალი მხრიდან დავაწექით. გადმობრუნდა და ცხელი ლავა შიშხინითა და ნაპერწკლების ყრით ძირს დაიღვარა. უამრავი დანადგარი დაიწვა და განადგურდა ავტოქარხნის იმ საამქროში... მერე იყო და, ბრინჯაო დაგვაკლდა. მოგვიტანეს ლენინის ორი თავი. როდესაც დასადნობად ღუმელში ჩავუშვით, თემურ შაშიაშვილი გვესტუმრა, შამპანურები მოგვიტანა, დაინტერესდა: რას შვრებით, ბიჭებო, როგორ მიდის საქმეო? — როგორ და ლენინი იხარშება ეგერთქო, — ვუპასუხეთ. იმ ლენინის თავებიდან კი იცით, რა ჩამოვასხით? დავით აღმაშენებლის ულაყის ორი, უზარმაზარი კვერცხის ფორმის სათესლე...

— ეს შეგნებულად ჩაიდინეთ?

— შეგნებულად თუ შეუგნებლად, ამას რა მნიშვნელობა აქვს?! ასე კი იყო და...

— მახსოვს, დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა ამ ძეგლის გახსნა...

— გახსნის დღე უკვე დათქმული იყო. მთელი ქუთაისი მოუთმენლად ელოდა. წინა საღამოს, 6 საათზე მივიტანეთ ადგილზე დაშლილი ქანდაკება. ხალხი მოდიოდა, ხელს ჰკიდებდა „დავითს“, პატარ-პატარა ნაწილებს ფხეკდა, რომ სამახსოვროდ წაეღოთ. ცხენი რომ დავდგით, მერე „დავითი“ უნდა დაგვემაგრებინა. ამ დროს დაიწყო საშინელი ჭექა-ქუხილი, წვიმა. მაგრამ საქმის გადადება აღარ შეიძლებოდა — დილის 9 საათზე ძეგლის გახსნა იყო დანიშნული. მე ვითავე დავითის დამაგრება. საამისოდ ცხენის შიგნით, მუცელში უნდა შევსულიყავი. არადა, ჭექა-ქუხილის დროს, ლითონის სფეროში ყოფნა სავალალო შედეგით შეიძლება დამთავრდეს. მაინც გავრისკე. მიწას ვაკოცე, პირჯვარი გადავიწერე და საქმეს შევუდექი. სამი სანთლის შუქზე, რამდენიმე საათის განმავლობაში ვამაგრებდი ძეგლს. როდესაც ბოლო სამუშაოს მოვრჩი, ისე დაიგრუხუნა, მეგონა — ყველაფერი დაინგრა, გარეთ მოგროვილ ხალხს კი, მე აღარ ვეგონე ცოცხალი... დაიგრუხუნა და წვიმაც უცებ შეწყდა. მეორე დღეს, ძეგლი გაიხსნა, ქუთაისში კი დღემდე ამბობენ — დავითი მეხით მოვიდაო.

— ეს, რაც შეეხება დიდ ქანდაკებებს. კერძო პირები თუ გიკვეთენ ხოლმე რაიმეს?

— კი, ასეც ხდება. მიცვალებულებისთვისაც გვიწევს ქანდაკებების დამზადება. ამას წინათ, გორიდან ჩამოსულმა კაცმა დაგვიკვეთა შვილის ქანდაკება: ოცი წლის ბიჭი დამეღუპა და ეზოში მინდა მისი ძეგლის დადგმაო... მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, ცოცხალი ადამიანები

საკუთარ ქანდაკებებს რომ გვიკვეთენ. წლების წინ, გურჯაანის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა (გვარი არ მახსოვს, თორემ აუცილებლად გეტყოდით), თავისი ქანდაკების გაკეთება გვთხოვა: ცოლი გარდაცვლილი მყავს, მას მე დავადგი ძეგლი; მე რომ მოვკვდები, რატომ არ უნდა მქონდესო?!. შვილების იმედი მაინცდამაინც არ ჰქონდა. გავუკეთეთ. გამზადებული ქანდაკება ნახა, ნიკაპზე ხელმოკიდებულმა და დაფიქრებულმა, გარშემო შემოუარა, დაათვალიერა და გვითხრა: ყველაფერი მომწონს, თვალების გარდაო. ცისფერთვალება კაცი იყო და თურმე, ბრინჯაოსფერი თვალები რომ ჰქონდა ქანდაკებას, ეს არ მოეწონა. ავუხსენით, რომ სხვანაირად ვერ გავაკეთებდით. აიჩემა — გინდა თუ არა, შუშის თვალები გაუკეთეთო. ვერ გავაგებინეთ, რომ ეს შეუძლებელი იყო. ბოლოს, გაბრაზებული წავიდა და წინასწარ მოლაპარაკებულ თანხაზე 200 მანეთით ნაკლები გადაგვიხადა, რადგან ბრინჯაოს ქანდაკებაზე ცისფერი თვალების გაკეთების ხელოვნებას ვერ ვფლობდით...

— ახლა რაზე მუშაობთ?

— დავით სარაჯიშვილის ძეგლს ვაკეთებთ. მისი ავტორი თენგიზ კიკალეიშვილია. ქანდაკება რიყეზე უნდა დაიდგას.

P.S. „ქართველის დედასთან“ დაკავშირებით კი, კიდევ ერთ კურიოზს მოგითხრობთ. საკუთრების დაცვის პოლიციაში ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე ბატონი ავთო დოლაკიძე მუშაობდა. ეს ამბავიც მისგან მსმენია: „ დილით სამსახურში მივედი, მაგრამ ისეთ „პახმელიაზე“ ვიყავი, სიცოცხლე აღარ მინდოდა. თავის ტკივილით შეწუხებულმა ფანჯარაში ყურება დავიწყე. ჩემი კაბინეტიდან პირდაპირ ჩანს „ქართველის დედა“ მთელი თავისი მშვენიერებით. ბიჭოს! ორი „ქართველის დედა“ დგას თბილისის თავზე და ამყად გადმოჰყურებს მას... შემეშინდა, თვალები დავხუჭე, გავახილე — ისევ ორია. ვიფიქრე, სასმლისგან რაღაც მჭირს-მეთქი. სასწრაფოდ ჩავჯექი სავარძელში, მდივანს დავურეკე და ვთხოვე, ჩემი მოადგილე შემოსულიყო. ვზივარ და ვფიქრობ: ახლა, კარი რომ გაიღოს და ორი ერთნაირი მოადგილე შემოვიდეს, ხომ დავიღუპე-მეთქი? კარი გაიღო და ერთი მოადგილე შემოვიდა. შვებით ამოვისუნთქე და ვთხოვე, ფანჯარაში გაეხედა და რაიმე უცნაურს თუ შენიშნავდა, ეთქვა. უცნაური ის არის, რომ ორი „ქართველის დედა“ დგას, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ძველი ახლით უნდა შეცვალონო, — მითხრა. აი, მაშინ კი მართლაც შვებით ამოვისუნთქე“. ■

„საქმიან ადამიანებს ქალების სათვალთვალოდ არ სცხელათ", – არიგებდა დიუმა-მამა გარდატეხის ასაკს მიღწეულ დიუმა-შვილს. ჯეთილშობილ XIX საუკუნეში ავადმყოფური ლტოლვა იმის საჭვრეტად, რისი ნახვაც არ ეგებოდა, – ვუაიერიზმი (ფრანგული **voyeur** – „მაყურებელი") – არა იმდენად ფსიქიკურ მოშლილობად აღიქმებოდა, რამდენადაც მორალურ გახრწნილებად. „დედოფალი მარგოსა" და „გრაფინია დე მონსოროს" ჯეთილგონიერი ავტორი ყოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდა იმას, რომ 150 წლის შემდეგ, ვუაიერიზმის ეპიდემია მთელ სამყაროს მოედებოდა.

ვუაიერიზმი

ჭუჭრუტანაში ცქერის ისტორია კოტილიონიდან ინტერნეტ-სერიალამდე

წარსულ დროში თვალთვალის მანკიერებაში, ძირითადად, ძნელად აღსაზრდელი მოზარდები და მორალურად არამდგრადი ბერები იყვნენ შემჩნეულნი. შუა საუკუნეების ინგლისის მატიანეში აღწერილია ბერი ფაბრიციუსის დასჯის ამბავი, რომელიც ლონდონში ექსცენტრიკული ლედი გოდივას მიერ მოწყობილი პირველი სტრიპტიზ-შოუს უნებლიე მოწმე გახდა. მან მეფის მიერ დაწესებული მაღალი გადასახადების წინააღმდეგ პროტესტი შემდეგნაირად გამოხატა: შავ ცხენზე ამხედრებული შიშველი ქალბატონი ლონდონის ვიწრო ქუჩებში დაქროდა. ამ სანახაობამ საცოდავ ბერზე მეხის დაცემასავით იმოქმედა. უბედურმა თვალი ვერ მოსწყვიტა ურცხვ მხედარს, რისთვისაც საეკლესიო სასამართლომ თვალების დათხრა მიუსაჯა.

ვიქტორიანულ ეპოქაში ვუაიერიზმში ბრალდებულ არა მარტო სასულიერო, არამედ საერო პირებსაც კანონი სასტიკად სჯიდა. გაერთიანებულ სამეფოში ამგვარი დანაშაულისათვის თვალისჩინს აღარ ართმევდნენ ადამიანს, მაგრამ კატორღაში კი სულ თავისუფლად გზავნიდნენ. „ჭეშმარიტი ჯენტლმენი ყოველთვის დააკაკუნებს – კარადის კარის გაღების დროსაც კი" – ენამახვილობდნენ დედოფალ ვიქტორიას ქვეშევრდომები.

იმისათვის, რომ კანონიერად დამტკბარიყვნენ აწეული კაბის ქვეშ ჭვრეტით, ფრანგებმა, თავიანთი ეროვნული ხასიათიდან გამომდინარე (ისინი ვუაიერიზმისაკენ განსაკუთრებით მიდრეკილნი არიან), გამოიგონეს იმ დროისათვის მეტად ფრივოლური ცეკვა – კოტილიონი. მისი დასახელება კაბის ქვეშ ჩასაცმელი ქვედაბოლოსაგან წარმოდგება, რომელიც ცეკვის დროს კაბის ფრიალისას, საკმაოდ კარგად ჩანდა. მეჯლისის ეტიკეტის თანახმად, კოტილიონი საღამოს დასრულებისას სრულდებოდა. ეს გონივრულიც იყო, რადგან ცეკვისას ქალბატონები საკმაოდ მაღლა გაჭიმულ ცხვირსახოცზე ხტებოდნენ და ვუაიერიზმით დაავადებულთათვის საჭვრეტი, საკმარისზე მეტიც იყო. კოტილიონის მუსიკის დასრულებამდე ბევრად უფრო ადრე, დარბაზი სანახევროდ ცარიელდებოდა; პუბლიკა ცეკვისას დაწყებული გართობის საძინებელში დამთავრებას ესწრაფოდა. ეს ვუაიერიზმისათვის დამახასიათებელი ფრიად ტიპური ქმედებაა! ასეთი ადამიანი ცნობისმოყვარეობის გამო კი არ იქცევა ასე, არამედ იმისათვის, რომ სექსუალური აღგზნება გამოიწვიოს.

პურიტანულ ევროპაში ვუაიერიზმით თავს ძირითადად, მამაკაცები იქცევდნენ და ისიც ფარულად. ფაინა რანევსკაია (საბჭოთა პერიოდის რუსი მსახიობი) ამას სქესთა შორის ფსიქოლოგიური განსხვავებით ხსნიდა: „ქალები, მამაკაცებზე გონიერები არიან. ოდესმე გაგიგიათ, რომ ქალს მხოლოდ იმიტომ დაეკარგა თავი, რომ გასაღების ჭუჭრუტანიდან მამაკაცის ლამაზი ფეხებისთვის მოეკრა თვალი?" თურმე, ამგვარი ქარაფშუტობა ჩინელი და იაპონელი ქალებისათვის, სავსებით ბუნებრივი ყოფილა. აღმოსავლეთში თვალთვალი ოჯახური ცხოვრების დაკანონებულ ფორმად მიიჩნეოდა და ამ ფრივოლურ ტრადიციას ქალები უფრო სიამოვნებით უხდიდნენ ხარკს, ვიდრე მამაკაცები.

ერმიტაჟში დაცულია XVI საუკუნის ჩინური ეროტიკული რომანის – „ცზინ, პინ, მეი" – „ქლიავის ყვავილები ოქროს ვაზაში" 12-ილუსტრაციიანი გრაგნილი. ამ საკმაოდ პიკანტური სურათების არსი წარწერებიდან ირკვევა: „ინჩუნი (მოახლე) ჭუჭრუტანიდან ჩუმად უთვალთვალებს თავის ქალბატონსა და მის საყვარელს". „ბატონი ჩენ ცზინცზი ერთობა ერთთან, მაგრამ საბოლოოდ გამოდის, რომ ორთან". სპეციალისტები

სხვის საძინებელში მესამე ადამიანად ყოფნის დაუძლეველ სურვილს, ვუაიერიზმის კლასიკურ სიმპტომად მიიჩნევენ.

„ათი ათასი შიშველი გოგონას ცქერა, ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე ერთის“, – ამტკიცებდა პოლონელი მწერალი ჰენრიკ სენკევიჩი. როცა გასული საუკუნის 60-იან წლებში ივ სენ ლორანმა პირველად მოუშიშვლა მკერდი მანეკენს (აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ერთს), საკოლექციო ჩვენებების დარბაზი, რომელიც ამ მომენტამდე ქალთა დახურული კლუბის შთაბეჭდილებას ახდენდა, ერთ საათში პარიზელი ვუაიერისტების ფსიქიატრიული სამკურნალო დაწესებულების ფილიალად გადაიქცა. XX საუკუნის დასაწყისში, ისინი საბანაო კოსტიუმებში გამოწყობილი ქალბატონების ჭვრეტით იქცევდნენ თავს. საბანაო კოსტიუმები კი, უნდა აღინიშნოს, რომ ჩითის კორსეტის, ნოჭებაყრილი პანტალონისა და შავი წინდებისაგან შედგებოდა.

1964 წელს მოდაში ბიკინი შემოვიდა, მოგვიანებით კი დამსვენებლები პლაჟებზე მკერდმოშიშვლებულები გამოჩნდნენ და ქალების ქურდულად თვალთვალის მოყვარულთა რაოდენობამ აშკარად იკლო. „თუ შიშველ ქალს დიდხანს უყურებ, ყურადღება ისევ მის სახეზე გადაგაქვს“, – ახსნა ეს პარადოქსი ამერიკელმა ესეისტმა ჰენრი მილერმა.

გარშემომყოფ ადამიანთა თვალთვალის ეპიდემიის აფეთქებას უახლესმა ვიდეოტექნოლოგიურმა გამოგონებებმა შეუწყო ხელი. აღმოსავლეთის მწერალთა მიერ თხზულებებში აღწერილი პიკანტური სცენები დიდი ხანია, რაც დეტალურადაა გადაღებული სექსუალურად გათავისუფლებული რეჟისორების მიერ. ტელეპროგრამები აქტიურად იწვევენ მილიონობით ტელემაყურებელს კოლექტიური ვუაიერიზმის სეანსების საცქერლად. ფარული კამერებით გადაღებული სიუჟეტები მრავლადაა ინტერნეტის ქსელშიც. ვიდრე ოპერატორები და ფოტოგრაფები ცნობილ ადამიანებზე ნადირობენ, უბრალო მოკვდავები ერთმანეთს იღებენ.

შარშან, თავის ავტორებს ერთდროულად ხუთი (!) „ოსკარი“ მოუტანა ფილმმა – „სილამაზე ამერიკულად“. ის ვუაიერიზმის თვალნათელ მაგალითად გამოდგება და თვალსაჩინოებისათვის სტუდენტ-მედიკოსებს უნდა უჩვენონ. გახმაურებული სურათის გმირი ნარკოტიკებით მოვაჭრე თინეიჯერია, რომელიც ფირზე საკუთარი მეზობლების ცხოვრების დეტალებს მეთოდურად აფიქსირებს. თავის მხრივ, არც მეზობლები უდებენ ტოლს და მას და მის მშობლებს უთვალთვალებენ. აბა, სხვა რაღა გვეთქმის – მკურნალობაა საჭირო, ბატონებო, მკურნალობა! სპეციალისტების აზრით, ეს სექსუალური პერვერსია (ლათინურიდან perversus – „წარყვნილი“) სწრაფად გავრცელდა ამერიკულ საზოგადოებაში, როცა მოდაში შემოვიდა ფართო, უფარდო ფანჯრები და აკვარიუმის მსგავსი მინისკედლიანი სახლები.

იმისათვის, რომ დაუსწრებლად ეზიაროს სხვის ცხოვრებას, თანამედროვე ამერიკელს ფანჯარასთან მისვლაც კი არ სჭირდება. საკმარისია, ჩართოს აშშ-ში ყველაზე პოპულარული ინტერნეტ-პროექტი Voyeur Dorm. ამ პროექტის მფლობელები 24 საათის განმავლობაში გადასცემენ პირდაპირ რეპორტაჟს ხუთი მშვენიერი გოგონას ბინიდან. ისინი საკუთარი სურვილით დათანხმდნენ ვიდეოკამერების ფხიზელი თვალის ქვეშ გამუდმებულ ცხოვრებას.

რაში სჭირდებათ კომპიუტერის სერიალის გმირებს ამგვარი გამჭვირვალობა? ბუნებრივია, ისინი ამაზე ხელოვნების სიყვარულით არ დათანხმებულან – გოგონები ინტერნეტ-არხის რეკლამის მეშვეობით, პრესტიჟულ კოლეჯებში სწავლის საფასურს იხდიან. დამატებითი საფასურის გადახდის შემთხვევაში, გოგონები საცვლის ქვეშ ფარული კამერის დამონტაჟებაზეც თანხმდებიან. როცა სკანდალურ საიტზე ამგვარი ხერხით გადაღებული კადრები გამოჩნდა, მისი ისედაც მაღალი რეიტინგი ლამის ცამდე ავარდა. „საზოგადოება უძღებ ინტერესს ისეთი საკითხებისადმი ავლენს, რაც ამ ცნობისმოყვარეობის ღირსი ნამდვილად არ არის“, – სამართლიანად აღნიშნა მსგავს სიტუაციაში ოსკარ უაილდმა.

ნიუ-იორკის ცნობილმა გამომცემლობამ – HarperCollin-მა ამას წინათ დაბეჭდა მდიდრულად გაფორმებული ფოტოალბომი, რომლის სათაურიც Voyeur – „ვუაიერია“. ერთ კვირაში ფოტოალბომი ასტრონომიული ტირაჟით გაიყიდა. ამ გამოცემაში თავმოყრილი იყო სხვადასხვა დროს გადაღებული შემთხვევითი ფოტოგრაფიები (როგორც მოყვარულთა, ასევე პაპარაცების ნახელავი).

ამგვარი კადრებით არაჯანსაღი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება უპირატესად, მამაკაცებს ახასიათებთ. ფსიქოლოგები ამას სოციალური სტრესის ზემოქმედების შედეგად მიიჩნევენ. კარიერის შექმნით შეპყრობილები, მუდმივ ცაიტნოტში ცხოვრობენ და იძულებულნი არიან, სხვის მიერ დაკანონებულ წესებს დაემორჩილონ. პერიოდულად ადამიანებს უჩნდებათ სურვილი, რომ თავი დაადწიონ სამსახურებრივ, ფინანსურ, იურიდიულ თუ ოჯახურ წნეხს. აქედან მომდინარეობს მათი ცხოველი ინტერესი ყველაფერი აკრძალულის მიმართ: თანამედროვე ვუაიერისტებს, თავისთავად, შიშველი ნატურა კი არ აღელვებთ, არამედ არალეგალურობის შეგრძნება და მომხდარის წინასწარ დაუგეგმაობა.



ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

1. „ლელა“ რევაზ ლაღიძის ოპერაა.
2. საწოვარას იტალიურად ტეტარელა ჰქვია.
3. ლოპე დე ვეგას 1500 კომედია აქვს დაწერილი.
4. კასრის ფიცრებს ორთქლის საშუალებით ხრიან.
5. ი – ასე ჰქვია სამხრეთ ჩინეთში მცხოვრებ ხალხს.
6. რემბრანდტს ფიზიკურად რიჩარდ ნიქსონს ამსგავსებენ.
7. ამერიკის კონგრესში ექვსი კონგრესმენი არაბული წარმოშობისაა.
8. დედამიწაზე ამჟამად შვიდი კალიფორნიული კონდორიღა დარჩა.
9. დია და მუშთარი პლანეტა იუპიტერის ძველი ქართული სახელებია.
10. როდოსის კოლოსი მზის ღმერთის, ჰელიოსის ქანდაკებას წარმოადგენდა.
11. ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციას ვილჰელმ კეიტელმა მოაწერა ხელი.
12. ნოსტრადამუსი ებრაელი იყო. მისი ბებია-ბაბუები ძალით მონათლეს ქრისტიანებად.
13. ლენინგრადის ბლოკადის დროს შიმშილისა და სიცივისაგან მილიონი ლენინგრადელი დაიღუპა.
14. ილია ჭავჭავაძის მეუღლეს მთავრობისთვის უთხოვია, რომ მკაცრად არ დაესაჯათ ილიას მკვლელები, რადგან კაცის მოკვდინება, ილიას იდეალებს ეწინააღმდეგებაო.
15. იაკის ძროხასთან შეჯვარება იძლევა ჰიბრიდებს, რომელთაგანაც შემდგომში მხოლოდ დედალი მრავლდება. P.S. იაკის ხორცი მაგარია, მაგრამ ძალზე გემრიელი.
16. „დათა თუთაშხიაც“ და „ვორა მბორგალიც“ თავად ჭაბუა ამირეჯიბმა თარგმნა რუსულ ენაზე.
17. ჰანიბალი უსასტიკესი ადამიანი იყო. როდესაც იგი ალპებზე გადასვლას გეგმავდა, მას ჰკითხეს, თუ როგორ აპირებდა სურსათით ჯარის მომარაგებას. კართაგენელმა მთავარსარდალმა მოკლედ უპასუხა: „ჩემს არმიას დაღუპული ჯარისკაცების ხორცით გამოვკვებავ“.
18. როლინგსტონი და პიჯაკი თამაზ კვაჭანტირაძის განუყრელი ატრიბუტიკაა. P.S. „ავი, პოხონდრია და უემური – ამ სამი სიტყვის თავკიდურა მარცვლებისაგან შექმნა მამაჩემმა ჩემი მეტსახელი და ავპოხუჟს მეძახდა. მე ვიტყოდი, რომ არც მთლად უმაგისობა იყო. ჰქონდა მამაჩემს

ქრისტიანული თვალსაზრისით, აბორტი ანუ მუცლადმყოფი ნაყოფის მოშორება უმძიმესი ცოდვაა. ეკლესიური სწავლებით, ყოველი ჩანასახი, განვითარების პირველი დღიდანვე უკვე ადამიანია. აბორტის დროს კი, სააბორტო ინსტრუმენტები ანაწევრებს და ანადგურებს ჩანასახს, რომელიც ყველაფერს გრძნობს...

აბორტის ცოდვასთან დაკავშირებით, გვესაუბრება ქვემო ბეთლემის ტაძრის დეკანოზი, მამა ალექსანდრე (გოლძვაძე)

რატომ ითვლება აბორტი უმძიმეს ცოდვად?

მორენა მერკვილაძე

შეიძლება თუ არა, აბორტის გამართლება რომელიმე შემთხვევაში?

– აბორტი ადამიანის კვლაზე დიდი ცოდვაა. როდესაც ზრდასრულ ადამიანს კლავენ, მას თავდაცვის საშუალება აქვს და ხშირად ის მონათლულიცაა. აბორტის დროს კი კლავენ ადამიანს, რომელსაც არ შეუძლია საკუთარი თავის დაცვა. ამასთანავე ის მოუნათლავიცაა. აქედან გამომდინარე, აბორტის დროს, ჩანასახის ფიზიკურ განადგურებასთან ერთად, მისი სულიერი განადგურებაც ხდება ანუ მშობელი ჩვილის სულს ჯოჯოხეთისთვის ამზადებს.

— ითვლება თუ არა აბორტი ცოდვად იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელმა იცის, რომ ბავშვი ფიზიკური ნაკლით დაიბადება?

– ეს იგივეა, რომ დედამ დეფექტური ბავშვი მოკლას. ერთ-ერთ მრავალშვილიან დედას ექიმები არწმუნებდნენ, რომ ბავშვი ჯანმრთელი არ დაიბადებოდა და დაჟინებით სთხოვდნენ, აბორტი გაეკეთებინა, მაგრამ მან ბავშვი მაინც გააჩინა, რომელიც სრულიად ჯანმრთელი და უვნებელი დაიბადა. სხვათა შორის, ეს ქალი ავადმყოფობდა და მშობიარობის შემდეგ, თვითონაც გამოჯანმრთელდა. ასეთი შემთხვევა ხშირად ყოფილა.

— თუ აქვს გამართლება აბორტს იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლები ფიქრობენ, რომ მატერიალური სიდუხჭირის გამო, ბავშვის რჩენას ვერ მოახერხებენ?

– არ არსებობს მიზეზი, რომელიც აბორტს გაამართლებდა. მორწმუნემ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ ისეთი ოჯახი, სადაც მშობლები შვილთა კვლის ცოდვით ცხოვრობენ, უფლისგან არასოდეს იქნება კურთხეული. ასეთ ოჯახს, მატერიალურ პრობლემებთან ერთად, უფალმა შეიძლება სხვა ცხოვრებისეული განსაცდელიც მოუვლინოს (ცოლქმარს შეიძლება განუწყვეტლივ უთანხმოება ჰქონდეს, ან მძიმე სენით დასნეულდეს და სხვ). ქრისტიანობაში ბევრჯერ მომხდარა, როდესაც ბავშვი მხოლოდ ღმერთის იმედად გაუჩენიათ, სანაცვლოდ კი, ღმრთის მეოხებით, ოჯახი გასაჭირიდან გამოსულა.

— რას ურჩევს ეკლესია ქალს, რომელსაც ოჯახის წევრები და ზოგჯერ ქმარიც, კატეგორიულად სთხოვენ აბორტის გაკეთებას?

– არქიმანდრიტი რაფაელი ქადაგებაში – აბორტის შესახებ, პირდაპირ სცემს პასუხს მსგავს სიტუაციაში ჩავარდნილ ქალებს: „ქრისტიან ქალს ღვთის განგება იფარავს, მას აქვს ძალა იმისათვის, რომ წინ აღუდგეს დემონებს და ადამიანებს – ეს მადლის ძალაა. აქვს ნუგეში – ეკლესია, აქვს წყარო ძლიერებისა – ეს არის ლოცვა და სასოება. ასეთი ქალისთვის შვილის გაჩენა დიდი ღვაწლია, რომელიც ქრისტეს აღმსარებლობის ტოლფასი ხდება“. ქალი, რომელიც ოჯახის წევრების წინააღმდეგობის მიუხედავად, ბავშვს მაინც გააჩენს, მიწიერ ცხოვრებაში, სულიერი სიხარულით და დაწყნარებული სინდისით იცხოვრებს, იმ ქვეყნად ღვთის უდიდესი წყალობა ელოდება.

— მიეტევება თუ არა ადამიანს შვილთა კვლის ცოდვა?

– არ არსებობს ცოდვა, რომელიც

აღემატება ღვთის მოწყალებას, ამიტომ ნებისმიერმა ადამიანმა, ვინც აბორტის ცოდვას ატარებს, აუცილებლად უნდა თქვას აღსარება და ეს ცოდვა გულით შეინანოს.

— ედება თუ არა ეპიტიმია (საეკლესიო სასჯელი) ადამიანს, რომელიც აბორტის ცოდვის მონანიებას გადაწყვეტს?

— ძველად, როდესაც ხალხში რწმენა სათანადო დონეზე იდგა, რუსეთის სინოდის მიერ მიღებული კანონის თანახმად, მშობლებს, რომლებსაც თავიანთი დაუდევრობის გამო, ჩვილი მოუნათლავი გარდაეცვლებოდათ, სამი წელი არ აზიარებდნენ. ამასთანავე მათ ყოველდღიურად 200 მეტანია (მუხლდრეკა) უნდა შეესრულებინათ, მომდევნო ორი წლის განმავლობაში კი, ყოველდღიურად 100 მეტანია ენიშნებოდათ სასჯელად. ბუნებრივია, სასჯელი კიდევ უფრო იზრდებოდა აბორტის შემთხვევაში. მაგრამ დღეს ხალხში იმხელა რწმენა აღარ არის, რომ მსგავს ეპიტიმიას გაუძლონ. თუმცა ყველაზე დიდი საეკლესიო სასჯელი, მაინც აბორტის ცოდვის გამო ედებათ — მეტანიები იქნება ეს, ლოცვითი კანონის კითხვა თუ უზიარებლობა. შეიძლება ასეთ დროს მონანულს სულიერმა მოძღვარმა დაუნიშნოს მარხვაც. მაგრამ ერთი წესი ყველაზე არ ვრცელდება — გააჩნია, ვინ როგორ ნანობს ჩადენილ ცოდვას, რელიგიურად ვინ რა დონეზეა, როგორი ფიზიკური შესაძლებლობა აქვს და სხვა. ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაბამისი ეპიტიმიის დადების გადაწყვეტილებას, სულიერი მოძღვარი იღებს.

— აქვს თუ არა ცოდვა ჩადენილი ადამიანს, რომელიც ახლობელს აბორტის გასაკეთებლად გაჰყვა, ან მუცლადმყოფი ნაყოფის მოშორება ურჩია?

— ასეთი ადამიანები ღმერთისგან ზუსტად ისე განისჯებიან, როგორც აბორტის ცოდვის ჩამდენნი, ამიტომ ეს ცოდვა უნდა მოინანიონ. ცოდვას სჩადიან ასევე ის მედიცინის მუშაკებიც, ვინც აბორტის გაკეთებაში ღებულობენ მონაწილეობას.

— როგორია ეკლესიის დამოკიდებულება კონტრაცეპტივების — ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების მიმართ?

— კონტრაცეპტივი ჩასახვას ეწინააღმდეგება, ის არის მინიაბორტი, რომელიც საabორტო იარაღების გარეშე სპობს ჩანასახს. ადამიანმა, რომელიც ამ საშუალებებს ხმარობს, არ იცის, როდის კლავს ნაყოფს და შესაბამისად, ცოდვაც მოუნანიებელი რჩება.

— აქედან გამომდინარე, მათი ზიარებაც დაუშვებელია, მაშინ რატომ აზიარებს ზოგიერთი სასულიერო პირი ქალს, რომელიც კონტრაცეპტივებს ხმარობს?

— იმ სასულიერო პირებმა, რომლებიც ასეთ ადამიანს აზიარებენ, როგორც ჩანს, არ იციან, რომ კონტრაცეპტივების გამოყენება უდიდესი ცოდვაა. ასეთი ზიარება მაკურნებელიც ვერ იქნება, რადგან კონტრაცეპტივმა შეიძლება ზუსტად იმ დროს მოკლას ნაყოფი, როდესაც ადამიანი ეზიარება. აქედან გამომდინარე, მისი მაზიარებელი სასულიერო პირიც გაუცნობიერებელ ცოდვას სჩადის, რაც აუცილებლად უნდა აღიკვეთოს.

— მაშინ როგორ უნდა აიცილოს ქალმა არასასურველი ორსულობა, რომელიც ამავდროულად, აბორტის ცოდვასაც აირიდებს?

— მორწმუნემ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ ორსულობა ღვთის კურთხევაა, თუ ღმერთი არ ჩათვლის საჭიროდ, ქალი არ დაორსულდება, ხოლო თუ დაორსულდა, ბავშვი აუცილებლად უნდა გააჩინოს. ასეთი საკითხები საერთოდ ადამიანმა უნდა გაარკვიოს სულიერ მოძღვართან.

— შეიძლება თუ არა, აბორტის შედეგად გარდაცვლილი ქალის ქრისტიანული წესით დაკრძალვა და მოხსენიება?

— თუ ქალი უშუალოდ აბორტის დროს გარდაიცვალა, მისთვის ქრიატიანული წესის აგება და ლოცვებში მოხსენიება დაუშვებელია; ხოლო თუ აბორტს სასიკვდილო გართულება მოჰყვა და ადამიანმა მოასწრო აბორტის ცოდვის აღსარებით მონანიება, ქრისტიანული წესით დაკრძალვა აღარ იკრძალება. ■

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

საფუძველი, ჩემთვის ეს სახელი დაერქმია“, — ღიმილით ჰყვებოდა თამაზ კვაჭანტირაძე.

19. ამერიკული ვაზის ჯიში, იზაბელა, ევრეთ წოდებული „ადესა“, ბუნებრივი ჰიბრიდია.

20. ვერ წარმომიდგენია, ჩემი ცოლის გარდა, როგორ შეიძლება, სხვა ქალს ვაკოცოო — ამბობდა ფილიპ ნუარე. P.S. მისი სასცენო პარტნიორები, კატრინ დენევი და რომი შნაიდერი მაინც არ ყოფილიყვნენ...

21. სამხრეთ სახალინი, კურილიის კუნძულები და პორტ-არტური — ეს ყველაფერი სტალინმა 1945 წელს იალტაში იმ დაპირების სანაცვლოდ მიიღო, რომ საბჭოთა კავშირი იაპონიის წინააღმდეგ იომებდა.

22. იაპონიაში არსებობს კინოთეატრი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ერთ ფილმს უჩვენებს. ეს არის „ქარწაღებულნი“.

23. ბავშვობაში გადატანილი ოპერაციის გამო, გარინჩას მარცხენა ფეხი მარჯვენაზე მოკლე ჰქონდა.

24. აშშ-ის პრეზიდენტის ბილ კლინტონის ირგვლივ ატეხილმა სკანდალებმა საკმაოდ შეარყია მისი ფინანსური მდგომარეობა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მისმა მომხრეებმა პრეზიდენტის დაცვის ფონდისთვის ფულის შეგროვება დაიწყეს. ისინი უგზავნიდნენ წერილებს მოსახლეობას და სთხოვდნენ დახმარებას. ხალხიც, ჩვეულებრივ, ან რაიმე თანხას რიცხავდა ფონდში, ანდა წერილს უპასუხოდ ტოვებდა. მაგრამ ერთ-ერთ ასეთ წერილს მოჰყვა კალიფორნიელი მოქალაქის გაგულისებული პასუხი: „თქვენ ალბათ სულელები ხართ, რადგან ასეთი თხოვნით მომმართავთ!“ წერილის ავტორი მონიკა ლევინსკის მამა აღმოჩნდა.

25. ერთხელ თემურ მღებრიშვილის მეუღლემ, სამარშრუტო ტაქსიში მგზავრობისას ვაიგონა, რომ მის ქმარს გაჰკრეს კბილი. ძალოვანთა მაღალჩინოსნის მეუღლემ თავდაპირველად ამას ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ როდესაც მისი ქმრის გვარი ყველა ბრუნვაში მოიხსენიეს, ვედარ აიტანა, მძღოლს მანქანა დროზე ადრე ვააჩერებინა და ჩასვლისას იქ მსხდომთ ქოქოლა დააყარა: თქვენც დაგეცეთ ეხი და იმ მღებრიშვილსაცო!..

მათეუსი გაანაწყენეს

გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა, ლოთარ მათეუსმა დიდი სკანდალით დატოვა მიუნხენის „ბაიერნი“. კლუბის დატოვებამდე მან „ბაიერნის“ ხელმძღვანელობას უკან დაუბრუნა რამდენიმე წლის წინ მის გამოსამშვიდობებელ მატჩში მიღებული საჩუქრები და მიუნხენური გუნდის საპატიო წევრობაზეც უარი განაცხადა. მათეუსის თქმით, იგი საკუთარ თავს იმის უფლებას ვერ მისცემდა, რომ „ბავარიის“ მენეჯერის, ული ჰაინესის განცხადება რეაგირების გარეშე დაეტოვებინა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ლოთარ მათეუსმა მძაფრად გააკრიტიკა თავისი ყოფილი კლუბი ჩემპიონთა ლიგაში განცდილი ფიასკოს გამო, რის შემდეგაც ჰაინესმა „ბაიერნში“ მის „მოედნის მომვლელად“ დაბრუნებაზეც კი უარი განაცხადა. შეიძლება ითქვას, რომ „ბაიერნიდან“ მათეუსის ასეთი სკანდალით წასვლა საკმაოდ უარყოფით ზეგავლენას მოახდენს მიუნხენური კლუბის პრესტიჟზე. მკითხველს შევახსენებთ, რომ 41 წლის ლოთარ მათეუსი წლების წინ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. „ბავარიასთან“ ერთად მას შვიდჯერ აქვს მოგებული გერმანიის ჩემპიონატი, სამჯერ ქვეყნის თასი და ერთხელაც უეფას თასი. ვეტერანი გერმანელი ფეხბურთელის უმთავრეს მიღწევად კი, ცხადია, 1990 წელს, ბუნდეს-ნაკრებთან ერთად, მსოფლიო ჩემპიონატის მოგება ითვლება.

„ოქროს ბურთის“ ციებ-ცხელება უკვე დაიწყო

ფრანგულმა ყოველკვირეულმა გამოცემამ, France Football-მა დაასახელა იმ 50 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც „ოქროს ბურთის“ მოპოვების კანდიდატებად მიიჩნევიან. სპორტის ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი 17 დეკემბერს გამოვლინდება. გამოქვეყნებულ სიაში კლუბებს შორის შვიდი ფეხბურთელით „რეალი“ ლიდერობს (ლუიშ ფიგუ, იკერ კასილასი, კლოდ მაკელელე, რაული, რობერტო კარლოსი, რონალდო, ზიდანი). რვა ფეხბურთელით არის წარმოდგენილი ბრაზილიის ეროვნული ნაკრები (კარლოსი, რონალდო, რონალდინიო, კაფუ, რივალდო, სონი ანდერსონი, ლუსიო, ედმილსონი). აღსანიშნავია ის, რომ სიაში, ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან, არც ერთი ფეხბურთელი არ მოხვდა. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, ყველაზე მოულოდნელი ის იყო, რომ France Football-ის მესვეურთა ყურადღების მიღმა „მილანის“ უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო აღმოჩნდა, რომელიც ტრავმის მოშუშების შემდეგ იშვიათად ხვდება თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში. აი, ფეხბურთის მეფემ კი, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულისათვის ბრძოლაში გამარჯვება ფრანჩესკო ტოტის უწინასწარმეტყველა. პელეს აზრით, ბოლო ხუთი წლის მანძილზე „რომას“ ლიდერი ბრწყინვალედ თამაშობს და France Football-ის მიერ გამოქვეყნებულ სიაში წარმოდგენილ იტალიელთაგან (ტოტი, ვიერი, ფილიპო ინძაგი, პაოლო მალდინი, დელ პიერო), ყველაზე მეტად „ოქროს ბურთს“ სწორედ ის იმსახურებს. „ჩემი აზრით, ევროპის 50 საუკეთესო ფეხბურთელს შორის მოხვედრილი ხუთი იტალიელიდან ტოტი საუკეთესოა“, — დასძინა ტყავის ბურთის ჯადოქარმა. მკითხველს კი, შევახსენებთ, რომ გასულ წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად მაიკლ ოუენი დასახელდა.

„რომას“ გულშემატკივრებმა საპროტესტო აქცია გამართეს

საყვარელი გუნდისათვის იტალიელი ტიფოზები უკან არაფერზე დაიხევენ. ამაში ცოტა ხნის წინ კიდევ ერთხელ დარწმუნდა საფეხბურთო სამყარო. „რომას“ ასეულობით აღგზნებულმა ქომაგმა იტალიის დედაქალაქში ფეხბურთის ფედერაციის შტაბბინის მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქცია მოაწყო, რის გამოც რომის ცენტრში რამდენიმე საათის განმავლობაში შეწყვეტილი იყო საავტომობილო მოძრაობა. ტიფოზები იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას „რომასთან“ უსამართლო მოპყრობაში სდებდნენ ბრალს და საყვარელი გუნდის „მჩაგვრელების“ მისამართით ლანძღვა-გინებას არ იშურებდნენ. რომაელი გულშემატკივრების აღშფოთებამ კულმინაციას სერია A-ს ბოლოსწინა ტურის შემდეგ მიაღწია, როდესაც „ინტერთან“ გამართულ შეხვედრაში ჯონათან ძებინას მიერ მილანელ ფეხბურთელებთან წამოწყებული ჩხუბის გამო, ამ უკანასკნელს დისკვალიფიკაცია მისცეს. გაცნობებთ, რომ რომაელი ტიფოზების მიერ მოწყობილი საპროტესტო აქცია წელს პირველი არ ყოფილა იტალიაში. მანამდე თავიანთი უკმაყოფილება „ლაციოს“ გულშემატკივრებმა გამოხატეს და სერჯიო კრანოტის ქალაქგარეთ მდებარე მამულს შემოარტყეს ალყა. ანალოგიურად მოიქცნენ გაკოტრებული „ფიორენტინას“ ქომაგებიც, რომლებმაც ვიტორიო ჩეკი გორის ვილაზე მიიტანეს იერიში.

ოუენი მალე მამა გახდება

„ლივერპულისა“ და ინგლისის ეროვნული ნაკრების 22 წლის ფორვარდ, მაიკლ ოუენსა და მის მეგობარ ლუიზა ბონსალს მალე ბავშვი შეეძინებათ. მაიკლი და ლუიზა ერთ სკოლაში სწავლობდნენ და ისინი თოთხმეტი წლის ასაკიდან ხვდებიან ერთმანეთს. ლუიზა ორსულობის მეოთხე თვეშია, მაგრამ წყვილი უახლოეს მომავალში დაქორწინებას მაინც არ აპირებს. „ჩემს კარიერაში რამდენიმე ფანტასტიკური მომენტი იყო, თუმცა ვერაფერი შეედრება იმ გრძნობას, რომელიც მას შემდეგ განვიცადე, რაც ლუიზამ გამანდო, რომ ჩვენ შვილი გვეყოლებოდა“, — განაცხადა ოუენმა.

„ნოუ-კამპი" - ლუიშ ფიგუ 0:0

ორ ესპანურ საფეხბურთო-საკლუბო გრანდს, — „ბარსელონასა" და „რეალს" შორის დაპირისპირება ისეთი მოვლენაა, რომელიც წელიწადის დროთა მონაცვლეობის ან თუნდაც, პალესტინის კრიზისის მსგავსად, მუდმივად გრძელდება. წელიწადის დროთა მონაცვლეობა დედამიწელთათვის ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო მოვლენაა, რასაც, რაღა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პერმანენტულ ომზე. აი, „ბარსელონა"-„რეალის" „საფეხბურთო ომი" კი, რომელიც უკვე ათწლეულების მანძილზე გრძელდება, საფეხბურთო სამყაროს ხან ბედნიერების წუთებს განაცდევინებს და ხანაც იმის თვალსაჩინო მაგალითად ევლინება, თუ რა სისაძაგლეს შეიძლება დაემსგავსოს ეს უწყინარი და თვალწარმტაცი თამაში მაშინ, როდესაც სტადიონზე ჯანსაღ სპორტულ აზარტს, წრეგადასული ემოციები სჭარბობს ხოლმე. ალბათ, ფეხბურთის ჭეშმარიტი ქომაგები სწორედ ულამაზესი საფეხბურთო სპექტაკლის მოლოდინში იყვნენ, შაბათს ღამით „ნოუ-კამპზე" გამართულ „ბარსელონა"-„რეალის" შეხვედრამდე. თუმცა, როგორც შემდგომში გაირკვა, ასე სულაც არ ფიქრობდნენ კატალონიელი გულშემატკივრები, რომლებიც მადრიდელებთან ნამდვილი ომის გამართვას აპირებდნენ. ამ მატჩის მთავარ გმირად „სამეფო კლუბის" ნახევარმცველი, ფიგუ იქცა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ლუიშმა განსაკუთრებულად კარგი თამაშით გამოიჩინა თავი (რასაც პორტუგალიელისაგან ამ შეხვედრაში ვერც ვერავინ მოითხოვდა), არამედ იმიტომ, რომ მან უდიდესი ნებისყოფა გამოავლენს და მედგარი წინააღმდეგობა გაუწია „ნოუკამპელთა" შემოტევებს. კატალონიელმა ქომაგებმა კი, ფიგუსა და კომპანიის ფსიქოლოგიურად დასათრგუნად ენერგია არ დაიშურეს და ლანძღვა-გინების თანხლებით, მოედანზე ისროდნენ ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. მიუხედავად „ნოუ-კამპის" ტრიბუნებზე არსებული მეტისმეტად არასპორტული ვითარებისა, მადრიდელთა პორტუგალიელი ვარსკვლავი მაინც ჯიუტად განაგრძობდა თამაშს და არც კუთხურების ჩაწოდებას ერიდებოდა, რითაც კიდევ უფრო დიდ საფრთხეში იდებდა თავს, რადგან „ბარსელონის" აღგზნებული ქომაგები ყველაზე უკეთესად მინდვრის სწორედ ამ მონაკვეთზე ახერხებდნენ ბოთლების, სანთებლებისა თუ სხვა საგნების მიზანში სროლას. ისედაც აბობოქრებული „ნოუ-კამპისთვის" ცეცხლზე ნავთის დასხმის ტოლფასი აღმოჩნდა ის ეპიზოდი, როდესაც „უტიფარმა" ფიგუმ ერთ-ერთი კუთხურის ჩაწოდების წინ, მშვიდად დაიწყო სათამაშო მოედნის გასუფთავება ტრიბუნებიდან გადმოყრილი საგნებისაგან. ერთი სიტყვით, „ნოუ-კამპის ფრონტზე" ისე დაიძაბა ვითარება, რომ ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, მატჩის არბიტრს, ლუის კანტალეხოს ბრძნული და დროული გადაწყვეტილება რომ არ მიეღო და შეხვედრის 74-ე წუთზე მოთამაშეები დროებით მოედნიდან არ გაეყვანა.

თამაში 10 წუთის შემდეგ განახლდა და მასპინძლებმა უმნიშვნელო უპირატესობაც მოიპოვეს. ბოლო წუთებზე კი, რიკელმეს დარტყმის შემდეგ, კატალონიელებს გამარჯვების გოლის გატანაც შეეძლოთ, თუმცა „სამეფო კლუბი" მიჩელ სალგადომ იხსნა, რომელმაც ბურთი თავისი გუნდის ცარიელი კარიდან გამოიტანა. საბოლოოდ, „ბარსელონა"-„რეალის" ანტისაფეხბურთო მატჩი ანგარიშით 0:0 დასრულდა, რაც მადრიდელებს უფრო აძლევდა ხელს.

მატჩის შემდეგ „ბარსელონისა" და „რეალის" მესვეურები „ნოუ-კამპზე" განვითარებულ ნეგატიურ მოვლენებში, ერთიმეორეს სდებდნენ ბრალს. კატალონიური კლუბის მთავარი მწვრთნელი, ვან გაალი და პრეზიდენტი, გასპარი აცხადებდნენ, რომ გულშემატკივართა პროვოცირებასა და გაღიზიანებას თავად ლუიშ ფიგუ უწყობდა ხელს, რომელიც შექმნილი დაძაბული ვითარების მიუხედავად, მაინც ჯიუტად განაგრძობდა კუთხურების ჩაწოდებას. პორტუგალიელმა ვარსკვლავმა კი, დასძინა: ყველაფერში დამნაშავე „ბარსელონის" პრეზიდენტია, რომელმაც სტადიონზე წესრიგი არ უზრუნველყოო. მატჩის შეფასებისას შედარებით ზომიერი იყო „რეალის" მწვრთნელი, დელ ბოსკე, რომლის აზრითაც შეიძლებოდა, ფიგუს კუთხურების ჩაწოდებისაგან თავი შეეკავებინა, თუმცა ფეხბურთელს სრული უფლება აქვს, თამაშის დროს ისე მოიქცეს, როგორც საჭიროდ მიიჩნევს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ გასულ საფეხბურთო სეზონში „სანტიაგო ბერნაბეუზე" გამართულ ჩემპიონთა ლიგის პირველ შეხვედრაში ლუიშ ფიგუმ განგებ დაარღვია თამაშის წესი, რათა მეორე ყვითელი ბარათი მიეღო და განმეორებითი მატჩის სათამაშოდ „ნოუ-კამპზე" გამოსვლა და კატალონიელთა რისხვა თავიდან აეცილებინა. წელს კი, კატალონიაში გამგზავრებისგან თავი შეიკავა კიდევ ერთმა ყოფილმა „ბარსელონელმა", ამჟამად „სამეფო კლუბელმა" — რონალდომ, რომელსაც „ბარსელონა"-„რეალის" მატჩის წინ „გრიპი შეეყარა".

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

ჯულიანა მური: ცხოვრება წესების გარეშე

ბავშვობაში ჯული საოცრად დამჯერი ბავშვი იყო. მამამისი სამხედრო მოსამართლე – მურ სმიტი, არასოდეს ათამამებდა თავის ორ ქალიშვილს და ბავშვობიდანვე წესრიგსა და დისციპლინას აჩვევდა. დედა – ანა სმიტი, ფსიქოლოგი იყო და მეუღლეს ყველაფერში ეთანხმებოდა. გოგონები მამის მიერ მკაცრად განსაზღვრულ წესებს ემორჩილებოდნენ: შინ რვა საათზე გვიან არ ბრუნდებოდნენ, ცხრისთვის კი, უკვე ლოგინებში იწვნენ. სმიტები ყოველდღე ერთსა და იმავე დროს საუზმობდნენ, სადილობდნენ და ვახშმობდნენ. კვირაობით მთელი ოჯახი კინოთეატრში მიდიოდა. ჯულის განსაკუთრებით მოსწონდა ფილმები ჯუდი დევისის, ვანესა რედგრეივისა და მერილ სტრიპის მონაწილეობით. მოგვიანებით, მან აღნიშნა, რომ ეს მსახიობები მისთვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდნენ.

ჯული ბეჯითად სწავლობდა და გამორჩეულად უყვარდა ლიტერატურა. აი, თანაკლასელებთან საერთო ენის გამონახვა კი ყოველთვის უჭირდა. გოგონა საოცრად მოუქნელი, აწოწილი, წითური და ჭორფლიანი იყო, სათვალესაც ატარებდა. იგი შინ ხშირად თვალცრემლიანი ბრუნდებოდა და ერთადერთი, რითიც თავს ინუგეშებდა, ის იყო, რომ მას იმ ქალაქში დიდხანს ცხოვრება არ მოუწევდა: ჯულის მამა გამუდმებით გადაჰყავდათ ქალაქიდან ქალაქში და სრულწლოვანების ასაკამდე, ოცდასამჯერ გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი.

ჯულიმ ადრევე შეიმუშავა საკუთარი პრინციპები და განუხრელად იცავდა მათ. გოგონა მიზანმიმართული და შრომისმოყვარე იყო. სწორედ რკინისებური თვითდისციპლინა დაეხმარა მას გახდომაში: ჯულიმ ნახევარ წელიწადში ათი კილოგრამი დაიკლო. შეკითხვას – თუ რატომ გადაწყვიტა მან მსახიობობა, ჯულიანა ჩვეულებრივ, ასე პასუხობს: „მე ეს პროფესია გულუბრყვილობით ავირჩიე, მაგრამ ბედნიერი ვარ, ასე რომ მოხდა“.

პირველივე გასაუბრებაზე გოგონას უთხრეს, რომ თეატრში მისი სეხნია მსახიობი – ჯული სმიტი უკვე ჰყავდათ. ჯულის ამ საკითხზე ბევრი არ უფიქრია (საკუთარ სახელს დედის სახელი დაამატა, ხოლო მამის სახელი გვარად გამოიყენა) და ფსევდონიმად ჯულიანა მური აიღო. დამწყები მსახიობის შრომისმოყვარეობაზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ: მან რამდენიმე წელიწადში ოთხმოც სპექტაკლში მოახერხა მონაწილეობა, სადაც ძირითადად ეპიზოდურ როლებს ასრულებდა. შემდეგ ბროდვეიზე განაგრძო საქმიანობა, ხოლო ოცდაოთხი წლისამ „საპნის ოპერაში“ – „ვიდრე სამყარო ბრუნავს“,

ერთდროულად ორი პერსონაჟი, ტყუპი და – კეთილი ფანი ჰიუჯერსი და ჭირვეული საბრინა განასახიერა. სერიალი ოთხი წლის განმავლობაში გადიოდა ტელეეკრანზე. ჯულიანა ამ ფილმში ნათამაშები როლებისთვის პრემია „ემით“ დააჯილდოეს.

მიუხედავად თავდაუზოგავი შრომისა, ჯულიანას კარიერა კუს ნაბიჯით მიიწევდა წინ და გოგონას ლამის იყო, გულიც კი გასტეხოდა. მხოლოდ ოცდაცხრა წლის ასაკში შედგა მისი დებიუტი დიდ კინოში, სადაც ჯულიანამ მსხვერპლის როლი შეასრულა ფილმში – „სისხლიანი ხოცვა-ჟლეტის ადგილი 2“. პირველი დასამახსოვრებელი სახე კი მან შექმნა ფილმში „ხელი, რომელიც აკვანს არწევს“, სადაც მთავარი გმირის მეგობარი გოგონას როლი ერგო. ამას მოჰყვა სხვა მეგობარი გოგონების, ოფიციანტებისა და ერთგული ცოლების ერთფეროვანი სახეები. მომქანცველი მოლოდინი მანამდე გაგრძელდა, სანამ მსახიობის მიერ შესრულებული როლი ფილმში „ლტოლვილი“ სტივენ სპილბერგმა არ შეამჩნია. სახელგანთქმულმა რეჟისორმა ჯულიანა დოქტორ ჰარდინგის („დაკარგული სამყარო“) სახის შესაქმნელად, ყოველგვარი სინჯის გარეშე დაამტკიცა.

1986 წელს იგი ცოლად გაჰყვა მსახიობ ჯონ გულდ რობინს. ჯულიანას ოჯახური ცხოვრებისთვისაც ჰქონდა შემუშავებული საკუთარი წესები და პრინციპები, რომელსაც ასევე ყოველთვის იცავდა. და მიუხედავად იმისა, რომ საოცრად თბილი, მომთმენი და უპრეტენზიო მეუღლე გახლდათ, მისი ქორწინება მაინც უიღბლო აღმოჩნდა. გარეგნულად ყველაფერი იდეალურად გამოიყურებოდა: მეგობრებთან თუ ჯულიანას მშობლებთან სტუმრობისას, ჯონი ყურებამდე შეყვარებული, ყურადღებიანი ქმრის როლს თამაშობდა, შინ კი ყველაფერი სხვაგვარად იყო: ქმარი სხვაგან ატარებდა ყოველ თავისუფალ საღამოს, ხშირად გამთენიისას ბრუნდებოდა შინ, ზოგჯერ კი რამდენიმე დღითაც უჩინარდებოდა ხოლმე. გამუდმებულმა მარტოობამ და ჯონის ურიცხვმა სასიყვარულო თავგადასავალმა ჯულიანა სასოწარკვეთამდე მიიყვანა. პრობლემა შემთხვევითმა სატელეფონო ზარმა გადაწყვიტა: უცნობმა გოგონამ ჯონს დაურეკა და როცა ჯულიანამ უპასუხა, რომ იგი შინ არ იყო, გაკვირვებულმა იკითხა: „თქვენ რატომ იღებთ ყურმილს? რა, მის ბინაში ცხოვრობთ და მასთან ერთად გძინავთ?“ ჯულიანამ უცნობს ყურმილი დაუკიდა და გადაწყვეტილებაც მიიღო – ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა.

მალე ნანატრი თავისუფლების დღეც დადგა. ჯულიანამ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ წესებს, რომელსაც შინ თუ გარეთ ყოველთვის განუხრელად იცავდა, ამიერიდან აღარასოდეს დაიცავდა და საკუთარ თავს ყველაფრის უფლებას მისცემდა: „ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ვეებერთელა ლოდი ჩამომეხსნა მხრებიდან და თავი საოცრად ბედნიერად ვიგრძენი“. მისი წესებიდან ერთ-ერთის თანახმად, ქალი საჭეს არ უნდა მისჯდომოდა. ჯულიანამ სასწრაფოდ დაარღვია ეს წესი: იყიდა ნაცრისფერი „ვოლვო“ და მანქანის ტარებასაც სარეკორდო დროში დაეუფლა. თმასაც ხან შავად, ხანაც ყავისფრად იღებავდა, რამდენიმე თვე კი საერთოდ, ქერად შეღებილი დადიოდა.

„მას რომ წესები არ დაერღვია, ჩვენ ვერასოდეს შევხვდებოდით ერთმანეთს“, – ამბობს რეჟისორი ბარტ ფრეინდლიჩი. მათი გაცნობის ამბავი კი, უკვე საოჯახო ლეგენდადაა ქცეული: ერთ საღამოს, გადაღებების შემდეგ, ჯულიანას მანქანა გაფუჭებული აღმოჩნდა. იმის ნაცვლად, რომ სტუდიაში დაბრუნებულიყო



და ტაქსი გამოეძახა (წესით და რიგით ასე უნდა მოქცეულიყო), ქუჩას ფეხით გაუყვა. მარტოდ მოხეტიალე ჯულიანას დანახვაზე, ბარტმა მანქანა გააჩერა. წესით ჯულიანა უცნობს მანქანაში არ უნდა ჩასჯდომოდა, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, საპირისპიროდ მოიქცა. „მე იგი საოცრად ლამაზი მომეჩვენა და მთელი გზა მისთვის რაღაც განსაკუთრებულის თქმა მსურდა, მაგრამ ჭკვიანური ვერაფერი მოვიფიქრე... სწორედ მაშინ შემიყვარდა“, — იხსენებს ფრეინდლიჩი. ისინი ხელმეორედ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, ბარტის ფილმის („მითი თითის ანაბეჭდების შესახებ“) კასტინგზე შეხვდნენ ერთმანეთს. მური ეპიზოდურ როლზე სინჯების გადასაღებად იყო მისული. ბარტმა, როგორც კი თვალი მოჰკრა, მაშინვე სცენარის გადაკეთებას შეუდგა, რათა მისი როლი უფრო მოზრდილი გამოსულიყო. ჯულიანასაც ბარტის მიმართ სერიოზული გრძნობა გაუჩნდა, მაგრამ ქორწინებაზე სიტყვის გაგონებაც არ სურდა (პირველი ქორწინებისას მიღებული ტრავმა ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული). მათ ერთად ცხოვრება გადაწყვიტეს. თანაცხოვრების პირველი წელი ყველაზე მძიმე აღმოჩნდა. „ჯულიანა შეუბრალებელი იყო. თუკი ჩემს საქციელში რაიმე არ მოსწონდა, პირდაპირ მომახლიდა ხოლმე“, — იხსენებდა ფრეინდლიჩი. როგორც ამბობენ, დიდად რბილი და დამთმობი ხასიათით არც ბარტი გამოირჩეოდა და ამ ერთი წლის მანძილზე, ჭირვეული ქალბატონის სამუდამოდ მიტოვება არაერთხელ უცდია, მაგრამ ყოველთვის უბრუნდებოდა ხოლმე. ჟურნალისტების შეკითხვას, თუ როგორ აფასებს იგი მათ ურთიერთობას, ფრეინდლიჩი ასე პასუხობს: „ჩვეულებრივ, ნიჭიერი ადამიანები ოჯახში მონსტრები არიან ხოლმე. მე მონსტრი ვარ, ჯულიანაც. გამოდის, რომ ჩვენ მონსტრების კავშირი გვაქვს... იმედი მაქვს, რომ ჩვენი ქალიშვილი ხასიათით არ დაემსგავსება თავის დედას“.

მათი ქალიშვილი ლივი ერთი წლისაა, ვაჟი კალები კი — ხუთის. „ქალისთვის ყველაზე მთავარი სულიერი გამოცდილების მომტანი შვილის გაჩენაა. შვილის დაბადებამდე ჩვენ სამყაროს ერთ მხარეს ვიმყოფებით, გაჩენის შემდეგ კი, მეორე მხარეს“, — ამბობს მური.

მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ ჯულიანა გაწონასწორებულ ცხოვრებას აღარც დაჰბრუნებია. მან საკუთარი კარიერაც კი თვითდინებაზე მიუშვა. „რაც უფრო ნაკლებს ფიქრობ საქმეებზე, მით უკეთ გამოდის ყველაფერი“, — აი, სიტყვები, რომელიც მისი ცხოვრების ახალ პრინციპად იქცა. მსახიობი მიიჩნევს, რომ სწორედ ამის წყალობით, ბოლოს და ბოლოს, ჰოლივუდის ვარსკვლავთა შორის დაიმკვიდრა ადგილი.

1999 წელს ჯულიანამ რეკორდი მოხსნა — იგი შვიდ ფილმში გადაიღეს. ორ მათგანში — „აფერის დასასრული“ და „ფორტუნის რჩეული“ — განსახიერებული პერსონაჟებისთვის ნომინირებული იყო „ოსკარზე“, მაგრამ მხოლოდ „ბუგის სტილის ღამეებში“ შესრულებული მეორეხარისხოვანი როლისათვის მიიღო ეს ჯილდო. ვარსკვლავს იმდენად მჭიდრო სამუშაო გრაფიკი აქვს, რომ ერთი პროექტის დამთავრების შემდეგ, ყოველგვარი დასვენების გარეშე, პირდაპირ მეორეზე უწევს გადასვლა.

მსახიობი შესანიშნავად ათავსებს კომერციულად მომგებიან ფილმებსა და დამოუკიდებელ რეჟისორთა სურათებში მონაწილეობას. „კრავთა დუმილის“ მეორე ნაწილის — „ჰანიბალის“ გადაღებებში მას სამი მილიონი დოლარი გადაუხადეს; დამოუკიდებელი რეჟისორის ფილმში — „კუკის ბედნიერება“ შექმნილი სახისთვის კი, „ოქროს გლობუსით“ დაჯილდოვდა.

ნიუ-იორკში მდებარე ჯულიანასა და ბარტის ბინაში ყოველთვის შემოქმედებითი უწესრიგობა სუფევს. მური კერძებსაც იშვიათად ამზადებს. ბარტი ყველაფერში მხარს უჭერს თავის ქალბატონს და ამბობს, რომ ვერ იტანს რაიმის წინასწარ დაგეგმვას და წესებით თავის შეზღუდვას. მაგრამ ბოლო ხანებში მათ თავისუფალ ოჯახშიც გამოჩნდა წესების დამცველი ერთი კონსერვატორი: ერთხელ, პატარა კალები გადასაღებ მოედანზე დედასთან მიიყვანეს; როცა ბავშვმა ყავისფრად თმაშეღებილი და გრიმწასმული დედა დაინახა, ტირილი მორთო და გაიქცა. მური დაეწია და ჩაიხუტა, ბავშვმა კი უთხრა: „დედა, რა წესია?! რატომ არ ჰგავხარ საკუთარ თავს?“ ■

მაიკლ ჯექსონი

შესაძლოა, სიხეში აღმოჩნდეს

ახალგანთქმული მომღერალი, მაიკლ ჯექსონი, ბოლო ხანებში მეტისმეტად კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა. თუმცა, ამას წინათ, მას სასამართლო პროცესზე მოწმედ გამოსვლა მოუხდა. პოპ-ვარსკვლავის პრომოუთერი, რომელთანაც მომღერალი წლების მანძილზე თანამშრომლობდა, მას კონტრაქტის დარღვევაში ადანაშაულებს. როგორც ირკვევა, ჯექსონს უარი უთქვამს 1999 წლის 31 დეკემბერს, ჰონოლულუსა და სიდნეიში კონცერტების ჩატარებაზე. სასამართლო პროცესზე ჩვენების მიცემისას, მომღერალი ჩუმი, ძლივს გასაგონი ხმით, ერთმნიშვნელოვან პასუხებს იძლეოდა და აშკარა იყო, რომ „დიახ“ და „არა“-ს მეშვეობით ცდილობდა მდგომარეობიდან გამოსვლას. მოსამართლეს ხელმეორედ უხდებოდა შეკითხვების დასმა, რადგან პოპ-ვარსკვლავის პასუხების გარჩევა, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელი იყო. როცა ბრალმდებელი მისა და პრომოუთერ მარსელ ავრამის ურთიერთობებს შეეხო, მომღერალს ყოყმანი დაეტყო და ისიც აშკარა იყო, რომ იგი ამ სიტუაციაში თავს ძალზე არაკომფორტულად გრძნობდა. გერმანული წარმომავლობის მოსარჩელემ — მარსელ ავრამმა კი განაცხადა, რომ დაგეგმილი კონცერტების ჩაშლის გამო, მას სოლიდური ზარალი მიადგა. ამიტომ იგი ჯექსონისაგან არა მარტო ფინანსურ ანაზღაურებას, არამედ მორალურ კომპენსაციასაც მოითხოვს. ავრამის ადვოკატმა — ლუის მიულერმა აღნიშნა, რომ სასამართლო პროცესზე დაფიქსირებული ჯექსონის პოზიცია, აშკარად განსხვავებულია შარშანდლისგან. კერძოდ, საუბარი იყო ერთ სატელეფონო ზარზე, როცა ავრამი თითქოსდა შეეხმიანა ჯექსონს. მომღერლის თქმით, აღნიშნულ კონცერტებამდე ორი თვით ადრე, მას დაურეკა მარსელმა და შეატყობინა, რომ კონცერტები ანულირებული იყო. პრომოუთერი თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ ასეთ სატელეფონო საუბარს ადგილი არ ჰქონია.

„მახსოვს, როცა ეს საუბარი შედგა, საბაზანო ოთახში გახლდით“, — დაბალი ხმით განაცხადა მან სასამართლო პროცესზე, რაზეც მოსარჩელეს ადვოკატმა აღნიშნა, რომ ადრე, მომღერალი სატელეფონო საუბრის კონკრეტულ ადგილს კი არა, ქვეყანასაც კი ვერ ასახელებდა, ე.ი. მას არ ახსოვდა, მაშინ აშშ-ში იმყოფებოდა, თუ სხვა რომელიმე ქვეყანაში. „ეს სიცრუეა“, — მშვიდად უპასუხა მაიკლმა.

ავრამი თავის სარჩელში ამტკიცებს, რომ თავდაპირველად, ჯექსონი ორ საქველმოქმედო და ორ მილენიუმის კონცერტში მონაწილეობაზე დათანხმდა. საბოლოოდ კი, მხოლოდ საქველმოქმედო კონცერტებში მიიღო მონაწილეობა. პრომოუთერის თქმით, მან მომღერალს ავანსის სახით 1 მლნ დოლარი გადაუხადა, სხვა ხარჯებთან ერთად, თანხამ 1.2 მლნ დოლარი შეადგინა. ახლა დაზარალებული 21.2-მილიონიან კომპენსაციას მოითხოვს. ჯექსონის ადვოკატის ვერსიით, მილენიუმის კონცერტების გადადების ინიციატორი, სწორედ ავრამი იყო. უახლოეს მომავალში, ჯექსონს კვლავ მოუწევს სასამართლოში ჩვენების მიცემა.

ჯექსონი პროცესზე მუქ ვარდისფერ ველვეტის პერანგში გამოწყობილი გამოცხადდა; გაშლილი სწორი თმა მხრებს უფარავდა. თვითმხილველთა თქმით, მას თვალები შავი კონტურის ფანქრით ჰქონდა დახატული, ტუჩებზე კი, როგორც ჩანს, ვარდისფერი პომადა ესვა. სასამართლოს შენობაში შესვლისას და იქიდან გამოსვლისას, მილიონების კერპს სახის ქვედა ნაწილსა და ცხვირს ქირურგიული ნიღაბი უფარავდა. ცნობილია, რომ კანის გასათეთრებლად ჩატარებული მრავალრიცხოვანი ოპერაციის გამო, მომღერალს გარკვეული პრობლემები შეექმნა: იგი იძულებულია, მოერიდოს მზის სხივებს, რადგან პიგმენტაციის პროცესი აქვს დარღვეული და ეს პროცესი ძალზედ სწრაფად მიმდინარეობს. თუმცა, თავად მაიკლი ირწმუნება, რომ ასე მიკრობების და ბაქტერიების შიშით იქცევა, მის უნიკალურ ყელს კი, განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. სწორედ ამიტომ ატარებს ნიღაბს. უნდა აღინიშნოს, რომ ჯექსონის თაყვანისმცემლები მეტ-ნაკლებად შეჩვეულები არიან პოპ-ვარსკვლავის უცნაურ იერს. მიუხედავად ამისა, ჩვენებების მიცემისას ოპერატორების მიერ ფირზე აღბეჭდილი ჯექსონი (რომელმაც იმ მომენტში ნიღაბი მოიხსნა), ნებისმიერ ადამიანს შეძრავდა თავისი გარეგნობით. მაიკლს აშკარად ეტყობა ცვლილებები ცხვირის კანზე, უფრო ზუსტი დიაგნოზის დასმა სპეციალისტების პრეროგატივაა. სანტა-ბარბარას სასამართლოს შენობიდან გამოსვლისას, თავის კერპს ფანატების დაახლოებით ასკაციანი ჯგუფი დახვდა, ზოგიერთ მათგანს ხელში ეჭირა ტრანსპარანტი წარწერით — „თავისუფლება მაიკლს!“ პროცესს 30 კაცი ესწრებოდა. სასამართლოს სხდომის შემდეგ, შენობიდან გამოსული ჯექსონი, ტრადიციული, გამარჯვების აღმნიშვნელი ჟესტით — ორი თითის აწევით მიესალმა თაყვანისმცემლებს. მერე თავის შავ, სპორტულ ავტომობილში ჩაჯდა და მოტოციკლზე მჯდარი ხუთი ოფიცრისაგან შემდგარი ესკორტის თანხლებით, ლოს-ოლივოს მახლობლად მდებარე საკუთარი რანჩოსკენ გაემართა.

რუსუდან ბერიძე

ქალური იერსახეა

ანუ ჯიბეში ოქროები

დასაწყისი იხ. „გზა“, №40-47

ნინი გოგას გაუმჟღავნებს, რომ ფეხმძიმედაა და მის რეაქციას არ დაელოდება... ცოტა ხანში ნინი წვიმაში მოჰყვება და გაცივდება. მისი დიასახლისი მაკა იძულებული გახდება, საავადმყოფოში დააწვინოს. საავადმყოფოში ნინი ერთ მასავით მიუსაფარ და ავადმყოფ გოგონას, მარის გაიცნობს და დაუმეგობრდება. გოგონები ერთმანეთს გულს გადაუშლიან. მარი ნინის არწმუნებს, რომ დიტოს ის ნამდვილად უყვარს, ამიტომ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოძებნის და მომავალში ნინი ძალიან ბედნიერი ცოლი და დედა იქნება. ნინის მარის ოპტიმიზმზე მხოლოდ სევდიანად ეღიმება, რადგან თავად საკუთარი მომავალი ბევრად უფრო მუქ ფერებში აქვს წარმოდგენილი.

საავადმყოფოდან გამოწერილ ნინის მაკა აუწყებს, რომ მისი მკურნალობის ფული ვიღაც გოგამ გადაიხადა. ნინის გული დასწყდება: გოგა ხომ ჩემს სანახავად საავადმყოფოში ერთხელაც არ მოსულა, ესე იგი, აღარ ვუყვარვარ და ფული მხოლოდ სიბრალულის გამო გადამიხადაო.

ნინი ხვდება, რომ აბორტისთვის საჭირო თანხას ვეღარ მოაგროვებს, რადგან გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ, მაიკო მას კაფეში აღარ დააბრუნებს და იქ მუშაობა უკვე თავადაც გაუჭირდება. მაგრამ გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ ნინის მხსნელად მაკა მოევლინება და თავის საყვარელს, ვახოს სთხოვს, თქვენთან, პურის ქარხანაში რამე მსუბუქ სამუშაოზე მოაწყვეო.

— ამდენ ხანს მაინც სად დაეხეტები? — დაუცაცხანა შინ მიბრუნებულ ნინის მაკამ. — ვახომ უკვე სამუშო გაგიჩალიჩა.

— რა სამუშაო? — უცბად ვეღარ გაერკვა ნინი.

— მართლა ნუ გამაგიჟე, გოგო! დაგავიწყდა, დილას რაზე ვლაპარაკობდით?

— ა-ა-ჰ, სამუშაო? მაგას რა დამავიწყებდა? მერე რაო ვახომ?

— უფროსს დაელაპარკა და ისიც დათანხმდა — მოვიდესო. სამუშაო არც ისე მძიმე გექნება: ფქვილს „მეშოკებიდან“ ვარცლებში გადაცლი. თანაც, მაიკო რომ გიხდიდა, იმაზე ბევრად მეტსაც გადაგიხდიან.

ნინი კარგად ხვდებოდა, რომ არჩევანის საშუალება არ ჰქონდა და ნებისმიერ სამუშაოზე უნდა დათანხმებულიყო. ამიტომაც, მაკას საკმაოდ უყურადღებოდ უსმენდა. ის კი კაკანს განაგრძობდა:

— ოღონდ, იცოდე, ქარხნის უფროსობას თავი უნდა მოაწონო.

— ეგ როგორ?

— ჩემსავით, სულ ერთი რამე ნუ გელანდება... უბრალოდ, თავიდანვე ყოჩაღად უნდა მოიქცე. მკვდარს და მიკნავებულს იქ ვახოს თხოვნითაც კი არ გააჩერებენ.

— გასაგებია. როდის უნდა მივიდე?

— დღესვე. წამო, მეც წამოგყვები...

პურის ქარხანაში ნინი პირველად იყო და ყველაფერს გაფაციცებით აკვირდებოდა. ქარხნის ეზოში რძით სავსე ცისტერნები და ფქვილისა და შაქრის ტომრებით დატვირთული საბარგო მანქანები იდგა. ტომრების ნაწილი მტვირთავებს შენობაში შეჰქონდათ, ნაწილს კი იქვე, გადახურულ ბაქანზე აწყობდნენ. ქარხნის მოცემენტებულ ეზოს ფქვილი თრთვილივით მოსდებოდა...

მაკამ გეზი მაშინვე ადმინისტრაციული კორპუსისკენ აიღო:

— დირექტორი მეორე სართულზე ზის, პირდაპირ მასთან უნდა შევიდეთ.

დირექტორის მისაღებში მაგიდასთან ზომაზე მეტად შეღებილი მდივანი გოგო ივჯდა და კომპიუტერის ეკრანს ისე უსაგნოდ მიშტერებოდა, რომ მის დანახვაზე ნინის მაშინვე „თხა და გიგო“ გაახსენდა.

მდივანმა მაკას და ნინის ქედმაღლურად გადმოხედა, მაგრამ მაკამ მას პირის დაღებაც კი არ აცალა:

— დირექტორთან ვართ მოსულები...

— დაგიბარათ? — თვალები მოწკურა მდივანმა.

— დაგვიბარა.

მდივანი ზანტად წამოდგა, დირექტორის კაბინეტის კარზე ჯერ მორიდებით

დააკაკუნა და კარი მხოლოდ ამის შემდეგ შეაღო:

— ბატონო ქიშო, თქვენთან არიან.

დირექტორის სახელის გაგონებაზე ნინის კინაღამ სიცილი წასკდა. მაკას მისი ცმუკვა არ გამოჰპარვია და გვერდში ხელი ისე გამეტებით ატაკა, რომ ნინიმ ტკივილისგან კინაღამ წამოიკივლა:

— ცოტა ნელა, რა გეცა?

— მე მეცა თუ შენ? — ჩურჩულით დაუცაცხანა მაკამ. — რა ჯანდაბა გაცინებს?

ამასობაში მდივანმა ეტყობა, დირექტორის დასტური მიიღო და მაკას და ნინის გზა ამრეზით დაუთმო.

მაკამ ნინი წინ გაიგდო და წამში ორივე ქარხნის დირექტორის წინ იდგა.

— ბატონო ქიშო, ჩვენ თქვენთან ვახომ გამოგვაგზავნა, გოძიაშვილმა... — სასწრაფოდ დაიწყო მაკამ.

— ვიცი, — მოკლედ მოუჭრა მაგიდასთან მჯდარმა ჭაღარაშერეულმა ფართომხრებიანმა მამაკაცმა და ფეხზე დინჯად წამოდგა. — ვახო უკვე მელაპარაკა.

ნინიმ გაოცებისაგან კინაღამ პირი დააღო: ფართომხრებიანი და ამის წყალობით, ერთი შეხედვით, მართლაც ვაჟკაცური გარეგნობის ბატონი ქიშო, სინამდვილეში ქონდრისკაცივით დაბალი, მრგვალი და ღიპიანი აღმოჩნდა.

— თვეში ას ლარს მიიღებთ. თუ ეს თანხა გაკმაყოფილებთ, საქმეს ხვალიდანვე უნდა შეუდგეთ, — დაასრულა „გამოსვლა“ ბატონმა ქიშომ და ნინის პასუხს დაელოდა.

მაგრამ ნინი მისი მოკლე ფეხებისა და საგულდაგულოდ გაპრიალებული ფეხსაცმლის თვალიერებით ისე იყო გართული, რომ ბოლო სიტყვები ნამდვილად არ გაუგონია. მაკა ამას მაშინვე მიუხვდა და ნინის ისევ ხელი წაჰკრა:

— გოგო, ნინი, შენ გეკითხებიან — ასი ლარი თუ დაგაკმაყოფილებსო?

— დამაკმაყოფილებს, — უცბად, სრულიად მშვიდად მიუგო ნინიმ.

— მაშინ ყველაფერი რიგზეა. ხვალ ცხრა საათზე ქარხანაში უნდა იყოთ, — დასძინა ბოლოს ბატონმა ქიშომ და საუბრის დამთავრების ნიშნად, ორივეს თავაზიანად დაუკრა თავი.

— ძაღლის ბედი გაქვს! — უთხრა მაკამ ნინის დირექტორის კაბინეტიდან გამოსვლისთანავე. — ჯერ არ მახსოვს, ქიშო ვინმეს ფეხზე წამოსდგომოდა. თანაც, თავი როგორ დაგიკრა?!.

— დამიკრა კი არა — დაგვიკრა, — შეუსწორა ნინიმ.

— კარგი ერთი. მე რაღაში ვჭირდები?!. მართლა, იცი, რომ ქვრივია და ცოლს ეძებს?

— ეძებს და ეძებოს, მერე მე რა?

— არ მითხრა ახლა, ესეც არ მომწონსო, თორემ ნაღდად გავგიჟდები!

— რა აქვს მოსაწონი?

— დასაწუნი რაღა აქვს? თუ ასარჩევად გაქვს საქმე? — მაკა გამომწვევად დააშტერდა ნინის წამოზრდილ მუცელს.

— კარგი, რა, მორჩი! — შეუღრინა ნინიმ.

მაგრამ მაკა ვეღარ ჩერდებოდა:

— მერე რა, რომ მოკლეა და მრგვალი. სამაგიეროდ, სხვა ყველაფერი სრულ წესრიგში აქვს...

— ნეტავ, შენ საიდანღა იცი?

— რადგან გეუბნები, „ზნაჩიტ“ ვიცი...

— იცი და იცოდე...

— გოგო, ამ კაცს თავის წონა ფული აქვს! — უკივლა მაკამ.

— როდის აწონე?

— არა, შენთან ლაპარაკს აზრი ნამდვილად არა აქვს.

— კიდევ კარგი, რომ მიხვდი, — შვებით ამოისუნთქა ნინიმ.

— ეგ მუცელი რომ ნიკაპამდე აგივა, მაშინ გამიხსენებ, მაგრამ გვიანღა იქნება, — დაექადნა მაკა.

— ამივა და ამივიდეს! მუცელიც ჩემია და ნიკაპიც, — „ხურდა“ დაუბრუნა ნინიმაც.

ამის შემდეგ, სახლამდე ისე იარეს, ხმა არც ერთს აღარ ამოუღია. მაკა ვახოსთან მოახლოებულ საღამოს სასიამოვნო პაემანზე ფიქრობდა, ნინი — ხვალინდელ უსიამოვნო სამუშაოზე...

მაკას სახლთან მისული ნინი უცბად, თოფნაკრავივით გაშეშდა და ორივე ხელით ჭიშკარს ჩაებღაუჭა.

— რა იყო? ახლა რაღა გეცა? — ჰკითხა გაღიზიანებულმა მაკამ.

— არაფერი.

— აბა, რას არტისტობ?.. — უკმაყოფილოდ ჩაიბურდღუნა მაკამ და ჭიშკარი თავად შეაღო.

ნინი მთვარეულივით მიჰყვა მას, მაშინვე თავის ოთახში შევიდა, საწოლზე მიეგდო და თვალი ჭერს მიაშტერა. ეზოში დარჩენილმა მაკამ მეზობლებთან ლაქლაქი გაბა. მაკას სიტყვები ნინის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩაესმოდა, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ ის მეზობლებს პურის ქარხნის დირექტორთან სტუმრობის ამბავს უყვებოდა.

— ნინი, გოგო, რა ძილქუში დაგეცა? არ გესმის, ტელეფონზე გეძახიან-მეთქი?! — ჩაესმა ძილ-ბურანში წასულ ნინის მაკას მკივანა ხმა.

— ტელეფონზე? — თვალი ძლივს გაახილა ნინიმ. — ნეტავ, აქ ვინღა მომაგნო?

— ვიღაც გოგოა, საავადმყოფოში ერთად ვიწექითო.

— მარი იქნება, — როგორც იქნა, წელი აითრია ნინიმ და მთელ ეზოში ერთადერთი ტელეფონიანი მეზობლის კარზე მორიდებით დააკაკუნა.

ტელეფონის მეორე ბოლოში მართლაც მარი აღმოჩნდა. ის საავადმყოფოდან სასწრაფოდ გამოეწერათ და ნინის თავისთან ეპატიჟებოდა.

მარის თაგვის სოროსავით ვიწრო და უსახურმა ბინამ ნინიზე დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა. ერთადერთ ოთახში ძველებური რკინის საწოლი, ადამისჟამინდელი შავ-თეთრი ტელევიზორი და წამლებით გადავსებული ტუმბო იდგა.

— ჩემი და ამბობს, რომ ჩემნაირ ავადმყოფს სივრცე სჭირდება, — „თავის მართლება“ დაიწყო მარიმ და ირგვლივ დაბნეულმა მიმოიხედა. — ოთახში რაც უფრო ნაკლები ნივთი იქნება, მით უფრო თავისუფლად ისუნთქებო...

— მართალი უთქვამს, — დაეთანხმა ნინიც.

— რა კარგია, რომ მოხვედი. იცი, მარტოს როგორ მწყინდება ხოლმე?..

— შენი და სადღაა?

— აქვე, მეზობლად, თავის საქმროსთან ერთად ცხოვრობს... ხომ გითხარი, თხოვდება-მეთქი... ძალიან ბევრი საქმე აქვს, დღეში ხუთი წუთით თუ შემომირბენს ხოლმე...

— აბა, ვინ გივლის?

— რა მოვლა მინდა? ბავშვი ხომ არა ვარ...

— ბავშვი? — ნინი უცნაურად მიაშტერდა მარის.

— ჰო, ბავშვი... ასე რამ გაგაოცა?

— მარი... — დაბნეულად დაიწყო ნინიმ. — დღეს მუცელში ბავშვი მეძრა...

ნინის ნათქვამმა მარიც დაბნია, თუმცა, გარეგნულად მაინც არაფერი შეიმჩნია:

— რა კარგია! გაგეხარდა?

— ძალიან. იცი, იმ წუთში რა ვინატრე?

— რა?

— ნეტავ, დიტოც ჩემ გვერდით იყოს და მასაც ჩემსავით უხაროდეს-მეთქი...

— რომ გაეგო, ეგრეც იქნებოდა, — დააიმედა მარიმ ნინი.

— რა ვიცი... შეიძლება, მართლაც ეგრე მომხდარიყო... მაგრამ ახლა ჩემ გვერდით მხოლოდ შენ ხარ და ისიც ვიცი, რომ ჩემი სიხარული შენც ნამდვილად გიხარია.

— რა კარგია, რომ ეგრე ფიქრობ... — სახე გაუნათდა მარის. — შეგიძლია, ყველაფერი მითხრა. ხომ იცი, ლაქლაქი არ მიყვარს... ან კი ვისთან უნდა ვილაქლაქო,

როცა სულ ოთხ კედელში ვარ გამომწყვდეული და ხმის გამცემიც არავინ მყავს...

მარისგან წამოსულმა ნინიმ სუპერმარკეტში შეიარა და მაკას საყვარელს ერთი ბოთლი „თბილისური“ უყიდა: აბა მარტო ჩემს მადლობას რა თავში იხლისო?!.

მაკას ოთახში შესულ ნინის ვახო ტრუსების ამარა დაუხვდა და ჩაცმა არც მის დანახვაზე უჩქარია. ნინიმაც, აქაოდა, ძალიან მაინტერესებსო, მაკას საყვარელი გულმოდგინედ აათვალიერ-ჩაათვალიერა. ვახოს, ზომაზე მეტად გრძელი კიდურები, ნიჩაბივით ფართო ხელები და ბრტყელი ტერფები ჰქონდა. მელოტი თავი სინათლის შუქზე სარკესავით ულაპლაპებდა, ფოსოებში ღრმად ჩამჯდარ პატარა თვალებს კი დამფრთხალი ნადირივით აქეთ-იქით აცეცებდა.

ნინიმ თავის კეთილისმყოფელს კონიაკის ბოთლი გაუწოდა. სასმლის დანახვაზე ვახოს თვალებში რაღაც სიხარულის მსგავსი ჩაუდგა და სახეც წამოუჭარხლდა. ბოთლს ხელი დასტაცა, გახსნა, თითქმის ნახევარი ჭიქაში ხმაურით ჩააპირქვავა და სულმოუთქმელად დაცალა. ჭიქის დადგმა და ვახოს ქადაგად დავარდნა ერთი იყო:

— ცხოვრება ომია, გოგოებო, ნამდვილი ომი! და თუ ვერ ივარგე და სხვას ვერ აჯობე, ყოფა გეტირება! მაგრამ თუ აჯობე, კაცი ხარ! აბა, ერთი შემომხედეთ, რა მაკლია? არაფერი! სახლიცა მაქვს, კარიც, არც ცოლ-შვილი დამიდის მშიერ-მწყურვალი და საყვარელ ქალსაც არაფერს ვაკლებ... — ამ სიტყვების შემდეგ, ვახომ მაკას წელზე ხელი მოხვია და მიიზიდა.

— კარგი, რა, რამ გაგადელა? ამ გოგოს მაინც მოერიდე! — ვითომ შეიცხადა მაკამ, თუმცა საყვარელს თავადაც ვნებიანად მიეკრა და მოსარკულ თავზე ალერსით გადაუსვა ხელი.

შეგულიანებულმა ვახომ მაკა მაშინვე კალთაში ჩაისვა და ისევ კონიაკის ბოთლს დასწვდა. ნინი მიხვდა, რომ მაკასთან მისი სტუმრობის დრო ამოიწურა და ოთახიდან სასწრაფოდ გამოვიდა.

— ქიშოს ცოტა ტკბილად მოექეცი... რა იცი, იქნებ, ბედსაც კი გამოჰკრა ხელი... — დაადევნა მას უკვე გვარიანად გამობრუჟულმა ვახომ.

მეორე დილით ნინი ქარხანაში სამუშაოს დაწყებამდე ცოტა ადრე გამოცხადდა, თუმცა, ეზო მაინც ხალხით სავსე დაუხვდა. ქარხნის ძირითადი საამქროები ეზოს სიღრმეში იყო განთავსებული. იქ პურს, ათასნაირ ფუნთუშეულს, ნამცხვარსა და ტორტს აცხობდნენ. ამიტომ ამ საამქროებიდან ყოველთვის მადისაღმძვრელი სუნი გამოდიოდა. თუმცა, ნინის სამუშაო აქ კი არა, სულ სხვა საამქროში იყო. მას ცემენტის იატაკი და ძალიან მაღალი ჭერი ჰქონდა. ფქვილის ტომრებით დატვირთული თვითმცლელების მძღოლები თავიანთ მანქანებს ზედ საამქროს კართან აყენებდნენ, მტვირთავები კი ტომრებს პირდაპირ ტრანსპორტიორზე ისროდნენ. ტრანსპორტიორზე მოხვედრილი ტომარა საამქროს სიღრმისკენ ტაატით მიიწევდა. ტრანსპორტიორის ბოლოს, ტომარას თეთრ ხალათში ჩაცმული ქალი ხვდებოდა, სპეციალური დანით პირს მოხერხებულად უხსნიდა და ფქვილიც მაშინვე ვარცლში იყრებოდა. როგორც კი ერთი ტომარა ჩაიცლებოდა, მას მეორე მოსდევდა და ასე გაუთავებლად...

— მოგწონს? — ჩასძახა ნინის ყურში საიდანღაც გამოჩენილმა ვახომ. — მოგეწონება, აბა რა! მაიკოს ჭუჭყიანი „პოლების“ რეცხვას აღარ სჯობია?! წამო, ბარემ აქაურ ქალებს გაგაცნობ, — მკლავზე წაეტანა ის ნინის.

მაგრამ ნინი თავისი ახალი სამუშაოს მონოტონურობითა და ერთფეროვნებით უკვე იმდენად იყო დათრგუნვილი, რომ ადგილიდან არ იძროდა. „პოლების“ რეცხვაო? — გულში გამოაჯავრა მან ვახოს. — მაიკოსთან რაღაცის უფრო ნელა ან ჩქარა გაკეთება მაინც შეიძლებოდა, რაღაცას კი საერთოდაც „გაახალტურებდი“, აქ კი... აქ, ცოტა ხანში, ნამდვილ რობოტადაც სულ თავისუფლად ვიქცევი...“

მაგრამ ნინიმ იცოდა, რომ სხვა გზა აღარ ჰქონდა და ამიტომ, მკლავში ჯიუტად ჩაფრენილ ვახოს ბოლოს, მაინც დაემორჩილა და საამქროს სიღრმისკენ გაჰყვა...

მუშაობის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ნინი იმასაც მიხვდა, რომ მთელი ცვლის მანძილზე, ფეხზე დგომაც მოუწევდა. თუმცა, ყველაზე აუტანელი, მაინც, ფქვილის მტვერი აღმოჩნდა. როცა ნინი ტომარას პირს უხსნიდა და იქიდან დაძრული ფქვილი ვარცლში იცლებოდა, ირგვლივ ყველაფერი დროებით თეთრ მტვერში — „ნისლში“ ინთქმებოდა, ნინის კი ცხვირ-პირი მაშინვე ფქვილის მტვრით ევსებოდა და სუნთქვა ეკვროდა. ამიტომ, როგორც კი შესვენება იწყებოდა, საამქროდან ეზოში კისრისტეხით გარბოდა, რათა სუფთა ჰაერით ცოტა ხანს მაინც ესუნთქა. ნინიმ მტვრისგან თავდასაცავად, ერთხანს თავსაფრით ცხვირ-პირის აკვრაც კი სცადა, მაგრამ ასე „შეფუთულმა“ სუნთქვა საერთოდ ვეღარ შეძლო.

ერთ დღეს, მტვრითა და უჰაერობით განაწამებ ნინის თავზე ბატონი ქიშო წამოადგა.

— თქვენს მდგომარეობაში მყოფისთვის აქ მუშაობა ძალიან ძნელია, ამიტომ მალე, ალბათ, სამუშაო ადგილის შეცვლა მოგიწევთ... — უთხრა მან ნინის და მზრუნველად შეაკვლო თვალი მის წამოზრდილ მუცელს.

„თქვენს მდგომარეობაშიო? — გული შეუქანდა ნინის. — ნუთუ, მუცელი უკვე ასე ძალიან მეტყობა? თუ მაკამ და ვახომ ჩაუკაკლეს ყველაფერი?“ — ამის გაფიქრებაზე ნინი ყურებამდე გაწითლდა, მაგრამ მაინც არაფერი შეიმჩნია:

— არა, არა, მე ვეცდები... მე ნამდვილად ყველაფერს შევძლებ...

— ნუ ღელავთ, ქარხნიდან კი არ გიშვებთ, უბრალოდ, რამე უფრო მსუბუქ სამუშაოს გამოგიძებნით, — დაამშვიდა ნინი ბატონმა ქიშომ და გაეცალა.

საბოლოოდ დაბნეულ ნინის კი, მაკასა და მისი საყვარლის სიტყვები გაახსენდა: მგონი, დირექტორს მართლა მოეწონე და შენც ყველანაირად უნდა ასიამოვნოო...

„ეს ბებერიღა მაკლდა?! — შეიცხადა ნინიმ თავისთვის. — თანაც, უკვე ხომ ისიც იცის, რომ ფეხმძიმედ ვარ... მაშ, რაღა ჯანდაბა უნდა?.. რაღაში ვჭირდები?..“

ამის შემდეგ ორი კვირა ისე გავიდა, ნინი არავის შეუწუხებია. კიდევ ერთი კვირის შემდეგ კი, ნინი ბატონმა ქიშომ თავის კაბინეტში გამოიძახა. თანაც, ამჯერად ფეხზე აღარ წამოუდგა და მისი გამოჩენისთანავე საქმეზე გადავიდა:

— განკარგულება უკვე გავეცი — ხვალიდან ქარხნის საკონდიტროში გადაგიყვანენ. თქვენს ახალ მოვალეობებში ადგილზე გაგარკვევენ. — ამის შემდეგ, ბატონმა ქიშომ ერთხელ კიდევ შეხედა ნინის და მაშინვე მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებში ჩარგო თავი.

ნინიმ კი, რაღაც მადლობისმაგვარი წამოიკნავლა და დირექტორის კაბინეტიდან სასწრაფოდ გამოვარდა.

ნინიმ ქარხნის საკონდიტროს ადვილად მიაგნო, რადგან იქ ერთი-ორჯერ ნამცხვრის საყიდლად ადრეც იყო ნამყოფი. ვანილის სუნით გაჟღენთილი საკონდიტროს ფერადვიტრაჟებიანი ფანჯრებით დამშვენებულ საკმაოდ მოზრდილ დარბაზში მდგარი თეთრი პლასტიკატის მაგიდებს ყოველთვის საკმაოდ ბევრი მომსვლელი ეჯდა...

ამ „ტკბილ“ დაწესებულებას ერთი შეხედვით თავადაც ტკბილი და აქაური ფუნთუშებივით გაფუებული ქალბატონი თამთა განაგებდა. ის ახალ თანამშრომელს თითქოს, ზომაზე მეტად ცივადაც კი შეხვდა, თუმცა, თვალები მაინც აშკარა ცნობისმოყვარეობით ჰქონდა ანთებული.

— გამყიდველად იმუშავებ, — გამოუცხ-

ადა მან ნინის. — ჰო, მართლა, რეაქციის საქმე როგორა გაქვს?

— რა რეაქციის? — ნათქვამს აშკარად ვერ მიუხვდა ნინი.

— აქ მუშაობა რომ შეძლო, — ხალხით გადაჭედილ დარბაზზე მიუთითა ქალბატონმა თამთამ, — ძალიან სწრაფი რეაქცია უნდა გქონდეს. ხომ ხედავ, რა ამბავია? კლიენტს თუ ალოდინებ, საყვედური და ფულადი ჯარიმა არ აგცდება. თუ სიჩქარეში ფულს ან საქონელს გადააყოლებ, ეგეც შენს თავს უნდა დააბრალო. კვირის ბოლოს, ამასაც ყველაფერს ხელფასიდან გამოგიქვითავთ. ამიტომ, თავიდანვე რომ ასე არ მოხდეს, ჯერ გოგონების გვერდით დადექი და წაივარჯიშე...

ცოტა ხანში, თეთრი მაქმანებით გაწყობილ ვარდისფერ საფირმო ტანსაცმელში ჩაცმული ნინი უკვე საკონდიტროს დახლთან იდგა და ზუსტად მასავით მორთულ-მოკაზმული გამყიდველების, ულამაზესი ტყუპი დების — ნათიასა და თეას მუშაობას გულმოდგინედ აკვირდებოდა.

გოგონები ნამცხვრებს პატარა ნიჩბებით მოხერხებულად იღებდნენ და მუყაოს კოლოფებში ათავსებდნენ. შემდეგ, კოლოფს თავს მჭიდროდ ახურავდნენ და ფერადი პრიალა ლენტით კრავდნენ. ყველაზე რთული ნინის სწორედ ეს უკანასკნელი „ოპერაცია“ მოეჩვენა. თუმცა, თავიდან, ის მხოლოდ ოფიციანტი გოგონების დამხმარედ დააყენეს. ნინი მათ ნამცხვრებს და ფუნთუშებს თეფშებზე უწყობდა, ისინი კი სკამებზე ნებიერად გადაწოლილ კლიენტებს უმასპინძლდებოდნენ. შემდეგ კოლოფებში ნამცხვრების ჩაწყობა მიანდვეს და სულ ბოლოს, ლენტების შეკვრის დროც დადგა...

ნინის პირველი კლიენტი მეზობლად მდებარე იურიდიული ფირმის პირტიტველა შიკრიკი აღმოჩნდა. მან რამდენიმე სხვადასხვანაირი ნამცხვარი იყიდა. ნინიმ შიკრიკს ნამცხვრები კოლოფში ფაქიზად ჩაუწყო და თავიც მოხერხებულად დაახურა. მაგრამ როგორც კი ჯერი ლენტის შეკვრაზე მიდგა, ნინის წამებაც მაშინვე დაიწყო. შიკრიკმა ნინის ცოტა ხანს თანაგრძნობით უცქირა, შემდეგ კი ვეღარ მოითმინა და დახმარება შესთავაზა:

— მოდით, მე ვცდი, იქნებ, უკეთესად გამომივიდეს... უყურეთ, როგორ უნდა: ლენტს ჯერ კოლოფის სახურავზე გადაჯვარედინებთ, შემდეგ ამ ადგილს თითს დააჭერთ და გამონასკვავთ.

შიკრიკმა ამ საქმეს მართლაც მოხერხებულად გაართვა თავი და ნინის ისევ თანაგრძნობით გადახედა:

— ახალი ხართ, ხომ? არა უშავს, მალე გაიწაფებით და ყველაფერი კარგად იქნება.

პირველი მუშტარი ასე თუ ისე მშვიდობიანად გაისტუმრა თუ არა, ნინიმ მაშინვე დამფრთხალმა მიმოიხედა: საიდანმე საკონდიტროს გამგე ხომ არ მითვალთვალებსო? მაგრამ თვალი მხოლოდ მის მოუქნელობაზე მოქირქილე ნათიასა და თეას მოჰკრა. თუმცა, ეს თოჯინებივით კოხტა და მიმზიდველი გოგონები მალე იმასაც მიხვდნენ, რომ ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული და საქმეში გაუწაფავი ნინი მყიდველს მაინც ანდამატივით იზიდავდა და ამ აღმოჩენით ცოტა არ იყოს, კიდეც გაღიზიანდნენ.

ქალბატონი თამთა კი გულმოდგინედ აკვირდებოდა ნინის და მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა ლენტის შეკვრა ხეირიანად კიდევ კარგა ხანს ვერ ისწავლა, მაინც აქებდა და მხარზე ხელსაც სულ უფრო ხშირად უთათუნებდა. ამაზე ტყუპი, რატომღაც, ისევ ძველებურად ქირქილებდა და შეთქმულებივით რაღაცას ეჩურჩულებოდა ერთმანეთს.

მაგრამ ნინის ტყუპის ჩურჩული დიდად ნამდვილად აღარ ანაღვლებდა. მთავარია, რომ ქალბატონი თამთა მისით კმაყოფილი იყო და ალბათ, ბატონ ქიშოსთანაც სიტყვას აწევდა.

ხანდახან საკონდიტროში თავად ბატონი ქიშოც შემოივლიდა ხოლმე, თუმცა, ის ნამცხვრებს მხოლოდ ტყუპისგან ყიდულობდა, ნინის არსებობა კი თითქოს საერთოდ აღარც ახსოვდა. დირექტორის საქციელით კმაყოფილი ნინი ნელ-ნელა დამშვიდდა და ბოლოს, ისიც დაასკვნა — ბატონ ქიშოს ჩემგან არაფერიც არ უნდა, უბრალოდ, კარგი ადამიანია და სრულიად უანგაროდ დამეხმარაო. მიუხედავად ამისა, როცა ერთხელ, სკვერში, საკონდიტროსკენ მომავალ დირექტორს მოჰკრა თვალი, გული მაინც შიშით შეუხტა. ნინიმ ბატონი ქიშო იმდენად გვიან შენიშნა, რომ გვერდს ვეღარაფრით აუვლიდა, ამიტომ, როგორც კი ერთმანეთს გაუსწორდნენ, ნაბიჯი შეანელა.

— გამარჯობათ, ბატონო ქიშო, — მიესალმა ის დირექტორს.

— გამარჯობა, ნინი. თუ არ ვცდები, ნინი გქვიათ, ხომ? — ჰკითხა მას დირექტორმა.

— დიახ.

— ახალი სამუშაოთი კმაყოფილი ხართ, ნინი?

— დიახ, ყველაფრისთვის დიდი მადლობა.

— ძალიან კარგი, რომ კმაყოფილი ხართ, — განაგრძო ისევ ბატონმა ქიშომ, — მაგრამ უფრო საიმედო და შემოსავლიან პროფესიაზე, მაგალითად, ბუღალტრობაზე თუ გიფიქრიათ?

— ნამდვილად არ მიფიქრია... — წაილუღლუღა დაბნეულმა ნინიმ.

— ბუღალტერი რომ გახდებით, ჩვენთან, ოფისში მუშაობასაც სულ ადვილად შეძლებთ. არ გინდათ?

ნინის ხმა აღარ ამოუღია, ამიტომ, ისევ ბატონმა ქიშომ განაგრძო:

— ვიცი — რასაც ახლა გეტყვით, თქვენთვის ძალიან მოულოდნელი იქნება. — ბატონმა ქიშომ ჯერ უხერხულად გაიღიმა, შემდეგ ნერვიულადაც ჩაახველა. — მაგრამ მაინც ბოლომდე მომისმინეთ და ნურც პასუხის გაცემას იჩქარებთ... გარწმუნებთ, რომ ბავშვის მამაზე არასდროს არაფერს გკითხავთ, არც არასოდეს გისაყვედურებთ. მე მას ჩემი შვილივით გავზრდი, ოღონდ... ოღონდ... ძალიან გთხოვთ, ახლავე ნუ მიპასუხებთ... იფიქრეთ... მე დაგელოდებით...

ნინიმ გაოგნებისგან პირი დააღო. ბატონი ქიშო კი ისევ განაგრძობდა:

— კარგად ვხვდები, რომ თქვენხელა გოგონები ჩემნაირ კაცებზე არასოდეს ოცნებობენ, მაგრამ ხომ იცით, ცხოვრება რა საშინელი რამაა და ოცნებები რა იშვიათად სრულდება... მე კი, თქვენი ბედნიერებისთვის ნამდვილად ყველაფერს გავაკეთებ... არ გაჩქარებთ. ძალიან გთხოვთ, იმაზე, რაც ახლა გითხარით, სერიოზულად იფიქრეთ... ახლა კი წავალ...

გაგრძელება იქნება

ბობი ფიშერს FBI უთვალთვალებდა

ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს მიერ ცოტა ხნის წინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცნობილი მოჭადრაკის, ბობი ფიშერის ოჯახი წლების განმავლობაში გამოძიების ფედერალური ბიუროს თვალთვალის ობიექტი ყოფილა. FBI მსოფლიო ჩემპიონის ოჯახზე თვალთვალს 30 წლის მანძილზე ახორციელებდა, რადგან ეჭვი ჰქონდა, რომ მოჭადრაკე, კომუნისტი აგენტების მიერ იყო გადაბირებული. მათი განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი, ბობი ფიშერის დედა, რეჯინა ყოფილა. საბოლოოდ FBI-მ დაადგინა, რომ არც ბობი და არც რეჯინა ჯაშუშები არ ყოფილან, თუმცა ამ დასკვნის გამოტანამდე ფედერალური ბიუროს თანამშრომლები ხანგრძლივი დროის მანძილზე ფიშერების ოჯახის ფოსტას აკონტროლებდნენ.

„FBI-ს გამო რეჯინას პრობლემები ექმნებოდა სამსახურში“, – უთქვამს რეჯინა ფიშერის გერს, რასელ ტარგს. FBI-ს, ბობი ფიშერის მიმართ ინტერესი მას შემდეგ კიდევ უფრო გაუღვივდა, რაც დიდოსტატი 1958 წელს სათამაშოდ საბჭოთა კავშირში ჩავიდა. გამოძიების ფედერალური ბიურო ეჭვობდა, რომ საბჭოეთის სპეცსამსახურები ფიშერს გადაიბირებდნენ, რის გამოც მოჭადრაკეს „კომუნისტური სამოთხის მშენებელ“ ქვეყანაში გამგზავრებისას აგენტი დაადევნა. ამერიკელთა ეჭვი არ დადასტურდა, თუმცა FBI-ს ფიშერის მიმართ თვალთვალი არ შეუწყვეტია. დიდოსტატმა მხოლოდ 1972 წლის შემდეგ ამოისუნთქა შვებით, როდესაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში ბორის სპასკი დაამარცხა და ე.წ. „ცივი ომის“ გმირად იქცა. მიუხედავად ამისა, რეჯინა ფიშერის დოსიე უკანასკნელად 1973 წელს შეივსო. მაშინ FBI-მ მიიჩნია, რომ ფიშერების ოჯახი ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო მოღვაწეობას ეწეოდა. თავად რეჯინას მიმართ კი, რომელიც ხუთი წლის წინ გარდაიცვალა, ფედერალური ბიურო არცოუ ისე უსაფუძვლოდ იჩენდა ინტერესს. დიდოსტატის მომავალი დედა ხომ 1933-1938 წლებში საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა და სწორედ მოსკოვში გათხოვდა. ■

შაიმამ ჰოკეისტი იმსხვერპლა

ტრაგიკულად დასრულდა ჰოკეის უმაღლესი ლიგის მატჩი კორეაში. საუნივერსიტეტო გუნდ „კვანუნის“ მცველმა, ცოი სინ ხომ „დონგვონ დრიმსთან“ შეხვედრისას მეტოქის მიერ დარტყმული შაიბის შეჩერება საკუთარი სხეულით სცადა, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. სინ ხოს შაიბა გულმკერდის არეში მოხვდა, რის გამოც ენა გადაყლაპა. მსაჯმა შეხვედრა მაშინვე შეაჩერა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოსვლამდე „კვანუნის“ მცველის მდგომარეობიდან გამოყვანას ორივე კლუბის ექიმები ცდილობდნენ. თუმცა მათმა ძალისხმევამ შედეგი ვერ გამოიღო და სპორტსმენი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ■

ვარგასი დოპინგის მოხმარებისათვის დასაჯეს

ნევადის შტატის ათლეტთა კომისიის გადაწყვეტილებით, ცნობილ მოკრივეს, ფერნანდო ვარგასს, რომელიც ანაბოლიკური სტეროიდების მოხმარებაში ამხილეს, ცხრათვიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. გარდა ამისა, იგი 100 ათასი დოლარითაც დააჯარიმეს. ვარგასს დოპინგ-პრეპარატის კვალი, 14 სექტემბერს, ოსკარ დე ლა ხოიასთან ნოკაუტით წაგებული ორთაბრძოლის შემდეგ ჩატარებული ტესტის შედეგად აღმოაჩნდა ორგანიზმში. დოპინგ-კომისიის წინაშე მოკრივემ დანაშაული აღიარა, თუმცა, იგი ასეთ მკაცრ განაჩენს ნამდვილად არ მოელოდა. „მე რინგზე ვცხოვრობ და რინგზევე მოვკვდები. ამიტომ არ მსურს, რომ ხალხმა იფიქროს, თითქოს სტეროიდის გარეშე გამარჯვებების მოპოვება არ შემიძლია“, – განაცხადა ვარგასმა, მაგრამ დოპინგ-კომისიის მესვეურთა გული მაინც ვერ მოიგო. „ვარგასი ჩვენს გადარწმუნებას ცდილობდა, თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქეცით“, – აღნიშნა კომისიის თავმჯდომარემ, ლუთერ მარკმა. აქვე გაცნობებთ, რომ აკრძალული სტიმულატორის მოხმარებისათვის 1995 წელს, კრივის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს ფრანსუა ბოტას. ■

ციუ ორთაბრძოლას სტადიონზე გამართავს

2003 წლის 18 იანვარს, მელბურნის სტადიონ The Telstra Dome-ს მოედანზე მოწყობილ რინგზე ერთმანეთს შეხვდებიან პირველი ნახევრად მჩატე წონის მოკრივეები – 33 წლის კოსტია ციუ და 36 წლის ჯეისი ჯეიმსი ლეიხი. ამ მატჩში ციუ მეორედ შეეცდება მსოფლიო აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის დაცვას. შეხვედრის ორგანიზატორი, ცნობილი ავსტრალიელი მუსიკალური პროდიუსერი, გლენ ვიტლია, რომელსაც ადრე თვით პოლ მაკარტნის, Kiss-ისა და სხვა ცნობილი შემსრულებლისა თუ ჯგუფის კონცერტისათვის გაუკეთებია ორგანიზება. ვიტლი დარწმუნებულია, რომ ციუ-ჯეიმსის მატჩზე დასასწრები 35 ათასივე ბილეთი გაიყიდება (დღეისათვის უკვე 12 ათასია გაყიდული). „წარმოიდგინეთ 35 ათასი კაცი, რომელიც სანახაობის მოლოდინშია. ვიცი, რომ აქ ფეხბურთი ძალიან პოპულარულია, მაგრამ დამიჯერეთ, ეს შეხვედრა ნებისმიერ საფეხბურთო მატჩზე უფრო დიდებული იქნება. არც სახლი და არც ოჯახი. მხოლოდ კვება, ძილი და ვარჯიში დღეში ოთხი, ხუთი, თუნდაც ექვსი საათის განმავლობაში“, – განაცხადა The Telstra Dome-ზე სტუმრობისას ციუმ, რომელიც 11 ნოემბრიდან ინტენსიურ ვარჯიშს შეუდგა. ■

„მფრინავ მაიკლს“ „ტკინის მაიკის“ მედი ეწია

როგორც ჩანს, მაიკ ტაისონის „სენით“ ამჯერად მაიკლ ჯორდანი დაავადდა. „მფრინავი მაიკლი“ ინტიმურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ სკანდალში გაეხვა. ვინმე კალა ნაფელი, რომელსაც ლეგენდარული კალათბურთელისაგან ფულის გამოძალვაში ედებოდა ბრალი, ამჯერად თავად უჩივის ჯორდანს და საკომპენსაციოდ მისგან ხუთ მილიონ დოლარს მოითხოვს. მაიკლმა სასამართლო საქმე ოქტომბერში თავადვე აღძრა. მან განაცხადა, რომ ნაფელთან ინტიმური კავშირი 10 წლის წინ ჰქონდა და თავისი ყოფილი საყვარლისათვის 250 ათასი დოლარიც გადაუხდია, რათა ამ უკანასკნელს საიდუმლო არ გამოეაშკარავებინა. კარლა ნაფელი კი ამტკიცებს, რომ სუპერვარსკვლავმა მას საიდუმლოს შენახვისათვის 1991 წლის გაზაფხულზე ქრთამის სახით შესთავაზა არა 250 ათასი, არამედ 5 მილიონი დოლარი. კარლას ადვოკატის თქმით, ჯორდანი თავის ყოფილ საყვარელს 1989-1991 წლებში ჩიკაგოში, ინდიანაპოლისსა და ფინიკსში ხვდებოდა, რის შედეგადაც ნაფელი დაფეხმძიმებულა და ბავშვიც გაუჩენია. „შემიძლია გითხრათ, რომ მაიკლ ჯორდანისა და მისი ადვოკატების მხრიდან ჩემი კლიენტის გამომძალველობაში დადანაშაულება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია“, — ამბობს ნაფელის ადვოკატი.

კარლა ნაფელის თქმით, მას „მფრინავი მაიკლი“, ინდიანაპოლისში NBA-ს ცნობილი არბიტრის, ედი რაშის დახმარებით გაუცნია, რომელიც იმ დღეს „ინდიანა პეიზერსისა“ და „ჩიკაგო ბულზის“ მატჩს სჯიდა. რაშს ნაფელი სასტუმროს ნომერში მიუწვევია, სადაც მათ ჯორდანი დახვედრიათ. ნაფელის გაცნობიდან ცოტა ხნის შემდეგ, მაიკლი ხუანიტაზე დაქორწინებულა, რასაც თავის ყოფილ საყვარელთან, საზოგადოებაში ავტორიტეტის ამაღლებისათვის საჭირო „საქმიან შეთანხმებად“ მოიხსენიებდა. სწორედ ამ საიდუმლოს შენახვის საფასურად „ჩიკაგო ბულზის“ ვარსკვლავს რამდენიმე წლის შემდეგ კარლასათვის 5 მილიონი დოლარი შეუთავაზებია, თუმცა მხოლოდ 250 ათასი გადაუხდია.

ვნახოთ, როგორ განვითარდება ჯორდანსა და მის ყოფილ საყვარელს შორის წამოწყებული სასამართლო პროცესი. ჯერჯერობით კი, „მფრინავი მაიკლი“ ირწმუნება, რომ კარლა ნაფელს ბავშვი მისგან არ ჰყოლია და მისთვის არც 5 მილიონი დოლარის გადახდას აპირებს. ■

შაკის დუმლიორი დისკვალიფიცირებულია

როგორც კალათბურთის ქომაგთათვის არის ცნობილი, NBA-ს მიმდინარე საკალათბურთო სეზონი, მოქმედმა ჩემპიონმა, „ლოს-ანჯელეს ლეიკერზმა“ შაკილ ო'ნილის გარეშე დაიწყო, რომელსაც გუნდში 24 წლის „ცენტრი“, სუმაილ სამაკი ცვლიდა. გიგანტი შაკის გარეშე, NBA-ს ბოლო წლების ტრიუმფატორმა 11 შეხვედრიდან მხოლოდ სამის მოგება მოახერხა. ცოტა ხნის წინ კი, „ლეიკერზის“ წარუმატებლობას სამაკის ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციაც მიემატა. იგი აკრძალული სტიმულატორის მოხმარებაში ამხილეს. შაკის დუბლიორმა ინტერვიუში აღიარა, რომ ის საკუთარი წონის კონტროლირების მიზნით, ზაფხულში იღებდა პრეპარატს, რომელიც აკრძალულ ნივთიერება — ნანდროლონს შეიცავს. ■

აივერსონს პოლიცია აეიწროებს



შესაძლებელია, უახლოეს მომავალში „ფილადელფია 76“-ის ვარსკვლავმა, ალენ აივერსონმა საცხოვრებელი ადგილი შეიცვალოს, რის მიზეზადაც იგი პოლიციის მხრიდან მისაღმი დაჟინებულ თვალთვალს ასახელებს. „ფილადელფიაში დარჩენა მსურს, მაგრამ მეშინია“, — განაცხადა ცოტა ხნის წინ NBA-ს ერთ-ერთმა საუკეთესო სნაიპერმა პრესკონფერენციაზე. ეს აივერსონის პირველი საჯარო განცხადებაა იმის შესახებ, რომ მას გასული ზაფხულის შემდეგ, პრობლემები აქვს პოლიციასთან. საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებს ინტერვიუ მისცა ალენის ცოლმა, ტავანა აივერსონმაც, რომელმაც კალათბურთელის ოჯახის მიმართ პოლიციისა და მასმედიის მუშაკთა მხრიდან გამძაფრებული ინტერესის გამო, უკმაყოფილება გამოთქვა. აივერსონსა და მის ბიძას ბრალი ედებოდათ იმაში, რომ ისინი მიმდინარე წლის 3 ივლისს დასავლეთ ფილადელფიაში, ერთ-ერთ ბინაში შეიჭრნენ, იქ მყოფ მამაკაცებს დანით დაემუქრნენ და ტავანას ეძებდნენ, რომელიც მანამდე ალენს სახლიდან თავადვე გაუგდია. ამ ფაქტის გამო NBA-ს ვარსკვლავის მიმართ ერთდროულად რამდენიმე მუხლით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა აივერსონს მალე ყველა ბრალდება მოუხსნეს. „ქმარს მე არასოდეს ვუცემივარ და არც არასოდეს გავუგდივარ გარეთ შიშველი“, — ამბობს ტავანა. იმის გამო, რომ ტელეარხი WXTF ალენის პირადი ცხოვრების შესახებ გადაცემათა ციკლის მომზადებას აპირებდა, აივერსონების წყვილმა პრესკონფერენციაზე პროტესტი გამოთქვა, თუმცა დღემდე, ადვოკატების რჩევის გათვალისწინებით, პოლიციასთან თავისი გართულებული ურთიერთობის გამოაშკარავებისაგან კალათბურთელი თავს იკავებდა.

„პოლიციელებს ჩემი დასჯის დიდი სურვილი აქვთ. ჩემამდე ხშირად მოდის ხმები იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ დანაშაულში მედება ბრალი. ამასთან ერთად ისიც კარგად მომეხსენება, რომ პოლიციას ყველაფერი ხელეწიფება. ამიტომ სრულიად შესაძლებელია, რომ ხვალ მკვდარი მიპოვონ, თუ ამას პოლიცია მოინდომებს. ეს მისთვის ძალიან ადვილია“, — ამბობს აივერსონი. WXTF-ის საინფორმაციო გადაცემათა დირექტორმა, სკოტ მეტიუსმა კი, განაცხადა, რომ მისი ტელეარხის უმთავრესი ამოცანა ფაქტების ააშკარაოზე გამოტანაა და არა რისიმე მტკიცება ან უარყოფა. მიუხედავად ამისა, ალენი მაინც შეშფოთებულია მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ჩარევით მის პირად ცხოვრებაში. „ტავანას გამო გამუდმებით მეშინია, — ამბობს კალათბურთელი, — როდესაც მე სათამაშოდ ვარ წასული, მას ყოველთვის ახლავს დაცვა. დაცვა დღეღამის განმავლობაში ჩვენს სახლსაც დარაჯობს“. ■

„ოქროს საჭის" ლაურეატები

გერმანიაში „ოქროს საჭის" ლაურეატების ვინაობა დაასახელეს. საინტერესოა, რომ საავტომობილო მრეწველობაში ყველაზე პრესტიჟული ეს ეროვნული ჯილდო 27 წლის წინ, მედიამაგნატმა, გაზეთების – „ბილდისა" და „ველტის" მფლობელმა აქსელ შპრინგერმა დააწესა.

რამდენიმე თვის მანძილზე, 28 ექსპერტით დაკომპლექტებულმა ავტორიტეტულმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ინჟინრები, მენეჯერები, ჟურნალისტები და მრბოლელები, კონკურსის სხვადასხვა ნომინაციით წარმოდგენილი 20 ავტომობილის გამოცდა ჩაატარა. განსაკუთრებით მწვავე კონკურენცია კომპაქტური ავტომობილების კლასში იყო გაჩაღებული. გამარჯვება **Ford Fiesta**-ს ხვდა წილად, რომელმაც 1186 ქულა დააგროვა. მას მხოლოდ 15 ქულით ჩამორჩა **Renault Megane**, მესამე ადგილზე კი, 1129 ქულით, **Seat Ibiza** აღმოჩნდა.

მეორე – ე.წ. საშუალო კლასში ადგილები ასე განაწილდა: პირველი – **Opel Vectra** (1350 ქ); მეორე – **Skoda Superb** (1336), მესამე – **Mazda 6** (1189).

წარმომადგენლობით ავტომობილებს შორის გამარჯვება **Audi A8**-ს ხვდა წილად – 1511 ქ; მეორე ადგილზეა **E** კლასის **Mercedes**-ი (1456), მესამეზე – **Volkswagen Phaeton**-ი (1412).

ვენებს შორის ლაურეატი გახდა **Renault Espace** – 1252 ქ; მეორე – **Mercedes Vaneo** (1216), მესამე – **Lancia Phedra** (1160).

ყველგანმავლებს შორის გამარჯვებულთა დასახელება არა ჟიურის, არამედ საკვირაო გაზეთის – „ბილდ ამ ზონტაგის" მკითხველებსა და გერმანიაში ყველაზე პოპულარული საავტომობილო ინტერნეტ-პორტალის – „აუტო-ბილდის" მომხმარებლებს მიანდვეს. ავტომოყვარულებმა საუკეთესო ყველგანმავლად **Volkswagen Tuareg**-ი მიიჩნიეს, რომელმაც 178411 ხმა – ე.ი. გამოკითხულთა ხმების 29,4% მიიღო; 22,1% **BMW X5**-ს ერგო, 18% კი – **Porsche Cayenne**-ს.

„ოქროს საჭეს" ავტომწარმოებლებისთვის არა მარტო სახელი, არამედ კონკრეტული სარგებელიც მოაქვს: მოდელები, რომელსაც ეს ჯილდო ენიჭება, ჩვეულებრივ, სხვებზე გაცილებით უკეთ იყიდება, თანაც არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელ ევროპაში. ■

Land Rover-ის ახალი კომპლექტაციები

სახელგანთქმული ბრიტანული მარკის არანაკლებ სახელგანთქმული ყველგანმავლები მალე ახალი კომპლექტაციებით გამოვა ავტობაზარზე. განახლებას Freelander-ი, Defender-ი და Discovery განიცდის. სულ 4 კომპლექტაციაა დაგეგმილი: E, S, SE და HSE. მოდერნიზაცია იმ მომხმარებელთა მოზიდვას ისახავს მიზნად, რომლებიც ადრე, სოლიდურ თანხებს იხდიდნენ სხვადასხვაგვარი დამატებითი ოპციისათვის. ახლა ბევრი ასეთი აღჭურვილობა საბაზო კომპლექტაციის ნაწილად იქცევა. როგორც ავტომწარმოებლები ამბობენ, ზოგ შემთხვევაში, ეკონომია ძველ ფასებთან შედარებით, 18,5%-საც კი მიაღწევს.

მაგალითად, E კომპლექტაციაში შევა ფანჯრის მინების ამწევები, ექვსდინამიკიანი მაგნიტოლა, დაორთქლვის საწინააღმდეგო სისტემით აღჭურვილი გვერდითი სარკეები. S ვარიანტის მფლობელებს შეხვდებათ კლიმატ-კონტროლიანი კონდიციონერი, მსუბუქი შენადნობისგან დამზადებული 15-დუიმიანი დისკები და უმაღლესი კლასის სტერეომაგნიტოლა. SE-ს, ტყავით გაწყობილი სალონი, კომპაქტ-დისკიანი საკრავი, 16-დუიმიანი დისკები და ელექტროამძრავით აღჭურვილი გვერდითი სარკეები ექნება. ყველაზე ძვირად ღირებული, HSE ვარიანტია: მას გაუმჯობესებული კონსტრუქციის წინა საკარძლები, ტყავის სალონი, დეკორატიულად მოპირკეთებული კარის პანელები და 17-დუიმიანი დისკები ექნება. გარდა ამისა, 2003 წლის გამოშვების Freelander-ი გაზრდილი ტევადობის ავზით იქნება აღჭურვილი: წინანდელი 59-ის ნაცვლად, ის 64 ლ ბენზინს დაიტევს. დაგეგმილია აგრეთვე სალონის გათბობის სისტემის გაუმჯობესება, წინა საქარე მინა კი ელექტროგამათბობელი სისტემით იქნება აღჭურვილი. ■

Nissan-ის მოდელების ალიუმი

იაპონური კომპანია 2004 წლამდე, წარმოებაში 28 ახალი მოდელის ჩაშვებას აპირებს. ფირმა, რომლის არსებობასაც კი, სამიოდე წლის წინ ეჭვის ქვეშ აყენებდნენ, ავტობაზარზე დიდი იერიშის მიტანას იწყებს. „ნისანის" აღორძინება მნიშვნელოვანწილად, ფრანგულ კონცერნ „რენოსთან" იაპონელთა ალიანსის წყალობით მოხდა. ამიტომაც, შემთხვევითი არ არის, რომ მისი ახალი მოდელების რიგს, იაპონურ-ფრანგულ პლატფორმაზე აგებული Micra გახსნის. ამ პატარა ავტომობილის გაყიდვა 2003 წლის იანვრიდან დაიწყება. საბაზო – სამკარიანი ვერსიის გარდა, იაპონელები მის ხუთკარიან ვარიანტსა და კუპე-კაბრიოლეტსაც (ისინი სარეალიზაციო ქსელებში 2004 წლის გაზაფხულზე გამოჩნდება) და მინივენსაც გამოუშვებენ.

2003 წლის ოქტომბერში, საავტომობილო დილერები ახალ სპორტულ კუპეს – Nissan 350 Z-ს მიიღებენ. 2004 წელს კი იაპონელები, ბევრ ქვეყანაში ცნობილი მანქანის – Nissan Almera-ს განახლებას აპირებენ. 2005 წლისთვის „ალმერას" ბაზაზე ვენის – Tino-ს წარმოება დაიწყება.

შემუშავების სტადიაზეა უამრავი სხვა საინტერესო მოდელიც. მაგალითად, 2006 წელს, სერიულ წარმოებაში ჩაშვება ბიზნეს-კლასის სედანის – Nissan Maxima-ს წინამორბედი, ერთი წლით ადრე კი, დილერები ყველგანმავლის – Nissan Patrol-ის ახალ ვერსიასაც მიიღებენ. დაგეგმილია აგრეთვე ყველგანმავლის – X-Trail-ის სამკარიანი ვერსია და დიდი ვენიც. შესაძლოა, ფირმამ ევროპაში შეიტანოს ვენი Quest-ი, რომელსაც ამერიკაში მდებარე ფილიალი აწარმოებს.



განსაკუთრებულ ყურადღებას ახლა იაპონელი ინჟინრები ამახვილებენ დიზელის ძრავაზე, რომელსაც წინათ ამრეზით უყურებდნენ. რამდენიმე წლის წინ, ამ დამოკიდებულებამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა მათ ევროპის ბაზარზე, სადაც დიზელი ტრადიციულად, პოპულარობით სარგებლობს. ■

ნინო ლეჟავა – შეშლილი მაკმეი

თეატრალურ სარდაფში დათო ტურაშვილის „მონომანოს“ პრემიერა გაიმართა. მთავარ როლებს დუტა სხირტლაძე, ნინო ლეჟავა და „მაესტროს“ წამყვანი, გიორგი ჩიქობავა ასრულებენ. ნინომ და გიორგიმ სცენაზე განასახიერეს ფსიქიკურად დაავადებული ბავშვები, რომლებიც დედობის სურვილით არიან შეპყრობილები. ბუნებრივია, მსახიობები სე-

რიოზული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ: როგორც ნინო ლეჟავამ თქვა, საკმაოდ რთულია, 29 წლის ადამიანი, ჩასწვდე 13 წლის ბავშვის ფსიქოლოგიას, რომელიც „დედობანას“ თამაშობს.

როგორც დათო ტურაშვილმა გაგვიმხილა, მან სპექტაკლის ნახვა ვერ შეძლო, რადგან როგორც პიესის ავტორი, ძალიან განიცდიდა, როგორ მიიღებდა სექტაკლს მაყურებელი; ხოლო გიორგი ჩიქობავამ ისე ინერვიულა, რომ ცხვირიდან სისხლი წასკდა. ნერვიულობა არ ეტყობოდა დუტა სხირტლაძეს, რომელიც შეშლილი ბავშვების ექიმის როლს ასრულებდა და მშვენივრად გაართვა თავი ამ ამოცანას.

პრემიერაზე კიდევ ერთი ადამიანი ღელავდა განსაკუთრებით. ეს გახლდათ ნინოს მამა და კოლეგა – გია ლეჟავა, რომელიც ბოლოს, ისევე, როგორც ყველა იქ მყოფი, პრემიერით კმაყოფილი დარჩა. ■



კულტურული ექსპერიმენტი უზენაეს სასამართლოში

ლადო ჭანტურიამ თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი საგამოფენო სივრცე უზენაესი სასამართლოს შენობაში აღმოაჩინა. ის თურმე დიდი ხნის მანძილზე ფიქრობდა იმაზე, თუ კიდევ როგორი დატვირთვა მიეცა და ახალი ფუნქცია მიენიჭებინა არქიტექტურულად მართლაც საუცხოო შენობისთვის. დიდი ბჭობის შემდეგ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ გადაწყვეტილება მიიღო: ყოველი თვის მეორე და მეოთხე შაბათს ამ შენობაში მხატვრების გამოფენები მოეწყობა. აქ ნებისმიერ მსურველს, ყოველგვარი საშვის გარეშე შეეძლება გამოფენის დასათვალიერებლად შესვლა.

კულტურული ექსპერიმენტი უზენაეს სასამართლოში უკვე შედგა: პირველად, მხატვარ გია გუგუშვილის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. ■

„ალეგრო“ და ნარკომანიის პრობლემები

ირაკლი კაკაბაძის წიგნის პრეზენტაციაზე კლუბ „სარდაფში“ უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ზაალ სამადაშვილმა ბოდიში მოგვიხადა – ამ ბოლო დროს, დაგვიანება ჩვევად გვექცაო, – და წიგნზე ისაუბრა. „ალეგრო ანუ ერთი წლის ქრონიკა“ – ასე ჰქვია ირაკლის წიგნს, რომელიც ნარკომანიის პრობლემას შეეხება და დღიურის ფორმითაა დაწერილი. ნაწარმოები 15 წლის განმავლობაში იწერებოდა და იხვეწებოდა. თავიდან თურმე ჩაფიქრებული იყო, როგორც კინოსცენარი, სადაც მთავარი როლები მერაბ ნინიძესა და ლევან აბაშიძეს უნდა შეესრულებინათ. ეს იდეა სწორედ ლევანის ტრაგიკულად დაღუპვის გამო არ განხორციელდა. მოთხრობა პირველად 1990 წელს დაბეჭდილა ჟურნალ „ცისკარში“. მაშინ წაუკითხავს რეზო ინანიშვილს და სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, თავის დღიურში შენიშვნაც გაუკეთებია მის შესახებ...

ირაკლიმ მადლობა გადაუხადა წიგნის გამომცემელს, მხატვარს, დედას, დას და მეგობრებს, რომლებიც დაეხმარნენ ამ მოთხრობის დაწერაში და ძალიან ბევრი ისაუბრა ნარკომანიის პრობლემაზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში დარბაზში მყოფი „უცნობი“ „ალეგროს“ კითხულობდა და დროდადრო, იქვე მყოფ დათო მაღრაძეს ესაუბრებოდა. „ზოგიერთი ჩემი მეგობარი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ამ მოთხრობის შექმნაში, დღეს უკვე ცოცხალი აღარ არის. მათი ხსოვნა გვავალდებულებს, რომ სიყალბეში აღარ ვიცხოვროთ“, – თქვა ირაკლიმ, შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციის – „ალტერნატიული ნარკოპოლიტიკის ცენტრი“ – ხელმძღვანელი ვალერი ჩუთლაშვილი წარმოგვიდგინა და დასძინა: ჩემი წიგნიდან შემოსული თანხის ერთი მეოთხედი სწორედ ამ ცენტრში გადაირიცხებაო. ბატონმა ვალერიმ ყველა ახალგაზრდა და არა მარტო ახალგაზრდა მწერალს სთხოვა: ამ თემაზე დაწერილი ნაწარმოებები მოიტანეთ, გადავხედავთ და გამოვცემთ, რადგან ამ პრობლემაზე ჟურადღების გამახვილება აუცილებელიაო. კიდევ ბევრი ისაუბრეს წიგნზეც და ნარკომანიის პრობლემაზეც. ■

ზაალ სამადაშვილი

თამთა გოგუაძე კლიპის კადრებს ერთი თვე აგრძელებდა

თამთა გოგუაძე მთელი თვის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კლიპის გადაღებით იყო დაკავებული. სიმღერას ჰქვია „ლექსად მითქვამს". კლიპის რეჟისორია გიორგი რამიშვილი, რომელმაც გადაიღო „ინტროს" სიმღერის — „წინასწარ ვერ დაგეგმავ დღეს" — კლიპი. ამრიგად, ერთ კვირაში მაყურებელი ჭაბუკა ამირანაშვილის ინტერპრეტაციით გაკეთებულ „აჭარულს" მოისმენს.

უამინდობის გამო, კლიპის გადაღება ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. როგორც შემოქმედებითი ჯგუფი გვპირდება, კიდევ ერთი ეროვნული კლიპი და სიმღერა შეემატება ქართული შოუბიზნესის მუსიკალურ კარტოთეკას, ამჯერად — აჭარულ მოტივებზე. ■



ნუგზარ თუმიშვილი სიმღერებს აჩიგებს

ოფიციალურ წიკლაური სულ მალე ახალი სიმღერით წარდგება მსმენელის წინაშე. სიმღერას ძალზე ორიგინალური სახელი აქვს „შეგირდი და ოსტატი". ოსტატი, თემურ წიკლაური მოძღვრავს შეგირდს — „გვირილას" სოლისტს, გიორგი ბოლაშვილს:

„გადახედე მთიდან
ქვეყნიერებას,
რიგორ უყვართ ანდა
რიგორ მტერობენ,
თუ ისწავლი გულით
გულის ფერებას,
სიმღერა და სახალხოლიც
შენია..."

ტექსტის ავტორია ზურა გოშაძე, მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ ნუგზარ თუშიშვილს. მისი სიმღერები: „გამზმარ იებს", „საქართველო მრავალჟამიერ", „საგალობელი", „ბათუმი კი ერთია" და სხვები, საკმაო პოპულარობით სარგებლობდა... ხანმოკლე შესვენების შემდეგ „შეგირდი და ოსტატი" კომპოზიტორის პირველი ნაწარმოებია, რომელსაც, როგორც თავად ვარაუდობს, გაჰიტება ან ასცდება.

რამდენიმე დღის წინ დამთავრდა კლიპის გადაღებებიც, რომელიც დიდგორში მიმდინარეობდა. კლიპი რეჟისორმა კახა კახაბრიშვილმა გადაიღო.

ნუგზარ თუშიშვილმა თემურ წიკლაურს მეორე სიმღერაც დაუწერა. „სიმღერას ჰქვია „შენი დილა", რომელსაც წიკლაური ოპერის გუნდთან ერთად შეასრულებს. ტექსტი ეკუთვნის ნარიმან კოლხელს:

„საქართველო, ერთი სიტყვა
— „საქართველო",
სხვა განცხრომა, სხვა
განცხრომა არ მინდა,
იდგეგრძელე, ყოველთვის,
სანაცრელო,
დაილოცის შენი მიწა,
მოსწმინდა..."

ნუგზარ თუშიშვილმა ორი სიმღერა გიო ხუციშვილსაც [illegible] ახალ სიმღერაზე მუშაობს, რომელსაც თემურ თათარაშვილი იმღერებს. ■

ცნობილი ფოლოწამყვანი ახალ პროექტამდე ძალას იკრებს

ბევრი ჭორ-მართალი გავრცელდა „პირველი არხიდან" ინგა გრიგოლიას წასვლის შემდეგ. ერთ-ერთ გაზეთში ისიც კი დაიბეჭდა, რომ ინგა სამუშაოდ გადავიდა ახალ დამოუკიდებელ ტელეკომპანია „იბერვიზიაში", რომელიც ჯერ არ ფუნქციონირებს. ამას წინათ, „კვირის პალიტრის" ფურცლებზე, სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელი, ზაზა შენგელია კი ირწმუნებოდა, რომ ინგა ისევ „პირველ არხზეა" და დეკემბრისთვის ახალ პროექტს აშზადებს. სიმართლის დასადგენად კოლეგას შინ ვესტუმრე.

— ინგა, ბოლოს და ბოლოს, რომელ არხზე გამოჩნდები შენი ახალი პროექტით და როდის?

— აქამდე, მართლა არ იყო გადაწყვეტილი, რომელ ტელევიზიაში გავიდოდა ჩემი ახალი გადაცემა. დღეს დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს პროექტი იანვრის შუა რიცხვებიდან გავა არა „პირველ არხზე", არამედ დამოუკიდებელ ტელეკომპანიაში, რომლის დასახელებისგან ჯერჯერობით, თავს შევიკავებ. ის კი შემიძლია ვთქვა, რომ „პირველი არხიდან", პრაქტიკულად, წამოვედი.

— როგორ დაისვენე ეს თვეები და რამდენად მოგენატრა ტელეეთერში მუშაობა?

— მქონდა პერიოდები, როცა პარლამენტში მომხდარი „ცხელი" ამბების გამო, გული მწყდებოდა, რომ არ მქონდა პირდაპირი ეთერი. რაც შეეხება დასვენებას, ფანტასტიკურად დავისვენე. კარგად შევირგე ეს რამდენიმე თვე — მოგზაური გავხდი, ოღონდ, საქართველოს რეგიონებს ჯერ ვერ გავცდი. ორი კვირის წინ, სამტრედიაში ვიყავი და ერთი კურიოზი შემემთხვა: მე და ჩემს მეგობარს ყავა მოგვინდა და ერთ-ერთ კაფეში შევედით. ვსვამთ ყავას და ვსაუბრობთ. უცებ იღება კარი და ორი ბეხლეწი შემოდის. დაგვინახეს თუ არა, ჩვენი მაგიდისკენ აიღეს გეზი. ვიფიქრე, ალბათ მიცნეს-მეთქი და გავიპრანჭე. ველოდები, რომ მკითხავს: „როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ინგა? როგორ მოგვენატრეთ! სად დაიკარგეთ?.." — და იცით, რა მითხრა? — „ერთი „პივა" ჩამოასხი, რა!" *(იცინის)*, თავზე ბენდენა მეკეთა და ალბათ ჩათვალა, რომ ოფიციანტი ვიყავი.

— გიორგობის დღესასწაულზე სად იმოგზაურეთ?

— ფოთში ვიყავი ჩემი მანქანით წასული. ერთ-ერთი ჩემი მეგობრის — მაია ხომერიკის („მოამბის" კორესპონდენტია) დაბადების დღე იყო. მშვენიერი დრო გავატარეთ იახტაზე. მოკლედ, ვირგებ თავისუფლებას. ცოტაღა დამრჩა... ■



სელინ დიონი თურმე „მაკდონალდსშიც“ მუშაობს

ფლორიდის შტატის ქალაქ იუპიტერის მცხოვრებლები სახტად დარჩნენ, როცა „მაკდონალდსის“ რესტორანში შესვლისას, დახლთან მდგომი სელინ დიონი დაინახეს. სპორტულ მაისურში გამოწყობილი, ლურჯწინსაფრიანი პოპ-საოცრება, რამდენიმე საათის განმავლობაში ემსახურებოდა მომხმარებელს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სელინი ამ სახით კომპანიას Ronald McDonalds House-სთვის ჩატარებულ საქველმოქმედო აქციაში ეხმარებოდა. აქცია ჰოსპიტალიზებულ ბავშვთა (ისეთების, რომლებიც მუდმივ მეთვალყურეობას საჭიროებენ) მშობლების საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად მოეწყო. მომღერლის თქმით, მონრეალში, სწორედ Ronald McDonalds House-ის წარმომადგენლები დაეხმარნენ ოდესღაც მის ოჯახს, ამჟამად კი მას სურს „მაკდონალდსის“ კომპანიის მიმართ ამით გამოხატოს მადლიერების გრძნობა. „აქ იმიტომ ვიმყოფები, რომ მეც დედა ვარ და ჩემთვის ცხოვრებაში უმთავრესი, ჩემი შვილის კარგად ყოფნაა, – განაცხადა მომღერალმა. – ამასთან, თუკი სხვა ბავშვების დახმარებასაც შევძლებ, ძალზე ბედნიერი ვიქნები!“ ■

კლაუდია შიფერმა ცრაქმა მიიღო

ორსულობის მეშვიდე თვეში მყოფი კლაუდია შიფერი, იძულებულია, ყავარჯნებით გადაადგილდეს. ამას წინათ, ლონდონის კერძო სახლში გამართული წვეულების დროს, რომელიც კლაუდიამ და მისმა ქმარმა – მეთიუ ვონმა მოაწყვეს, შიფერს ფეხზე ბუხრის თავიდან ჩამოვარდნილი რაღაც მძიმე საგანი დაეცა. ფოტომოდელი სასწრაფოდ კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც დადგინდა, რომ მას ფეხის ცერის სამი ძვალი დამსხვრეული ჰქონდა. „ეს ძალზე უსიამოვნო ინციდენტია, რადგან ორსულობის გამო, კლაუდია ვერავითარ ტკივილგამაყუჩებელ წამალს ვერ სვამს“, – განაცხადა კლაუდიასა და მეთიუს ოჯახის ახლობელმა. ■

ალისია სილვერსტოუნის ახალი როლი

„აეროსმიტის“ კლიპის დაუვიწყარი ქერათმიანი ქალბატონი, რომელიც ამასთანავე, ბეტმენის იღბლიანი მეგობარი გოგონაცაა, სულ ცოტა ხანში ახალ ტელესერიალში მიიღებს მონაწილეობას. სერიალის დასახელება ჯერჯერობით უცნობია, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ მას დარენ სტარი გადაიღებს, რომლის უკანასკნელმა პროექტმა „სექსი და ქალაქი“ პოპულარობის ყველა რეკორდი მოხსნა. ალისია სილვერსტოუნის გმირი ადვოკატია, რომელიც საოჯახო საქმეებზე მუშაობს. თავად გოგონა მარტოხელაა და ცდილობს, მოაწყოს საკუთარი ცხოვრება, ამისათვის კი საქორწინო სააგენტოს მიმართავს... სავარაუდოა, რომ ახალი სურათი ტელეეკრანებზე მომავალი წლიდან გამოჩნდება. ■

ჰერლი ურჩი გადამხდელი ყოფილა

მიუხედავად იმისა, რომ ელიზაბეტ ჰერლი, როგორც მსახიობი, ფოტომოდელი და „სიმიან ფილმსის“ თანამფლობელი მილიონებს იღებს, იგი რატომღაც არ იხდის ბრიტანეთის მსახიობთა პროფკავშირის – „ეკვიტის“ საწევრო გადასახადს (სხვათა შორის, „ეკვიტი“ „სამართლიანობას“ ნიშნავს). 1995 წლიდან მოყოლებული, ჰერლის გადასახდელი 2.625 დოლარი დაუგროვდა. საოცარია, რომ იგი ამდენი ხნის მანძილზე არ გარიცხეს პროფკავშირიდან და ჯერჯერობით მხოლოდ მისი სინდისის გაღვიძებას ცდილობენ. საწევროს გადასახადთან დაკავშირებით, მისთვის წერილი თავად იუენ მაკგრეგორსაც მიუწერია, რომელიც, როგორც ამბობენ, სამაგალითო გადამხდელად ითვლება. ელიზაბეტ ჰერლისთვის ეს, მსახიობთა პროფკავშირთან დაკავშირებული პირველი კონფლიქტი როდია – 2000 წელს მას ამერიკელ კინომსახიობთა გილდიიდან გარიცხვით ემუქრებოდნენ, ვინაიდან მსახიობთა საყოველთაო გაფიცვის დროს, არად მიიჩნია მათი მოთხოვნები და კოსმეტიკური ფირმის – „ესტე ლაუდერის“ სარეკლამო რგოლების გადაღებაში მონაწილეობდა. თავად ჰერლიმ ამ კონფლიქტს „პიროვნებაზე ზეწოლის“ კვალიფიკაცია მისცა. საინტერესოა, რა შეფასებას აძლევს მსახიობი საწევროს გადაუხდელობას?! ■

ᲒᲣᲚᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲰᲝᲚᲘ ᲛᲔᲢᲘ

„ოსკარის“ წლევანდელმა ლაურეატმა ჰოლი ბერმა აღნიშნა, რომ ძალიან თანაუგრძნობს უაინონა რაიდერს, რომლის საქმის განხილვაც სასამართლოში მიმდინარეობს. ტანსაცმლის ქურდობასთან დაკავშირებული ამბავი, წელიწადზე მეტია რაც გრძელდება და მთელი ამ ხნის მანძილზე გულკეთილი ჰოლი ბერი, წერილებით ამხნევებდა უაინონას. ინტერვიუებში კი ყოველთვის ამბობდა, რომ არ უნდა გაკიცხონ საბრალო გოგონა და პირიქით, უნდა ყველამ თანაუგრძნოს მას, რადგან მსგავსი რამ, ყველას შეიძლება შეემთხვეს. შესაძლოა, ჰოლის გულისხმიერებას საფუძვლად ის ამბავიც ედოს, რომ 2000 წელს თავად ბერის საქმესაც იხილავდა სასამართლო. მას ბრალს სდებდნენ მანქანის უყურადღებოდ მართვაში, რადგან ლოს-ანჯელესის ქუჩებში მოძრაობისას მსახიობმა შუქნიშანი წითელზე გადაკვეთა, შედეგად კი სხვა მანქანას შეეჯახა, რომლის მძღოლსაც ავარიის გამო, ხელის მტევანი დაუზიანდა. ჰოლიმ ციხეს თავი დააღწია, თუმცა 13.500-დოლარიანი ჯარიმის გადახდა მოუხდა. სავარაუდოა, რომ მსახიობს მხარდაჭერა იმჟამად ძალიან სჭირდებოდა, გვერდში კი ალბათ არავინ დაუდგა. ■

ᲛᲐᲓᲝᲜᲐᲡ ᲯᲘᲛᲨᲘ ᲧᲐᲕᲘᲡ ᲗᲣᲚᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲣᲓᲔᲕᲡ

მადონა ქმართან – გაი რიჩთან და ბავშვებთან ერთად ჰაიდ-პარკში გასეირნების შემდეგ, ლონდონის ერთ-ერთ კაფეში შესულა. ოჯახს კაფეში დაუსვენია; მერე მადონა ერთ-ერთ მაგიდასთან მისულა, სადაც სამი კლიენტი მჯდარა და მათთვის ერთი გირვანქა და ოცი პენსი უთხოვია. მადონამ უცნობებს აუხსნა, რომ ნაღდი ფული თან არ ჰქონდა და კაფეში შეკვეთილი ყავის საფასურის გადახდა არ შეეძლო. სახტად დარჩენილმა კაფეს კლიენტებმა მადონას ორი გირვანქა მისცეს. მომხდარი კურიოზის სხვა დეტალები უცნობია. ■

ᲔᲛᲘᲜᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲕᲨᲕᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲛᲐ

მიჩიგანის შტატის ქალაქ უორენში მდებარე სახლი, სადაც ცნობილმა რეპერმა – ემინემმა ბავშვობის წლები გაატარა, ინტერნეტ-აუქციონის მეშვეობით იყიდება. სახლი 1940 წელსაა აგებული და 50 წელზე მეტია, რაც რეპერის ოჯახს ეკუთვნის.

კომპანია Surety Investments L.L.C-ის წარმომადგენლის თქმით, „სამსაძინებლიანი და ორი სააბაზანო ოთახით აღჭურვილი შენობა წყნარ, ჩრდილიან ქუჩაზე, ძირითადი ავტომაგისტრალებისაგან მოშორებით მდებარეობს. სახლი საოცრად მყუდროა და შესანიშნავი მეზობლების გვერდით თავს მშვენივრად იგრძნობთ“. უორენში ამ ტიპის სახლების საშუალო ღირებულება 84.900 დოლარს შეადგენს. თუმცა, ინტერნეტ-აუქციონზე, რომელიც 14 დეკემბრამდე გასტანს, ემინემის ბავშვობის დროინდელი სახლის საწყის ფასად 120.000 დოლარია დასახელებული. დღეისათვის უკვე 86 განაცხადია შესული, თანაც მაქსიმალურ თანხად 500.000 დოლარია დასახელებული. ■

ᲐᲜᲯᲔᲚᲘᲜᲐ ᲯᲝᲚᲘᲛ ᲛᲔᲓᲜᲘᲔᲢᲔᲛᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲘᲞᲝᲕᲐ

ბილი ბობ ტორნტონთან (მოღალატე ქმართან) სკანდალური გაყრის შემდეგ, ანჯელინა მთელ თავის ენერგიას მედოკსის (ანჯელინასა და ბობის შვილობილი კამპუჩიელი ბიჭუნა) აღზრდასა და სამუშაოს ახმარდა. მას სწორედ იმ პერიოდში იღებდნენ ფილმში – „სამარხების მძარცველნი“. თუმცა, უკანასკნელ ხანს, ანჯელინა და მისი პირველი ქმარი – ჯონი ლი მილერი, რომელსაც იგი 1999 წელს გაეყარა, კვლავ ერთად არიან. „თრეინსფოთინგის“ ვარსკვლავი ანჯელინას გულისთვის თავის საცოლეს, ლიზ ფოლკნერსაც კი დაშორდა, რომელთან ერთადაც, არც მეტი, არც ნაკლები, 16 თვე დაყო. როგორც ამბობენ, ჯონთან დაბრუნება ანჯელინასათვის ახდენილი ოცნების ტოლფასია. ამ ცოტა ხნის წინ, ჟურნალ „მარი კლერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან თავად განაცხადა: „მსურდა, რომ ჯონისთვის კარგი ცოლი ვყოფილიყავი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ის უფრო მეტს იმსახურებდა, ვიდრე იმხანად შემეძლო მისთვის მიმეცა. ერთი რამ, რისი გაკეთებაც სიკვდილამდე მინდა, ისაა, რომ ჯონს გამოვუტყდე სიყვარულში. თუმცა, ვფიქრობ, რომ მან ამის შესახებ უამისოდაც იცის“. ■

პირველი საფენი და სრაშუნა ფანტელები

ჭკუის სასწავლებელი ამბები მსოფლიო ბიზნესისა და ვაჭრობის სფეროდან

„გზის“ წინა ნომერში მსოფლიო ბიზნესისა და ვაჭრობის განვითარების ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მაგალითი — ჯინსის იმპერიის შექმნის ამბავი შემოგთავაზეთ. ამჯერად კი, ორ, არანაკლებ წარმატებული ფირმის ისტორიას წარმოგიდგენთ და გირჩევთ, რომ თუ თავში რაიმე უცნაური იდეა დაგებადათ, ნუ დატოვებთ უყურადღებოდ, რადგან შესაძლოა, ეს თქვენი წარმატებული ბიზნესის საფუძველი აღმოჩნდეს.

ამბავი მეორე — ფრთებით და ფრთების გარეშე

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ქალაქ სარაევოში ერთმა ნაციონალისტმა სერბმა ერც-ჰერცოგი ფრანც ფერდინანდი მოკლა. ამ მკვლელობას პირველი მსოფლიო ომი მოჰყვა. ომში ამერიკელებიც ჩაერივნენ, რომლებიც კაიზერის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ვისკონსინში მდებარე ფირმა — „კიმბერლი-კლარკი“ ქაღალდს 1872 წლიდან აწარმოებდა. 1914 წელს, კომპანიამ ახალი სპეციალისტი — ერნსტ მალერი მიიღო. დეტალებს აღარ ჩავეძიებით, გეტყვით, მხოლოდ ერთს, რომ ამ სპეციალისტის წყალობით, ფირმამ ცელულოზისაგან (ე.ი. მერქნისაგან და არა ბამბის ნედლეულისაგან) ბამბის წარმოება დაიწყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიმდინარეობდა ომი, რომლის დროსაც ჩვეულებრივ, უამრავი სისხლი იღვრება ხოლმე. საჭირო იყო ბამბა. ცელულოზის ბამბას იყენებდნენ ყველგან — ჭრილობების გადასახვევად, აირწინაღის ფილტრებისათვის, სამაშველო ჟილეტებისათვის და ა.შ. ფირმა — „კიმბერლი-კლარკმა“ პატრიოტიზმი გამოავლინა და სამხედრო სამინისტროსა და „წითელ ჯვარზე“ ბამბას თვითღირებულების ფასად ყიდდა (ე.ი. არანაირ მოგებას არ ნახულობდა).

ამასობაში ომიც დამთავრდა! კომპანიას ხელში შერჩა 750.000 გირვანქა ცელულოზის ბამბა, რომელიც სახელმწიფო შეკვეთის თანახმად ჰქონდა დამზადებული. ეს პროდუქცია სახელმწიფოს აღარ სჭირდებოდა და ამ საკითხთან დაკავშირებით პროტესტის გამოთქმა, აშკარად სიბრიყვე იქნებოდა... ფირმა ახალი დანიშნულებით მის გამოსაყენებელ გზებს ეძიებდა. კომპანიას მხსნელად ფრანგი მოევლინა.

„ფრანგი დაჭრილების დახმარების ამერიკული ფონდის“ ფრანგმა თანამშრომელმა „კიმბერლი-კლარკის“ მფლობელებს სიტყვა გადაუკრა, რომ მისი თანამემამულე მედდები „კრიტიკულ დღეებში“ ბამბის საფენებს იყენებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ცელულოზის ბამბის საფენები ძალზე მოსახერხებელი იყო. „იქნებ გაგერკვიათ, რა აზრი ექნებოდათ ამასთან დაკავშირებით ამერიკელ ქალბატონებს?“ — ჰკითხა კომპანიის გაოგნებულ წარმომადგენლებს ფრანგმა.

საერთოდ, რა ხდებოდა „კრიტიკულ დღეებში“ ქალების თავს ათასწლეულების მანძილზე, ეს ცალკე საუბრის თემაა. 20-იანი წლების ამერიკაში კი, ასეთი სიტუაცია იყო: საფენებს ფეტრისაგან ამზადებდნენ და ყოველი გამოყენების შემდეგ, საგულდაგულოდ რეცხავდნენ. გულმოდგინე და ამასთანავე მეტად თავშეკავებული (ამ თემაზე საუბარს უხერხულად მიიჩნევდნენ) გამოკითხვების საფუძველზე დადგინდა, რომ ქალებს ფეტრის საფენების ატანა არ შეეძლოთ და რაღაც ერთჯერადზე ოცნებობდნენ.

1920-იანი წლების დასაწყისში „კიმბერლი-კლარკმა“ ბაზარზე გაიტანა პირველი ერთჯერადი ჰიგიენური საფენები. თუმცა გასაღებასთან დაკავშირებით პრობლემებს წააწყდა. ქალებს რცხვენოდათ აფთიაქებში საფენების ყიდვა. თვით სახელის წარმოთქმისაც კი ერიდებოდათ. პროდუქცია, რაღა თქმა უნდა, დახლს ქვემოდან იყიდებოდა.

... ახლა კი, მცირედი გადახვევის უფლებას მივცემთ თავს და ჩვენი თანამედროვეობის ერთ რეალურ ამბავს მოგახსენებთ: გასული საუკუნის 90-იანი წლებია, საბჭოთა ტელეეკრანებზე „ტამპაქსის“ ტამპონების მკაცრად შენიღბული რეკლამა გამოჩნდა, სადაც უცნობი ლამაზმანი მშვენიერ ხელისგულში მოქცეულ ტამპონზე, წინასწარ მომარაგებულ ლურჯი შეფერილობის სითხეს ასხამდა. სარეკლამო ტექსტის არსი კი, აი, რაში მდგომარეობდა: „ამის“ გამოყენების შემდეგ, თავს მშვენივრად იგრძნობთო.

შორეული კუთხიდან დედაქალაქში სტუმრად ჩამოსული ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც ნაბახუსევზე სასტიკი თავის ტკივილი აწუხებდა (წინა საღამოს მის ჩამოსვლასთან დაკავშირებულ პურობაზე სასმელი ცოტა მეტი მოუვიდა), შედის სააბაზანო ოთახში და ხედავს, რომ თაროზე „ტამპაქსის“ კოლოფი დევს. სტუმარი მასპინძლის მეუღლეს ეკითხება: „ამას იყენებ?“ ქალი შემცბარი პასუხობს: „დიახ“. — „და ამის შემდეგ, თავს კარგად გრძნობ ხოლმე?“ ძლივს გასაგონად პასუხობს: „დიახ“... ყმაწვილს თვალებში ცეცხლი ენთება და კითხულობს: „შემთხვევით, ის ლურჯი სითხეც ხომ არა გაქვს?!“

სულელმა მიიჩნია, რომ „ტამპაქსი“ — ხასიათის გამოსაკეთებელი სპეციალური

საშუალება იყო, რომელიც ლურჯი სითხის დასხმისას მოქმედებდა...

. გასული საუკუნის 20-იან წლებში მსგავსი რამ ამერიკაშიც ხდებოდა. ქალები რომ ნაკლებად შეცბუნებულიყვნენ, რეკლამებს ქალთა ჟურნალებში ათავსებდნენ. გამოუშვეს ბროშურა – „მარჯორის მეთორმეტე დაბადების დღე". დისნეის სტუდიასთან ერთად, ფირმა „კიმბერლი-კლარკმა" ფერადი ფილმი – „მენსტრუაციის ისტორიაც" კი გამოუშვა მოსწავლე გოგონებისათვის.

ამბავი მესამე

კვება ნახშირწყლების გარეშე! უსაფუძვლო დიეტა! ნაწლავების გაწმენდა! თუ ფიქრობთ, რომ ჯანმრთელი ცხოვრების წესის მიმდევრები მხოლოდ ახლა გაჩნდნენ, აშკარად ცდებით. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ასეთი იდეებით შეპყრობილი ადამიანების რიცხვი კიდევ უფრო მეტი იყო, ვიდრე დღეს. და რაც მთავარია, მათ დიეტის სასწაულმოქმედების საოცარი რწმენა ჰქონდათ.

იმ დროის ერთ პოპულარულ გურუს – სილვესტერ გრეჰემს, ფანატიკურად სჯეროდა, რომ „სხეულის სასიცოცხლო ფლუიდების" შესანარჩუნებლად, ადამიანს ნებისმიერ ამინდში ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე უნდა ევარჯიშა, მსხვილად დაღერღილი მარცვლეულისაგან გამომცხვარი პური ეჭამა და სექსუალური ცხოვრებისგან საერთოდ შეეკავებინა თავი. სწორედ ამ დაუღალავი გურუს სახელიდან წარმოიშვა ხრაშუნა პურის – „გრეჰემის" დასახელება.

სხვათა შორის, გრეჰემს მიაჩნდა, რომ მსხვილად დაღერღილი მარცვლეულის პური სექსუალურ მოთხოვნილებას აქვეითებდა (გაითვალისწინეთ დიეტების მოყვარულებმა!), ხორცი, მარილი და სანელებლები კი, პირიქით, უფრო აღაგზნებდა ადამიანს.

გრეჰემის საქმის გამგრძელებელი, ჯეიმს კალებ ჯექსონი, მასწავლებელზე შორს წავიდა. მან დიეტას მიუმატა ჰიდროთერაპია – შხაპის მეშვეობით ადამიანის ორგანიზმზე წყლის ზემოქმედება. თუმცა, ისტორიას ჯექსონის სახელი მის მიერ შემუშავებული მსხვილად დაღერღილი მარცვლეულის და წყლისგან გამომცხვარი კვერის რეცეპტის წყალობით შემორჩა. ამ კვერს იგი აქუცმაცებდა და ნაწილებს „გრანულებად" მოიხსენიებდა. ასე გაჩნდა ამერიკული პირველი „ცივი საუზმე", რომელიც შვრიისაგან მზადდებოდა. თუმცა, ეს, ე.წ. საჭმელი იმდენად მშრალი და უგემური იყო, რომ მისი ჭამის სურვილი ბევრს არავის გამოუთქვამს.

ერთ-ერთი, ვინც ჯექსონის გრანულების საკვებად გამოყენებაზე დათანხმდა, იყო ელენ ჰარმონ უაიტი, რომელიც მეშვიდე დღის ადვენტისტების სექტის მთავარი წინასწარმეტყველი გახლდათ. 1855 წელს მან და მისმა ქმარმა სექტის ყველა მიმდევრის იმაზე დაყოლიება შეძლეს, რომ მიჩიგანის დასავლეთ ნაწილში გადასახლებულიყვენ, სადაც მოგვიანებით, მსოფლიო აპოკალიფსური მოძრაობის შტაბი დააარსეს. ელენ უაიტმა დაწერა რამდენიმე წიგნი დიეტის სიკეთესა და სქესობრივი კავშირის მავნებლობაზე. თერთმეტი წლის შემდეგ, მან გადაწყვიტა, რომ სამყაროს გამაჯანსაღებელი დაწესებულება სჭირდებოდა, სადაც იგი ადამიანებს საკუთარი წარმოების შინაური წამლებით უმკურნალებდა. მან ბეტლ კლიკში გახსნა სამკურნალო-გამაჯანსაღებელი რეფორმატორული ინსტიტუტი.

ადვენტისტი ჯონ ჰარვეი კელოგი სექტის შტაბისგან სამოცი მილის მოშორებით მდებარე ქალაქ იფსილანტში ცხოვრობდა და სკოლის მასწავლებელი იყო. ელენ უაიტმა გაიცნო ახალგაზრდა ყმაწვილი და მოეწონა იგი. მან ჯონს მისი ხარჯით ფლორენს ჰაიტსის კოლეჯში ჰიგიენური თერაპიის კურსის გავლა შესთავაზა და ახალგაზრდა მასწავლებელიც პროფესიის გამოცვლაზე დიდი სიამოვნებით დათანხმდა.

1876 წელს, 24 წლის „ექიმი" კელოგი მიჩიგანში დაბრუნდა და უაიტის სანატორიუმის მმართველის ადგილიც დაიკავა. ჯონმა სანატორიუმის უფროსი კლერკის თანამდებობაზე საკუთარი ძმა – უილიამ კეიდ კელოგი მიიწვია. უილიამს ცოტა არ იყოს, აღიზიანებდა უფროსი ძმის უსამართლო დამოკიდებულება, რომელიც მმართველის გასაკეთებელ ყველაზე რთულ საქმეებს სწორედ მას ავალებდა და ამიტომ ანგარიშს აღარ უწევდა ჯონს და საკუთარი შეხედულებებისამებრ მოქმედებდა.

ჯონ კელოგს ელენ უაიტის მსგავსად სჯეროდა ჯანმრთელი საკვებისა და სქესობრივი კავშირისაგან თავშეკავების სასწაულებრივი ზემოქმედებისა. გარკვეული გამოკვლევების ჩატარების შემდეგ, იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ზოგიერთი დასახელების პროდუქტი ხელს უწყობდა სექსუალური მოთხოვნილების დათრგუნვას. თავიდან იგი „ცვი ბეკს" (ერბოზელილი ორცხობილა) უწევდა რეკლამას, მაგრამ ერთ პაციენტს ორცხობილას ჭამისას კბილის პროთეზი გაუტყდა და მისი შესაკეთებელი ათი დოლარი კელოგს მოსთხოვა. ამ შემთხვევამ წუწურაქი ექიმი აიძულა, რომ „ცვი ბეკის" შემცვლელი მოეძებნა. მან ჯექსონის „გრანულების" ტექნოლოგიის შეცვლა სცადა. ჯონმა ძმასთან ერთად სხვადასხვა მარცვლეულის, სიმინდისა და რკოსაგან ახალი „გრანულების" გაკეთება დაიწყო. ყველაფერ ამას, ისინი ღერღავდნენ და ისე აჭმევდნენ პაციენტებს. მაგრამ საკვები კვლავ საოცრად უგემური იყო.

1885 წელს, ჯონს მარცვლეულის საკვების მსუბუქ და ხრაშუნა ფანტელებად გადაქცევის მეთოდი დაესიზმრა

(აქედან გამომდინარეობს მორალი: იძინეთ ბევრი, მაგრამ არ მოდუნდეთ და თვალყური ადევნეთ სიზმარში მომხდარ მოვლენებს!) თუმცა, მიუხედავად ამისა, ამგვარი პროდუქციის მიღების ყოველგვარი მცდელობა თავდაპირველად უიღბლო აღმოჩნდა. მიღებული მასა ძალზე ცუდად ბრტყელდებოდა. ძმები სულ უფრო და უფრო მეტხანს ხარშავდნენ ნაზავს, რათა თხლად გაბრტყელებული მასიდან ხრაშუნა ფანტელები მიეღოთ, მაგრამ ერთსაათიანი დულილიც კი საკმარისი არ იყო.

ერთ საღამოს ძმები, როგორც ყოველთვის, მსხვილად დაღერღილ მარცვლეულს ხარშავდნენ; იმ დღეს საინტერესო შემთხვევა მოხდა: ძმები ხარშვით ისე გაერთნენ, რომ წყალში ჩამბალი დანარჩენი მარცვლეული გადაავიწყდათ. ხორბალი ორი დღე წყალში იყო ჩამბალი და ობი მოეკიდა, თუმცა ეკონომიურმა ძმებმა მისი გაბრტყელება მაინც გადაწყვიტეს, აღმოჩნდა, რომ ხანგრძლივი დროით ჩალბობა იყო სწორედ ის, რაც ძმების ტექნოლოგიას აკლდა. ამჯერად, მათ საოცრად ცხელი და ხრაშუნა ფანტელები მიიღეს. შემდგომი ექსპერიმენტების წყალობით კი გაირკვა, რომ მარცვლეული კალის ჭურჭელში უნდა ჩაელბოთ, რათა არ დაობებულიყო.

ამ ტექნოლოგიით ისინი საოცრად კარგ ფანტელებს ღებულობდნენ, შემდეგ ჯონი მათ აქუცმაცებდა, უილიამი კი ამბობდა, რომ დაქუცმაცება ზედმეტი იყო და ჯობდა, ასევე დაეტოვებინათ. თუმცა ძმებს ამაზე სერიოზული პრობლემაც ჰქონდათ: ნახერხის გემოს მქონე ხორბლის ფანტელების ჭამა არავის უნდოდა...



ბოლოს და ბოლოს, 1902 წელს ძმებმა შეიმუშავეს რეცეპტი, რომელიც ყველას აკმაყოფილებდა, ეს გახლდათ მარცვლეულის ფანტელები, რომელიც ქერის ალაოთი იყო გაჟღენთილი. ჯონი და უილიამი მიხვდნენ, რომ ამ პროდუქტს კომერციული წარმატების მოტანა შეეძლო, დააარსეს კომპანია — „ბეტლ კრიკ კო“ და გაემიჯნნენ სანატორიუმს. პირველსავე წელს მათ 100.000 გირვანქა ფანტელი — „კორნფლექსი“ გაყიდეს.

წარმატებასთან ერთად, ძმებს პრობლემებიც შეექმნათ. უპირველეს ყოვლისა, ელენ უაიტი განურისხდათ, რადგან მათ რაღაც მერკანტილური კომერცია, მის ღვთის სასურველ სანატორიუმს ამჯობინეს და თანაც წილიც კი არ შესთავაზეს. გარდა ამისა, კონკურენტები და ვიგინდარები კომპანიის წარმატებული ბიზნესის სათავისოდ გამოყენებას ცდილობდნენ და მათი სახელით უშვებდნენ პროდუქციას (გარკვეული ხნის შემდეგ, კომპანიამ სახელი გამოიცვალა — „კელოგზად“ იწოდა, რათა იმიტატორებისათვის დაეღწია თავი).

ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ უილიამი ძმის უჩუმრად ფანტელებს შაქარს ამატებდა! ამის შეტყობა ჯონისთვის გამაოგნებელი აღმოჩნდა. მას ხომ მტკიცედ სწამდა, რომ ჯანმრთელი დიეტა სქესობრივი მოთხოვნილების დათრგუნვას უწყობდა ხელს. შაქარი კი... ეს ხომ გაუგონარი გარყვნილება იყო!

უილიამი ამტკიცებდა — იმისათვის, რომ პროდუქცია გემრიელი ყოფილიყო და ადამიანს მისი ჭამა მონდომებოდა, შაქრის დამატება აუცილებელი იყო. ამას ძალიან დიდი სკანდალი მოჰყვა. ჯონის შეტანილ სარჩელს, უილიამმა კონტრსარჩელი შეაგება. სასამართლო დიდხანს იხილავდა საკითხს, თუ ვის ეკუთვნოდა უფლება ფანტელების ტექნოლოგიაზე და ვინ იყო სავაჭრო ნიშნის — „კელოგზის“ მფლობელი.

საქმე უილიამმა მოიგო და „კელოგზის“ კომპანიის კონტროლის უფლებაც მის ხელში გადავიდა. აქედან მოყოლებული, ძმები მხოლოდ სასამართლოში ხვდებოდნენ ერთმანეთს და სიცოცხლის ბოლომდე აღარ შერიგებულან.

„კელოგზის“ კომპანია, უილიამის მიერ ორგანიზებული აქტიური რეკლამის, ფილანტროპული აქციებისა და გონებამახვილური სიახლეების წყალობით, უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. ერთერთ სარეკლამო ფურცელზე უილიამი ქალებს სთავაზობდა, თვალი ჩაეკრათ გამყიდველისათვის, რათა ენახათ, ამას რა სიურპრიზი მოჰყვებოდა (უმრავლეს შემთხვევაში, კეკლუცი ქალბატონები სწორედ ფირმის მიერ იყვნენ დაქირავებულნი და მათ თვალის ჩაკვრაში ერთ კოლოფ „კორნფლექსს“ უფასოდ აძლევდნენ). რომელ სქესობრივ თავშეკავებაზე იყო აქ საუბარი?! ამასთანავე, კონკრეტულად ბავშვებზე ორიენტირებული სარეკლამო კამპანიის იდეაც, პირველად სწორედ უილიამს მოუვიდა თავში.

უილიამმაც და ჯონმაც 91 წლამდე იცოცხლეს. უილიამი სიცოცხლის ბოლომდე ფირმის საქმეებით იყო დაკავებული, ჯონი კი თავის თეორიას ქადაგებდა. მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო გამოკვლევებზე დაყრდნობით, ექიმებმა ჯონის თეორია მცდარად მიიჩნიეს, მას ამ იდეებზე უარი არ უთქვამს და სიკვდილამდე ამტკიცებდა, რომ აქტიური სქესობრივი ცხოვრება ვნებს ადამიანის ორგანიზმს და მის გამოფიტვას იწვევს. გასაკვირიც არაა, რომ მას და მის ცოლს საკუთარი შვილები არ ჰყავდათ, თუმცა აყვანილი ბავშვების რიცხვი ორმოცდაორს აღწევდა!

მისი ცოლი სიცოცხლის ბოლოს, განდეგილი ღვთისმოსავის ცხოვრებით ცხოვრობდა, თეთრ სამოსში გამოწყობილი ჯონი კი, მხარზე შესკუპებული თუთიყუშის თანხლებით, საავადმყოფოს ტერიტორიაზე დაეხეტებოდა. ■

ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლო

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

სიცოცხლის გახანგრძლივების საკითხი აკაობრიობას მთელი ისტორიის მანძილზე აწუხებდა. რატომაა, რომ ერთნი სამოცდათითხმეცი წლის ასაკშიც თავს მხნედ გრძნობენ, ნორმალური სრულფასოვანი ცხოვრებით ცხოვრობენ, მეორენი კი უკვე 60 წლის ასაკში იწყებენ „ჭრიალს“ ცუდად შეზეთილი ფორანივით.

მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ დაბერების მიზეზი ასაკი კი არა, ჩვენი ორგანიზმის უჯრედებში მიმდინარე რთული პროცესია. მეცნიერების მიზანია არა მხოლოდ შეიცნოს ისინი, არამედ ზეგავლენაც მოახდინოს მათზე. ადამიანის ჯანმრთელობის მთავარი მტერი ე.წ. „თავისუფალი რადიკალებია“, რომელიც უკვე კარგადაა ნაცნობი მეცნიერთათვის. ცნობილია მათი გაუვნებელყოფის მექანიზმიც — ჩვენი ორგანიზმის სრულფასოვანი ცხოვრებისათვის გმირულად მებრძოლი ანტიოქსიდანტები, რომელიც ართმევს „ტერიტორიებს“ თავისუფალ რადიკალებს და ამით გვიხანგრძლივებს სიცოცხლეს.

ჯერ კიდევ უძველეს დროში იქნა შემჩნეული, რომ ადამიანები, რომლებიც ყურძენს რეგულარულად მიირთმევდნენ, განსაკუთრებული ჯანმრთელობით, კარგი მეხსიერებით და დღეგრძელობით გამოირჩეოდნენ. დღეისათვის კი დამტკიცებულია, რომ ყურძენი ბიოფლავონოიდების უნიკალური ნაკრების წყაროს წარმოადგენს, ფლავონოიდები კი ძლიერ ანტიოქსიდანტებადაა მიჩნეული. თავისი ეფექტურობით ისინი რამდენიმე ათეულჯერ სჯობს ისეთ ცნობილ ანტიოქსიდანტებს, როგორებიცაა: ვიტამინები E, C და ბეტა-კაროტინი. ყურძნის აღნიშნული თვისებების გათვალისწინებით, რუსმა მეცნიერებმა მისგან დღეგრძელობის წამალი „ნესტარინიც“ კი დაამზადეს.



ასე რომ, ყოველდღიურად მიირთვით ერთი მტევანი ყურძენი, სადილს კი 1-2 ჭიქა ღვინო დააყოლეთ — ამგვარად საგრძნობლად გაიხანგრძლივებთ შრომისუნარიან სიცოცხლეს. ■

თქვენი პატარა

ვაშლის წვენი — ახალშობილთა კოლიკის მთავარი მიზეზი

ახალშობილთა ძშობლების საკმაოდ დიდი ნაწილი ექიმებს ბავშვის კოლიკის (მუცლის მოვლითი ტკივილი) გამო აკითხავს. მაიამელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მისი მიზეზი საკმაოდ ხშირად, ბავშვის რაციონში ზოგიერთი ხილის წვენის შეტანა ხდება ხოლმე. ექსპერიმენტის დროს ბავშვებს ეძლეოდათ ვაშლისა და თეთრი გრეიპფრუტის წვენები. ვაშლის წვენი, გრეიპფრუტისაგან განსხვავებით, შეიცავს სორბიტოლს და მასში ფრუქტოზის პროცენტული თანაფარდობა გლუკოზასთან შედარებით ასევე მაღალია. მეცნიერები აკვირდებოდნენ ბავშვის ფიზიკურ აქტიურობას, ძილს და



ტირილის პერიოდებს. გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კუჭ-ნაწლავის კოლიკის განვითარება პირდაპირ კავშირშია ხილის წვენების ათვისების პროცესის სირთულესთან, რადგან მათში მაღალია სორბიტოლის და ფრუქტოზის შემცველობა.

ბავშვები, რომლებსაც ვაშლის წვენი ეძლეოდათ, უფრო ხშირად და ხანგრძლივად ტიროდნენ, მეტ ენერგიას ხარჯავდნენ და მომატებული აღგზნებადობით გამოირჩეოდნენ.

ამერიკის პედიატრიის აკადემია ამზადებს რეკომენდაციებს, რომელიც გვირჩევს, არ შევიტანოთ 6 თვემდე ასაკის ბავშვის რაციონში ხილის წვენები. ■

აკონტროლეთ რადიკულიტი

შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ბევრ ადამიანს უმწვავდება ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ქრონიკული დაავადება — რადიკულიტი, რომლის დროსაც ეფექტურია სხვადასხვა სახის მასაჟი.

გავა-წელის რადიკულიტის დროს კეთდება წელის არეში სიმეტრიულად განლაგებულ წერტილთა მასაჟი (ნახატი 1). წერტილებს ორივე მხარეს ერთდროულად ძლიერად აწვებიან ცერა თითებით. ზემოქმედების ხანგრძლივობა 2 წუთია.

კისრის რადიკულიტის დროს ამასაჟებენ კისრის ქვემოთ განლაგებულ წერტილებს (ნახ. 2). მასაჟი ორივე ხელის საჩვენებელი თითებით ტარდება ერთდროულად ორივე მხარეს. ზემოქმედება თავიდან მსუბუქია, შემდეგ თანდათანობით უნდა გაძლიერდეს.

გავა-წელის რადიკულიტის დროს შეიძლება გაკეთდეს თვითმასაჟი. დასაწყისში 3-5 წუთის განმავლობაში ხდება ზერელე ზემოქმედება. ხელის გადასმა, ზედაპირული დაზელვა. თვითმასაჟის ხანგრძლივობა თანდათანობით იზრდება 5-10 წუთამდე და ამასთან იგი უფრო ღრმა ხდება. თვითმასაჟი კეთდება წელის, გავის, დუნდულების და ბარძაყთა უკანა ზედაპირის მიდამოებში. ■



ზრდის პრობლემები

თუ ჰიპოფიზური ნანიზმით (ანუ ჯუჯობით) დაავადებული ამერიკელი, ფრანგი, გერმანელი, პოლონელი ან იაპონელი ბავშვების მშობლებს ჰკითხავთ, შეშფოთებულნი არიან თუ არა ისინი თავიანთი შვილების მომავლის გამო, ისინი მხრებს აიჩეჩენ: კი, მაგრამ, რა არის აქ სანერვიულო? მედიცინა ხომ დღეს წარმატებით ებრძვის ამ სენს, კვალიფიციური დახმარების მიღების შემდეგ ბავშვი ინტენსიურად იწყებს ზრდას — წელიწადში 15 სმ-ით მატულობს. მაგრამ თუ იმავე კითხვით მიმართავთ ასეთი ბავშვების მშობლებს ჩვენთან, მიხვდებით, რომ ისინი არა თუ ღელავენ, პანიკაშიც კი არიან ჩავარდნილნი.

ჰიპოფიზური ნანიზმი

ჰიპოფიზური ნანიზმი არის დაავადება, რომლის დროსაც ორგანიზმში არ გამომუშავდება ზრდის ჰორმონი. ამის შედეგად კი, ვითარდება ჯუჯობა; ასეთ დროს, ზრდასრული ადამიანის სიმაღლე 120-140 სმ-ს არ აღემატება. ჰორმონული უკმარისობა ნეგატიურ გავლენას ახდენს ორგანიზმის ყველა სისტემაზე — გულ-სისხლძარღვთა, ნერვულ, შარდგამომყოფ სისტემებზე. ნანიზმით დაავადებულთაგან, ვინმე ძალზე იშვიათად აღწევს 55-60 წლამდე. უმრავლეს შემთხვევაში, ჯუჯები ინფარქტით, ინსულტით, თირკმლის უკმარისობით იღუპებიან.

პარადოქსულია, მაგრამ ფიზიკური ნაკლის გამო, ჯუჯის განცდებს აღრმავებს მისი ინტელექტი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება ნორმალური ადამიანების ინტელექტს. მათ პრაქტიკულად ნებისმიერი ინტელექტუალური სამუშაოს შესრულება შეუძლიათ, მაგრამ რეალურად არავის უნახავს ჯუჯა-ინჟინერი, ექიმი და მით უმეტეს, ხელმძღვანელი. ერთადერთი სფერო, რომელშიც მათ საზოგადოების ყურადღების დამსახურება შეუძლიათ, მსახიობობაა.

ასეთი ფსიქოლოგიური ჭრილობით ცხოვრობენ ჯუჯები ჩვენ გვერდით.

რამდენიმე წლის წინ, ნანიზმის სამკურნალოდ ადამიანის ზრდის ჰორმონს იყენებდნენ, რომელსაც გვამების ჰიპოფიზიდან იღებდნენ, მაგრამ ვერ ხერხდებოდა მისი გაწმენდა ე.წ. „ნელი მოქმედების ვირუსებისაგან“ და საშიში იყო ბავშვებისათვის, ამიტომ მისი გამოყენება აიკრძალა.

შექმნილი პრობლემა გენურმა ინჟინერიამ გადაჭრა. უმაღლესი ტექნოლოგიების გამოყენებით შეიქმნა ზრდის ჰორმონის პრეპარატები, რომელიც არა მხოლოდ სისუფთავითა და უსაფრთხოებით სჯობს თავის წინამორბედებს, არამედ ეფექტურობითაც. გენური ინჟინერიით დანიური კომპანიის „ნოვო ნორდიქსის“ მიერ შექმნილი ნორდიტროპინის, შვეიცარიული ფირმის „ელი ლილის“ მიერ შექმნილი ჰუმატროპის და ამერიკული კომპანიის „ფარმაცია და აპჯონის“ გენოტროპინის ენდოკრინოლოგიაში ნანიზმის სამკურნალოდ გამოყენებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 5-6 წლის განმავლობაში მათი დახმარებით ბავშვი 60-80 სმ-ით იზრდება და 18 წლის ასაკისათვის გოგონები 165-170 სმ-ს, ხოლო ბიჭები — 175-183 სმ-ს აღწევენ.

ნორდიტროპინი პატარა პაციენტებისათვის ძალზედ დახვეწილი, სრულყოფილი სახითაა შეფუთული. მას აქვს ბიჯიანი დოზიმეტრი, რომლის მეშვეობითაც თავად ბავშვსაც კი შეუძლია, გაიკეთოს ინიექცია. ამასთან ინიექცირება აბსოლუტურად უმტკივნეულო და არატრავმულია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს პაციენტისათვის, რადან წამლის მიღება მას საკმაოდ ხანგრძლივად უწევს — 5-8 და ზოგჯერ 10 წელიც.

ყველაზე დიდ სირთულეს ავადმყოფობის დროული გამოვლენა წარმოადგენს. დაავადება ხშირად ფარულად მიმდინარეობს გარკვეულ ასაკამდე. მშობლები ყურადღებას არ აქცევენ ბავშვის სიმაღლეს და ჰგონიათ, რომ მერე „აიყრის ტანს“. ზოგჯერ 5-7 წლის ასაკში შეამჩნევენ, რომ მათი შვილი სხვებივით 7-8 სმ-ით კი არ იზრდება წელიწადში, არამედ — მხოლოდ 2-3 სმ-ით. ამასთან, დიაგნოსტირებაც საკმაოდ ძვირად ღირებული პროცესია.

ახლა კი, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამ პრობლემით დაინტერესებულ მშობლებს აღელვებთ: როგორია პრეპარატის ფასი? მკურნალობის ერთწლიანი კურსი 10.000 დოლარამდე ჯდება. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მკურნალობა რამდენიმე წლის განმავლობაშია საჭირო, ადვილი გასაგები გახდება, რომ მსგავს თანხაზე ოცნება ჩვენთან კი არა, განვითარებულ ქვეყნებშიც კი, ბევრი ადამიანისთვის წარმოუდგენელია, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ დასავლეთში ეს კარგად ესმით და სახელმწიფო ბიუჯეტი სპეციალურ თანხებს გამოყოფს ასეთ ავადმყოფთა სამკურნალოდ, ჩვენში კი ბიუჯეტი რასაც ხმარდება, ყველას კარგად მოგეხსნებათ. ■



ნდობის ტელეფონი
ჯონსულტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
☎822 009 005
„ბავშვი“, „ჯეოსელი“,
„მეგაკომი“ — 0,70 ლ.
თბილისი — 0,45 ლ.
რაიონები — 0,65 ლ.

საოჯახო ფსიქოლოგია

შერიგდით და ალარ იჩხუბოთ

ოჯახური პრობლემების გადაწყვეტა ყოველთვის ვერ ხერხდება კონფლიქტის გარეშე. მოთოკილი ემოციებიც კი, ადრე თუ გვიან, უნდა გამოითქვას. შესაძლოა ის, რაც თქვენ გაღიზიანებთ ან გაცოფებთ კიდეც თქვენს თანამგზავრში, მხოლოდ აისბერგის წვერვალს წარმოადგენდეს. სიღრმისეული პრობლემები კი, „მღვრიე წყლის ქვეშ“ — ჩვენს ცნობიერებაში დევს. თუ ამ ურთიერთგაღიზიანებისა და გაუგებრობის ყინულს არ გაალღობთ, მაშინ იგი თქვენს ოჯახურ „ტიტანიკს“ ჩაძირავს.

ვიჩხუბოთ „მეცნიერულად“

არსებობს განსხვავებული აზრი იმის შესახებ, რომ ქალს შეუძლია უმიზეზოდ გამოიწვიოს სკანდალი. მართლაც, ხალიჩაზე დაყრილი ფერფლი, ჭუჭყიანი ფეხსაცმლის ნაფეხურები, ნამცეცები მაგიდაზე, საბავშვო ბაღიდან ბავშვის გამოყვანის დავიწყება, მეგობრებთან დათრობა და ა.შ. — ეს ყველაფერი, ერთი შეხედვით, წვრილმანია, მაგრამ, აი, სადილის მომზადების დავიწყება, ტელეფონზე ჭორაობა, ფულის უაზროდ ფლანგვა ათასგვარ სისულელეში, ოთახებში უწესრიგოდ მიმოყრილი ნივთები — ეს დაუშვებელია.

თუ პრობლემები არსებობს და საუბარი გარდაუვალია, ერთხელ მაინც სცადეთ, საშინელი ხმით ნუ კი უკივლებთ ერთმანეთს და ერთბაშად ნუ კი „მიაყრით“ ყველა პრეტენზიას, არამედ გამოიყენეთ ფსიქოლოგთა მეცნიერული რჩევები. ისინი ხომ თქვენს სასიკეთოდ ცდილობენ და მთელი მეცნიერება — კონფლიქტოლოგიაც კი შექმნეს.

დასაწყისისთვის უნდა შეიგნოთ, რომ ჩხუბი, ეს უბრალოდ, ემოციებია. თქვენი უკმაყოფილება, განრისხება, შეუთანხმებლობა პარტნიორთან — ეს ყველაფერი ცოცხალი, ადამიანური გრძნობებია. თქვენ გსურთ, რაღაც შეცვალოთ უკეთესობისაკენ? ეს ნიშნავს, რომ გულგრილი არ ხართ იმ ადამიანისადმი, რომელიც თქვენ გვერდითაა და ეს უკვე კარგია.

1. თავდაპირველად შეარჩიეთ ერთი თემა, რომლის შესახებაც უნდა იმსჯელოთ. თუ ყველაფერს ერთდროულად წამოჭრით, ეს უაზრობა იქნება.

2. შეეცადეთ, შეარჩიოთ დრო, როცა თქვენი კონფლიქტის ობიექტი სხვა საქმეებისაგან თავისუფალი იქნება და დაგთანხმდებათ საუბარზე.

3. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ურთიერთობათა გარკვევას არ ესწრებოდნენ ბავშვები და ოჯახის სხვა წევრები. ხალხური სიბრძნის მიხედვით, „მესამე ზედმეტია“ ანუ „როცა ორი ჩხუბობს, მესამე ნუ ჩაერევა“. თუმცა, უმჯობესია, საქმე ჩხუბამდე არ მიკიდეს. რაც შეეხება ჭურჭელს, შეგიძლიათ დალეწოთ, მაგრამ — ძველი, იაფფასიანი.

4. საუბრისას თითოეულ მხარეს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული დრო — „რეგლამენტი“ საკუთარი აზრის გამოსათქმელად. როცა ერთი ლაპარაკობს, მეორე უნდა გაჩუმდეს.

5. ნუ გამოიყენებთ სალანძღავ სიტყვებს და ნუ გადახვალთ პირად შეურაცხყოფაზე, თორემ ყველაფერი „შენ თვითონ ხარ იდიოტით“ დამთავრდება.

6. კონფლიქტის დროს საკმაოდ ეფექტურია საყიდლებზე წასვლა შემდეგი პრინციპით: „შენ — ჩემთვის, მე — შენთვის“.

მაგრამ ყველაზე მთავარი იმის გაგებაა, თუ რა არის მუდმივი უთანხმოების მიზეზი — იქნებ, ეს მატერიალური პრობლემებია? ან იქნებ — სექსუალური! ერთად დაფიქრდით, როგორ გადაჭრათ ისინი და როგორ იცხოვროთ ბედნიერად. ■

იცხოვრეთ ლაღად!

ჰარმონიის კანონებით

ადამიანი ცხოვრებისგან მხოლოდ მაშინ იღებს სიამოვნებას, როცა იგი სიხარულის მომტანია მისთვის. ამიტომ აუცილებელია, დავიცვათ ჰარმონიის კანონები, რომელიც შემდეგ პრინციპებს ეფუძნება:

უნდა გავაცნობიეროთ თითოეული დღის მნიშვნელობა, შევიგნოთ, რომ ყოველი დღე, ყოველი წამი განუმეორებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე ბრძნული მოქმედების, საკუთარი თავისა და გარშემოყოფთათვის მაქსიმალური სარგებლის მომტანი გავხადოთ. ძალზე მნიშვნელოვანია დღის რიტმების დაცვა. მაგალითად, 11-დან 13 საათამდე ზომიერი ემოციებისა და ფიზიკური დატვირთვის შესაფერისი დროა, ხოლო 17-დან 19 საათამდე, სასურველია, დავიცვენოთ, არ გადავღალოთ საკუთარი თავი დაძაბული გონებრივი და ფიზიკური შრომით. 14-დან 15 საათამდე, ორგანიზმის გადაღლილობის პიკი ვითარდება, ამიტომ ამ პერიოდში ასევე აუცილებელია ხანმოკლე დასვენება. ძილისათვის ღამის საათები უნდა გამოვიყენოთ. დასაძინებლად ისეთ დროს უნდა დავწვეთ, რომ კარგად გამოვიძინოთ.

გავუფრთხილდეთ საკუთარ ენერგიას. წვრილმანებში დახარჯვის ნაცვლად, იგი მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმეების საკეთებლად გამოვიყენოთ. ყოველთვის ვუმადლოდეთ საკუთარ ბედს, როგორიც არ უნდა იყოს იგი. ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაშია სიხარული, სიკეთე, ბედნიერება და წარმატება. ვეცადოთ, თითოეულ მოვლენაში, უპირველეს ყოვლისა, ნათელი მხარე დავინახოთ და მაშინ უსიამოვნებები გვერდს აგვივლის.

საჭიროების დროს უნდა შევძლოთ საკუთარ ნაჭუჭში დატევა. ყველა ადამიანის ცხოვრებაში იქმნება ისეთი სიტუაციები, რომლის შეცვლაც მას არ ძალუძს. ნუ ვეცდებით გარდატეხის მოხდენას ნებისმიერი საშუალებით. უმჯობესია, ცოტა ხნით ჩავიკეტოთ საკუთარ თავში, მზერა ჩვენ შიგნით, საკუთარი სულისაკენ მივმართოთ. გავთავისუფლდეთ ბოროტი აზრებისაგან. ნუ ვიძუნწებთ სიკეთეზე. ნუ გავბრაზდებით სხვებზე და ჩვენც ნუ ვაწყენინებთ ვინმეს. ვიყოთ უფრო ყურადღებიანები და გულისხმიერნი ადამიანების მიმართ. ისე მოვექცეთ მათ, როგორც ვისურვებდით, რომ ჩვენ მოგვექცეოდნენ. ცხოვრებას ოპტიმისტურად შევხედოთ. ნუ ვიფიქრებთ, რომ დღე შესაძლოა, წარუმატებელი იყოს. დილიდანვე განვეწყოთ ბედნიერებისა და წარმატებისათვის. უნდა გამოვიმუშაოთ ბედნიერების შეგრძნების უნარი და მაშინ, საკმაოდ ხშირად, ჩვენდა გასაოცრად, მოვლენები ჩვენ მიერ დაგეგმილი ბედნიერი სცენარით წარიმართება.



ყოველ დილას წარმოთქვით ასეთი ფრაზა: „ვიცი, რომ დღევანდელი დღე საოცარი იქნება. თავს შშვენივრად ვგრძნობ. არაფერი მაწუხებს და მადლობელი ვარ ღმერთის ყველაფრისთვის, რაც იყო, რაც არის და რაც იქნება“. ■

კითხვა + პასუხი

კითხვა: სიცილის, ხველის ან სიმძიმის აწევის დროს მემართება მცირე რაოდენობით შარდის უნებლიე გამოყოფა. ვსმაროობ საფენებს. ვიყავი უროლოგთან, გავიკეთე ანალიზები და მითხრეს, რომ ყველაფერი რიგზე მაქვს. როგორ მოვიქცე?

პასუხი: მცირე რაოდენობით შარდის გამოყოფა ისეთ სტრესულ სიტუაციებში, როგორიც ხველა და სიცილია, შეიძლება დაკავშირებული იყოს შარდის ბუშტის სფინქტერების (მომჭერი კუნთის) უკმარისობასთან ან შარდის ბუშტის ინერვაციის მოშლასთან რომელიმე დონეზე, კერძოდ — მენჯის ნერვული წნულის, ზურგის ტვინის, წელის ან გულმკერდის ნაწილში. საჭიროა დამატებითი გამოკვლევები: შარდის ბუშტის ექოსკოპია, ნარჩენი შარდის გამოკვლევა, აგრეთვე სპეციალური უროლოგიური კვლევა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, განვსაზღვროთ შარდის ბუშტის კუნთების ტონუსი. დღეისათვის არსებობს ისეთი პრეპარატები, რომელიც მსგავსი პრობლემების გადაჭრის საშუალებას გვაძლევს, მაგრამ ჯერ კონკრეტული მიზეზის დადგენაა აუცილებელი.

კითხვა: ვარ 52 წლის. დილაობით მიბუჟდება ხელები. გაღვიძებისას იდაყვებს ქვემოთ ხელებს საერთოდ ვერ ვგრძნობ. ტკივილი არ მაქვს. ნახევარ საათში დაბუჟება თანდათან გამივლის ხოლმე. ძალიან მეშინია ინსულტის, რადგან ჩვენს ოჯახში ის დედასაც დაემართა და ჩემს უფროს ძმასაც. თუმცა, ორივე წნევიანი იყო, მე კი წნევა არასოდეს მქონია. უბნის ექიმმა მირჩია ვიტამინების მიღება, მაგრამ ალბათ ეს საკმარისი არ არის. თქვენ რას მირჩევდით?

პასუხი: ორივე ხელის ერთდროული დაბუჟება და თანაც იდაყვებამდე, ტვინის ინსულტის ნიშანი არ შეიძლება იყოს. ეს ოსტეოქონდროზის ნიშანს უფრო ჰგავს, როცა ძილის დროს ირღვევა ვენური სისხლის გამოდინება და მიკროცირკულაცია. აგრეთვე იცვლება კუნთოვანი ტონუსი სხეულის უხერხულ მდებარეობაში. ვიტამინებისა და მიკროცირკულაციის გასაუმჯობესებელ პრეპარატთა დანიშვნა აღნიშნულ შემთხვევაში მიზანშეწონილია, მაგრამ უფრო სრულყოფილი მკურნალობისათვის მიმართეთ ნევროპათოლოგს.

კითხვა: რამდენიმე წელია, მაქვს ეგზემა (ხელებსა და ფეხებზე). ვმკურნალობდი დერმოზოლინით, რომელიც კარგად მშველის, მაგრამ შემდეგ ისევ დამეწყო დაავადების სიმპტომების განვითარება. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში მემართება, როცა რაიმე სანერვიულო შემხვდება. კანის ექიმმა მირჩია ვალერიანისა და პიტნის წვეთების დალევა, მაგრამ ასეთი წამლების სუნს ვერ ვიტან და არც მჯერა მათი ეფექტურობისა. არსებობს თუ არა დამამშვიდებელი აბები, რომელიც არ ადუნებს და არ თიშავს ადამიანს (ეს ჩემთვის იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ ვმუშაობ მძღოლად)?

პასუხი: დიახ, არსებობს მედიკამენტები, რომელსაც არ აქვს სამკურნალო ბალახების სუნი. ყველაზე ცნობილი მათ შორის არის: მეზაპამი, ნოზეპამი, ფენაზეპამი, მაგრამ ისინი აქვეითებს ყურადღების კონცენტრაციის უნარს და უარყოფითად მოქმედებს ღვიძლზე. მძღოლებისთვის ეს პრეპარატები რეკომენდებული არ არის. დამამშვიდებელი ეფექტი აქვს აგრეთვე დღის ნეიროლეპტიკებს: ეგლონილს და სონაპაქსს. შეიძლება თანამედროვე ანტიდეპრესანტების — კოაქსილის ან ქსანაქსის გამოყენებაც, რომელიც მანქანის მართვაში ხელს არ შეგიშლით, მაგრამ ყოველივე ეს გადაჭარბებული იქნება თქვენს შემთხვევაში. თუ თქვენი დაავადების მორიგი გამწვავების მიზეზი რამდენიმედღიანი ნერვიულობა ხდება ხოლმე, უმჯობესია, დროულად მიიღოთ ვალერიანის აბები, რომელსაც სუნი არ აქვს. ამგვარად მიღებული ეფექტი უფრო რბილი და ქმედითი იქნება, ვიდრე ძლიერი ფსიქოტროპული პრეპარატების მოქმედება.

კითხვა: 2 წლის წინ მქონდა დეპრესია, რომელმაც მკურნალობის შემდეგ გამიარა. სულ ახლახან კი გადავიტანე ანგინა. ექიმმა დამინიშნა ანტიბიოტიკი (ციფრანი). მკურნალობის კურსის დამთავრებისთანავე გავხდი ფეთქებადი, გაღიზიანებული, დამეწყო სიმაღლის შიში (ვეღარ ვიხედები მე-5 სართულის ფანჯრიდანაც კი). ნუთუ, ისევ სამკურნალო გავხდი? ექიმს არ გავუფრთხილებივარ, რომ ანტიბიოტიკი ჩემზე ასე იმოქმედებდა. თუ ეს წამლის ბრალი არ არის?

პასუხი: წამალი აქ არაფერ შუაშია. ყველაფერი თქვენი დაავადებიდან მოდის. ახლავე მიმართეთ ფსიქონევროლოგს, რათა დეპრესიის განვითარება დასაწყის სტადიაშივე შეაჩეროთ. ანტიბიოტიკებს არ ახასიათებს ისეთი გვერდითი მოქმედება, როგორიცაა დეპრესიის პროვოცირება. სამწუხაროდ, დეპრესია დაავადებაა, რომელსაც პერიოდული გამწვავებები და რეციდივები ახასიათებს. ■



„ირმებზე მონადირენი“ რეჟისორი
ვალიკო მიზანდარი
უკერული ხითხე ორგანიზმში
პანტომიმა
ამერიკელი მწერალი
ნაპოლეონის მარშალი
პრუსიის დედაქალაქი
ფიგურის გვერდების სიგრძის ჯამი
ევროპის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი
წიწვოვანი ხეების წვენი
ჟან-კლოდ ვან-...
ცხენთ სარბიელი
ლუდის კომპონენტი
კანადელი მოჭიერალი
სამაგიდო თამაში
ძვირფასი ქვა
ძალი კუ „არაჩვეულებრივი გამოფენა“
წამლის მყარი ფორმა
∛64
რიტმის დარღვევა
ბგერების გამოძახილი
კანფეტის ან ფოლადის ბაგირი
გულის დეფექტური წამალი ძველად
სასვენრ ნიშანი
ნორვეგიელი კომპოზიტორი
მილანის საფეხბურთო კლუბი
სამხედრო აარაღის ვამოსაყელი ადგილი
მდინარე გერმანიაში
ბორბლის შიდაწრახნიანი დეტალი
კედელში შეღრმავებული სათავსი
ბალიშის პირი
ჟან ანუის ტრაგედია
ევსტრატის დედაქალაქი
ბუ
„მე ბებია ... ილარიონი“
ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგ.
შეადგინა რამაზ ალანიამ



მე-20 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ა.

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ (2 – 8 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ) ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

ᲛᲣᲨᲐᲝᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ – 23/XI-21/XII



უცნაური კვირაა. ვარსკვლავები საჩუქრებს გიმზადებენ და თანაც, ძველ სიბრძნეს შეგახსენებენ: „ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაუსინჯავს“. ასე რომ, ცდუნებას მაინცდამაინც ნუ აჰყვებით – თუმცა, მთავარი ხომ ყურადღებაა და არა საჩუქარი. ყურადღებას კი ამ კვირაში უხვად დაიმსახურებთ.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲠᲫᲐ – 22/XII-20/I

სამსახურებრივი პრობლემები და ვნებათაღელვა ხუთშაბათისთვის მთლიანად ჩაცხრება და უამრავი ლამაზი დღე გელით. მაგრამ თქვენ, რატომღაც მელანქოლია მოგეძალებათ და ფილოსოფიურ ძიებაში გადავარდებით. აჯობებს, თუ ამას სხვა დროისთვის გადადებთ და აქტიურად გაერთობით ახლობლების წრეში.

ᲛᲔᲠᲜᲯᲣᲚᲘ – 21/I-19/II



ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მზად ხართ 24 საათის განმავლობაში მოლაპარაკებები აწარმოოთ, ხელშეკრულებები დადოთ და ყველა საქმიდან გამორჩენა ეძიოთ. დასახული მიზნისკენ სწრაფვა და პრაქტიკული ჩვევები აუცილებლად წარმატებას მოგიტანთ. ოღონდ, ფრთხილად იყავით, ახლობლები უყურადღებობის გამო არ გაანაწყენოთ.

ᲗᲔᲕᲖᲘᲗᲘ – 20/II-20/III



ძალზედ წარმატებული კვირა გელით. საკმაოდ რთულ სიტუაციებშიც კი ყოველგვარი ემოციების გარეშე აბსოლუტურად სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებთ. შაბათ-კვირას შეგიძლიათ თავისუფლად დაისვენოთ და ჯანმრთელობას მიხედოთ.

ᲛᲔᲠᲫᲘ – 21/III-20/IV

თითქმის მთელი კვირა გულჩათხრობილი იქნებით და მთელ დროს მომხდარი მოვლენების ანალიზში გაატარებთ. მხოლოდ უქმე დღეებში შეძლებთ ფიქრების განდევნას და ზედმეტადაც კი გამხიარულდებით. სხვათა შორის, კვირას მოსალოდნელია რომანი თქვენზე გაცილებით უმცროს ადამიანთან, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსი მუდამ გახსოვდეთ!

ᲙᲣᲠᲗᲝ – 21/IV-21/V

კვირის დასაწყისში სერიოზული დაფიქრება, გამოცდილ ადამიანებთან კონსულტაციები და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღება გმართებთ. ამის შემდეგ კი სამსახურში ქცევას დაიმსახურებთ და საწინააღმდეგო სქესის ყურადღებას მიიქცევთ.

ᲛᲐᲠᲩᲮᲝᲕᲘ – 22/V-21/VI



ვინმე თქვენი გარემოცვიდან ამ კვირაში ახალ და მეტად უცნაურ საქმეს შემოგთავაზებთ. შესაძლოა, ეს ავანტიურაც იყოს. მოკლედ, თავად გადაწყვიტეთ, მაგრამ ისიც გაითვალისწინეთ, რომ ამ საქმეში მოგების რეალური შანსი გექნებათ. შაბათ-კვირას ქალაქგარეთ გაისეირნებთ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲝᲕᲘ – 22/VI-22/VII



სერიოზული საუბრები გელით უფროსობასთან. რაც უფრო კონსერვატორად მოაჩვენებთ მათ თავს – მით უკეთესი იქნება თქვენთვის. ასევე მოსალოდნელია ძველი სასიყვარულო ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ თუ უკვე დაოჯახებული ხართ, აჯობებს თავი შეიკავოთ, რადგან ამ ეტაპზე ოჯახი გაცილებით მნიშვნელოვანია.

ᲚᲝᲛᲘ – 23/VII-23/VIII

კარგი იქნება, თუკი საახალწლო სამზადისს ახლავე შეუდგებით, რადგან შემდეგ ამის დრო აღარ გექნებათ. მთელ კვირას ფაციფუცსა და გაწამაწიაში გაატარებთ და სერიოზული საქმისათვის დრო აღარ დაგრჩებათ, მაგრამ ამაზე ნუ იდარდებთ და დატკბით ცხოვრებით.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ – 24/VIII-23/IX



როგორც დისციპლინირებულ და მოწესრიგებულ ადამიანს, ყველაფერს თქვენ დაგავალებენ. კოლეგები სამუშაოს მთელ სიმძიმეს დაგაკისრებენ, ხოლო ოჯახის წევრები წინასაახალწლო სამზადისს თქვენ გადმოგაბარებენ. თავს უშველეთ! დასვენებისა და მხიარულების უფლება ხომ თქვენც გაქვთ?!

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ – 24/IX-23/X



განსაკუთრებით სასიამოვნო და ჰარმონიული კვირაა! წარმოუდგენლად ენამახვილი და უჩვეულოდ ენერგიული იქნებით. თქვენი ნებისმიერ საზოგადოებაში გამოჩენა ცეცხლოვან შოუდ გადაიქცევა და ყველას უზომო ბედნიერებას მოუტანს.

ᲓᲠᲝᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ – 24/X-22/XI

ინტელექტუალური აქტიურობის ხანა გიდგათ. განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწევენ ის მორიელები, რომელთა საქმიანობა ლოგიკურ აზროვნებას უკავშირდება. პარასკევისთვის მატერიალური და ფინანსური პრობლემები გელით. უმჯობესი იქნება, თუკი უქმეებს ოჯახში, ახლობლებისა და ნათესავების გარემოცვაში გაატარებთ.

თქვენი დამოკიდებულება სტრესთან

ქვემოთ მოყვანილი პასუხების ექვსი ჯგუფიდან თითოეულში შეარჩიეთ მისაღები პასუხის ვარიანტი.

1) ა) სამსახურში, სპორტულ და აზარტულ თამაშებში, ასევე საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში გიყვართ აგრესიულობის და რისკის გამომჟღავნება;

ბ) თუ თამაშში რამდენიმე ქულას კარგავთ, ან საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი თქვენს ყურადღებაზე სათანადოდ არ რეაგირებს, მაშინვე „გამოდიხართ თამაშიდან“ და ნებდებით;

გ) თავს არიდებთ ყველა სახის კონფრონტაციას.

2) ა) თავმოყვარე ხართ და ბევრის მიღწევა გსურთ;

ბ) უმეტესად უმოქმედოდ ზიხართ და „თქვენს ამინდს“ ელოდებით;

გ) მუდამ ეძებთ მიზეზს, რათა სამუშაოს თავი აარიდოთ.

3) ა) გიყვართ სწრაფი მუშაობა და ერთი სული გაქვთ, როდის მორჩებით საქმეს;

ბ) ხშირად ხართ სხვის იმედად;

გ) საღამოს სახლში მისული, უმეტესად დღის მანძილზე სამსახურში მომხდარ მოვლენებს აანალიზებთ.

4) ა) გიყვართ სწრაფი და ხმამაღალი ლაპარაკი, საუბრისას კი ხშირად აწყვეტინებთ მოსაუბრეს და ხართ კატეგორიული;

ბ) როცა გპასუხობენ „არა“, მშვიდად რეაგირებთ;

გ) გიჭირთ საკუთარ გრძნობებსა და საზრუნავზე ლაპარაკი.

5) ა) ხშირად ხართ მოწყენილი;

ბ) გიყვართ უსაქმოდ ყოფნა;

გ) ხშირად მოქმედებთ სხვისი გუნება-განწყობილების მიხედვით და უგულებელყოფთ საკუთარ სურვილებს.

6) ა) სწრაფად დადიხართ, ჭამთ და სვამთ;

ბ) არ ღელავთ, თუ რაიმე საქმის გაკეთება გავიწყდებათ;

გ) ხშირად არ ამჟღავნებთ თქვენს გრძნობებს.

შეაფასეთ პასუხები:

ა) 6 ქულა;

ბ) 4 ქულა;

გ) 2 ქულა.

დაჯამეთ ქულები

25-36 ქულა: სტრესისადმი საკმაოდ მიდრეკილი ხართ, შეიძლება სტრესით გამოწვეული ავადმყოფობის სიმპტომებიც გაგიჩნდეთ — გულის უკმარისობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები. ალბათ, თქვენთან ურთიერთობა ბევრს ძალიან უჭირს. ამჟამად ძალიან მნიშვნელოვანია, თავი ხელში აიყვანოთ და დაწყნარდეთ.

19-24 ქულა: მშვიდი ადამიანი ხართ, სტრესის საშიშროება არ გემუქრებათ, თუმცა ეცადეთ, მომთმენი იყოთ გარშემომყოფთა მიმართ. ეს ხელს შეგიწყობთ უფრო მაღალი მიზნების მიღწევაში.

12-18 ქულა: თქვენი უმოქმედობაც შეიძლება სტრესის მიზეზი გახდეს. ახლობლებს კი, ეს ძალიან აღიზიანებთ. იყავით უფრო დარწმუნებული საკუთარ თავში! არ იქნება ურიგო, შეადგინოთ თქვენი დადებითი თვისებების ჩამონათვალი და ეცადოთ, სრულყოთ თითოეული მათგანი.

მიუხედავად მიღებული ქულებისა და პასუხებისა, გირჩევთ გაიაროთ ქვემოთ მოყვანილი ფსიქოტრენინგის გაკვეთილი და გაეცნოთ 24 რჩევას, რომელიც სტრესის დამარცხებაში დაგეხმარებათ.

საერთო ხასიათის რჩევები:

- თავდაჯერებულად და გადაჭრით თქვით „არა“, როცა ეს გადაწყვეტილი გაქვთ;
- ეცადეთ, საკუთარი პრობლემები ვინმე ახლობელს გაანდოთ;
- ხშირად შეახსენეთ თავს, რომ ადამიანი ხართ და შეცდომების დაშვების უფლებაც გაგაჩნიათ;
- ნუ დაემსგავსებით სირაქლემას, თვალი თამამად გაუსწორეთ პრობლემებს;
- მუდამ იყოლიეთ გვერდით ნამდვილი მეგობარი ან ახლობელი ადამიანი, რომელსაც თქვენი გაგება შეუძლია;
- არ მისცეთ თავს უფლება, თავს მოგახვიონ ცუდი განწყობილება;
- არ აღიქვათ ცხოვრება, როგორც წარუმატებლობის დაუსრულებელი სერია, ეს მხოლოდ ცხოვრების მიერ მოწყობილი „გაკვეთილებია“;
- არ იღელვოთ და ინერვიულოთ იმაზე, რაც თქვენი კონტროლის ზღვარს სცილდება და რის მოგვარებაზეც ხელი არ მიგიწვდებათ.

შინ:

- ხშირად ჩაიხედეთ საოჯახო ფოტოალბომში;
- ხშირად შეეხმიანეთ კარგი იუმორის მქონე მეგობარს;
- მიეცით თავს უფლება და წაიოცნებეთ რაიმე არარეალურზე სულ რაღაც ხუთიოდე წუთით;
- შეარჩიეთ ყოველდღიური საქმიანობისგან განსხვავებული სასიამოვნო ჰობი;
- ეცადეთ, მისდიოთ სპორტს;
- დაფიქრდით, სწორად იკვებებით თუ არა და შეცვალეთ რაციონი;
- დილაობით ადექით ადრე და კარგად ისაუზმეთ;
- არ იაროთ მაღაზიებში პიკის საათში;
- პირველ რიგში ასიამოვნეთ საკუთარ თავს;
- როგორც კი დათბება, გაისეირნეთ ქალაქგარეთ.

სამსახურში:

- სადილობისას მოერიდეთ ხალხმრავალ და ხმაურიან კომპანიას;
- არ გეწყინოთ სამართლიანი კრიტიკა და ეცადეთ, გამოიტანოთ სათანადო დასკვნები;
- დაუნდობლად გაანადგურეთ ყველა ის უსარგებლო, ძველი ქაღალდი და დოკუმენტი, რომელიც მუშაობაში ხელს გიშლით;
- შეიძინეთ სასაცილო სათამაშო და დაარქვით თქვენი უფროსის სახელი;
- დროდადრო შეწყვიტეთ მუშაობა, მოდუნდით და ჩაიტარეთ ელემენტარული ვარჯიში (ფეხების გასწორება, თავის მოძრაობა, ზურგის გასწორება);
- სამუშაოს დამთავრების შემდეგ მოდუნდით, დახუჭეთ თვალები და დაისვენეთ 10 წუთი.

მსუქანმა ამერიკელებმა №1 მტერი აღმოაჩინეს

„ბოროტების კრაზანებად“ წოდებულ ქვეყნებთან ბრძოლამ მეორე პლანზე გადაინაცვლა, ამერიკელებმა ახალი, №1 მტერი აღმოაჩინეს. სიმსუქნის ნაციონალურ ეპიდემიაში, რომელიც აშშ-ის მოქალაქეებს დაატყდათ თავს, დამნაშავე „ბიგმაკი“ ყოფილა. ამერიკელმა ბავშვებმა, რომლებიც ჭარბწონიანობით, დიაბეტითა და ჰიპერტონიით იტანჯებიან, „მაკდონალდსის“ რესტორნების ქსელის წინააღმდეგ, კოლექტიური სარჩელი შეიტანეს სასამართლოში. მოსარჩლეების ადვოკატები ამტკიცებენ, რომ „ახალგაზრდა ამერიკელებში სიმსუქნის ნაციონალური ეპიდემიის“ გავრცელება, „ტოქსიკურმა პროდუქციამ“ გამოიწვია. შეგახსენებთ, რომ ამერიკის მცხოვრებთა 65% ჭარბწონიანია და ამ პრობლემის მოსაგვარებლად ხელისუფლება ყოველწლიურად 20 მლრდ დოლარს ხარჯავს. ბავშვების ბრალდება უსაფუძვლო არ უნდა იყოს. თუ დიაბეტის და ჰიპერტონიის დიაგნოზის ყალბი ცნობის წარდგენა შესაძლებელია, ჭარბწონიანობას ვერაფრით გააყალბებ. მომჩივანთა შორის, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული 13 წლის ასაკში 125 კგ-ს იწონის, მაშინ როცა მისი სიმაღლე 160 სმ-ია. უბედური ბავშვი კვირაში ოთხჯერ მიირთმევდა „ტოქსიკურ საკვებს“. „მაკდონალდსის“ ადვოკატი – ბრედ ლერმანი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ „ნაციონალურ ტრაგედიაში“ სასადილოები კი არა, დამნაშავე ის მშობლები და ბავშვები არიან, რომლებიც საკუთარ თუ შვილების მადას ვერ აკონტროლებენ, მიუხედავად იმისა, რომ „ფრისა“ (შემწვარი კარტოფილი) და ჰამბურგერების ჭარბად მოხმარების შედეგი, კარგა ხანია ყველასათვის ცნობილია“. ■

ბრიტანელ სტუდენტებს სმას ასწავლიან

ბრედფორდის უნივერსიტეტის სტუდენტები ახალი საგნის – ალკოჰოლური სასმლის მოხმარების თეორია – დასაძლევად ემზადებიან. სმის ანაბანის სწავლა ახალგაზრდებს შემდეგი სასწავლო წლიდან მოუწევთ. ბრიტანულ გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობებზე დაყრდნობით, ამ საგნის კურსის წაკითხვისას გათვალისწინებულია ალკოჰოლური სასმელების ისტორიისა და მათი სოციალური მნიშვნელობის სწავლება. სასწავლო გეგმის მიხედვით, ამ თემასთან დაკავშირებით პრაქტიკული მეცადინეობები გათვალისწინებული არ არის. თუმცა, ამ საგნის მოწინააღმდეგეთა აზრით, სტუდენტებისთვის ალკოჰოლის მოხმარების თეორიის სწავლება, ესკიმოსებისათვის თოვლის მიყიდვის ტოლფასია. უკანასკნელ ხანებში ბრიტანეთის უნივერსიტეტებს სულ უფრო და უფრო მეტი გასაოცარი სიახლე შეაქვთ სასწავლო გეგმებში, რადგან იმედი აქვთ, რომ ამით დამატებით საბიუჯეტო დაფინანსებას მიიღებენ. ორიგინალურ სიახლეებს შორის უნდა აღინიშნოს: საესტრადო კომედიის კურსი (სალფორდის უნივერსიტეტი), სერფინგის კურსი (პლიმუტის უნივერსიტეტი) და საფეხბურთო კულტურის კურსი (სტაფორდშირის უნივერსიტეტი). ■

თუხმე ავსტრალიაში ჩასვლა აკრძალული ყოფილა

შესაძლო ტერაქტების საერთაშორისო პანიკას ახალი ზელანდიაც შეუერთდა და ქვეყნის მოსახლეობის „საერთო ტალღაზე“ აწყობა სცადა. თორემ, გამოდიოდა, რომ მთელი სამყარო ქვეყნის ტერორისტული აღსასრულისათვის ემზადებოდა, მათ კი, მშვიდად ედოთ თავი ბალიშზე და ეძინათ. ამასთან დაკავშირებით, ახალი ზელანდიის მთავრობამ გადაწყვიტა, სხვა ცივილიზებული ქვეყნებისათვის დაემტკიცებინა, რომ შექმნილ სიტუაციაში სხვებზე არანაკლებად ზრუნავს საკუთარ ხალხზე. ხელისუფლებამ იფიქრა, იფიქრა და „შავი სიის“ შედგენა მოიფიქრა. ამ სიაში კი შევიდნენ ის ქვეყნები, სადაც ახალი ზელანდიის მთავრობის აზრით, სულ მოკლე ხანში შესაძლოა, ტერაქტები განხორციელდეს. ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ფილ გოფმა გააკეთა, სადაც აღნიშნა, რომ ახალზელანდიელთათვის ყველაზე სახიფათო, ავსტრალიაში მოგზაურობა იქნება, რადგან ავსტრალიის ხელისუფალთ შესაძლო ტერაქტების განხორციელებასთან დაკავშირებით, „ალ-ქაიდას“ ორგანიზაციისაგან გაფრთხილება მიუღიათ. მოსალოდნელია, რომ თავდასხმა უახლოესი ორი თვის მანძილზე განხორციელდება, თუმცა შესაძლოა, არც განხორციელდეს. მაგრამ ახალი ზელანდიის მთავრობამ მაინც თავის დაზღვევა სცადა. ქვეყნის მოსახლეობას უცხოეთში მოგზაურობისას დაბეჯითებით ურჩევენ უსაფრთხოების ზომების დაცვას, განსაკუთრებული სიფრთხილისაკენ კი, მეზობელი კონტინენტის სტუმრებს მოუწოდებენ. ეს მოწოდება „ტურისტული ომის“ გამოცხადებად აღიქმება ავსტრალიის მხრიდან, რადგან ახალზელანდიელთათვის ავსტრალია ყველაზე ხელსაყრელ და მიმზიდველ დასასვენებელ ადგილს წარმოადგენს. ყოველწლიურად მატერიკს ათი ათასობით კუნძულელი სტუმრობს, მათი უმრავლესობა კი, იქ, სწორედ საშობაო არდადეგებზე მიემგზავრება. ტურისტებისთვის ავსტრალიასთან ერთად „შავ სიაში“ ჩრდილოეთ ამერიკა და ევროპაცაა შეტანილი. ■

ქალაქის ცენტრიდან შადრევანი მოიპარეს

უნგრეთის ქალაქ პეჩიდან ფაქტობრივად ქალაქის ცენტრიდან სამუზეუმო ფასეულობის მქონე დიდი ფაიფურის სპილოები მოიპარეს. ერთი კვირით ადრე კი, ამავე ქალაქში, ბოროტმოქმედებმა შადრევნის „აწაპვნაც“ მოახერხეს. ზემოთ აღნიშნული ხელოვნების ნიმუშები სახელგანთქმული უნგრული ფაიფურის – „ჟოლნაისგანაა“ დამზადებული და ქალაქის ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების შიდაბაღს ამკობდა. ექსპერტთა შეფასებით, ფაიფურის შადრევნის ღირებულება, დაახლოებით 50 ათას დოლარს შეადგენს. ფაიფურის სპილოები კი უფრო ძვირიც ღირს. სამართალდამცავები საგონებელში არიან ჩავარდნილნი: იმისათვის, რომ ბოროტმოქმედებს ძეგლების დემონტაჟი და შემდგომ მათი გადატანა მოეხერხებინათ, სულ ცოტა, რამდენიმე მძიმეწონოსანი ათლეტი მაინც იყო საჭირო, წასაღებად კი მოზრდილი სატვირთო უნდა გამოეყენებინათ. საოცარია, მაგრამ ახლომახლო სახლების მცხოვრებთ, „არც არაფერი უნახავთ და არც არაფერი გაუგონიათ“. პოლიციის აზრით, შადრევანი და სპილოები ერთი და იმავე დანაშაულებრივი დაჯგუფების ნახელავი უნდა იყოს. გამომძიებლები არ გამორიცხავენ, რომ შადრევანიც და სპილოებიც „შეკვეთთი“ მოიპარეს და შესაძლოა, უკვე უნგრეთის ფარგლებს გარეთაც გაიტანეს. ქალაქი პეჩი შესანიშნავი და მეტად ძვირად ღირებული „ჟოლნაის“ ფაიფურის სამშობლოდ ითვლება. აღსანიშნავია, რომ მოპარული ხელოვნების ნიმუშების გარდა, ქალაქში ამ მასალისაგან შესრულებული არა ერთი ძეგლი დგას. ■

ფოტოკუჩიოზები



690/38

სიცოცხლე ჯანმრთელობაა!

ფასი: 50 თეთრი

ფილისფილა

№29 26.11-9.12. 2002წ. სატირულ-იუმორისტული ჟურნალი

სიგრძეების ენციკლოპედია

სათეთრეთ ცისფერ ჰორიზონტი

— რა მოუვიდა?
— ელვამ მომიკლა: მაგარი წვიმა წამოვიდა, ჯიბეში ჩავისვი, ქურთუკი შევიკარი და საწყალმა თავის შეყოფა ვეღარ მოასწრო...



მოსწავლე
— მასწავლებელო, გულახდილად მითხარით, შეიძლება ადამიანის დასვა იმისთვის, რაც არ გუუკეთებია?
— რა თქმა უნდა, არა!
— ბოდა, საშინაო დავალება არა მაქვს გაკეთებული...

სპორტული ამბები

ანეკდოტები

სიდუმლო მასალები

კარიკატურები